მარინე თავართქილაძე ანა ფირცხალაშვილი
შოთა შაბურიშვილი

სოციალური და ეკონომიკური უფლებების დაცვა საქართველოში

გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი 2022

ავტორები:
მარინე თავართქილაძე
ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი,
ადამიანის უფლებების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის
ხელმძღვანელი, გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი

ანა ფირცხალაშვილი
სამართლის დოქტორი, პროფესორი,
ვიცე-რექტორი სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით,
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

შოთა შაბურიშვილი
ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

სარედაქციო კოლეგია:
მარინე თავართქილაძე, ეკონომიკის დოქტორი; ანა ფირცხალაშვილი, სამართლის დოქტორი; სოფიო კილაძე, გაეროს ბავშვთა უფლებათა კომიტეტის წევრი, სამართლის დოქტორანტი; თამთა მიქაბერიძე, ეკონომიკის დოქტორი; ნინო პაპაჩაშვილი, ეკონომიკის დოქტორი; ნათია ქელიძე, ეკონომიკის დოქტორი.

რეცენზენტები:
დავით სიხარულიძე
ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

გიორგი მირიანაშვილი
სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, საჯარო
მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის დეკანი, საჯარო
მმართველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი,
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

© მ. თავართქილაძე, ა. ფირცხალაშვილი,
შ. შაბურიშვილი, 2022

გამომცემლობა „უნივერსალი", 2022

თბილისი, 0186, ა. ჰოლიტაოვსკაიას №4, ☎: 5(99) 17 22 30; 5(99) 33 52 02
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-33-219-7

მ. თავართქილაძე, ა. ფირცხალაშვილი, შ. შაბურიშვილი, სოციალური და ეკონომიკური უფლებების დაცვა საქართველოში, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2022.

წინამდებარე ნაშრომი მომზადდა გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის ადამიანის უფლებების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მხარდაჭერით.

წიგნი გამოიცა სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით, ფუნდამენტური კვლევებისთვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტის ფარგლებში. გრანტის ნომერი FR-19-19619, პროექტის სახელწოდება: სოციალური და ეკონომიკური უფლებების დაცვა საქართველოში.

სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი არ არის პასუხისმგებელი ტექსტის სისწორეზე, მის შინაარსსა და ავტორების მიერ გამოხატულ მოსაზრებებზე.

Following publication was prepared with the support of Grigol Robakidze University Human Rights Scientific Research Institute.

The work was supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG) in the framework of Fundamental Research State Grant. Grant number FR-19-19619, project title: Protection of Social and Economic Rights in Georgia.

Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia is not responsible for the correctness, content and the ideas expressed by the authors.

შინაარსი

ავტორებისგან 6
შესავალი 10
1. სოციალური და ეკონომიკური უფლებების სამართლებრივი რეგულირება 14
1.1. სოციალური უფლებები უნივერსალურ, ევროპულ, საერთაშორისო ხელშეკრულებებში და ქართულ კანონმდებლობაში 14
1.2. შრომის უფლება / თავისუფლება 16
1.3. შრომის სამართლიანი და ხელსაყრელი პირობები 19
1.4. პროფესიული კავშირების შექმნისა და მათში გაწევრიანების უფლება 26
1.5. გაფიცვის უფლება 30
1.6. სოციალური უზრუნველყოფა და სოციალური დაზღვევა, ოჯახის დაცვის სახელმწიფო გარანტიები, ღირსეული საცხოვრებელი პირობები და ჰიგიენა 33
1.7. თანხმობაზე დაფუძნებული ქორწინების უფლება და არასრულწლოვანთა ქორწინება 45
1.8. დედების დაცვა ორსულობისა და მშობიარობის შემდგომ პერიოდში 47
1.9. ბავშვთა და მოზარდთა დაცვა სოციალური და ეკონომიკური ექსპლუატაციისგან 53
1.10. ბრძოლა შიმშილის აღმოფხვრისთვის 60
1.11. ჯანმრთელობის უფლება 60
1.12. განათლების უფლება. 69
2. რეგულაციების აღსრულებისა და მისი ეფექტიანობის შეფასება 91
2.1. სოციალურ დახმარებაზე დამოკიდებულების ანალიზი და სამართლებრივი რეკომენდაციები 91
2.2. შრომის ბაზარი და დასაქმების გამოწვევები საქართველოში 100

2.3. სოციალური და ეკონომიკური უფლებების
თვისებრივი კვლევა 128
3. სოციალური და ეკონომიკური უფლებების
სოციოლოგიური და სტატისტიკური კვლევა 171
3.1. ერთგანზომილებიანი ცხრილებით და
დიაგრამებით ანალიზი 171
3.2. მრავალგანზომილებიანი ცხრილებით ანალიზი..... 194
3.3. კორელაციური ანალიზი 203
3.4 ლოგისტიკური და მულტინომიალური
მოდელებით ანალიზი 209
3.4.1. სოციალურად დაუცველის კატეგორიაში
ინდივიდის მოხვედრის შანსების
მოდელი 209
3.4.2. ყოველკვირეული დასვენებით სარგებლობის
უფლების მოდელი 214
3.4.3. სახიფათო და არაჯანმრთელ სამუშაოებზე
უსაფრთხოების ზომების დაცვის მოდელი 215
3.4.4. მიმდინარე პერიოდში სამუშაოს ძებნის მოდელი 215
3.4.5. სამსახურის უსაფუძვლოდ დაკარგვის მიზეზები
და შესაბამისი ზომების მოდელი 218
3.4.6. სახიფათო და არაჯანმრთელი სამუშაოების
მოდელი 219
3.4. 7. ჯანმრთელობის პროგრამების მოდელი..... 221
3.4.8. ბავშვთა და მოზარდთა დაცვის მოდელი 223
დასკვნა 225
ბიბლიოგრაფია..... 237
დანართი 1. თვისებრივი კვლევის კითხვარები 243
დანართი 2. რაოდენობრივი კვლევის კითხვარი 253
Protection of Social and Economic Rights in Georgia (Summary)..... 264

ავტორებისგან

წინამდებარე ნაშრომი ეძღვნება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სოციალური და ეკონომიკური უფლებების, მისი დაცვის მექანიზმების, კანონმდებლობის აღსრულებისა და ეფექტიანობის მეცნიერულ შესწავლასა და ანალიზს.

დღევანდელ კანონშემოქმედებით საქმიანობაში ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა სამართლებრივ აქტებში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა პრინციპების ეფექტიანად ასახვაა. აღნიშნულ პრობლემას შედეგად მოაქვს მოსახლეობის არასახარბიელო მდგომარეობა უფლებების კუთხით, რაც პირდაპირ კავშირშია მოსახლეობის/საზოგადოების სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ ყოფასთან. წლების განმავლობაში საქართველოს ხელისუფლებისთვის გადაუჭრელ პრობლემად რჩება მოსახლეობისთვის სოციალური და ეკონომიკური უფლებების რეალიზება. ქვეყანაში მოქმედებს რიგი სახელმწიფო პროგრამები, რომლებსაც საქართველოს ხელისუფლება სთავაზობს მოსახლეობას სოციალური და ეკონომიკური უფლებების რეალიზების მიზნით. კვლევებით იკვეთება აღნიშნულ პროგრამებში ხარვეზები, რის შედეგადაც დაბალია პროგრამების ეფექტიანობა და შესაბამისად არასახარბიელოა მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური ყოფაც.

სწორედ რეგულაციების აღსრულებისა და ეფექტიანობის ხარისხის შეფასებისთვის ჩატარდა ჩაღრმავებული ინტერვიუები სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, მათ შორის კვლევაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის, საქართველოს პროფესიული კავშირების ასოციაციი და სხვა უწყებების ექსპერტებმა და წარმომადგენლებმა. თვისებრივი

კვლევის ფარგლებში იდენტიფიცირებული შედეგების გადასამოწმებლად ჩავატარეთ რაოდენობრივი კვლევა სამიზნე ჯგუფებთან: (სოციალურად დაუცველი პირები, უმუშევრები, მრავალშვილიანი ოჯახები, პენსიონერები, დასაქმებულები) საქართველოს მასშტაბით. შემდეგ კი მოვახდინეთ შეგროვებული მონაცემების ეკონომიკური და სტატისტიკური ანალიზი. ანალიზისთვის გამოვიყენეთ ლოგისტიკური და მულტინომიალური მოდელები. ბინარული დამოკიდებული ცვლადებისთვის ავაგეთ ლოგისტიკური რეგრესია, ხოლო რამდენიმე შესაძლო შედეგის მქონე ცვლადის გასაანალიზებლად ავაგეთ მულტინომიალური რეგრესია. ნაშრომში წარმოდგენილია სოციალურად დაუცველის კატეგორიაში ინდივიდის მოხვედრის შანსების, ინდივიდების, სოციალურად დაუცველ კატეგორიაში მოხვედრის რისკების, ყოველკვირეული დასვენებით სარგებლობის უფლების დარღვევის და სხვა მოდელები.

ანალიტიკური სამუშაოების შედეგებზე დაყრდნობით ნაშრომში წარმოდგენილია რეკომენდაციები, რომელიც გააუმჯობესებს ეკონომიკური და სოციალური უფლებების დაცვას საკანონმდებლო დონეზე, აღსრულებისა და ეფექტიანობის კუთხით.

ნაშრომის გამოყენება შეუძლიათ სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურებს, სამოქალაქო, სამეცნიერო და საგანმანათლებლო სექტორებს. ვიმედოვნებ, იგი მოსახერხებელი წყარო იქნება პრაქტიკოსებისა და სტუდენტებისთვის კანონმდებლობით განსაზღვრული სოციალური და ეკონომიკური უფლებების რეგულირების ინსტრუმენტების გასაცნობად, სხვადასხვა საინფორმაციო-საკონსულტაციო შინაარსის მასალების მოსამზადებლად.

მარინე თავართქილაძე
ეკონომიკის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი,
ადამიანის უფლებების სამეცნიერო-
კვლევითი ინსტიტუტის ხელმძღვანელი,
გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი

საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულით და კონსტიტუციის მე-5 მუხლით გარანტირებულია სოციალური სახელმწიფოს პრინციპი. კონსტიტუცია სახელმწიფო ხელისუფლების მიმართ მბოჭველია და მას აქვს მავალდებულებელი ხასიათი. შესაბამისად, სოციალური სახელწიფოს პრინციპის თანახმად მოქმედება არ არის ხელისუფლების არჩევანი ან მისი კეთილი ნება. მისკენ სწრაფვა სახელმწიფო ხელისუფლების მთავარი მიზანია.

სოციალური სახელმწიფო იმ სამი ძირითადი ელემენტისგან შედგება, რომელთა მინიმალურ დონეზე გარანტირებაც კი (თუკი ეს მინიმალური სახელმწიფოს მაქსიმალურ ძალისხმევას წარმოადგენს) სოციალური სახელმწიფოს ფუნდამენტს ქმნის. ეს სამი ელემენტია: სოციალური უსაფრთხოება, ეკონომიკური თანასწორობა და სოციალური სამართლიანობა.

მართალია, ერთი მხრივ, საყოველთაო ეკონომიკური კეთილდღეობა დაკავშირებულია სახელმწიფო ბიუჯეტის სიდიდესთან, თუმცა მხოლოდ მდიდარი ბიუჯეტის სახელმწიფოები ვერ ჩაითვლებიან სოციალურ სახელმწიფოებად, თუ ეს სიმდიდრე სამართლიანად არ არის საზოგადოებაში გადანაწილებული და პირის ღირსეული ყოფა არ არის გარანტირებული.

სახელმწიფოს მცდელობაც კი, რომ თავისი ბიუჯეტი, სოციალური პრიორიტეტების მიხედვით განსაზღვროს და ის მატერიალური სიმდიდრე, რომელსაც ფლობს, სამართლიანად გადაანაწილოს, უკვე აქცევს მას სოციალურ სახელმწიფოდ. ამ შემთხვევაში უფრო მნიშვნელოვანია ძალისხმევა და ნაკლებად – შედეგი. მთავარია, მოქმედების სოციალურად გათვლილი პრიორიტეტულობა და მათი მიზანმიმართულობა – შექმნას ადამიანისთვის ღირსეული ცხოვრების პირობები.

სოციალური სახელმწიფოს ძირითადი მახასიათებელი სამართლიანი გადანაწილების პრინციპია. წარმოდგენილი კვლევის მიზანია, რომ სწორედ ამ პრინციპზე გამახვილდეს ყურადღება და სიკეთეების თანაბარ და სამართლიან გადანაწილებაზე გაკეთდეს კვლევის ძირითადი აქცენტები.

იმედი მაქვს, წარმოდგენილი კვლევა და მისი შედეგები საინტერესო იქნება სფეროს მკვლევარებისთვის, საჯარო პოლიტიკის განმახორციელებლებისთვის და რა თქმა უნდა, იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც დაინტერესებულნი არიან სოციალური უფლებებით და სოციალური პოლიტიკით.

ანა ფირცხალაშვილი
სამართლის დოქტორი,
პროფესორი, ვიცე-რექტორი
სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით,
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

შესავალი

თანამედროვე მსოფლიო განვითარების ახალ ეტაპზე გადადის. სოლიდარობა და სოციალური სამართლიანობა სახლმწიფოს ან სახელმწიფოთა თანამეგობრობის მხოლოდ კეთილი ნება აღარ არის. ამ ღირებულებათა დამკვიდრების აუცილებლობა ჩვენს საუკუნეში არსებულმა უკიდურესობებმა მოიტანა. დღეს თვით მდიდარი და განვითარებული სახელმწიფოების ინტერესებშია, რომ მსოფლიოში ყველგან აღმოიფხვრას სიღარიბე, შიმშილი და სოციალური უთანასწორობა, რომელიც, ასევე, მათ უსაფრთხოებას, მშვიდობას და კეთილდღეობას უქმნის საფრთხეს.

სიკეთეების სამართლიანი გადანაწილება გულისხმობს არა მხოლოდ სახელმწიფოს მოქმედებას პირებს, ან მოქალაქეებს შორის, არამედ სახელმწიფოს ზრუნვას ქვეყნის მთელი ტერიტორიის თანაბარი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისთვის. მსგავსი დებულება დევს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კონსტიტუციაში, რომელიც ხელს უწყობს გერმანიის ფედერაციული სუბიექტების თანაბარ განვითარებას. სოციალური სამართლიანობის იდეა სწორედ თანაბარ განვითარებას ემსახურება. საგულისხმოა, რომ იგი გასცდა სახელმწიფოებრიობის ფარგლებს და უკვე საერთაშორისო მნიშვნელობა მოიპოვა. ამას ადასტურებს არა მხოლოდ რეგიონული საერთაშორისო ორგანიზაციების (მაგ., ევროკავშირის), არამედ მსოფლიო თანამეგობრობის (გაეროს) რეგულაციები. დღითიდღე ნათელი ხდება, რომ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების თანაბარი განვითარების და კეთილდღეობის მიღწევა მათი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მიზანია.

სახელმწიფოთა სოციალური სოლიდარობის ჭრილში, მნიშვნელოვანია გაეროს მდგრადი განვითარების გეგმა 2030. სწორედ მასშია დასახული მსოფლიოში არსებული სოციალური პრობლემების აღმოფხვრის მიზანი. ამ გეგმის 17 პრინციპიდან ყველაზე პრიორიტეტული სოციალური პრობლებმატიკაა. პირველ სამ მიზნად დასახულია გაეროს წევრ ქვეყნებში სიღარიბის და შიმშილის აღმოფხვრა და ეფექტია-

ნი ჯანდაცვის სისტემის შექმნა. აგრეთვე, ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ პარტნიორობის ფარგლებში უზრუნველყოფილი უნდა იყოს თანასწორი განათლება, ღირსეული სამუშაო პირობები, ეკონომიკური ზრდა და ასევე, უთანასწორობის შემცირება ქვეყნებში და ქვეყნებს შორის. ამ დოკუმენტს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სოციალური დატვირთვა აქვს, რადგან განვითარებული სახელმწიფოები აღიარებენ, რომ მათ აქვთ „სოციალური პასუხისმგებლობა“ სხვა, უფრო „ღარიბ“ სახელმწიფოთა მიმართ.

სოციალური სახელმწიფოსთვის ძირითადად დამახასიათებელია სამართლიანი გადანაწილების პრინციპი. მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ საყოველთაო ჯანდაცვა საქართველოში სახელმწიფოს მიერ განხორცილებული ერთ-ერთი საუკეთესო პროექტია, სასურველია, სახსრები მეტად დიფერენცირებულად იქნეს გადანაწილებული. მაგალითად, ჯანმრთელობის დაზღვევა განსაზღვრული შემოსავალების მიხედვით იქნეს გადანაწილებული; იმის მიხედვით, თუ რა შემოსავალს ფლობს ადამიანი, განსხვავებული პაკეტით სარგებლობდეს და არა ყველა თანაბარით; მაგალითად, უფასო მშობიარობის თანხა ყველას! „ყველას“ არ სჭირდება უფასოდ მშობიარობა, თუმცა ზოგიერთს, მშობიარობის შემდგომ ბავშვის შენახვის თანხა უკეთ გამოადგებოდა. ესაა სამართლიანი გადანაწილების პრინციპი, რომელზეც დგას სოლიდარული საზოგადოება და სოციალური სახელმწიფო.

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ სოციალური სახელმწიფოს მიზნები მართალია არ არის სრული მასშტაბით განხორციელებადი, მაგრამ ისინი სახელმწიფოს მუდმივი ამოცანა და ზრუნვის საგანი უნდა იყოს. ამ მიმართულებით ძალისხმევა სოციალური სახელმწიფოს მოვალეობაა.

სოციალური სახელმწიფო აქტიური და მოქმედი სახელმწიფოა. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ თავის ერთ-ერთ გადაწვეტილებაში 2002 წელს განაცხადა, რომ სახელმწიფო მოვალეა, მიმართოს მაქსიმალურ ძალისხმევას, რათა უზრუნველყოს სოციალური უფლებების დაცვის, სულ ცოტა, მინიმალური დონე მაინც.

სოციალური სახელმწიფოს პრინციპი არა მხოლოდ ავალდებულებს სახელმწიფოს, არამედ იგი წარმოქმნის სოლიდარული საზოგადოების და მათ შორის ინდივიდების ვალდებულებებს, პირების სოციალურ პასუხისმგებლობას, რათა მათი საკუთრება გარკვეულწილად საზოგადოების სასარგებლოდ იქნეს გამოყენებული. ასეთ სოლიდარულ საზოგადოებაში საკუთრება ავალდებულებს მესაკუთრეს. საკუთრებას აქვს ერთგვარი სოციალური ბოჭვა, რომელიც მოქმედებს ყველაზე, ვინც ფლობს ისეთ საკუთრებას, რომელსაც შესაძლოა საზოგადოებრივი სარგებლობა მოჰქონდეს.

სოციალურ სახელმწიფოში, უპირველეს ყოვლისა, მოიაზრებენ სოციალურ უსაფრთხოებას, ზოგად ეკონომიკურ თანასწორობასა და სოციალურ სამართლიანობას.[1]

სოციალური სახელმწიფოს მიზნები, მისი არსიდან გამომდინარე, ობიექტური მიზეზების გამო, არ არის სრულად შესრულებადი. მათი მიღწევა არ არის დამოკიდებული მხოლოდ სახელმწიფოს მოქმედებაზე ან უმოქმედობაზე. ამაზე გავლენას სხვა მრავალი ფაქტორიც ახდენს, რომელთა წინაშეც ხშირად სახელმწიფო, მიუხედავად მისი ნებისა, უძლურია. სწორედ ამიტომ გაუსვა ხაზი საკონსტიტუციო სასამართლომ იმ გარემოებას, რომ სოციალური სახელმწიფოს მიზნები არ არის სრული მასშტაბით განხორციელებადი.[2] აქედან გამომდინარე, ისინი უნდა იყოს სახელმწიფოს მუდმივი ამოცანა და ზრუნვის საგანი.[3] ამ მიმართულებით ძალისხმევა სოციალური სახელმწიფოს მოვალეობაა.

ზემოაღნიშნული არ გულისხმობს იმას, რომ სოციალური სახელმწიფო თავის საქმიანობაში სრულიად თავისუფალია და არ ექვემდებარება რაიმე მოთხოვნებს. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ზოგადი მოთხოვნა სო-

---

[1] Benda E. Menschenwürde und Persönlichkeitsrecht, in: Benda, Ernst/Maihofer, Werner/Vogel, Hans-Jochen (Hrsg.): Handbuch des Verfassungsrechts der Bundesrepublik Deutschland, Teil 1, 2., neu bearbeitete und erweiterte Auflage, Berlin/New York 1995, S. 161 (164).

[2] ლოლაძე ბ. სოციალური სახელმწიფო – საფრთხე ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებებისათვის?, სტატიათა კრებულში: ადამიანის უფლებათა დაცვა: მიღწევები და გამოწვევები, რედ. კ. კორკელია, თბ., 2012.

[3] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, N1/2/1-392 გადაწყვეტილება, 6 (20); განსხვავებული აზრი №1/2/434, 114 (119).

ციალური სახელმწიფოს საქმიანობის მიმართ შეიძლება შემდეგი მოკლე ფორმულრებით ჩამოყალიბდეს: მაქსიმუმი, სულ ცოტა, მინიმუმისათვის[4]. ამ პოზიციის ჩამოყალიბებისას საკონსტიტუციო სასამართლომ გამოიყენა საქართველოს ახლანდელი კონსტიტუციის მე-4 მუხლის (ყოფილი 39-ე) მეორე პუნქტი, რომლის თანახმად, საქართველოს კონსტიტუცია არ უარყოფს ადამიანისა და მოქალაქის სხვა საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებს, თავისუფლებებსა და გარანტიებს, რომლებიც კონსტიტუციაში უშუალოდ არ არის მოხსენიებული, მაგრამ თავისთავად გამომდინარეობს კონსტიტუციის პრინციპებიდან.

სოციალური სახელმწიფო გარკვეულწილად გათანაბრებისა და განაწილების სახელმწიფოა, თუმცა ამ თემას განსაკუთრებული სიფრთხილით მოპყრობა სჭირდება. არსებობს გარკვეული ზღვარი, რომელსაც არ უნდა გადააბიჯოს სახელმწიფოს განაწილებითმა და გათანაბრებითმა საქმიანობამ. უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფო ხელისუფლებამ კარგად უნდა გააცნობიეროს, რომ მას არ შეუძლია ადამიანის ბუნების შეცვლა. თავისთავადია და ბუნების კანონია, რომ არსებობენ ერთმანეთისგან განსხვავებული ინდივიდები განსხვავებული შესაძლებლობებით. თუ ეს მრავალფეროვნება იძულებითი წესით მოთავსდება ერთ გარკვეულ ფორმაში, მაშინ გარდაუვალი იქნება საზოგადოებრივი განვითარების სტაგნაცია ყველა მიმართულებით, ვინაიდან სწორედ თავისუფალი ადამიანი განაპირობებს განვითარებას და წარმატებას.[5]

---

[4] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 18 აპრილის N1/1/126, 129, 158 გადაწყვეტილება საქმეზე – ბაჭუა გაჩეჩილაძე, ვლადიმერ დობორჯგინიძე, გივი დონაძე და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები. 2002, თბ., 2003, 5 (13).

[5] ლოლაძე ბ. სოციალური სახელმწიფო – საფრთხე ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებებისათვის?, სტატიათა კრებულში: ადამიანის უფლებათა დაცვა: მიღწევები და გამოწვევები, რედ. კ. კორკელია, თბ., 2012 http://lawlibrary.info/ge/books/giz2012-ge-Schutz-der-Menschenrecht-Herausforderungen.pdf?fbclid=IwAR295mSPYFtW-5TLsuLY-jjcLw-FOcuZUzUyT_JmbittGzN1j8zkpj3tz6w

1. სოციალური და ეკონომიკური უფლებების სამართლებრივი რეგულირება

1.1. სოციალური უფლებები უნივერსალურ, ევროპულ, საერთაშორისო ხელშეკრულებებში და ქართულ კანონმდებლობაში

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე სოციალურ და ეკონომიკურ უფლებებს განსხვავებული ფუნქცია, ადგილი და შინაარსი გააჩნდა. ისინი განიხილებოდა როგორც სახელმწიფოსგან ნაწარმოები უფლებები. თუმცა საერთაშორისო სამართალში დღესდღეობით მკვიდრდება ე. წ. ადამიანის უფლებების განუყოფლობის პრინციპი, რომელიც უგულვებელყოფს ძირითადი უფლებების კატეგორიზაციას და მიზნად ისახავს მათ უნიფიკაციას[6]. მიუხედავად ამისა, საერთაშორისო სამართალში მყიფეა სოციალური და ეკონომიკური უფლებების დაცვის როგორც უნივერსალური, აგრეთვე, რეგიონული მექანიზმები. გამომდინარე იქიდან, რომ სოციალურ და ეკონომიკურ უფლებებს მხოლოდ პოზიტიური ფუნქცია ახასიათებს და მათი რეალიზაცია დამოკიდებულია სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკურ შესაძლებლობებზე, საერთაშორისო სამართალში ამ უფლებების განვითარების პროცესი რთულად, დაბალი ტემპით პროგრესირებს. სოციალურ უფლებებთან დაკავშირებული საერთაშორისო ხელშეკრულებები ძირითადად არათვითშესრულებადი ხასიათისაა ან/და სახელმწიფოებს ეროვნულ კანონმდებლობაში საერთაშორისო ხელშეკრულების ნორმების ტრანსპოზიციის ფორმის და ხარისხის ალტერნატივებს სთავაზობს. შესაბამისად, სოციალური უფლებების დაცვისა და რეალიზაციის სტანდარტები ძირითადად ეროვნული სამართლით დგინდება.

---

[6] ვრცლად იხ. ვენის დეკლარაცია და სამოქმედო გეგმა, მიღებული 1993 წლის 25 ივნისს, ადამიანის უფლებათა მსოფლიო კონფერენციაზე https://viennaplus20.files.wordpress.com/2013/07/vienna-20-cso-declaration-final.pdf

სოციალურ უფლებებთან დაკავშირებით ორი ფუნდამენტური მნიშვნელობის საერთაშორისო ხელშეკრულებაა მიღებული: ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი[7] და ევროპის სოციალური ქარტია[8], რომელთა მონაწილე საქართველოცაა.

ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით მიღებული არათვითშესრულებადი მულტილატერალური საერთაშორისო ხელშეკრულებაა[9], რომელიც განსაზღვრავს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების დაცვის მინიმალურ სტანდარტებს. საერთაშორისო პაქტით აღიარებულ უფლებებს, მათი აბსტრაქტული შინაარსიდან გამომდინარე, პროგრამული ხასიათი გააჩნია. შესაბამისად, ხელშემკვრელი სახელმწიფო პაქტით განმტკიცებული უფლებების დაცვის სტანდარტების განვითარებისკენ მუდმივად უნდა ისწრაფოდეს.

საერთაშორისო პაქტით არ ხორციელდება უფლებების კატეგორიზაცია. საგულისხმოა, რომ პაქტში დეკლარირებულ თითოეულ უფლებას გააჩნია სოციალური, ეკონომიკური და კულტურული განზომილება.[10]

1961 წლის 18 ოქტომბერს ევროპის საბჭოს ეგიდით მიღებულ იქნა ევროპის სოციალური ქარტია. იგი ევროპის სივრცეში წარმოადგენს ძირითად რეგიონულ საერთაშორისო ხელშეკრულებას სოციალური უფლებების აღიარების თვალსაზრისით. გამომდინარე იქიდან, რომ ქარტიის ტექსტის

---

[7] https://matsne.gov.ge/ka/document/view/1483577?publication=0

[8] https://matsne.gov.ge/ka/document/view/1392164?publication=0

[9] იხ. Economic and Social Council, Substantive issues arising in the implementation of the International Covenant on economic, social and cultural rights: General Comment N9 (1999), მე-5-მე-8 პარაგრაფები. ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: http://tbinternet.ohchr.org/_layouts/treatybodyexternal/TBSearch.aspx?Lang=en&TreatyID=9&DocTypeID=11

[10] მაგალითად: ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტის მიხედვით, განათლების უფლება წარმოადგენს არა მხოლოდ კულტურულ, არამედ სოციალურ და ეკონომიკურ უფლებას. ვრცლად იხ.: Economic and Social Council, Substantive issues arising in the implementation of the International Covenant on economic, social and cultural rights: General Comment N11 (1999), მე-2 პარაგრაფი. ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: http://tbinternet.ohchr.org/_layouts/treatybodyexternal/TBSearch.aspx?Lang=en&TreatyID=9&DocTypeID=11

ხელმოწერის შემდეგ ევროპაში განხორციელდა ფუნდამენ-ტური სოციალური ცვლილებები, 1991 წლის ოქტომბერში ქ. ტურინში ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოების მინის-ტრთა კონფერენციაზე მიღებული გადაწყვეტილების შესაბა-მისად, გადაწყდა ქარტიის ძირითადი შინაარსის განახლება, რევიზია და ადაპტაცია. ამ მიზნით, 1999 წლის 3 მაისს ევრო-პის საბჭოს წევრმა სახელმწიფოებმა ხელი მოაწერეს ევრო-პის სოციალური ქარტიის რევიზირებულ ვერსიას. ევროპის სოციალური ქარტია მიზნად ისახავს უზრუნველყოს ხელშემ-კვრელი ქვეყნების მოსახლეობისათვის ქარტიით განსაზვრუ-ლი სოციალური უფლებები იმისათვის, რომ გააუმჯობესოს მათი ცხოვრების დონე და სოციალური კეთილდღეობა.

სოციალური, ეკონომიკური და კულტურული უფლებე-ბის შესახებ საერთაშორისო პაქტისგან განსხვავებით, ევრო-პის სოციალური ქარტია შეიცავს სოციალური უფლებების ფართო ჩამონათვალს. მიუხედავად იმისა, რომ ორივე საერ-თაშორისო ხელშეკრულების მომზადება და ხელმოწერა 1960-1970-იან წლებში განხორციელდა, სოციალური უფლებე-ბის ვრცელი სპექტრის აღიარებასთან დაკავშირებით ევრო-პული კონსენსუსის მიღწევა მოხერხდა. ნიშანდობლივია, რომ ხელშემკვრელ მხარეებს ქარტია უდგენს უფრო დეტა-ლურ ვალდებულებებს, ვიდრე საერთაშორისო პაქტი. მისი ნორმების შინაარსი უფლებების აღიარების თვალსაზრისით გენერალურია, ხოლო ვალდებულებების განსაზღვრის კუთ-ხით – კონკრეტული და მრავალჯერადი. აღსანიშნავია, რომ საქართველო სავალდებულოდ აღიარებს ქარტიისა და მისი დანართის მხოლოდ 19 მუხლის ცალკეულ პარაგრაფებს.

1.2. შრომის უფლება / თავისუფლება

შრომის უფლება როგორ სოციალური, ასევე, ეკონომი-კური უფლებაა. ის აღიარებულია როგორც ეკონომიკური, სო-ციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორი-სო პაქტით, ევროპის სოციალური ქარტიით, ასევე საქართვე-ლოს კონსტიტუციით და სხვა საკანონმდებლო აქტებით.

შრომის თავისუფლება და, მთლიანობაში, შრომის უფლება ადამიანის სოციალურ უფლებათა ჯგუფს განეკუთვნება. შრომის თავისუფლება და სხვა სოციალური უფლებები ადამიანის სასიცოცხლო ინტერესებს უკავშირდება და, საერთოდ, ძირითადი უფლებების განხორციელების წინაპირობაა. ამ კატეგორიის უფლებების მნიშვნელობის გააზრების საფუძველზე და მათი უზრუნველყოფის მიზნით, ჩამოყალიბდა სოციალური სახელმწიფოს პრინციპი, რომელიც საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციაშიც აისახა. ასეთი უფლებების განვითარებისა და დაცვის გარეშე წარმოუდგენელია სოციალური სახელმწიფოს არსებობა[11].

საქართველოს პირველი დემოკრატიული კონსტიტუცია, რომელშიც მკაფიოდ და ვრცლად აისახა ადამიანის სოციალური უფლებები, საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის ძირითადი კანონი იყო. საინტერესოა, რომ საქართველოს 1921 და 1995 წლების კონსტიტუციების შესაბამის დებულებების შედარებითი ანალიზით დასტურდება, რომ ცალკეული სოციალური უფლებები უფრო სრულად და ქმედითად პირველშია განმტკიცებული[12].

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2007 წლის 26 ოქტომბრის №2/2-389 გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ „ადამიანის ნებისმიერი საქმიანობა ვერ ჩაითვლება „შრომად" და არ ექვემდებარება დაცვას კონსტიტუციის [ყოფილი] 30-ე მუხლის საფუძველზე". შეიძლება ითქვას, რომ, კონსტიტუციის ამ მუხლის გაგებით, შრომად არ ჩაითვლება ადამიანის მუშაობა თავისთვის მისსავე საკარმიდამო ნაკვეთზე. ასეთ შრომას არ აწესრიგებს კონსტიტუცია და შესაბამისი კანონები.

საქართველოს კონსტიტუცია

საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის[13] პირველი პუნქტის მიხედვით, შრომის თავისუფლება უზრუნველყოფი-

---

[11] საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, ავტორთა კოლექტივი, თბ., 2013, გვ. 361.
[12] საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, ავტორთა კოლექტივი, თბ., 2013, გვ. 361.
[13] ფუტკარაძე ი. სოციალურ-ეკონომიკური უფლებების საერთაშორისო-სამართლებრივი და კონსტიტუციური რეგულირება, თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული, თბ., 2009, გვ. 286-289, 296.
[13] https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=35

ლია, ყველას აქვს სამუშაოს თავისუფალი არჩევის უფლება. კონსტიტუციასა და ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტსა და ევროპის სოციალურ ქარტიას შორის არსებობს ტერმინოლოგიური განსხვავება. კონსტიტუცია აღიარებს შრომის თავისუფლებას, ხოლო დასახელებული საერთაშორისო აქტები – შრომის უფლებას. თუმცა მნიშვნელოვანია ითქვას, რომ კონსტიტუციის 26-ე მუხლით დაცული შრომის თავისუფლება შინაარსობრივი თვალსაზრისით მოიცავს როგორც შრომის უფლებას, ასევე, იძულებით შრომის აკრძალვის კონტექსტს.

საქართველოს შრომის კოდექსი[14]

საქართველოს შრომის კოდექსი, რომელიც შრომითი ურთიერთობების მომწესრიგებელი ძირითადი ნორმატიული აქტია (მათ შორის ცალკეულ შემთხვევებში აწესრიგებს შრომით ურთიერთობებს საჯარო სექტორში, თუ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი ასეთ შემთხვევას ადგენს), შრომის უფლების შესახებ ნორმას არ შეიცავს. თუმცა შრომის კოდექსი ქმნის შრომის უფლების რეალიზაციის ნორმატიულ მექანიზმს, მათ შორის დასაქმებული პირის უფლებასა და დამსაქმებლის ვალდებულებების ჩარჩოს, აყალიბებს შრომის უფლების ეფექტიანი რეალიზაციისთვის შრომითი ურთიერთობის სათანადო ფორმატს, ფორმებს, პრინციპებს.

ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი[15]

უშუალოდ შრომის უფლებას ეხება ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-6 მუხლი, რომლის თანახმად, პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ შრომის უფლებას, რომელიც მოიცავს თითოეული ადამიანის უფლებას, მოიპოვოს საარსებო სახსრები შრომით, რომელსაც თავისუფლად აირჩევს ან რომელზეც თანხმდება და მიიღებენ შესაბამის ზომებს ამ უფლების დასაცავად. ზემოაღნიშნული უფლების სრული განხორციელების მიზნით, პაქტის მონაწილე სახელმწიფოების მიერ

[14] https://matsne.gov.ge/ka/document/view/1155567?publication=13
[15] https://matsne.gov.ge/ka/document/view/1483577?publication=0

მისაღები ზომები უნდა შეიცავდეს პროფესიული და ტექნიკური სწავლებისა და წვრთნის პროგრამებს, პოლიტიკას და მეთოდოლოგიას, რათა მიღწეულ იქნეს განუხრელი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარება და სრული შედეგიანი დასაქმება ისეთ პირობებში, სადაც თითოეული ადამიანის პოლიტიკური და ეკონომიკური თავისუფლება დაცული იქნება.

ევროპის სოციალური ქარტია[16]

შრომის უფლებას აღიარებს ევროპის სოციალური ქარტიის პირველი მუხლი, რომლის ფარგლებში სახელმწიფოები იღებენ ვალდებულებას, ერთ–ერთ ძირითად მიზნად და ვალდებულებად აღიარონ დასაქმების მაქსიმალურად შესაძლო მაღალი დონის მიღწევა და შენარჩუნება, შემდგომში სრული დასაქმების უზრუნველყოფის მიზნით; ეფექტიანად დაიცვან მუშაკის უფლება გამოიმუშაოს საარსებო სახსრები მის მიერ თავისუფლად არჩეული საქმიანობით; შექმნან და შეინარჩუნონ დასაქმების უფასო სამსახურები ყველა მუშაკისთვის; უზრუნველყონ და ხელი შეუწყონ შესაბამისი პროფესიული ორიენტაციის საშუალებებს, პროფესიულ მომზადებასა და რეალიზაციას.

1.3. შრომის სამართლიანი და ხელსაყრელი პირობები

შრომით ურთიერთობებში შრომის სამართლიანი და ხელსაყრელი პირობების არსებობა შრომის უფლებით დაცული სფეროა, თუმცა სამართლებრივი ტექნიკისა და მეტი სიცხადისთვის საერთაშორისო ხელშეკრულებებში იგი ცალკე უფლებად არის აღიარებული.

საქართველოს კონსტიტუცია

საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის მესამე წინადადება საკუთარ თავში მოიაზრებს შრომის ხელსაყრელ და სამართლიან უფლებებს. ის, ერთი მხრივ, აღიარებს უფლებას შრომის უსაფრთხო პირობებზე, რაც ხელსაყრელი შრომის უფლების ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტია, მეორე

[16] https://matsne.gov.ge/ka/document/view/1392164?publication=0

მხრივ, სხვა შრომითი უფლებების დაცვისთვის, მათ შორის სამართლიანი და ხელსაყრელი უფლებების კონტექსტით, ორგანულ კანონს აკისრებს. შესაბამისად, კონსტიტუციის დანაწესით სახელმწიფო ხელისუფლება ვალდებულია შრომის ხელსაყრელი და სამართლიანი უფლებების სპექტრი ასახოს ორგანულ კანონში.

საქართველოს შრომის კოდექსი

საქართველოს შრომის კოდექსი კონსტრუქციული თვალსაზრისით აგებულია შრომითი ურთიერთობების შინაარსობრივი საკითხების რეგულირებაზე, რომლის ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტია შრომის პირობების დაცვა, შრომის ანაზღაურება, შვებულება.

შრომის პირობების დაცვა. შრომის კოდექსის თანახმად, დამსაქმებელი ვალდებულია:

• უზრუნველყოს დასაქმებული სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მაქსიმალურად უსაფრთხო სამუშაო გარემოთი, გონივრულ ვადაში მიაწოდოს დასაქმებულს მის ხელთ არსებული სრული, ობიექტური და გასაგები ინფორმაცია ყველა იმ ფაქტორის შესახებ, რომლებიც მოქმედებს დასაქმებულის სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე ან ბუნებრივი გარემოს უსაფრთხოებაზე. დასაქმებულს უფლება აქვს უარი განაცხადოს იმ სამუშაოს, დავალების ან მითითების შესრულებაზე, რომელიც ეწინააღმდეგება კანონს, ან შრომის უსაფრთხოების პირობების დაუცველობის გამო აშკარა და არსებით საფრთხეს უქმნის მის ან მესამე პირის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, საკუთრებას ან ბუნებრივი გარემოს უსაფრთხოებას. დასაქმებული ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს დამსაქმებელს იმ გარემოების შესახებ, რომლის გამოც იგი უარს ამბობს შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე.

• მიიღოს ყველა გონივრული ზომა საწარმოო შემთხვევის შედეგების დროული ლოკალიზაციისა და ლიკვიდაციისათვის, პირველადი დახმარების აღმოჩენისა და ევაკუაციისთვის.

• დანერგოს შრომის უსაფრთხოების უზრუნველმყოფი პრევენციული სისტემა და დროულად მიაწოდოს დასაქმე-

ბულს სათანადო ინფორმაცია შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკებისა და მათი პრევენციის ზომების, აგრეთვე, საფრთხის შემცველ აღჭურვილობასთან მოპყრობის წესების შესახებ, აუცილებლობის შემთხვევაში უზრუნველყოს დასაქმებული პერსონალური დამცავი აღჭურვილობით, სახიფათო მოწყობილობა ტექნოლოგიურ პროგრესთან ერთად დროულად შეცვალოს უსაფრთხოთი ან ნაკლებად სახიფათოთი, მიიღოს ყველა სხვა გონივრული ზომა დასაქმებულის უსაფრთხოებისათვის და მისი ჯანმრთელობის დასაცავად.

• სრულად აუნაზღაუროს დასაქმებულს სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებული, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებით მიყენებული ზიანი და აუცილებელი მკურნალობის ხარჯები.

• დამსაქმებელი ვალდებულია უზრუნველყოს ორსული ქალის დაცვა ისეთი შრომისაგან, რომელიც საფრთხეს უქმნის მის ან ნაყოფის კეთილდღეობას, ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობას.

საქართველოს შრომის კოდექსის საფუძველზე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 3 მაისის №147/ნ ბრძანებით დადგენილია მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან სამუშაოთა ნუსხა, სადაც მოითხოვება დასაქმებულის ჯანმრთელობის დაცვის საგანგებო ზომების არსებობა.

შვებულება – შრომის კოდექსი განსაზღვრავს ზოგადად შვებულების, ასევე ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულების, ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულების და ბავშვის მოვლის გამო დამატებითი შვებულების მიცემის, გამოყენების წესებს.

ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი

ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-7 მუხლის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ თითოეული ადამიანის უფლებას, ჰქონდეს შრომის სამართლიანი და ხელსაყრელი პირობები, რაც, კერძოდ, გულისხმობს: ანაზღაურებას,

რომელიც ყველა მშრომელს უზრუნველყოფს სულ მცირე, სამართლიანი ხელფასით და ტოლფასოვანი შრომისთვის თანაბარი ანაზღაურებით რაიმე ნიშნით განსხვავების გარეშე, კერძოდ, ქალებისთვის ქმნის შრომის ისეთი პირობების გარანტიას, რომელიც მამაკაცის შრომის პირობებზე უარესი არ იქნება და თანაბარი შრომისთვის თანაბარი ანაზღაურების შესაძლებლობას; მასსა და მის ოჯახს ღირსეული არსებობის შესაძლებლობებით, პაქტის დებულებათა შესაბამისად უსაფრთხო და ჯანსაღი შრომის პირობებს; თითოეულისათვის უფრო მაღალ სამსახურებრივ საფეხურზე დაწინაურების თანაბარ შესაძლებლობას, მხოლოდ და მხოლოდ შრომითი სტაჟისა და კომპეტენციის შესაბამისად; დასვენების, თავისუფალი დროის ქონის და სამუშაო საათების გონივრული შეზღუდვის, აგრეთვე, პერიოდული ანაზღაურებადი შვებულების შესაძლებლობას ისევე, როგორც ანაზღაურებას საზოგადოებრივი უქმე დღეებისათვის.

ევროპის სოციალური ქარტია

ევროპის სოციალური ქარტია შრომის სამართლიან და ხელსაყრელ პირობებს სამ მუხლში აერთიანებს და მასში შრომის სამართლიან პირობებთან ერთად მოიაზრებს უფლებას უსაფრთხო და ჯანმრთელ სამუშაო პირობებზე, უფლებას შრომის სამართლიან ანაზღაურებაზე.

უფლება შრომის სამართლიან პირობებზე. შრომის სამართლიან პირობებზე უფლების ეფექტიანი განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით, ქარტიის ფარგლებში მხარეები ვალდებულებას იღებენ:

• უზრუნველყონ გონივრული დღიური და ყოველკვირეული სამუშაო საათების რაოდენობა და სამუშაო კვირის თანმიმდევრული შემცირება, რამდენადაც ამის საშუალებას იძლევა შრომის პროდუქტიულობის გაზრდა და სხვა შესაბამისი ფაქტორები;

• უზრუნველყონ სახელმწიფო უქმე დღეების ანაზღაურება; უზრუნველყონ მინიმუმ ოთხკვირიანი ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულება;

• აღმოფხვრან რისკი შინაგანად სახიფათო და არაჯანმრთელ სამუშაოებზე, ხოლო იქ, სადაც ჯერჯერობით შეუძლე-

ბელია ამ რისკის აღმოფხვრა ან საკმარისად შემცირება, უზრუნველყონ ან სამუშაო საათების შემცირება ან დამატებითი ანაზღაურებადი შვებულება ამ საქმინობით დაკავებული მუშაკებისათვის.

• უზრუნველყონ ყოველკვირეული დასვენების პერიოდი, რომელიც შეძლებისდაგვარად უნდა ემთხვეოდეს შესაბამის ქვეყანაში ან რეგიონში ტრადიციით ან ჩვეულებით აღიარებულ დასვენების დღეს.

• უზრუნველყონ, რომ მუშაკები წერილობითი ფორმით იყვნენ ინფორმირებულნი რაც შეიძლება სწრაფად და ყველა შემთხვევაში არა უგვიანეს ორი თვისა, მათი დასაქმების დაწყების თარიღიდან, კონტრაქტის ან მათი შრომითი ურთიერთობების ძირითადი ასპექტების შესახებ;

• უზრუნველყონ, რომ მუშაკებმა, რომლებიც ასრულებენ ღამის სამუშაოებს, ისარგებლონ იმ შეღავათებით, რომლებიც ითვალისწინებს სამუშაოს სპეციფიკურ ხასიათს.

უფლება უსაფრთხო და ჯანმრთელ სამუშაო პირობებზე. უსაფრთხო და ჯანმრთელ სამუშაო პირობებზე უფლების ეფექტიანი განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით, ქარტიის ფარგლებში სახელმწიფოები დამსაქმებელთა და მუშაკთა ორგანიზაციებთან კონსულტაციებით მხარეები ვალდებულებას იღებენ:

• ჩამოაყალიბონ, განახორციელონ და პერიოდულად გადახედონ შრომის უსაფრთხოების, შრომის ჯანმრთელობისა და სამუშაო გარემოს შესახებ თანმიმდევრული ეროვნული პოლიტიკა. ამ პოლიტიკის ძირითადი მიზანი არის შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის გაუმჯობესება და უბედური შემთხვევებისა და ჯანმრთელობის დაზიანების თავიდან აცილება, რომლებიც გამომდინარეობს, დაკავშირებული არის ან ადგილი აქვს შრომის დროს, კერძოდ იმ რისკის მინიმუმამდე შემცირებით, რომელიც თან სდევს შრომით გარემოს;

• მიიღონ უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული წესები;

• უზრუნველყონ ასეთი წესების შესრულება ზედამხედველობის ზომების მეშვეობით;

• ხელი შეუწყონ პრევენციული და საკონსულტაციო ფუნქციების მქონე ყველა მუშაკისთვის ჯანმრთელობის სამსახურების პროგრესულ განვითარებას.

უფლება შრომის სამართლიან ანაზღაურებაზე. სამართლიან ანაზღაურებაზე უფლების ეფექტიანი განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით, მხარეები ვალდებულებას იღებენ:

• აღიარონ მუშაკთა უფლება ისეთ ანაზღაურებაზე, რომელიც უზრუნველყოფს მათი და მათი ოჯახების ცხოვრების ღირსეულ დონეს;

• აღიარონ მუშაკთა უფლება გაზრდილი ანაზღაურების მიღებაზე ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულებისათვის, ცალკეულ შემთხვევებში გამონაკლისების გათვალისწინებით;

• აღიარონ ქალი და მამაკაცი მუშაკების უფლება თანაბარი ღირებულების სამუშაოსათვის თანაბარი ანაზღაურების მიღებაზე;

• აღიარონ ყველა მუშაკის უფლება, იყოს გონივრული ვადით ადრე ინფორმირებული მისი დასაქმების შეწყვეტის შესახებ;

• დაუშვას ხელფასებიდან გამოქვითვა მხოლოდ ეროვნული კანონებით ან წესებით განსაზღვრული ან კოლექტიურ ხელშეკრულებაში ან არბიტრაჟის გადაწყვეტილებაში დაფიქსირებული პირობებითა და ზომით.

ქარტიის მიხედვით, უფლებებით სარგებლობის უზრუნველყოფა მიღწეულ იქნება თავისუფლად დადებული კოლექტიური ხელშეკრულებების, კანონით განსაზღვრული ხელფასის დადგენის მექანიზმის ან ეროვნული პირობების შესაბამისი სხვა საშუალებებით.

„შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონი[17]

„შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონი 2019 წელს იქნა მიღებული. ამ კანონის მიღებით საკანონმდებლო დონეზე შრომის უსაფრთხოების, დასაქმებული შრომითი უფლებების დაცვის სტანდარტები გაძლიერდა, გაფართოვდა და გაუმჯობესდა.

[17] https://matsne.gov.ge/ka/document/view/4486188?publication=0

ამ კანონის მიზანია იმ ძირითადი მოთხოვნებისა და პრევენციული ღონისძიებების ზოგადი პრინციპების განსაზღვრა, რომლებიც უკავშირდება სამუშაო ადგილზე შრომის უსაფრთხოების საკითხებს, არსებულ და მოსალოდნელ საფრთხეებს, უბედური შემთხვევებისა და პროფესიული დაავადებების თავიდან აცილებას, დასაქმებულთა სწავლებას, მათთვის ინფორმაციის მიწოდებასა და კონსულტაციის გაწევას და შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის საკითხებში დასაქმებულთა თანაბარ მონაწილეობას.

იგი არეგულირებს სახელმწიფო ორგანოების, დამსაქმებელთა, დასაქმებულთა, დასაქმებულთა წარმომადგენლებისა და სამუშაო სივრცეში მყოფ სხვა პირთა უფლებებს, ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობას, რომლებიც დაკავშირებულია უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს შექმნასთან.

ხსენებული კანონი აწესრიგებს დასაქმებულთა და სამუშაო სივრცეში მყოფ სხვა პირთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სპეციალური კანონი განსაზღვრავს ამ პირთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის უფრო მაღალ სტანდარტს.

აღნიშნული კანონი ვრცელდება შრომის უსაფრთხოების სფეროში ეკონომიკური საქმიანობის ყველა დარგზე, მათ შორის, საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს შრომის კოდექსი“ და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით მოწესრიგებულ შრომით ურთიერთობებზე.

„შრომის უსაფრთოების შესახებ“ საქართველოს კანონი დასაქმებულს ანიჭებს უფლებას:

• დამსაქმებელთან განიხილოს შესასრულებელ სამუშაოსთან დაკავშირებული შრომის უსაფრთხოების ყველა საკითხი და მოითხოვოს ასეთ განხილვაზე ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ამ დარგის ექსპერტის მოწვევა;

• დამსაქმებლისგან მიიღოს ინფორმაცია საფრთხის შემცველი ფაქტორების, რისკის შეფასების შედეგების, შრომის უსაფრთხოების დაცვის უზრუნველსაყოფად დამსაქმებლის მიერ მიღებული ზომების, სამედიცინო გამოკვლევების

შედეგების და ზედამხედველი ორგანოს რეკომენდაციებისა და მითითებების შესახებ;

• უარი თქვას იმ სამუშაოს, დავალების ან მითითების შესრულებაზე, რომელიც ეწინააღმდეგება კანონს ან შრომის უსაფრთხოების ნორმების დაუცველობის გამო აშკარა და არსებით საფრთხეს უქმნის მის ან მესამე პირის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან საკუთრებას ან ბუნებრივი გარემოს უსაფრთხოებას; საფრთხის არსებობისას დატოვოს სამუშაო ადგილი ან სახიფათო ზონა;

• სამედიცინო დასკვნის საფუძველზე დამსაქმებელს მოსთხოვოს სხვა მუდმივ ან დროებით სამუშაო ადგილზე გადაყვანა ან სამუშაო პირობების შემსუბუქება, ან დღის ცვლაში გადაყვანა, თუ ღამის ცვლა საზიანოა დასაქმებულის ჯანმრთელობისათვის, ხოლო დამსაქმებელს აქვს შესაბამისი ვაკანსია და დასაქმებული აკმაყოფილებს ამ ვაკანსიისადმი წაყენებულ მოთხოვნებს;

• საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიიღოს კომპენსაცია სამუშაო სივრცეში მიყენებული ზიანისათვის, მათ შორის, პროფესიული დაავადებით მიყენებული ზიანისათვის;

• მიმართოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტს, ზედამხედველ ორგანოს, დასაქმებულთა წარმომადგენელს, თუ სამუშაო სივრცეში შრომის უსაფრთხოების ნორმები სათანადოდ დაცული არ არის.

დაუშვებელია დასაქმებულის სამუშაოდან გათავისუფლება ან სხვა დასაქმებულებთან შედარებით მისი მდგომარეობის გაუარესება ზემოხსენებული უფლების გამოყენების გამო.

1.4. პროფესიული კავშირების შექმნისა და მათში გაწევრიანების უფლება

პროფესიული კავშირი არა მხოლოდ საერთო პროფესიის მქონე პირთა გაერთიანებაა, მისი არსებობა ასევე ხელს უწყობს დასაქმებულთა თვითორგანიზებას, ინტერესების უფრო ხელსაყრელად, ეფექტიანად, ინსტიტუციონალურად დაცვას. პროფესიული კავშირის შექმნისა და მასში გაწევრიანე-

ბის უფლება არსობრივად როგორც სოციალური, ასევე, ეკონომიკური უფლებაა. ეს არის ერთი უფლება, რომელიც ორი კომპონენტისგან შედგება.

ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი

ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-8 მუხლი აღიარებს როგორ პროფესიული კავშირების შექმნის, ასევე მათში გაწევრიანების უფლებას. იგი ადგენს არა მხოლოდ დაცულ სფეროს, პროფესიული კავშირების დამოუკიდებლობისა და ორგანიზების, ფუნქციონირების გარანტიებს, არამედ ამ უფლების შეზღუდვის საფუძვლებს. პაქტის ფარგლებში სახელმწიფოებმა იკისრეს ვალდებულება უზრუნველყონ:

• თითოეული ადამიანის უფლება თავისი ეკონომიკური და სოციალური ინტერესების განსავითარებლად და დასაცავად, შექმნან პროფესიული კავშირები და შევიდეს ასეთ კავშირებში თავისი არჩევანით და ორგანიზაციის შესაბამისი წესების თანახმად. აღნიშნული უფლების გამოყენება არ ექვემდებარება არავითარ შეზღუდვას იმ შეზღუდვების გარდა, რომლებიც გათვალისწინებული კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო უშიშროებისა და საზოგადოებრივი წესრიგის ინტერესებისათვის და სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად;

• პროფესიული კავშირების უფლებაა შექმნან ეროვნული ფედერაციები და კონფედერაციები და ამ უკანასკნელთა უფლება შექმნან საერთაშორისო პროფესიული ორგანიზაციები ან შეუერთდნენ მათ;

• პროფესიული კავშირების უფლებაა, იმოქმედონ თავისუფლად, რაიმე შეზღუდვის გარეშე, იმ შეზღუდვების გარდა, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო უშიშროებისა და საზოგადოებრივი წესრიგის ინტერესებისათვის ან სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.

ევროპის სოციალური ქარტია

ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტისგან განსხვავებით, ევრო-

პის სოციალური ქარტიის მე-5 მუხლი პროფესიული კავშირების შექმნისა და მათში გაწევრიანების უფლებას უწოდებს ორგანიზების უფლებას. მიუხედავად ტერმინოლოგიური სახესხვაობისა, მათი დაცული სფერო იდენტურია. ქარტიის თანახმად, თავიანთი ეკონომიკური და სოციალური ინტერესების დასაცავად მუშაკთა და დამსაქმებელთა მიერ ადგილობრივი, ეროვნული ან საერთაშორისო ორგანიზაციების შექმნისა და ამ ორგანიზაციებში გაერთიანების თავისუფლების უზრუნველყოფისა და წახალისების მიზნით, სახელმწიფოები ვალდებულებას იღებენ, რომ ეროვნული კანონმდებლობა არ გაითვალისწინებს ისეთ ნორმებს, რომ ხელი შეეშალოს და არ იქნება გამოყენებული იმგვარად, რომ დაბრკოლდეს ამ თავისუფლებით სარგებლობა.

საქართველოს კონსტიტუცია

საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ყველას აქვს ორგანული კანონის შესაბამისად პროფესიული კავშირის შექმნისა და მასში გაერთიანების უფლება. „პროფესიული კავშირების შესახებ“ საქართველოს კანონი ჯერ კიდევ 1997 წელს იქნა მიღებული, თუმცა 2018 წელს იგი ჩაანაცვლა ახალმა საკანონმდებლო აქტმა – ორგანულმა კანონმა, რომლის სახელწოდებაც იგივე დარჩა.

„პროფესიული კავშირების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი[18]

ეს კანონი განსაზღვრავს პროფესიული კავშირების შექმნის პროცედურებს, წინაპირობებს, სტატუსს, უშუალოდ პროფესიული კავშირების უფლებებს და სხვა.

პროფესიული კავშირი არის საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით შექმნილი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, საქმიანობის მიხედვით – საერთო საწარმოო, პროფესიული ინტერესებით დაკავშირებულ პირთა (მუშაკთა) ნებაყოფლობითი საზოგადოებრივი გაერთიანება (ორგანიზაცია), რომლის მიზანია პროფკავშირის წევრთა შრომითი, სოციალურ-ეკონომიკური და სამართლებრივი უფლებებისა და ინტერესების დაცვა და წარმო-

[18] https://matsne.gov.ge/ka/document/view/4382851?publication=0#DOCUMENT:1

მადგენლობა. პროფესიული კავშირი შეიძლება შეიქმნას ნებისმიერ საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში, სხვა სამუშაო ადგილზე.

საქართველოს თავდაცვის, შინაგან საქმეთა, საგადასახადო, სასამართლო ხელისუფლებისა და პროკურატურის ორგანოებში, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში პროფესიული კავშირების შექმნის თავისებურებანი განისაზღვრება შესაბამისად ამ ორგანოებისა და სამსახურის შესახებ საქართველოს კანონმდებლობით.

15 წლის ან 15 წელზე მეტი ასაკის პირს, რომელიც ეწევა შრომით (პროფესიულ) საქმიანობას (მუშაკი) ან სწავლობს უმაღლეს, საშუალო-სპეციალურ ან პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში, უფლება აქვს, შექმნას პროფესიული კავშირი, შევიდეს პროფესიულ კავშირში, მონაწილეობა მიიღოს პროფკავშირულ საქმიანობაში და თავისუფლად გამოვიდეს პროფესიული კავშირიდან. დროებით უმუშევარს და პენსიონერს შეუძლიათ დარჩნენ პროფკავშირის წევრებად.

პროფესიული კავშირი იქმნება დარგობრივი, საწარმოო, ტერიტორიული ან პროფესიულ სპეციფიკასთან დაკავშირებული სხვა ნიშნის მიხედვით.

პროფესიულ კავშირებს უფლება აქვს:

• საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში, სხვა სამუშაო ადგილზე შექმნან პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციები;

• შექმნან ეროვნული, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, რეგიონული, რაიონული, საქალაქო, საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის პროფკავშირული ორგანიზაციები და გაერთიანებები (ასოციაციები).

• პროფესიული კავშირის, პროფესიული კავშირების გაერთიანების (ასოციაციის) დასაფუძნებლად საინიციატივო (საორგანიზაციო) ჯგუფი იწვევს დამფუძნებელ კრებას (კონფერენციას, ყრილობას), რომელიც იღებს წესდებას და ირჩევს ხელმძღვანელ პროფკავშირულ ორგანოებს.

• პროფესიული კავშირი შეიძლება დაფუძნდეს სულ ცოტა 50 პირის ინიციატივით.

1.5. გაფიცვის უფლება

გაფიცვის უფლება უკვე დიდი ხანია შრომის სამართალში დამკვიდრდა როგორც ინსტიტუტი.

საქართველოში საკანონმდებლო დონეზე მუშათა გაფიცვის თავისუფლება გარანტირებული იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი კონსტიტუციის 38-ე მუხლით.

ისევე, როგორც ბევრი ძირითადი კონსტიტუციური უფლება, გაფიცვა არ წარმოადგენს აბსოლუტური ხასიათის უფლებას. მართალია, იგი დაცული სფეროა, მაგრამ, კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში, შეიძლება ამ სფეროში სახელმწიფოს მხრიდან სამართლებრივი ჩარევა ლეგიტიმური მიზნიდან გამომდინარე. გაფიცვა შეკრებებისა და მანიფესტაციებისაგან ფორმითა და მოთხოვნის შინაარსით განსხვავდება, მიუხედავად ამისა, სახელმწიფო აწესებს გარკვეულ შეზღუდვებს მის მიმართ. მაგალითად, გაფიცვის უფლებაში ჩარევას ითვალისწინებს შრომის კოდექსის, „საგანგებო მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის გარკვეული დებულებები. ასევე დაცულ სფეროში ჩარევის ერთ-ერთი გამოხატულებაა „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-2 ქვეპუნქტი, რომლის მიხედვით სამინისტროს მოსამსახურეს ეკრძალება გაფიცვა ან მასში მონაწილეობა.

გაფიცვის უფლება შრომითი უფლებების დაცვის შესაძლებლობაა. მისი მეშვეობით შესაძლებელია დასაქმებულების მიერ პროტესტის კოლექტიურად გამოთქმა. გაფიცვის უფლება რეგულირებადი უფლებაა, მისი რეალიზაცია ექვემდებარება კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების დაცვას.

საქართველოს კონსტიტუცია

საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის მე-3 პუნქტი აღიარებს გაფიცვის უფლებას და მისი განხორციელების პირობებისა და წესების დადგენას უკავშირებს ორგანულ კანონს.

საქართველოს შრომის კოდექსი

გაფიცვის უფლებას აწესრიგებს საქართველოს შრომის კოდექსი, რომლის 49-ე მუხლის თანახმად, გაფიცვა არის დავის შემთხვევაში დასაქმებულის დროებითი ნებაყოფლობითი უარი შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მთლიანად ან ნაწილობრივ შესრულებაზე. გაფიცვის გარდა, საქართველოს შრომითი კანონმდებლობა იცნობს ლოკაუტს, რომელიც არის დავის შემთხვევაში დამსაქმებლის დროებითი ნებაყოფლობითი უარი შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მთლიანად ან ნაწილობრივ შესრულებაზე.

კოლექტიური დავის დროს გაფიცვისა და ლოკაუტის უფლება წარმოიშობა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრისთვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნიდან ან საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მიერ საკუთარი ინიციატივით დავის მედიატორის დანიშვნიდან 21 კალენდარული დღის გასვლისთანავე.

ინდივიდუალური დავის დროს მხარეებმა გაფიცვის ან ლოკაუტის დაწყებამდე არანაკლებ 3 კალენდარული დღით ადრე ერთმანეთს წერილობით უნდა შეატყობინონ გაფიცვის ან ლოკაუტის დრო, ადგილი და ხასიათი.

კოლექტიური დავის დროს მხარეებმა გაფიცვის ან ლოკაუტის დაწყებამდე არანაკლებ 3 კალენდარული დღით ადრე ერთმანეთს და მინისტრს წერილობით უნდა შეატყობინონ გაფიცვის ან ლოკაუტის დრო, ადგილი და ხასიათი.

გაფიცვის ან ლოკაუტის დროს მხარეები ვალდებული არიან, განაგრძონ შემათანხმებელი პროცედურები. ლოკაუტი არ შეიძლება გაგრძელდეს 90 კალენდარულ დღეზე მეტ ხანს.

გაფიცვის ან ლოკაუტის დროს დამსაქმებელი არ არის ვალდებული, მისცეს დასაქმებულს შრომის ანაზღაურება. გაფიცვა ან ლოკაუტი არ არის შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძველი.

საქართველოს შრომის კოდექსი ითვალისწინებს გაფიცვისა და ლოკაუტის გადადების ან შეჩერების შესაძლებლობას. თუ საფრთხე ემუქრება ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, ბუნებრივი გარემოს უსაფრთხოებას ან მესამე პირის საკუთრებას, აგრეთვე, სასიცოცხლო მნიშვნელობის სამსახურის საქმიანობას, სასამართლოს უფლება აქვს გადადოს გაფიცვის ან ლოკაუტის დაწყება არა უმეტეს 30 დღით, ხოლო დაწყებული გაფიცვა ან ლოკაუტი შეაჩეროს ამავე ვადით.

მნიშნელოვანია ითქვას, რომ საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს გაფიცვის უფლება ან ლოკაუტის უფლება შეიძლება შეიზღუდოს საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტით, რომელიც საჭიროებს საქართველოს პრემიერ-მინისტრის თანახელმოწერას. ასევე, დაუშვებელია უშუალოდ სამუშაო პროცესის დროს გაფიცვის უფლების გამოყენება იმ დასაქმებულთა მიერ, რომელთა საქმიანობა დაკავშირებულია ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოებასთან, ან თუ ტექნოლოგიური ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია ამ საქმიანობის შეჩერება. ასევე, თუ ერთ-ერთმა მხარემ თავი აარიდა შემათანხმებელ პროცედურებში მონაწილეობას და მოაწყო გაფიცვა ან ლოკაუტი, ასეთი გაფიცვა ან ლოკაუტი უკანონოდ ჩაითვლება.

გაფიცვაში დასაქმებულის მონაწილეობა არ შეიძლება განხილულ იქნეს როგორც შრომის დისციპლინის დარღვევა და შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი, გარდა უკანონო გაფიცვის შემთხვევისა. თუ სასამართლომ ლოკაუტი უკანონოდ ცნო, დამსაქმებელი ვალდებულია აღადგინოს შრომითი ურთიერთობა დასაქმებულებთან და აუნაზღაუროს გაცდენილი სამუშაო საათები. დასაქმებულები, რომლებიც არ მონაწილეობდნენ გაფიცვაში, მაგრამ გაფიცვის გამო ვერ ასრულებდნენ თავიანთ სამუშაოს, დამსაქმებელმა შეიძლება გადაიყვანოს სხვა სამუშაოზე ან აუნაზღაუროს შეჩერების პერიოდი სამუშაოს საათობრივი განაკვეთის მიხედვით.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი არ იცნობს გაფიცვის უფლებას.

ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი

გაფიცვის უფლებაც ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-8 მუხლშია მოხსენიებული, რომლის თანახმად, წევრი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ გაფიცვების უფლებას იმ პირობით, რომ ეს უკანასკენლი განხორციელდება მისი კანონმდებლობის მიხედვით. შესაბამისად, პაქტიდან გამომდინარე, გაფიცვის უფლებით დაცულ სფეროს სახელმწიფო ადგენს.

ევროპის სოციალური ქარტია

ევროპის სოციალური ქარტია იზოლირებულად გაფიცვის უფლებას არ აღიარებს. ის მას ითვალისწინებს კოლექტიური მოლაპარაკებების წარმოების უფლების კონტექსტით. ნიშანდობლივია, რომ შესწორების შემდეგ, ქარტიის მე-6 მუხლის მე-4 პუნქტი კვლავ ეხება გაფიცვის უფლებას და მას უქვემდებარებს სახელმწიფო რეგულირებას.

1.6. სოციალური უზრუნველყოფა და სოციალური დაზღვევა, ოჯახის დაცვის სახელმწიფო გარანტიები, ღირსეული საცხოვრებელი პირობები და ჰიგიენა

პირთა სოციალური უზრუნველყოფა და სოციალური დაზღვევა, ოჯახის დაცვა სოციალური სახელმწიფოს პრინციპის ერთ-ერთი მოთხოვნაა. თავის მხრივ, სოციალური სახელმწიფოს პრინციპი მოითხოვს სახელმწიფოს მუდმივ სწრაფვას ადამიანის სოციალური უფლებების დაცვის სტანდარტების გაზრდისკენ, თუნდაც მინიმალურ დონეზე.

ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი

ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ თითოეული ადამიანის უფლებას სოციალურ უზრუნველყოფაზე, სოციალური დაზღვევის ჩათვლით. პაქტი მხოლოდ ამ უფლებებს აღიარებს, იგი სხვა უფრო დეტალურ

ვალდებულებებს სახელმწიფოებს არ აკისრებს, რაც აიხსნება სახელმწიფოთა სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკური შესაძლებლობებით.

პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ, რომ:

• ოჯახს, რომელიც საზოგდოების ბუნებრივი და ძირითადი ერთეულია, უნდა გაეწიოს შეძლებისდაგვარად ყველაზე ფართო დაცვა და დახმარება, განსაკუთრებით მისი შექმნის დროს და იმ პერიოდში, სანამ ბავშვზე ზრუნვის და მისი აღზრდის პასუხისმგებლობა ეკისრება, ვიდრე ის დამოუკიდებელი გახდებოდეს. ქორწინება უნდა ხდებოდეს დასაქორწინებელ პირთა თანხმობით;

• განსაკუთრებულ დაცვას საჭიროებენ დედები მშობიარობამდე და მშობიარობის შემდეგ დროის გონივრული მონაკვეთის განმავლობაში. ამ პერიოდის მანძილზე მომუშავე დედებს უნდა მიეცეთ ანაზღაურებადი შვებულება ან შვებულება შესაბამისი სოციალური უზრუნველყოფით;

• დაცვისა და დახმარების განსაკუთრებული ღონისძიებანი უნდა განხორციელდეს ყველა ბავშვისა და მოზარდის მიმართ ოჯახური წარმოშობისა და სხვა გარემოებების მიხედვით ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე. ბავშვები და მოზარდები დაცულ უნდა იქნენ ეკონომიკური და სოციალური ექსპლუატაციისგან. მათი შრომის გამოყენება ზნეობისა და ჯანმრთელობისთვის საზიანო ან სიცოცხლისათვის საშიშ ან მათი ნორმალური განვითარების დამაბრკოლებელ რომელიმე სფეროში კანონით უნდა დაისაჯოს. სახელმწიფოებმა, ასევე, უნდა დააწესონ ასაკობრივი ზღვარი, რომლის ქვემოთაც ბავშვთა ანაზღაურებადი შრომის გამოყენება კანონით აკრძალული და დასჯადი იქნება.

ევროპის სოციალური ქარტია

ევროპის სოციალური ქარტია სოციალური უზრუნველყოფის უფლებასთან დაკავშირებით სახელმწიფოებს უფრო მეტ ვალდებულებას აკისრებს. სოციალური უზრუნველყოფის უფლებასთან დაკავშირებულია ქარტიის მე-12 და მე-14 მუხლები.

სოციალური უზრუნველყოფის უფლების ეფექტიანი განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით, ქარტიის ფარგლებში სახელმწიფოები ვალდებულებას იღებენ:

• შექმნან ან შეინარჩუნონ სოციალური უზრუნველყოფის სისტემა;

• შეინარჩუნონ სოციალური უზრუნველყოფის სისტემა დამაკმაყოფილებელ დონეზე, რომელიც, სულ მცირე, ევროპის სოციალური უზრუნველყოფის კოდექსის რატიფიცირებისათვის აუცილებელი დონის თანაბარი უნდა იყოს;

• ეცადონ ეტაპობრივად მაღალ დონეზე აიყვანონ სოციალური უზრუნველყოფის სისტემა;

• მიიღონ ზომები სათანადო ორმხრივი და მრავალმხრივი შეთანხმებების დადებით ან სხვა საშუალებებით და ასეთ შეთანხმებებში გათვალისწინებული პირობების დაცვით, იმ მიზნით, რომ უზრუნველყონ: მათი მოქალაქეებისა და სხვა მხარეების მოქალაქეებისათვის ერთნაირი რეჟიმი სოციალური უზრუნველყოფის უფლებებთან მიმართებით, რაც მოიცავს სოციალური უზრუნველყოფის სფეროში მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე შეღავათების შენარჩუნებას, მიუხედავად მხარეებს შორის ტერიტორიებზე იმ პირთა ნებისმიერი გადაადგილებისა, რომლებიც სარგებლობენ შესაბამისი შეღავათებით; სოციალური უზრუნველყოფის უფლებათა მინიჭება, შენარჩუნება და აღდგენა ისეთი საშუალებებით, როგორიცაა თითოეული ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობის თანახმად დაზღვევის პერიოდისა და დამთავრებელი სამუშაო სტაჟის აკუმულირება.

საზოგადოების ფუნდამენტური ერთეულის – ოჯახის სრული განვითარებისთვის აუცილებელი პირობების უზრუნველსაყოფად მხარეები ვალდებულებას იღებენ, ხელი შეუწყონ ოჯახური ცხოვრების ეკონომიკურ, სამართლებრივ და სოციალურ დაცვას ისეთი საშუალებებით, როგორიცაა სოციალური და ოჯახისათვის განკუთვნილი დახმარება, საგადასახადო შეღავათები, ოჯახის უზრუნველყოფა თავშესაფრით, შეღავათები ახალდაქორწინებულთათვის და სხვა შესაბამისი შეღავათები.

საქართველოს კონსტიტუცია

საქართველოს კონსტიტუცია არ ახდენს სოციალური უზრუნველყოფის, როგორც ცალკეული სუბიექტური უფლების გარანტირებას. „სოციალური უზრუნველყოფის“ უფლება პირდაპირი კონტექსტით, როგორც ძირითადი უფლება, კონსტიტუციის მე-2 თავში არ არის გათვალისწინებული. თუმცა, მეორე მხრივ, დავა „სოციალური უზრუნველყოფის“ უფლებაზე შესაძლებელია კონსტიტუციის მე-9 მუხლის (ღირსების უფლების) გავლით და კონსტიტუციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის მოშველიებით, რომლის თანახმადაც, სახელმწიფო ზრუნავს ადამიანის ჯანმრთელობასა და სოციალურ დაცვაზე, საარსებო მინიმუმითა და ღირსეული საცხოვრებლით უზრუნველყოფაზე, ოჯახის კეთილდღეობის დაცვაზე. სახელმწიფო ხელს უწყობს მოქალაქეს დასაქმებაში. საარსებო მინიმუმის უზრუნველყოფის პირობები განისაზღვრება კანონით. გარდა ამისა, საქართველოს კანონმდებლობა შედგება ცალკეული საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებისგან, რომლებიც, საერთო ანგარიშით, ქმნის სოციალური უზრუნველყოფისა და დაზღვევის ეროვნულ მექანიზმს.

„საარსებო მინიმუმის გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს კანონი[19]

საარსებო მინიმუმი არის საქართველოს მოქალაქეთა სოციალური დაცვისა და სოციალური გარანტიების საფუძველი და მიმართულია მოსახლეობის ნაკლებად უზრუნველყოფილი ნაწილის მხარდასაჭერად. საარსებო მინიმუმი საფუძვლად ედება სახელმწიფოს მიერ მიზნობრივი სოციალური პოლიტიკის გატარებას. საარსებო მინიმუმი არის ერთ მოსახლეზე სამომხმარებლო საქონლის ღირებულებითი გამოხატულება, რომელიც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის შესაბამისად უზრუნველყოფს ადამიანის მინიმალური ფიზიოლოგიური და სოციალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას.

[19] https://matsne.gov.ge/ka/document/view/29824?publication=7

„სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონი[20]

ხსენებული კანონი ადგენს საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების სოციალური დაცვის გარანტიებს სახელმწიფოს წინაშე განსაკუთრებული სამსახურის გავლის, აგრეთვე, ამ პირთა მიერ შესაბამისი ასაკის მიღწევის, შესაძლებლობის შეზღუდვის და გარდაცვალების გამო, განსაზღვრავს სახელმწიფო კომპენსაციის და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის დანიშვნის საფუძვლებს, მათი ოდენობის გაანგარიშების, გაცემის, მისი შეჩერებისა და შეწყვეტის წესსა და პირობებს, ადმინისტრირების ორგანოს, აგრეთვე, მათ მიღებასთან დაკავშირებულ სხვა ურთიერთობებს.

სახელმწიფო კომპენენსაციისა და სტიპენდიის მექანიზმები ვრცელდება მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებზე, თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

ხსენებული კანონის ძირითადი პრინციპებია: სამართლიანობა; კანონის წინაშე თანასწორობა; მუდმივობა; კომპენსაციის/სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის მიღების სახელმწიფო გარანტია.

აღნიშნილი კანონის შესაბამისად კომპენსაციის/სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის დანიშვნის საფუძვლებია: კანონით დადგენილი ნამსახურობის ვადის ამოწურვა; 65 წლის ასაკის მიღწევა; შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დადგენა; მარჩენალის გარდაცვალება; ოჯახის წევრის გარდაცვალება. კომპენსაციის/სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის მიღების უფლება აქვთ სხვადასხვა თანამდებობის პირებს, რომლებსაც მიუძღვით წვლილი სახელმწიფოს სამსახურში

„სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონი[21]

აღნიშნული კანონის მიზანია საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული საქართველოს ხანდაზმულ მოქალა-

[20] https://matsne.gov.ge/document/view/27946?publication=27
[21] https://matsne.gov.ge/ka/document/view/25432?publication=60

ქეთა სოციალურ-ეკონომიკური უფლებების რეალიზაცია და სახელმწიფო პენსიის დაწესება არსებული რესურსების ფარგლებში. ამ კანონის ძირითადი პრინციპებია: ადამიანის უფლებების დაცვა; კანონის წინაშე თანასწორობა; საყოველთაოობა; მუდმივობა; თაობათა შორის სოლიდარობა; პენსიის მიღების სახელმწიფო გარანტია.

პენსიაზე უფლების წარმოშობის საფუძველია საპენსიო ასაკის – 65 წლის მიღწევა. ამასთანავე, პენსიაზე უფლება ქალებს წარმოეშობათ 60 წლიდან. თუ პირს ერთდროულად წარმოეშვა უფლება ამ კანონითა და „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ სარგებლებზე, მას აქვს მხოლოდ ერთი კანონით მინიჭებული სარგებლის მოთხოვნის უფლება, მისივე არჩევით.

აღსანიშნავია, რომ პენსიაზე უფლება არ წარმოიშობა და წარმოშობილი უფლება შეწყდება პირის მიერ საჯარო საქმიანობის განხორციელების პერიოდში.

„სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი[22]

„სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მიზანია სოციალური დახმარების მწყობრი სისტემის ჩამოყალიბებით მოსახლეობის სამართლიანი, მიზნობრივი და ეფექტიანი დახმარებით უზრუნველყოფა.

ხსენებული კანონი ადგენს სოციალური დახმარების სახეობებს, ესენია:

- საარსებო შემწეობა;
- რეინტეგრაციის შემწეობა;
- მინდობით აღზრდის ანაზღაურება;
- სრულწლოვანზე ოჯახური მზრუნველობის ანაზღაურება;
- არაფულადი სოციალური დახმარება;
- სოციალური პაკეტი.

საარსებო შემწეობა – ოჯახს უფლება აქვს მოითხოვოს საარსებო შემწეობა. საარსებო შემწეობა არის ფულადი სოციალური დახმარება, რომელიც განკუთვნილია შეფასების

[22] https://matsne.gov.ge/document/view/23098?publication=13

სისტემით იდენტიფიცირებული ღატაკი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. საარსებო შემწეობის ოდენობას განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა.

რეინტეგრაციის შემწეობა – ოჯახს უფლება აქვს მოითხოვოს რეინტეგრაციის შემწეობა. რეინტეგრაციის შემწეობა არის ფულადი სოციალური დახმარება, რომელიც მიეცემა სპეციალური მზრუნველობის საჭიროების მქონე პირის ბიოლოგიურ ოჯახს, მეურვეს (მზრუნველს), რომელიც ამ პირს სპეციალიზებული დაწესებულებიდან გაიყვანს ოჯახურ გარემოში საცხოვრებლად და გაუწევს მას სათანადო მზრუნველობას. რეინტეგრაციის შემწეობის ოდენობას განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა.

მინდობით აღზრდის ანაზღაურება – არის ფულადი სოციალური დახმარება, რომელიც მიეცემა მინდობით აღმზრდელს მინდობით აღსაზრდელის მოსავლელად და აღსაზრდელად. მინდობით აღზრდის ანაზღაურების ოდენობას განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა.

სრულწლოვანზე ოჯახური მზრუნველობის ანაზღაურება – სრულწლოვანზე ოჯახური მზრუნველობის ანაზღაურება არის ფულადი სოციალური დახმარება, რომელიც მიეცემა პირს, რომელიც სრულწლოვანს სპეციალიზებული დაწესებულებიდან გაიყვანს ოჯახურ გარემოში საცხოვრებლად და გაუწევს მას სათანადო მზრუნველობას. სრულწლოვანზე ოჯახური მზრუნველობის ანაზღაურების ოდენობასა და გაცემის პერიოდულობას განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა.

არაფულადი სოციალური დახმარება – სპეციალური მზრუნველობის საჭიროების მქონე პირი შეიძლება იყოს არაფულადი სოციალური დახმარების მიმღები. პრევენციისა და რეინტეგრაციის მიზნით არაფულადი სოციალური დახმარება შეიძლება გაეწიოს აგრეთვე ბავშვს ან/და მის ოჯახს, როდესაც ოჯახში არსებული მდგომარეობა ბავშვის მზრუნველობამოკლებულად ცნობის დასაბუთებული წინაპირობაა, ან მზრუნველობამოკლებულ ბავშვს მისი ოჯახურ გარემოში ცხოვრების უზრუნველსაყოფად. არაფულადი სოციალური მომსახურების სახეობები, აგრეთვე, ოჯახში არსებული მდგო-

მარეობის შეფასების კრიტერიუმები, რომელთა მეშვეობითაც დგინდება ბავშვის მზრუნველობამოკლებულად ცნობის რისკის მაჩვენებელი, განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით.

სოციალური პაკეტი – არის ყოველთვიური ფულადი სარგებელი ან/და სარგებლების (ფულადი და არაფულადი სარგებლები) ერთობლიობა, რომლის მოცულობა, მიმღებ პირთა წრე, გაცემის წესი და პირობები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით. სოციალური პაკეტის დანიშვნის საფუძვლებია: ა) შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დადგენა; მარჩენალის გარდაცვალება.

„მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონი[23]

სახელმწიფოს მიერ მაღალმთიანი რეგიონების მიმართ განხორციელებული პოლიტიკა არის ქვეყნის რეგიონული განვითარების პოლიტიკის ნაწილი და მიმართულია საქართველოს მთელი ტერიტორიის თანაბარი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფისკენ და მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრებ პირთა სოციალური და ეკონომიკური პრობლემების გადაჭრისკენ. მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მიზანია საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის სტიმულირებისათვის შეღავათების განსაზღვრა, რომლებიც უზრუნველყოფს მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრებ პირთა კეთილდღეობას, ცხოვრების დონის ამაღლებას, დასაქმების ხელშეწყობას, სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

სახელმწიფო უზრუნველყოფს მაღალმთიან დასახლებაში შემდეგი სოციალური შეღავათების დაწესებას:

• საპენსიო ასაკს მიღწეული მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირისათვის, რომელიც ყოველთვიურად იღებს სახელმწიფო პენსიას, სოციალური დახმარების სახით, საქართველოს შესაბამისი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული სახელ-

[23] https://matsne.gov.ge/ka/document/view/2924386?publication=3#DOCUMENT:1

მწიფო პენსიის ოდენობის გათვალისწინებით, ყოველთვიური დანამატის – სახელმწიფო პენსიის არანაკლებ 20 პროცენტის – მიცემას. აღნიშნული დანამატის გაცემის წესი და პირობები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით. საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სოციალური პაკეტის მიმღებ მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრებ პირებს მიეცემათ ყოველთვიური დანამატი მათთვის გათვალისწინებული სოციალური პაკეტის 20 პროცენტის ოდენობით;

• მაღალმთიან დასახლებაში მდებარე, სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ და მის მართვაში არსებულ სამედიცინო დაწესებულებაში დასაქმებული სამედიცინო პერსონალისათვის, რომლის შრომა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ანაზღაურდება, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული წესით ყოველთვიური დანამატის მიცემას: ექიმისათვის – სახელმწიფო პენსიის ორმაგი ოდენობით; ექთნისათვის – სახელმწიფო პენსიის ოდენობით;

• ზამთრის პერიოდში (შესაბამისი წლის 15 ოქტომბრიდან მომდევნო წლის 15 აპრილის ჩათვლით) მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრებ პირთა გათბობის უზრუნველყოფის ხელშეწყობის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებას;

• აბონენტის (საყოფაცხოვრებო მომხმარებლის) მიერ მაღალმთიან დასახლებაში მოხმარებული ელექტროენერგიის ყოველთვიური საფასურის 50 პროცენტის ანაზღაურებას, მაგრამ არაუმეტეს მოხმარებული 100 კვტ.სთ ელექტროენერგიის საფასურისა;

• „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედების შემდეგ დაბადებული პირველი ბავშვისა და მეორე ბავშვისათვის, რომელთა ერთ-ერთი მშობელი არის მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირი, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული წესით 1 წლის განმავლობაში ყოველთვიური ფულადი დახმარების – არანაკლებ 100 ლარის – მიცემას, ხოლო მესამე ბავშვისა და ყოველი შემდგომი ბავშვისათვის

– 2 წლის განმავლობაში ყოველთვიური ფულადი დახმარების – არანაკლებ 200 ლარის – მიცემას;

• მაღალმთიან დასახლებაში მდებარე, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებლისათვის საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად დანამატის – საჯარო სკოლის მასწავლებლის საბაზო თანამდებობრივი სარგოს არანაკლებ 35 პროცენტის – მიცემას; მაღალმთიან დასახლებაში მდებარე, სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებლისათვის საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად დანამატის – შრომის ანაზღაურების არანაკლებ 35 პროცენტის – მიცემას.

• მაღალმთიან დასახლებაში მდებარე საჯარო სკოლის, მრავალსექტორიანი საჯარო სკოლის მოსწავლისათვის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტისათვის ვაუჩერის გაზრდილი ოდენობით მიცემას. აღნიშნული ვაუჩერის გაცემის წესი და პირობები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით;

• საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ან/და მის სისტემაში შემავალი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განსაზღვრული შესაბამისი პროგრამის მონაწილე მასწავლებლისათვის, რომელიც პროგრამის ფარგლებში მაღალმთიან დასახლებაში მდებარე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაშია დასაქმებული, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ ან პროგრამის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანოს ხელმძღვანელის მიერ დადგენილი წესისა და პირობების შესაბამისად დანამატის – შრომის ანაზღაურების არანაკლებ 50 პროცენტის – მიცემას.

მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირი სარგებლობს საშემოსავლო გადასახადთან და ქონების გადასახადთან დაკავშირებით საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი საგადასახადო შეღავათებით. მეწარმე სუბიექტი, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მინიჭებული აქვს მაღალმთიანი დასახლების საწარმოს სტატუსი, საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული ვადითა და წესით თავისუფლდება გადასახადებისაგან.

„ომისა და თავდაცვის ძალების შესახებ“ საქართველოს კანონი[24]

სახელმწიფო პოლიტიკა ვეტერანების მიმართ ითვალისწინებს: ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის შექმნას; სახელმწიფო და ადგილობრივი მიზნობრივი პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებას, რომლებიც უზრუნველყოფენ ვეტერანებისა და მათი ოჯახის წევრებისათვის ამ კანონით და სხვა ნორმატიული აქტებით დაგენილი სამართლებრივი და სოცილურ-ეკონომიკური შეღავათების გარანტიების, მათი პრაქტიკული შესრულებისათვის ღონისძიებათა სისტემას; ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ბიუჯეტებიდან ვეტერანების სოციალური გარანტიების უზრუნველყოფის პროგრამებისათვის საბიუჯეტო სახსრების გამოყოფას. „ომისა და თავდაცვის ძალების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილია ომისა და თავდაცვის ძალების ვეტერანთა შემდეგი კატეგორიები: მეორე მსოფლიო ომის ვეტერანები და მათთან გათანაბრებული პირები; სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედების ვეტერანები და მათთან გათანაბრებული პირები; საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების ვეტერანები და მათთან გათანაბრებული პირები; თავდაცვის ძალების ვეტერანები. მათი დახმარებისთვის სახელმწიფო ითვალისწინებს სხვადასხვა ფინანსურ შეღავათებს, სამედიცინო მომსახურების განსაკუთრებულ პირობებს.

[24] https://matsne.gov.ge/ka/document/view/30370?publication=27

„შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი[25]

სახელმწიფო უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალურ დაცვას და უქმნის მათ საჭირო პირობებს ინდივიდუალური განვითარების, შემოქმედებითი და საწარმოო შესაძლებლობების რეალიზაციისათვის. სახელმწიფო ამ კატეგორიის ბავშვებს უწესებს უფლებებისა და კანონიერი ინტერესების რეალიზაციის დამატებით გარანტიებს.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა უზრუნველყოფილია სასამართლო ან კანონით გათვალისწინებული სხვა წესით.

სახელმწიფო ცნობს ჟესტების ენას პიროვნებთაშორისი ურთიერთობის საშუალებად და უზრუნველყოფს აუცილებელი პირობების შექმნას მისი გამოყენებისა და განვითარებისათვის.

სახელმწიფო ორგანოები, საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს უქმნიან პირობებს საცხოვრებელი, საზოგადოებრივი და საწარმოო შენობებით, ტრანსპორტითა და სატრანსპორტო კომუნიკაციებით, კავშირგაბმულობისა და ინფორმაციის საშუალებებით სარგებლობისათვის, თავისუფალი ორიენტაციისა და გადაადგილებისათვის.

დაუშვებულია დასახლებული პუნქტების დაპროექტება და განაშენიანება, საცხოვრებელი რაიონების ფორმირება, საპროექტო გადაწყვეტილებების შემუშავება, შენობათა და ნაგებობათა, მათ შორის, სასწავლო-საგანმანათლებლო, კულტურულ-სანახაობითი და სპორტულ-გამაჯანსაღებელი ობიექტების, აეროპორტების, რკინიგზის სადგურების, საზღვაო და სამდინარო სატრანსპორტო საშუალებათა კომპლექსებისა და კომუნიკაციების, კავშირგაბმულობისა და ინფორმაციის ინდივიდუალური საშუალებების მშენებლობა და რეკონსტრუქცია, თუ ეს ობიექტები და საშუალებები არ მიესა-

[25] https://matsne.gov.ge/ka/document/view/30316?publication=9

დაგება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებებსა და მოთხოვნილებებს.

სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოები ვალდებულნი არიან უზრუნველყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის პირობები, რათა მათ თავისუფლად ისარგებლონ კულტურულ-სანახაობითი დაწესებულებებით და სპორტული ნაგებობებით, აგრეთვე, უზრუნველყონ ისინი სპეციალური სპორტული ინვენტარითა და სხვა საჭირო საშუალებებით. ამ მომსახურებით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები სარგებლობენ უფასოდ ან შეღავათიანი პირობებით მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

1.7. თანხმობაზე დაფუძნებული ქორწინების უფლება და არასრულწლოვანთა ქორწინება

ქორწინების უფლება კლასიკური გაგებით არ წარმოადგენს სოციალურ უფლებას, თუმცა ქორწინება, რომელიც არის პირთა ნებაყოფლობითი სამართლებრივი კავშირი ოჯახის შექმნის მიზნით, დაკავშირებულია პირების სოციალიზაციასთან, მეუღლეებს შორის ორმხრივი სოციალური, ეკონომიკური ვალდებულებების დაკისრებასთან, საერთო მეურნეობასთან და სხვა. აქედან გამომდინარე, ქორწინება უნდა ეფუძნებოდეს თავისუფალ ნებას, პირის მიერ დამოუკიდებლად მიღებულ გადაწყვეტილებას. ამ მიზნით, აუცილებელია, რომ სამომავლოდაც გაგრძელდეს აქტიური კამპანია ადრეული ქორწინების ნეგატიურ შედეგებთან დაკავშირებით.

ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი

ქორწინების უფლება ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტში იზოლირებულად არ არის დეკლარირებული. ქორწინებაზე საუბარია პაქტის მე-10 მუხლის პირველ პუნქტის ბოლო წინადადებაში, რომლის თანახმად, ქორწინება უნდა ხდებოდეს დასაქორწინებელ პირთა თანხმობით. პაქტი არ განსაზ-

ღვრავს დასაქორწინებელ პირთა ასაკს, მისი დადგენა სახელმწიფოს პრეროგატივაა.

ევროპის სოციალური ქარტია

ევროპის სოციალური ქარტია ქორწინების უფლებასთან, წესებთან და პირობებთან დაკავშირებით ნორმას არ შეიცავს.

საქართველოს კონსტიტუცია

კომნსტიტუციის 30-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, ქორწინება, როგორც ქალისა და მამაკაცის კავშირი ოჯახის შექმნის მიზნით, ემყარება მეუღლეთა უფლებრივ თანასწორობასა და ნებაყოფლობას. შესაბამისად, კონსტიტუციისთვის მხოლოდ ისეთი ქორწინებაა ვალიდური, რომელიც პირის თანხმობაზეა დამყარებული.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი[26]

ქორწინების პირობებს, წესებს, მეუღლეთა შორის სამოქალო-სამართლებრივ ვალდებულებებს განსაზღვრავს საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. კოდექსი ნაწილობრივ იმეორებს კონსტიტუციით გათვალისწინებულ ქორწინების ცნებას. 1106-ე მუხლის თანახმად, ქორწინება არის ოჯახის შექმნის მიზნით ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი კავშირი, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში (შემდგომ – სააგენტოს ტერიტორიული სამსახური).

1107-ე მუხლის თანახმად, დაქორწინებისათვის აუცილებელია: საქორწინო ასაკი – პირი უნდა იყოს სულ მცირე 18 წლის; დასაქორწინებელ პირთა თანხმობა – პირის ნება უნდა იყოს თავისუფალი. გამონაკლისი ამ წესიდან არ არსებობს. აღნიშნული მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში, ქორწინება არის ბათილი.

კოდექსის 1142-ე მუხლის მიხედვით, იმ პირთან ქორწინება, რომელსაც საქორწინო ასაკისათვის არ მიუღწევია და არც საქორწინო ასაკი ჰქონია შემცირებული, შეიძლება ცნო-

[26] https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702

ბილ იქნეს ბათილად, თუ ამას მოითხოვს იმ მეუღლის ინტერესები, რომელიც დაქორწინდა საქორწინო ასაკის მიღწევამდე. ამ საფუძვლით ქორწინების ბათილად ცნობის მოთხოვნის უფლება აქვს არასრულწლოვან მეუღლეს, მის მშობლებს ან მეურვეს (მზრუნველს), აგრეთვე, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს. თუ საქმის განხილვის მომენტისათვის არასრულწლოვანმა მეუღლემ საქორწინო ასაკს მიაღწია ან ორსულადაა, მაშინ ქორწინება შეიძლება ცნობილ იქნეს ბათილად მხოლოდ მისი მოთხოვნით.

კოდექსის 1144-ე მუხლის თანახმად, იძულების შედეგად მომხდარი დაქორწინების შემთხვევაში მეუღლეს (მეუღლეებს) შეუძლია აღძრას სარჩელი ქორწინების ბათილად ცნობის შესახებ. იძულებით დაქორწინების ფაქტი უნდა დაადგინოს სასამართლომ.

1.8. დედების დაცვა ორსულობისა და მშობიარობის შემდგომ პერიოდში

ორსული ქალების ჯანმრთელობისა და მშობიარობის შემდეგ მათი სოციალური დაცვა სახელმწიფოს ვალდებულებაა. სახელმწიფომ, ერთი მხრივ, უნდა უზრუნველყოს ორსული ქალებისთვის, ნაყოფის მოვლისთვის სათანადო სამედიცინო სერვისების სულ მცირე ხელმისაწვდომად მიწოდება, მეორე მხრივ, იზრუნოს ქალზე სოციალურად და უზრუნველყოფს ბავშვის მოვლისთვის სათანადო პირობების შექმნა.

საქართველოს კონსტიტუცია

საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, დედათა და ბავშვთა უფლებები დაცულია კანონით. მართალია კონსტიტუციის ეს დებულება ზოგადია, რაც იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო თანაბრად იღებს ზრუნვის ვალდებულებას ყველა ოჯახზე, განურჩევლად მათი მატერიალური მდგომარეობისა, იცავს ყველა დედისა და ბავშვის უფლებებს. თუმცა მიმდინარე კანონმდებლობით, სახელმწიფოს მხრიდან უზრუნველყოფილია იმ ოჯახთა და პირთა სოციალური უზრუნველყოფის პოლიტიკა, რომლებიც უფრო მე-

ტად არიან სოციალურად დაუცველები და საჭიროებენ სახელმწიფოს მეტ ყურადღებას.

საქართველოს შრომის კოდექსი

აკრძალულია არასრულწლოვანთან, ასევე ორსულ ან მეძუძურ ქალთან შრომითი ხელშეკრულების დადება მძიმე, მავნე და საშიშპირობებიანი სამუშაოების შესასრულებლად.

აკრძალულია ორსული ან ახალნამშობიარები ქალის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის, არასრულწლოვნის ზეგანაკვეთურ სამუშაოზე დასაქმება მისი თანხმობის გარეშე.

დასაქმებულს თავისი მოთხოვნის საფუძველზე ეძლევა ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულება 730 კალენდარული დღის ოდენობით.

ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულებიდან ანაზღაურებადია 183 კალენდარული დღე, ხოლო მშობიარობის გართულების ან ტყუპის შობის შემთხვევაში – 200 კალენდარული დღე.

დასაქმებულს, რომელმაც იშვილა ერთ წლამდე ასაკის ბავშვი, თავისი მოთხოვნის საფუძველზე ეძლევა ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულება ბავშვის დაბადებიდან 550 კალენდარული დღის ოდენობით. ამ შვებულებიდან ანაზღაურებადია 90 კალენდარული დღე.

ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულება და ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულება ანაზღაურდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო ანაზღაურებადი შვებულების, აგრეთვე, ახალშობილის შვილად აყვანის გამო ანაზღაურებადი შვებულების პერიოდზე გასაცემი ფულადი დახმარების ოდენობაა არაუმეტეს 1000 ლარისა. დამსაქმებელი და დასაქმებული შეიძლება შეთანხმდნენ დამატებით ანაზღაურებაზე.

დასაქმებულს თავისივე თხოვნით, უწყვეტად ან ნაწილნაწილ, მაგრამ არანაკლებ წელიწადში 2 კვირისა, ეძლევა ანაზღაურების გარეშე შვებულება ბავშვის მოვლის გამო – 12 კვირის ოდენობით, სანამ ბავშვს შეუსრულდება 5 წელი.

ბავშვის მოვლის გამო დამატებითი შვებულება შეიძლება მიეცეს ნებისმიერ პირს, რომელიც ფაქტობრივად უვლის ბავშვს.

ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი

პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ, რომ განსაკუთრებულ დაცვას საჭიროებენ დედები მშობიარობამდე და მშობიარობის შემდეგ დროის გონივრული მონაკვეთის განმავლობაში. ამ პერიოდის მანძილზე მომუშავე დედებს უნდა მიეცეთ ანაზღაურებადი შვებულება ან შვებულება შესაბამისი სოციალური უზრუნველყოფით.

ევროპის სოციალური ქარტია

დასაქმებული ქალების დედობის უფლების დაცვის ეფექტიანი განხრციელების უზრუნველყოფის მიზნით, სახელმწიფოები ვალდებულებას იღებენ:

• ანაზღაურებადი შვებულებით, ადეკვატური სოციალური უზრუნველყოფით ან სახელმწიფო ფონდებით გათვალისწინებული შეღავათებით უზრუნველყონ დასაქმებული ქალებისთვის ბავშვის დაბადებამდე და ბავშვის დაბადების შემდეგ არანაკლებ თოთხმეტი კვირის ხანგრძლივობის დეკრეტული შვებულება;

• უკანონოდ მიიჩნიონ დამსაქმებლის მიერ ქალისათვის გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების შეტყობინება, ქალის მიერ მისი ფეხმძიმობის შესახებ დამსაქმებლისათვის შეტყობინებიდან დეკრეტული შვებულების დასრულებამდე პერიოდის განმავლობაში, ან ქალისათვის მისი გათავისუფლების შესახებ შეტყობინების გადაცემა ამ პერიოდის ამოწურვისას.

• უზრუნველყონ დედების მიერ შესვენების გამოყენების უფლება ამ მიზნისთვის.

• დაარეგულირონ ორსული, მელოგინე და ჩვილ ბავშვზე მზრუნველი ქალების დასაქმება ღამის სამუშაოებზე. აკრძალონ ორსული, მელოგინე და ჩვილ ბავშვზე მზრუნველი ქალების დასაქმება მიწისქვეშა სამთამადნო და ყველა სხვა სხვა სამუშაოზე, რომელიც შეუფერებელია მათთვის საშიში,

არაჯანმრთელი ან მძიმე ბუნების გამო და მიიღონ სათანადო ზომები ამ ქალების დასაქმების უფლების დასაცავად.

„2020 წლის ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის N674 დადგენილება[27]

პროგრამის მიზანია დედათა და ახალშობილთა სიკვდილიანობის შემცირება, ნაადრევი მშობიარობების რიცხვისა და თანდაყოლილი ანომალიების განვითარების შემცირება ორსულთა ეფექტიანი პატრონაჟისა და მაღალკვალიფიციური სამედიცინო დახმარების გეოგრაფიული და ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდისა და მედიკამენტებით უზრუნველყოფის გზით.

ანტენატალური მეთვალყურეობის კომპონენტის ფარგლებში, 2018 წლის 1 თებერვლიდან დარეგისტრირებული ორსულებისათვის, იფარება 8 ანტენატალური ვიზიტი, შემდეგი მოცულობით (დანართი 1);

ანტენატალური სკრინინგი აივ-ინფექცია/შიდსზე, B და C ჰეპატიტებზე და სიფილისზე.

ყველა ორსულისთვის, რომლებიც არ დარეგისტრირებულან, ან დარეგისტრირდნენ ორსულობის 13 კვირის შემდეგ, ორსულთა და ახალშობილთა მეთვალყურეობის ელექტრონულ მოდულში პროგრამის მოსარგებლედ, ან არ უსარგებლიათ პირველი ვიზიტით ვაუჩერის ფარგლებში დადგენილ ვადებში, პროგრამით გათვალისწინებულია სკრინინგული კვლევების (B და C ჰეპატიტებზე აივ-ინფექცია/შიდსსა და სიფილისზე) უზრუნველყოფა.

ყველა ორსულისთვის, სიფილისზე ეჭვის შემთხვევაში, გათვალისწინებულია სიფილისზე კონფირმაციული კვლევის ჩატარება, ადრეული და მოგვიანებითი სიფილისის მკურნალობა, ასევე მათი ახალშობილთა გამოკვლევა თანდაყოლილი სიფილისის გამოსარიცხად.

პროგრამით გათვალისწინებულია გენეტიკური პათოლოგიების ადრეული გამოვლენა ორსულებში, რაც მოიცავს გენეტიკურ პათოლოგიებზე სკრინინგულ გამოკვლევას სამ-

[27] http://ssa.gov.ge/files/01_GEO/JAN_PROG/SXVA-JAN-PROG/674.pdf

მაგი ტესტ-სისტემით; სკრინინგით ვერიფიცირებული ორსულების ინვაზიური კვლევას (ამნიოცენტეზი) კარიოტიპირების მეთოდით.

ანტენატალური მეთვალყურეობის ფარგლებში, ყველა ორსული ორსულობის 13 კვირამდე უზრუნველყოფილია ფოლიუმის მჟავით, ხოლო დადასტურებული რკინადეფიციტური ანემიის შემთხვევაში რკინის შემცველი პრეპარატით.

ახალშობილთა და ბავშვთა სკრინინგის კომპონენტი ჰიპოთირეოზზე, ფენილკეტონურიაზე, ჰიპერფენილალანინემიასა და მუკოვისციდოზზე მოიცავს:

• ჰიპოთირეოზზე, ფენილკეტონურიაზე, ჰიპერფენილალანინემიასა და მუკოვისციდოზზე ახალშობილთა გამოვლენას ქვეყნის მასშტაბით დაბადებული ყველა ახალშობილის სკრინინგის მეშვეობით;

• ფენილკეტონურიისა და ჰიპერფენილალანინემიის მქონე ახალშობილთა მეორად დიაგნოსტიკას, დაავადების დადასტურების მიზნით;

• ფენილკეტონურიითა და ჰიპერფენილალანინემიით დაავადებულ 18 წლამდე ასაკის ბავშვთა ყოველთვიურ მონიტორინგსა და ამბულატორიულ დახმარებას;

• ფენილკეტონურიის და ჰიპერფენილალანინემიის პათოლოგიური გენების მატარებელი ოჯახების კონსულტირებას, ამ პათოლოგიათა პრევენციის მიზნით;

• ფენილკეტონურიითა და ჰიპერფენილალანინემიით დაავადებულ ბავშვთა ოჯახის წევრებთან ტრენინგის ჩატარებას;

• ერთ წლამდე ასაკის ბავშვთა ჰიპოთირეოზის მეორად დიაგნოსტიკას და ამბულატორიულ მონიტორინგს, რაც მოიცავს ენდოკრინოლოგის და პედიატრის მომსახურებასა და სისხლის ლაბორატორიულ კვლევას ჰორმონებზე.

ახალშობილთა სმენის სკრინინგული გამოკვლევის ფარგლებში გათვალისწინებულია სმენის დარღვევის გამოვლენა ახალშობილებში სმენის პირველადი და მეორეული სკრინინგული გამოკვლევის გზით, ასევე, პირველადი სკრინინგით გამოვლენილი სმენის დარღვევების მქონე ახალშობილების მეორადი სკრინინგი და საჭიროების შემთხვევაში

მათი ჩაღრმავებული კვლევების (ტიმპანომეტრული კვლევა და კომპიუტერული აუდიომეტრია) უზრუნველყოფა.

პროგრამის მოსარგებლენი არიან: ანტენატალური მეთვალყურეობის კომპონენტის მოსარგებლეა საქართველოს მოქალაქე, ასევე საქართველოში მუდმივად მცხოვრები ყველა ორსული.

ანტენატალური მეთვალყურეობით გათვალისწინებული სერვისების მისაღებად, ორსულმა ორსულობის 13 კვირის ვადამდე უნდა მიმართოს პროგრამის მიმწოდებელ სამედიცინო დაწესებულებას, სადაც მოხდება მისი რეგისტრაცია. ამავე სამედიცინო დაწესებულებიდან გაიცემა მათზე ფოლიუმის მჟავა. ხოლო საჭიროების შემთხვევაში, რკინის პრეპარატის მიღებას, სამედიცინო დაწესებულებიდან გაცემული რეცეპტის და პირადობის მოწმობის საფუძველზე, ორსული შეძლებს აფთიაქებიდან.

მოსარგებლე ამ პროგრამით გათვალისწინებულ მომსახურებას იღებს სახელმწიფო დახმარების სახით, რაც იმას ნიშნავს რომ, პროგრამით გათვალისწინებული ყველა სერვისი სრულად ანაზღაურდება სახელმწიფოს მხრიდან და არ ითვალისწინებს თანაგადახდას ბენეფიციართათვის.

„პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონი[28]

ორსულს და მეძუძურ დედას უფლება აქვთ სამედიცინო მომსახურების გამწევისაგან მიიღონ სრული, ობიექტური, დროული და გასაგები ინფორმაცია ორსულობის, მშობიარობის ან ლოგინობის პერიოდში დაგეგმილი ნებისმიერი სამედიცინო ჩარევის შემთხვევაში ნაყოფზე ან ახალშობილზე შესაძლო პირდაპირი ან ირიბი მავნე ზემოქმედების შესახებ.

მშობიარეს უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება მისთვის და ნაყოფისთვის სამედიცინო მომსახურების გაწევის შესახებ, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

მშობიარეს არა აქვს უფლება უარი თქვას ისეთ სამედიცინო მომსახურებაზე, რომელიც უზრუნველყოფს ცოცხალი

[28] https://matsne.gov.ge/ka/document/view/16978?publication=11

ნაყოფის დაბადებას და რომელიც მშობიარის ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის მინიმალური რისკის მატარებელია.

მშობიარეს უფლება აქვს მშობიარობის დროს გვერდით იყოლიოს მეუღლე ან სხვა მისთვის სასურველი პირი.

მელოგინე ქალს უფლება აქვს გვერდით იყოლიოს ახალშობილი, თუ სამედიცინო მომსახურების გამწევი, ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით მის სხვაგან გადაყვანას არ გადაწყვეტს, აგრეთვე, საკუთარი შეხედულებისამებრ კვებოს ახალშობილი.

1.9. ბავშვთა და მოზარდთა დაცვა სოციალური და ეკონომიკური ექსპლუატაციისგან

ბავშვის უფლებების დაცვა პირველ რიგში სახელმწიფოს ვალდებულებაა. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ბავშვის განვითარების ადექვატური გარემოს შექმნა, მისი ყოველგვარი ძალადობისგან, სოციალური და ეკონომიკური ექსპლუატაციისგან დაცვა.

საქართველოს კონსტიტუცია

საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის თანახმად, სახელმწიფო იცავს ბავშვთა უფლებებს კანონით. გარდა ამისა, ბავშვს გააჩნია კონსტიტუციით აღიარებული ყველა უფლება, თუმცა მათი დაცული სფეროს გათვალისწინებით ბავშვი უფლებით სარგებლობს კანონიერი წარმომადგენლის მეშვეობით.

საქართველოს შრომის კოდექსი

16 წლამდე ასაკის არასრულწლოვნის შრომითი ქმედუნარიანობა წარმოიშობა მისი კანონიერი წარმომადგენლის ან მზრუნველობის/მეურვეობის ორგანოს თანხმობით, თუ შრომითი ურთიერთობა არ ეწინააღმდეგება არასრულწლოვნის ინტერესებს, ზიანს არ აყენებს მის ზნეობრივ, ფიზიკურ და გონებრივ განვითარებას და არ უზღუდავს მას სავალდებულო დაწყებითი და საბაზო განათლების მიღების უფლებასა და შესაძლებლობას. კანონიერი წარმომადგენლის ან მზრუნველობის/მეურვეობის ორგანოს თანხმობა ძალაში

რჩება მსგავსი ხასიათის შემდგომი შრომითი ურთიერთობის მიმართაც.

14 წლამდე ასაკის არასრულწლოვანთან შრომითი ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს მხოლოდ სპორტულ, ხელოვნებასთან დაკავშირებულ და კულტურის სფეროში საქმიანობაზე, ასევე სარეკლამო სამუშაოს შესასრულებლად.

აკრძალულია არასრულწლოვანთან შრომითი ხელშეკრულების დადება სათამაშო ბიზნესთან, ღამის გასართობ დაწესებულებებთან, ეროტიკული და პორნოგრაფიული პროდუქციის, ფარმაცევტული და ტოქსიკური ნივთიერებების დამზადებასთან, გადაზიდვასთან და რეალიზაციასთან დაკავშირებული სამუშაოების შესასრულებლად.

აკრძალულია არასრულწლოვანთან, ასევე ორსულ ან მეძუძურ ქალთან შრომითი ხელშეკრულების დადება მძიმე, მავნე და საშიშპირობებიანი სამუშაოების შესასრულებლად.

16 წლიდან 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვნის სამუშაო დროის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 36 საათს.

14 წლიდან 16 წლამდე ასაკის არასრულწლოვნის სამუშაო დროის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 24 საათს.

არასრულწლოვნის კანონიერ წარმომადგენელს ან მზრუნველობის/მეურვეობის ორგანოს უფლება აქვს, მოითხოვოს არასრულწლოვანთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა, თუ მუშაობის გაგრძელება ზიანს მიაყენებს არასრულწლოვნის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან სხვა მნიშვნელოვან ინტერესებს.

ბავშვის უფლებათა კოდექსი[29]

ბავშვის მიმართ სახელმწიფოს პოლიტიკის განხორციელებამ ხელი უნდა შეუწყოს სხვადასხვა საკითხის გადაწყვეტას, მათ შორის:

• ბავშვის უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზებას;

• ბავშვის საუკეთესო ინტერესების უპირატეს გათვალისწინებას, მისი ღირსების დაცვას, კეთილდღეობის, უსაფ-

[29] https://matsne.gov.ge/ka/document/view/4613854?publication=0

რთხოების, სიცოცხლის, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, განვითარებისა და სხვა ინტერესების რეალიზებასა და დაცვას ბავშვებისადმი უთანასწორო მოპყრობის გარეშე;

• ბავშვის მონაწილეობის უზრუნველყოფას, მის საზოგადოებაში დამოუკიდებლად ცხოვრებისთვის მომზადებას, ბავშვის მაღალი ზნეობრივი ღირებულებებით, განსაკუთრებით – მშვიდობის, ღირსების პატივისცემის, შემწყნარებლობის, თავისუფლების, თანასწორობისა და სოლიდარობის სულისკვეთებით აღზრდას;

• ბავშვის სამშობლოს, მშობლიური ენის, მშობლიური ქვეყნის ტრადიციული კულტურული ღირებულებების პატივისცემაზე ორიენტირებას;

• ოჯახის, როგორც საზოგადოების ძირითადი უჯრედის, განსაკუთრებით – ბავშვის აღზრდისა და კეთილდღეობისთვის მნიშვნელოვანი გარემოცვის, დაცვასა და მხარდაჭერას;

• ბავშვის შრომასა და ჯანსაღი ცხოვრების წესზე, როგორც საზოგადოების განვითარების აუცილებელ წინაპირობაზე, ორიენტირებას;

• ბავშვის მოხალისეობაზე, როგორც სამოქალაქო აქტივობისა და სოლიდარული საზოგადოების განვითარების აუცილებელ ელემენტზე, ორიენტირებას.

ბავშვს უფლება აქვს, ცხოვრობდეს უვნებელ გარემოში, სადაც მისი ჰარმონიული განვითარებისა და კეთილდღეობისთვის ყველა პირობაა შექმნილი. ბავშვს უფლება აქვს, ისარგებლოს სოციალური დაცვითა და მხარდაჭერით, მისი და მასზე მზრუნველი პირების ინდივიდუალური საჭიროებებისა და მდგომარეობის შესაბამისად. ბავშვს უფლება აქვს, ისარგებლოს მისი ჯანმრთელობისთვის უვნებელი ბუნებრივი გარემოთი და საჯარო სივრცით, მიიღოს ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ და მონაწილეობა მიიღოს გარემოს დაცვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღებაში.

სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს დროებით ან სამუდამოდ მშობელთა ზრუნვის გარეშე დარჩენილი ბავშვის, აგრეთვე, იმ ბავშვის განსაკუთრებული დაცვა და მხარდაჭე-

რა, რომლის ოჯახში დარჩენა ბავშვის საუკეთესო ინტერესებს ეწინააღმდეგება.

ბავშვს უფლება აქვს, დაცული იყოს ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობისგან, ჩაგვრისგან, იძულებისგან, დაზიანებისგან, უგულებელყოფისგან, დაუდევარი მოპყრობისგან, წამებისგან, ექსპლუატაციისგან, არასრულწლოვნით ვაჭრობისგან (ტრეფიკინგისგან) და ძალადობის ნებისმიერი სხვა ფორმისგან ნებისმიერ ოჯახში, სკოლაში და სხვა ადგილზე, მათ შორის, ინტერნეტსივრცეში.

აკრძალულია ბავშვის ფიზიკური დასჯა, წამება, მისდამი სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობა ოჯახში, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, ალტერნატიული ზრუნვის მომსახურების მიწოდებისას, სამედიცინო დაწესებულებაში ან/და ფსიქიატრიულ დაწესებულებაში, პენიტენციურ დაწესებულებაში და ნებისმიერ სხვა ადგილზე. აღნიშნული ქმედება იწვევს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად პასუხისმგებლობის დაკისრებას.

აკრძალულია ბავშვის მიმართ ტრადიციული რიტუალის აღსრულების მიზნით ისეთი მეთოდების გამოყენება, რომლებიც ითვალისწინებს ბავშვის ფიზიკურ ან ფსიქოლოგიურ იძულებას, წამებას, მისდამი სხვა სასტიკ, არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას (მათ შორის, გოგონას სასქესო ორგანოს დასახიჩრება, ოპერაციის ან მანიპულაციის ჩატარება რეპროდუქციის უნარის მოსაშლელად), მიუხედავად ბავშვის ან/და მისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობისა.

დაუშვებელია ბავშვის ეკონომიკური ექსპლუატაცია, ანუ ფულადი ან სხვა სარგებლის მიღების მიზნით ბავშვის იძულება რაიმე მოქმედების შესასრულებლად ან მომსახურების გასაწევად, მისი მონობის ან მონობის მსგავს მდგომარეობაში ჩაყენება, ორგანოს ამოღება ან ბავშვის სხვაგვარი გამოყენება იძულებით, შანტაჟით, მოტყუებით, წაქეზებით, მასზე გავლენის სხვაგვარად მოხდენით ან ნებისმიერი სხვა საშუალებით.

აკრძალულია მათხოვრობაზე ან სხვა ანტისაზოგადოებრივ ქმედებაზე ბავშვის დაყოლიება იძულებით, შანტაჟით,

მოტყუებით, წაქეზებით, მისი შეზღუდული შესაძლებლობის გამოყენებით ან ნებისმიერი სხვა საშუალებით.

დაუშვებელია ბავშვის იძულება, წაქეზება, დაყოლიება ან გამოყენება ისეთი სამუშაოს შესასრულებლად ან მისი ისეთი სამუშაოს შესრულებაში ჩაბმა, რომელიც მას ხელს უშლის განათლების მიღებაში ან საზიანოა მისი ჯანმრთელობისთვის ან ფიზიკური, გონებრივი, მორალური, ემოციური ან/და სოციალური განვითარებისთვის.

სახელმწიფო იღებს შესაბამის ადმინისტრაციულ, სოციალურ და საგანმანათლებლო ზომებს ყველა ფორმის ეკონომიკური ექსპლუატაციისგან ბავშვის დასაცავად.

ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი

პაქტის ფარგლებში სახელმწიფოები აღიარებენ, რომ დაცვისა და დახმარების განსაკუთრებული ღონისძიებანი უნდა განხორციელდეს ყველა ბავშვისა და მოზარდის მიმართ ოჯახური წარმოშობისა და სხვა გარემოებების მიხედვით ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე. ბავშვები და მოზარდები დაცულ უნდა იქნან ეკონომიკური და სოციალური ექსპლუატაციისაგან. მათი შრომის გამოყენება ზნეობისა და ჯანმრთელობისათვის საზიანო ან სიცოცხლისათვის საშიშ ან მათი ნორმალური განვითარების დამაბრკოლებელ რომელიმე სფეროში კანონით უნდა დაისაჯოს. სახელმწიფოებმა ასევე უნდა დააწესონ ასაკობრივი ზღვარი, რომლის ქვემოთაც ბავშვთა ანაზღაურებადი შრომის გამოყენება კანონით აკრძალული და დასჯადი იქნება.

ევროპის სოციალური ქარტია

ბავშვებისა და ახალგაზრდების დაცვაზე უფლების ეფექტიანი განხორციელების უზრუნვლყოფის მიზნით, პაქტის ფარგლებში სახელმწიფოები ვალდებულებას იღებენ:

• უზრუნველყონ, რომ სამუშაოზე მიღების მინიმალური ასაკი უნდა შეადგენდეს 15 წელს, იმ გამონაკლისი შემთხვევების გარდა, როდესაც ბავშვები დასაქმებულნი არიან კანონით გათვალისწინებულ მსუბუქ სამუშაოზე, რაც ზიანს არ აყენებს მათ ჯანმრთელობას, ზნეობას ან განათლებას;

• უზრუნველყონ, რომ სამუშაოზე მიღების მინიმალური ასაკი შეადგენდეს 18 წელს იმ საქმიანობის მიმართ; რომლებიც მიიჩნევიან სახიფათო ან არაჯანმრთელ სამუშაოებად;

• უზრუნველყონ, რომ ის პირები, რომლებსაც არ დაუსრულებიათ სავალდებულო განათლება, არ იყვნენ დასაქმებულნი ისეთი სამუშაოებით, რომელიც ჩამოართმევს მათ სრული განათლების მიღების საშუალებას;

• უზრუნველყონ, რომ 18 წლამდე ასაკის პირებისათვის სამუშაო საათები იყოს შეზღუდული მათი განვითარების საჭიროებების კერძოდ, მათი პროფესიული მომზადების შესაბამისად;

• აღიარონ ახალგაზრდა მუშაკთა და შეგირდთა უფლება სამართლიანი ხელფასის ან სხვაგვარი შესაბამისი გასამრჯელოს მიღებაზე;

• უზრუნველყონ, რომ ჩვეულებრივი სამუშაო დღის განმავლობაში ახალგაზრდების მიერ პროფესიულ მომზადებაზე დახარჯული დრო დამსაქმებლის თანხმობით მიჩნეულ იქნეს სამუშაო დღის ნაწილად;

• უზრუნველყონ, რომ 18 წლამდე ასაკის პირებს ჰქონდეთ უფლება ყოველწლიურ მინიმუმ ოთხკვირიან ანაზღაურებად შვებულებაზე;

• უზრუნველყონ, რომ 18 წლამდე ასაკის პირები არ იყვნენ დასაქმებულნი ღამის სამუშაოებზე ეროვნული კანონებით ან წესების განსაზღვრული გარკვეული სამუშაოების გარდა;

• უზრუნველყონ, რომ 18 წლამდე ასაკის პირები, რომლებიც დასაქმებულნი არიან ეროვნული კანონებითა და წესებით განსაზღვრულ სამუშაოებზე, დაექვემდებარონ რეგულარულ სამედიცინო კონტროლს;

• უზრუნველყონ, სპეციალური დაცვა ფიზიკური და მორალური ზიანისაგან, რომელსაც შეიძლება დაექვემდებარონ ბავშვები და ახალგაზრდები, და კერძოდ, იმ ზიანისაგან, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ გამომდინარეობს მათი საქმიანობიდან.

„საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის 2014-2020 წლების ეროვნული სტრატეგია“ – მე-13 სტრატეგიული მიზანი[30]

ბავშვთა უფლებების რეალიზება მათ შორის, ბავშვთა დაცვისა და დახმარების სისტემის გაუმჯობესების, სოციალური მომსახურებების განვითარების, ბავშვთა სიღარიბისა და სიკვდილიანობის შემცირებისა და ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფით გზით.

სტრატეგიის მიზანია ბავშვთა დაცვისა და დახმარების სისტემების გაუმჯობესება, ბავშვთა სოციალური მომსახურების განვითარება, სიღარიბისა და სიკვდილიანობის შემცირება, აგრეთვე, ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფა.

სტრატეგიის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ამოცანების მიღწევა:

• ბავშვებთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაწყვეტილების დროს მათი „საუკეთესო ინტერესების“ გათვალისწინება;

• ნებისმიერი სახის ძალადობისგან ბავშვთა დაცვის უზრუნველყოფა და ძალადობის ფაქტებზე სწრაფი და ეფექტიანი რეაგირება;

• ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის სისტემის განვითარება;

• ბავშვთა სოციალური მომსახურების სისტემის განვითარება;

• განათლების სისტემის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს ხარისხიანი განათლების მიცემის შესაძლებლობა, მათ შორის სპეციალური საჭიროების მქონე ბაშვებისთვის;

• ეფექტიანი ღონისძიებების განხორციელება, რომლებიც უზრუნველყოფს სხვადასხვა სოციალური კატეგორიის მოწყვლადი ბავშვების რეაბილიტაციისა და სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობას;

• ბავშვზე ორიენტირებული სარგებლის შემოღება;

• ბავშვთა გაზრდა და განვითარება ოჯახებსა და ოჯახთან მიახლოებულ გარემოში;

• შესაბამისი ზომების გატარება ცხოვრების ჯანსაღი წესის უზრუნველსაყოფად.

---

[30] http://gov.ge/files/428_51453_705840_Strategy-GEO(1).pdf

1.10. ბრძოლა შიმშილის აღმოფხვრისთვის

შიმშილის აღმოფხვრის მიზანი მოცემულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ მიღებულ მდგრადი განვითარების მიზნების დოკუმენტში.

2015 წლის 25 სექტემბერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებში სახელმწიფოები შეთანხმდნენ მდგრადი განვითარების დღის წესრიგის დოკუმენტზე, სათაურით – „ჩვენი სამყაროს გარდაქმნა: 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისთვის“. ეს დღის წესრიგი მოიცავს 17 მიზანს და 169 ამოცანას. ამ დოკუმენტში მეორე სტარეტგიულ მიზნად მოცემულია შიმშილის აღმოფხვრა, სასურსათო უსაფრთხოებისა და გაუმჯობესებული კვების მიღწევა და მდგრადი სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა.

1.11. ჯანმრთელობის უფლება

ჯანმრთელობის უფლება სახელმწიფოს აკისრებს როგორც ნეგატიურ, ასევე პოზიტიურ ვალდებულებას. სახელმწიფო, ერთი მხრივ, არ უნდა ჩაერიოს ჯანმრთელობის უფლებაში, მეორე მხრივ, ვალდებულია შექმნას, ჩამოაყალიბოს, განავითაროს იმგვარი ჯანდაცვის სისტემა, რომელიც ადამიანს შესთავაზებს ხელმისაწვდომ, ხარისხიან ამბულატორიულ თუ გადაუდებელ სამედიცინო მომსახურებას.

საქართველოს კონსტიტუცია

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, ჯანმრთელობის უფლება სამოქალაქო და სოციალური უფლებაა. მოქალაქის უფლება ხელმისაწვდომ და ხარისხიან ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებაზე უზრუნველყოფილია კანონით. გარდა ამისა, სახელმწიფო აკონტროლებს ჯანმრთელობის დაცვის ყველა დაწესებულებას და სამედიცინო მომსახურების ხარისხს, არეგულირებს ფარმაცევტულ წარმოებას და ფარმაცევტული საშუალებების მიმოქცევას. ამ მიზნებისთვის საქართველოში მიღებულია სხვადასხვა საკანონმდებლო აქტები.

ნორმა ამკვიდრებს, ერთი მხრივ, სახელმწიფოს ვალდებულებას, ხელმისაწვდომი გახადოს ჯანდაცვა და უზრუნველყოს გარემოს დაცვა და მეორე მხრივ, ინდივიდის უფლებას, ისარგებლოს სამედიცინო დაზღვევითა და დახმარებით, იცხოვროს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში, მიიღოს სრული და ობიექტური ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ.

„ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი[31]

ჯანმრთელობის დაცვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის პრინციპებია:

• მოსახლეობისათვის სამედიცინო დახმარების საყოველთაო და თანაბარი ხელმისაწვდომობა სახელმწიფოს ნაკისრი სახელმწიფო სამედიცინო პროგრამებით გათვალისწინებული ვალდებულების ფარგლებში;

• ჯანმრთელობის დაცვის სფეროში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვა, პაციენტის პატივის, ღირსებისა და მისი ავტონომიის აღიარება;

• ექიმისა და სხვა სამედიცინო პერსონალის დამოუკიდებლობა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ფარგლებში;

• ჯანმრთელობის დაცვის სისტემის შესაბამისობა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სტრატეგიასთან და მისი მართვადობის უზრუნველყოფა;

• პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული პაციენტის, აგრეთვე, ამა თუ იმ დაავადებით შეპყრობილი პირის დისკრიმინაციისაგან დაცვა სამედიცინო დახმარების გაწევისას;

• ჯანმრთელობის დაცვის სფეროში სამედიცინო ეთიკის საყოველთაოდ აღიარებული ნორმების დამკვიდრება;

• მოსახლეობის სრული ინფორმირება სამედიცინო დახმარების ყველა არსებული ფორმისა და მისი მიღების შესაძლებლობის შესახებ;

[31] https://matsne.gov.ge/ka/document/view/29980?publication=42

• ჯანმრთელობის დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ხელშეწყობა;

• სახელმწიფოს პასუხისმგებლობა სავალდებულო სამედიცინო დაზღვევის პროგრამით გათვალისწინებული სამედიცინო მომსახურების მოცულობასა და ხარისხზე;

• პირველადი ჯანმრთელობის დაცვის, მათ შორის გადაუდებელი სამედიცინო დახმარების პრიორიტეტულობა, მათში სახელმწიფო და კერძო სექტორების მონაწილეობა, საოჯახო მედიცინისა და ოჯახის ექიმის ინსტიტუტის განვითარება და მასზე დაფუძნებული სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

• სახელმწიფოს პასუხისმგებლობა ექიმთა სერტიფიცირების, სამედიცინო საქმიანობის ლიცენზირებისა და სამედიცინო დაწესებულებაზე ნებართვის გაცემისათვის;

• სახელმწიფოს, საზოგადოების, თიოთოეული მოქალაქის მონაწილეობა ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებაში, საცხოვრებელი, სამუშაო და დასასვენებელი გარემოს დაცვაში;

• სამედიცინო მომსახურების სფეროში საკუთრებისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების მრავალფეროვნება და თანაბარუფლებიანი არსებობა;

• მოსახლეობის ჯანმრთელობისათვის მავნე ქმედებისათვის კანონმდებლობით განსაზღვრული ადმინისტრაციული სანქციების გამოყენება;

• სახელმწიფოს მიერ პროგრამული და მიზნობრივ-პროგრამული წესით ჯანმრთელობის დაცვის დაფინანსება; სახელმწიფო სექტორის ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებების თვითანაზღაურებისა და თვითმმართველობის უზრუნველსაყოფად საფინანსო, სამეურნეო, სახელშეკრულებო ურთიერთობებისა და მართვის სისტემის ავტონომია კანონმდებლობით დადგენილი წესით;

• არსებული რესურსების შესაბამისად სახელმწიფოს მიერ სამედიცინო-ბიოლოგიური და ჯანმრთელობის დაცვის კვლევათა დაფინანსება, ამ მიზნით კერძო სექტორიდან სახსრების მოსაზიდად ხელსაყრელი პირობების შექმნა.

• პროფესიული გაერთიანებების, აგრეთვე, სხვა არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობა ჯანმრთელობის დაცვის თანამედროვე, ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბებაში კონსულტაციების, სამეცნიერო და პროფესიული განხილვების, სათანადო პროექტების შემუშავების, პაციენტის უფლებების დაცვაში მონაწილეობის გზით;

საქართველოს მოქალაქესა და საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირს უფლება აქვთ, ისარგებლონ დადგენილი წესით დამტკიცებული ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამებით გათვალისწინებული სამედიცინო დახმარებით, რასაც განახორციელებს სათანადო სამედიცინო საქმიანობის სამართალსუბიექტი, განურჩევლად საკუთრებისა და სამართლებრივი ფორმისა.

დაუშვებელია პაციენტის დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, აღმსარებლობის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, დაავადების, სექსუალური ორიენტაციის ან პირადული უარყოფითი დამოკიდებულების გამო. დაუშვებელია პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული პაციენტის დისკრიმინაცია სამედიცინო დახმარების გაწევისას.

საქართველოს ყველა მოქალაქეს უფლება აქვს მისთვის გასაგები ფორმით მიიღოს ამომწურავი და ობიექტური ინფორმაცია, აგრეთვე, მოიძიოს მეორე აზრი საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

სამკურნალო, დიაგნოსტიკურ, სარეაბილიტაციო, პროფილაქტიკურ და პალიატიური მზრუნველობის პროცესებში პაციენტის მონაწილეობის აუცილებელი პირობაა ზეპირი ან წერილობითი ინფორმირებული თანხმობა. სამედიცინო ჩარევების ჩამონათვალი, რომელთა ჩატარებისათვის აუცილებელია წერილობითი თანხმობა, განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

სამეცნიერო კვლევაში მონაწილე ავადმყოფის და ჯანმრთელი მოხალისის უფლებები დაცულია საქართველოს კა-

ნონმდებლობით და ადამიანზე ბიოსამედიცინო გამოკვლევების ჩატარების აღიარებული საერთაშორისო ნორმებით.

სამედიცინო განათლების პროცესში პაციენტის მონაწილეობის აუცილებელი პირობაა ზეპირი ინფორმირებული თანხმობა.

პაციენტს უფლება აქვს უარი თქვას ნებისმიერ სამედიცინო ჩარევაზე, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა, აგრეთვე, უფლება აქვს უარი თქვას სამეცნიერო კვლევაში ან სამედიცინო განათლების პროცესში მონაწილეობაზე.

ყველა ქმედუნარიან პირს უფლება აქვს წინასწარ წერილობით გამოხატოს ნება განუკურნებელი დაავადების ტერმინალურ სტადიაში აღმოჩენის შემთხვევაში მისთვის სარეანიმაციო, სიცოცხლის შემანარჩუნებელი ან პალიატიური მკურნალობის ან/და პალიატიური მზრუნველობის ჩატარების შესახებ.

მცირეწლოვანი ან გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარის არმქონე პაციენტისათვის სამედიცინო ჩარევის ჩატარება, სამედიცინო განათლებისა და სამეცნიერო კვლევის პროცესში მისი ჩართვა დასაშვებია მხოლოდ პაციენტის მიერ წარსულში (როცა მას ჰქონდა გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარი) განცხადებული ნების გათვალისწინებით, ხოლო ასეთი ნების არარსებობისას – პაციენტის ნათესავის ან კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირებული თანხმობით.

მცირეწლოვანი ან გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარის არმქონე პაციენტისათვის გადაუდებელი სამედიცინო დახმარების გაწევის აუცილებლობისას ან მისი სიცოცხლისათვის საშიში მდგომარეობის დროს სამედიცინო ჩარევის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება მხოლოდ პაციენტის ინტერესების გათვალისწინებით.

პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული პირისათვის სამედიცინო დახმარების გაწევა, მათ შორის, შიმშილობის დროს, დასაშვებია მხოლოდ მისი ინფორმირებული თანხმობის შემთხვევაში. სამედიცინო დახმარება გაიწევა ამ კანონით გათვალისწინებული წესების დაცვით.

პაციენტს აქვს უფლება აირჩიოს ან შეიცვალოს სამედიცინო პერსონალი და, ან სამედიცინო დაწესებულება სადაზღვევო ხელშეკრულების პირობების გათვალისწინებით. ხელშეკრულება უნდა იძლეოდეს არჩევანის შესაძლებლობას.

ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი

ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-12 მუხლის თანახმად, სახელმწიფოები აღიარებენ თითოეული ადამიანის უფლებას ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის უმაღლეს შესაძლო სტანდარტებზე. ზომები, რომლებიც წინამდებარე პაქტის მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ამ უფლების სრული რეალიზაციისათვის, უნდა შეიცავდეს ღონისძიებებს, რომლებიც აუცილებელია:

• მკვდრადშობადობისა და ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირებისა და ბავშვის ჯანსაღი განვითარების უზრუნველსაყოფად;

• გარემოს ჰიგიენისა და მრეწველობაში შრომის ჰიგიენის ყველა ასპექტის გასაუმჯობესებლად;

• ეპიდემიური, ენდემური, პროფესიული და სხვა დაავადებების თავიდან ასაცილებლად, სამკურნალოდ და შესამოწმებლად;

• ისეთი პირობების შესაქმნელად, რომლებიც ავადმყოფობის შემთხვევაში ყველასათვის უზრუნველყოფს სამედიცინო დახმარებასა და მოვლას.

ევროპის სოციალური ქარტია

ევროპის სოციალური ქარტიის ფარგლებში ჯანმრთელობის დაცვაზე უფლების ეფექტიანი განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით, სახელმწიფოები ვალდებულებას იღებენ უშუალოდ ან საჯარო ან კერძო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, მიიღონ ზომები, რომლებიც, კერძოდ, მიზნად ისახავენ:

• ავადმყოფობის გამომწვევი მიზეზების მაქსიმალურად აღმოფხვრას;

• ჯანმრთელობის განმტკიცებისა და ჯანმრთელობის საკითხებში ინდივიდუალური პასუხისმგებლობის წახალისებისათვის საკონსულტაციო და საგანმანათლებლო საშუალებების უზრუნველყოფას;

• შეძლებისდაგვარად ეპიდემიურ, ენდემურ და სხვ დაავადებათა, ისევე, როგორც უბედურ შემთხვევათა აღკვეთას.

„პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონი[32]

საქართველოს თითოეულ მოქალაქეს უფლება აქვს სამედიცინო მომსახურების ყველა გამწევისგან მიიღოს ქვეყანაში აღიარებული და დანერგილი პროფესიული და სამომსახურეო სტანდარტების შესაბამისი სამედიცინო მომსახურება.

პაციენტის დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, გენეტიკური მემკვიდრეობის, რწმენისა და აღმსარებლობის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, დაავადების, სექსუალური ორიენტაციის ან პირადული უარყოფითი განწყობის გამო აკრძალულია.

პაციენტს უფლება აქვს, მეორე აზრის მოსაძიებლად დაუბრკოლებლად მიმართოს სხვა ექიმს ან სამედიცინო დაწესებულებას. პაციენტს უფლება აქვს, აირჩიოს და ნებისმიერ დროს შეიცვალოს სამედიცინო მომსახურების გამწევი.

საქართველოს მოქალაქეს, რომელიც იმყოფება სხვა სახელმწიფოში, აგრეთვე, უცხო ქვეყნის მოქალაქესა და მოქალაქეობის არმქონე პირს, რომლებიც იმყოფებიან საქართველოში, ჯანმრთელობის დაცვის უფლება გარანტირებული აქვთ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების შესაბამისად, ხოლო მათი არარსებობისას მოქმედებს იმ ქვეყნის კანონმდებლობა, სადაც პირი იმყოფება.

პაციენტს ან მის კანონიერ წარმომადგენელს უფლება აქვს, მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს კომპენსაცია ქონებრივი და არაქონებრივი ზიანის, სამედიცინო პერსონა-

[32] https://matsne.gov.ge/ka/document/view/16978?publication=11

ლის საქმიანობის ლიცენზიის შეჩერება ან გაუქმება; სახელმწიფო სამედიცინო და სანიტარიული სტანდარტების შეცვლა.

პაციენტს უფლებები აქვს მკურნალობისა და მოვლის მიმართულებით. სამედიცინო მომსახურების თანაბრად ხელმისაწვდომობა ხორციელდება სახელმწიფო სამედიცინო პროგრამების საშუალებით.

სახელმწიფო იცავს პაციენტის უფლებას სამედიცინო მომსახურებაზე, რომლის გადაუდებლად განხორციელების გარეშე გარდაუვალია პაციენტის სიკვდილი, დაინვალიდება ან ჯანმრთელობის მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუარესება.

თუ პაციენტი გადაუდებლად საჭიროებს სამედიცინო მომსახურებას, რომლის გარეშე გარდაუვალია პაციენტის სიკვდილი, დაინვალიდება ან ჯანმრთელობის მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუარესება, ხოლო სამედიცინო მომსახურების გამწევს არ აქვს შესაძლებლობა აღმოუჩინოს პაციენტს ასეთი მომსახურება, იგი ვალდებულია მიაწოდოს პაციენტს, მის ნათესავს ან კანონიერ წარმომადგენელს სრული ინფორმაცია, თუ სად შეიძლება გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების მიღება.

სახელმწიფო უზრუნველყოფს იშვიათი დაავადებების მქონე პაციენტებს ქვეყანაში აღიარებული და დანერგილი პროფესიული და სამომსახურეო სტანდარტების შესაბამისი სამედიცინო მომსახურებით.

პაციენტს უფლება აქვს სამედიცინო მომსახურების გამწევისაგან მოითხოვოს მისი ღირსების, ტრადიციების, აღმსარებლობისა და პიროვნული ფასეულობების პატივისცემა.

სამედიცინო მომსახურების გამწევი ვალდებულია პაციენტის შესახებ მის ხელთ არსებული ინფორმაციის კონფიდენციალურობა დაიცვას როგორც პაციენტის სიცოცხლეში, ისე მისი სიკვდილის შემდეგ.

„სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის ჩატარების შესახებ“ საქართველოს კანონი[33]

[33] https://matsne.gov.ge/ka/document/view/15772?publication=12

სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზა არის დისციპლინათაშორისი საქმიანობის სფერო და მოიცავს სამედიცინო–ბიოლოგიურ, სოციოლოგიურ, სოციალურ, ფსიქოლოგიურ, ეკონომიკურ და სხვა ასპექტებს.

სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის ძირითადი ამოცანაა ადამიანის ქმედობაუნარიანობის შეზღუდვის ხარისხის განსაზღვრა და აქედან გამომდინარე შესაძლებლობის შეზღუდვის გამომწვევი მიზეზის, გადამოწმების ვადისა და მომდინარეობის დროის დადგენა, აგრეთვე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის სხვადასხვა სახის განსაზღვრა.

სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის წამყვან პოზიციად ითვლება, განსაზღვროს პირის სამედიცინო და სოციალური სტატუსის დარღვევა ან მისი დაკარგვის ხარისხი, გამოავლინოს მათი შენარჩუნების უნარი და კომპენსაციურ-ადაპტაციური შესაძლებლობები, რომელთა რეალიზაცია ხელს შეუწყობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სამედიცინო, პროფესიულ და სოციალურ რეაბილიტაციას, საზოგადოების სრულფასოვან წევრად გახდომას.

პირის შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის განსაზღვრასა და სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის სხვა საკითხების გადაწყვეტას საფუძვლად უდევს კლინიკურ-ფუნქციონალური, სოციალურ-საყოფაცხოვრებო, პროფესიულ-შრომითი და ფსიქოლოგიური მონაცემების კომპლექსური შეფასება.

შესაძლებლობის შეზღუდვა არის ისეთი მყარი ფიზიკური, ფსიქიკური, ინტელექტუალური ან სენსორული დარღვევა, რომლებიც განაპირობებს ქმედობაუნარიანობის დროებით ან სამუდამო შეზღუდვას. ქმედობაუნარიანობის შეზღუდვის სიმძიმის მიხედვით ქმედობაუნარიანობის შეზღუდვა განისაზღვრება შემდეგი ხარისხით: მსუბუქად გამოხატული; ზომიერად გამოხატული; მნიშვნელოვნად გამოხატული; მკვეთრად გამოხატული. შესაძლებობის შეზღუდვის სტატუსის დადგენის საფუძველს წარმოადგენს ქმედობაუნარიანობის ზომი-

ერად, მნიშვნელოვნად და მკვეთრად გამოხატული შეზღუდვა.

„ფსიქოსოციალური საჭიროებიდან გამომდინარე ექსპერტიზის ჩატარების შესახებ“ საქართველოს კანონი[34]

ფსიქოსოციალური საჭიროებიდან გამომდინარე ექსპერტიზა არის დისციპლინათაშორისი საქმიანობა, რომელიც მოიცავს სამედიცინო-ფსიქიატრიული, ფუნქციური, ფსიქოლოგიური, სოციალური ადაპტაციის და სხვა ასპექტების შეფასებას.

ფსიქოსოციალური საჭიროებიდან გამომდინარე ექსპერტიზის ჩატარების ძირითადი ამოცანაა პირის გონებრივი/ინტელექტუალური დარღვევის ხარისხის დადგენა, მისი სოციალური ადაპტაციის შეფასება და აქედან გამომდინარე, პირის მხარდაჭერის თავისებურებების განსაზღვრა.

ფსიქოსოციალური საჭიროებიდან გამომდინარე ექსპერტიზის ჩატარების საფუძველია პირის შესახებ ფსიქიატრიული, სოციალურ-საყოფაცხოვრებო, პროფესიულ-შრომითი და ფსიქოლოგიური მონაცემების კომპლექსური შეფასება.

1.12. განათლების უფლება

განათლების უფლება მიეკუთვნება ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ უფლებათა კატეგორიას. გარდა ამისა, იგი განიხილება პოლიტიკურ და სამოქალაქო უფლებად გამომდინარე იქიდან, რომ ეს უფლება წარმოადგენს ადამიანის სხვა ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების ეფექტიანი რეალიზაციის საშუალებას.

ადამიანის განათლების უფლება წარმოშობს სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას, ერთი მხრივ, შექმნას განათლებისათვის საჭირო პირობები (ინფრასტრუქტურა, პროგრამების ჰარმონიზაცია, განათლების ხარისხის კონტროლი და სხვა) და მეორე მხრივ, მისცეს ფინანსური შესაძ-

[34] https://matsne.gov.ge/ka/document/view/2788241?publication=1

ლებლობა ყველა სოციალურ ფენას, მიიღოს შესაბამისი განათლება.

განათლების სისტემა სოციალური სისტემის განუყოფელი ნაწილია, ხაზგასმულია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში, რომლის მიხედვით განათლების სისტემა დემოკრატიული, სამართლებრივი და სოციალური სახელმწიფოს განუყოფელი ელემენტია, ხოლო მისი შექმნა – უმაღლესი დონის ლეგიტიმური მიზანი.[35]

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო თვლის, რომ განათლების მიღების კონსტიტუციური უფლება წარმოადგენს ადამიანის ერთ-ერთ ძირითად სოციალურ უფლებას და ცივილიზებული კაცობრიობის აღიარებულ ღირებულებას.[36]

საქართველოს კონსტიტუცია

საქართველოს კონსტიტუციის 27-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტები ეხება განათლების უფლებას. კონსტიტუციის თანახმად, ყველას აქვს განათლების მიღებისა და მისი ფორმის არჩევის უფლება. სკოლამდელი აღზრდა და განათლება უზრუნველყოფილია კანონით დადგენილი წესით. დაწყებითი და საბაზო განათლება სავალდებულოა. ზოგად განათლებას კანონით დადგენილი წესით სრულად აფინანსებს სახელმწიფო. მოქალაქეებს უფლება აქვთ კანონით დადგენილი წესით სახელმწიფოს დაფინანსებით მიიღონ პროფესიული და უმაღლესი განათლება.

ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი

ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ თითოეული ადამიანის განათლების მიღების უფლებას. ისინი თანხმდებიან, რომ განათლება მიმართულ

---

[35] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის № 2/2-389 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე მაია ნათენაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ.

[36] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1997 წლის 29 დეკემბრის № 2/35 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

იქნეს ადამიანის პიროვნებისა და მისი ღირსებების შემეცნების სრულად განვითარებისაკენ და განამტკიცებდეს ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებებისადმი პატივისცემას. ისინი ასევე თანხმდებიან, რომ განათლებამ ყველას უნდა მისცეს თავისუფალ საზოგადოებაში ქმედითი მონაწილეობის შესაძლებლობა, ყველა ერს, რასობრივ, ეთნიკურ და რელიგიურ ჯგუფს შორის განავითაროს ურთიერთგაგება, შემწყნარებლობა და მეგობრობა და ხელი შეუწყოს გაერთიანებული ერების საქმიანობას მშვიდობის შესანარჩუნებლად.

სახელმწიფოები აღიარებენ, რომ ზემოაღნიშნული უფლების სრულად განხორციელებისათვის:

• დაწყებითი განათლება უნდა იყოს ყველასათვის სავალდებულო და უფასოდ ხელმისაწვდომი;

• საშუალო განათლების მიღება მისი სხვადასხვა ფორმით, ტექნიკური და პროფესიული საშუალო განათლების ჩათვლით, უნდა გახდეს საყოველთაოდ შესაძლებელი და ხელმისაწვდომი ყველა შესაფერისი საშუალებით, კერძოდ, უფასო განათლების თანდათანობით შემოღების გზით;

• უმაღლესი განათლება უნდა გახდეს ყველასათვის თანაბარი ხელმისაწვდომი თითოეულის შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ყველა შესაფერისი საშუალებით და კერძოდ, უფასო განათლების თანდათან შემოღების გზით;

• ძირითადი განათლება უნდა წახალისდეს და გახდეს შეძლებისდაგვარად ინტენსიური იმ ადამიანებისათვის, რომელთაც არ მიუღიათ ან არ დაუსრულებიათ დაწყებითი განათლების სრული კურსი;

• აქტიურად გატარდეს ყველა საფეხურის სკოლათა სისტემის განვითარების პოლიტიკა, შეიქმნას სტიპენდიების შესაფერისი სისტემა და განუწყვეტლივ უმჯობესდებოდეს საგანმანათლებლო პერსონალის მატერიალური პირობები.

ევროპის სოციალური ქარტია

ევროპის სოციალური ქარტია განათლების უფლებას ცალკე უფლებად არ ითვალისწინებს. იგი მოცემულია მე-17 მუხლში ბავშვებისა და ახალგაზრდების სოციალური, იურიდიული და ეკონომიკური დაცვის უფლების კონტექსტით. ქარ-

ტიის ფარგლებში სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ ბავშვებისა და ახალგაზრდების უფასო დაწყებითი და საშუალო განათლება ისევე, როგორც მათ მიერ სკოლებში რეგულარული დასწრების წახალისება.

„ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი[37]

საქართველოში უზრუნველყოფილია სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულებაში ბავშვთა უფასო აღზრდა და განათლება, აგრეთვე, მათი კვება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. სკოლამდელი აღზრდა და განათლება, მათ შორის, სასკოლო მზაობის პროგრამა, არის ნებაყოფლობითი, საყოველთაო და ხელმისაწვდომი შესაბამისი ასაკის ყველა ბავშვისთვის. მუნიციპალიტეტი ვალდებულია დანერგოს და უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების, მათ შორის, სასკოლო მზაობის პროგრამის, ბავშვებისთვის მიწოდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

დაწესებულებაში სწავლების ენა არის ქართული, აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში – აგრეთვე, აფხაზური. დაწესებულება უფლებამოსილია ენობრივი უმცირესობების წარმომადგენელ ბავშვებს ენობრივი საჭიროებების გათვალისწინებით შესთავაზოს ამ კანონით განსაზღვრული სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტის შესაბამისი პროგრამები და რესურსები როგორც სახელმწიფო, ისე მათ მშობლიურ ენაზე.

დაწესებულება უფლებამოსილია ბავშვებს მიაწოდოს სააღმზრდელო და საგანმანათლებლო მომსახურება მათ მშობლიურ ან/და არასახელმწიფო ენაზე და გამოიყენოს ამ კანონით განსაზღვრული სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტების შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამები და რესურსები.

დაწესებულებაში ბავშვის მიმართ ნებისმიერი ძალადობა აკრძალულია. დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს, რომ დაწესებულების აღმზრდელ-პედაგოგი, აღმზრდე-

[37] https://matsne.gov.ge/document/view/3310237?publication=8

ლი და სხვა პერსონალი ფლობდნენ და იყენებდნენ არაძალადობრივი მოპყრობისა და აღზრდის მეთოდებს, აგრეთვე, მათ ჰქონდეთ ინფორმაცია ბავშვის მიმართ ძალადობის შედეგებისა და პასუხისმგებლობის ფორმების თაობაზე. დაწესებულების აღმზრდელ-პედაგოგის, აღმზრდელისა და სხვა პერსონალის მომზადება და გადამზადება უნდა მოიცავდეს მათ სწავლებას ბავშვის საუკეთესო ინტერესების პრინციპის დაცვის, ბავშვის მიმართ ძალადობის დაუშვებლობის, ბავშვის მიერ საკუთარი ქცევის რეგულირების ეფექტიანი მექანიზმებისა და უსაფრთხო და არაძალადობრივი გარემოს უზრუნველყოფისთვის საჭირო ცოდნისა და უნარ-ჩვევების თაობაზე. დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს ბავშვზე ძალადობის თავიდან აცილება (მათ შორის, ბავშვის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის განათლება და ინფორმირება), იდენტიფიკაცია, შეფასება, მის შესახებ შეტყობინება და მასზე შესაბამისი რეაგირება ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების შესაბამისად.

ბავშვზე ძალადობის გამოვლენისა და ბავშვზე ძალადობის შესახებ ინფორმაციის შესაბამისი სახელმწიფო ორგანოსთვის მიწოდების ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. დაწესებულება ვალდებულია დაწესებულებაში გამოყოს ბავშვთა მიმართ ძალადობის თავიდან აცილებისათვის და ბავშვთა ძალადობისგან დაცვისათვის პასუხისმგებელი პირი.

დაწესებულება ვალდებულია ჩამოაყალიბოს დამოუკიდებელი ჯგუფები შემდეგი ასაკობრივი კატეგორიის ბავშვებისგან:

- 2-დან 3 წლამდე – სკოლამდელი განათლების პირველი წელი;
- 3-დან 4 წლამდე – სკოლამდელი განათლების მე-2 წელი;
- 4-დან 5 წლამდე – სკოლამდელი განათლების მე-3 წელი;
- 5 წლიდან სკოლის დაწყებითი საფეხურის პირველ კლასში შესვლამდე – სკოლამდელი განათლების მე-4 წელი – ხორციელდება სასკოლო მზაობის პროგრამა.

ერთი ასაკის ბავშვთა არასაკმარისი რაოდენობის შემთხვევაში დაწესებულება უფლებამოსილია მომიჯნავე ასაკის ბავშვებისგან ჩამოაყალიბოს მრავალასაკობრივი ჯგუფი არაუმეტეს 15 ბავშვის შემადგენლობით.

საჯარო დაწესებულების სასწავლო-სააღმზრდელო წლის დასაწყისსა და დასასრულს ადგენს მუნიციპალიტეტი. საჯარო დაწესებულების სასწავლო-სააღმზრდელო დღის ხანგრძლივობაა 9 საათი, სამჯერადი კვებით. სასკოლო მზაობის პროგრამის ხანგრძლივობაა დღეში 3 საათი.

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ჯგუფები უნდა დაკომპლექტდეს შემდეგი მაქსიმალური ოდენობების მიხედვით:

• 2-დან 3 წლამდე ბავშვების ჯგუფში შეიძლება იყოს არაუმეტეს 25 ბავშვისა;

• 3-დან 4 წლამდე ბავშვების ჯგუფში შეიძლება იყოს არაუმეტეს 30 ბავშვისა;

• 4-დან 5 წლამდე ბავშვების ჯგუფში შეიძლება იყოს არაუმეტეს 30 ბავშვისა.

თითოეულ ჯგუფში აღმზრდელ-პედაგოგების/აღმზრდელების რაოდენობა უნდა განისაზღვროს შემდეგი თანაფარდობით:

• 2-დან 3 წლამდე ბავშვების ჯგუფში აღმზრდელ-პედაგოგების/აღმზრდელების ბავშვებთან თანაფარდობა არ უნდა იყოს 1:13-ზე მეტი;

• 3-დან 4 წლამდე ბავშვების ჯგუფში აღმზრდელ-პედაგოგების/აღმზრდელების ბავშვებთან თანაფარდობა არ უნდა იყოს 1:15-ზე მეტი;

• 4-დან 5 წლამდე ბავშვების ჯგუფში აღმზრდელ-პედაგოგების/აღმზრდელების ბავშვებთან თანაფარდობა არ უნდა იყოს 1:15-ზე მეტი;

• სასკოლო მზაობის პროგრამის ჯგუფში აღმზრდელ-პედაგოგების/აღმზრდელების ბავშვებთან თანაფარდობა არ უნდა იყოს 1:15-ზე მეტი.

დაწესებულება უზრუნველყოფს ინკლუზიური განათლების მიწოდებას ბავშვებისთვის, მიუხედავად მათი ფიზიკური, შემეცნებითი, სენსორული, სოციალური, ემოციური, ლინგვის-

ტური, ეთნიკური, რასობრივი, რელიგიური, გენდერული თუ სხვა მახასიათებლებისა. დაწესებულება ვალდებულია გააგრძელოს ინკლუზიური განათლების პროგრამაში ჩართული ბავშვისთვის განათლების მიწოდება, თუ, ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, ჯერ კიდევ არ არის მიზანშეწონილი მისი სკოლაში შესვლა, მიუხედავად შესაბამისი ასაკისა.

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი[38]

ყველას აქვს სრული ზოგადი განათლების მიღების თანაბარი უფლება, რათა სრულად განავითაროს თავისი პიროვნება და შეიძინოს ის ცოდნა და უნარ-ჩვევები, რომლებიც აუცილებელია კერძო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში წარმატების მიღწევის თანაბარი შესაძლებლობებისთვის. დაწყებითი და საბაზო განათლების მიღება სავალდებულოა. ზოგადი განათლების მიღების უზრუნველსაყოფად სახელმწიფო ქმნის ზოგადი განათლების სისტემას და სათანადო სოციალურ-ეკონომიკურ პირობებს.

საქართველოში ზოგადი განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიზნებია: მოსწავლის ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მქონე, თავისუფალ პიროვნებად ჩამოყალიბებისათვის საჭირო პირობების შექმნა; მოსწავლის გონებრივი და ფიზიკური უნარ-ჩვევების განვითარება, აუცილებელი ცოდნით უზრუნველყოფა, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, ლიბერალურ-დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბება, მოსწავლის მიერ კულტურულ ფასეულობათა პატივისცემა, ოჯახის, საზოგადოების, სახელმწიფოსა და გარემოს წინაშე უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში ხელის შეწყობა.

ამ მიზნების მისაღწევად სახელმწიფო უზრუნველყოფს:

• ზოგადი განათლების ღიაობას და თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველასთვის მთელი სიცოცხლის განმავლობაში;

[38] https://matsne.gov.ge/document/view/29248?publication=83

• საქართველოს ზოგადი განათლების სისტემის ჩართვას საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში;

• საჯარო სკოლის დამოუკიდებლობას რელიგიური და პოლიტიკური გაერთიანებებისაგან, ხოლო კერძო სკოლის დამოუკიდებლობას პოლიტიკური გაერთიანებებისაგან;

• ეროვნული შეფასებების, ეროვნული სასწავლო გეგმის შემუშავების და აკრედიტაციის სისტემების ჩამოყალიბებას, რაც გულისხმობს სწავლების ხარისხის დადგენისა და შეფასების მეშვეობით ზოგადსაგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვასა და მართვას;

• ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და აკრედიტაციის მატერიალურ-ტექნიკური, პროგრამული და ადამიანური რესურსების ნორმატივების დადგენას;

• ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ადმინისტრაციულ და ფინანსურ ავტონომიას;

• ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ძალადობის აღმოფხვრას;

• ინკლუზიური განათლების დანერგვას;

• მასწავლებელთა პროფესიის რეგულირებას.

სრული ზოგადი განათლების მიღება გულისხმობს: ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის დაძლევას, რის საფუძველზედაც გაიცემა სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი; იმ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაძლევას, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, და აღნიშნულის საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დადგენილი წესით დადასტურებას, რის საფუძველზედაც გაიცემა საშუალო პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი – დიპლომი, რომელიც გათანაბრებულია სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტთან.

სახელმწიფო უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის (მათ შორის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის) მიერ ზოგადი განათლების თავის საცხოვ-

რებელ ადგილთან მაქსიმალურად ახლოს, სახელმწიფო ან მშობლიურ ენაზე მიღების უფლებას.

სახელმწიფო გაზრდილი ვაუჩერის ოდენობითა და დამატებითი დაფინანსებით უნდა უზრუნველყოფდეს:

• საჯარო სკოლაში ზოგადი განათლების ღიაობას და მის თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველასთვის მთელი სიცოცხლის განმავლობაში;

• საჯარო სკოლაში ინკლუზიური განათლების და მულტილინგვური განათლების დანერგვას;

• საჯარო სკოლის მატერიალურ-ტექნიკური, პროგრამული და ადამიანური რესურსების გაუმჯობესებას;

• საჯარო სკოლის მასწავლებლების, დირექციისა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის შრომის შესაბამის ანაზღაურებას;

• საჯარო სკოლაში ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნას;

• საჯარო სკოლაში სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვას, განსაკუთრებით იმ საჯარო სკოლაში, რომელსაც რეორგანიზაციის შედეგად ბალანსზე ერიცხება სასწავლო პროცესში გამოყენებული ერთზე მეტი ადმინისტრაციული შენობა, აგრეთვე, სოფელში/დაბაში და მაღალმთიან რეგიონში მდებარე საჯარო სკოლებსა და მრავალსექტორიან საჯარო სკოლაში.

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო უზრუნველყოფს ზოგადი განათლების მიღებას თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში პატიმრობის კოდექსით დადგენილი წესის შესაბამისად.

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი[39]

საქართველოში უმაღლესი განათლების ძირითადი მიზნებია:

• ქართული და მსოფლიო კულტურის ღირებულებების ჩამოყალიბებისათვის ხელშეწყობა, დემოკრატიისა და ჰუმანიზმის იდეალებზე ორიენტაცია, რომლებიც აუცილებელია

[39] https://matsne.gov.ge/document/view/32830?publication=80

სამოქალაქო საზოგადოების არსებობისა და განვითარებისათვის;

• პიროვნების ინტერესებისა და შესაძლებლობების შესატყვისი უმაღლესი განათლების მიღების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება;

• პიროვნული პოტენციალის რეალიზება, შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარება, თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე პირების მომზადება, შიდა და საგარეო შრომის ბაზარზე უმაღლესი განათლების მქონე პირთა კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა, სტუდენტთა და ფართო საზოგადოების მოთხოვნათა შესაბამისი მაღალი ხარისხის უმაღლესი განათლების შეთავაზება დაინტერესებული პირებისათვის;

• სახელმწიფოს განვითარებისა და საკუთრივ უმაღლესი განათლების სისტემის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველსაყოფად ახალი სამეცნიერო პერსონალის მომზადება და გადამზადება, სამეცნიერო კვლევის პირობების შექმნა, უზრუნველყოფა და განვითარება;

• უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის მობილობის წახალისება.

ამ მიზნების მისაღწევად სახელმწიფო უზრუნველყოფს:

• უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობასა და ღიაობას, მათ შორის, მსჯავრდებულისთვის, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში; სწავლის, სწავლებისა და სამეცნიერო კვლევის აკადემიურ თავისუფლებას, მათ შორის, მსჯავრდებულისთვის, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში;

• უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობას მთელი სიცოცხლის განმავლობაში;

• უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების ინტეგრაციას;

• ხარისხის უზრუნველყოფის სისტემების განვითარებას, რაც გულისხმობს ავტორიზაციის სისტემის, აკრედიტაციის სისტემისა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულე-

ბებში ხარისხის მართვის (უზრუნველყოფის) მექანიზმების ფუნქციონირებას;

• სწავლის, სწავლებისა და სამეცნიერო კვლევის ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო და კვლევით სივრცეში, აგრეთვე, თანამშრომლობის სხვა საერთაშორისო სისტემებში სრულუფლებიან მონაწილეობას;

• უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტონომიას;

• უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური პერსონალის, სამეცნიერო პერსონალისა და სტუდენტთა მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღებისა და მისი შესრულების კონტროლის პროცესში;

• უმაღლესი განათლების სფეროში ყოველგვარი დისკრიმინაციის აკრძალვას, მათ შორის აკადემიური, რელიგიური თუ ეთნიკური კუთვნილების ან/და შეხედულების, სქესის, სოციალური წარმოშობისა და სხვა ნიშნით;

• უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვისა და ამ დაწესებულებაში კონკურსების საჯაროობასა და გამჭვირვალობას;

სტუდენტს უფლება აქვს:

• მიიღოს ხარისხიანი განათლება;

• მონაწილეობა მიიღოს მეცნიერულ კვლევაში;

• უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით, შინაგანაწესითა და დებულებებით დადგენილი წესით თანაბარ პირობებში ისარგებლოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით;

• საყოველთაო, პირდაპირი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით აირჩიოს წარმომადგენელი და არჩეულ იქნეს სტუდენტურ თვითმმართველობაში, ასევე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისა და ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის მართვის ორგანოებში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდების შესაბამისად;

• თავისუფლად დააფუძნოს ან/და გაერთიანდეს სტუდენტურ ორგანიზაციებში თავისი ინტერესების შესაბამისად;

• თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი და დასაბუთებული უარი თქვას იმ იდეათა გაზიარებაზე, რომელსაც სთავაზობენ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას და ა.შ.

„პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი[40]

პროფესიული განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის მიზნებია:

• ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა;

• სოციალური ინკლუზიის, ინდივიდის პიროვნული და პროფესიული განვითარების ხელშეწყობა;

• მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ხელშეწყობა;

• საქართველოს პროფესიული განათლების სისტემის ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან დაახლოება და შეთავსებადობა.

პროფესიული განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის მიზნების მისაღწევად სახელმწიფო უზრუნველყოფს:

• პროფესიული განათლების ყველასთვის თანაბარ ხელმისაწვდომობას;

• სწავლებისა და სწავლის მრავალფეროვანი ფორმების (სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება და სხვა) და ინოვაციური მიდგომების შეთავაზებას ტექნოლოგიური განვითარების გათვალისწინებით;

• პროფესიული განათლების ზოგად განათლებასა და უმაღლეს განათლებასთან კავშირის უზრუნველყოფას და პროფესიული განათლების სისტემის მოქნილობას;

• პროფესიული განათლების შრომის ბაზარზე არსებული და სამომავლო მოთხოვნებისთვის მორგებას და პირის დასაქმებისა და სამეწარმეო საქმიანობისთვის მომზადებას;

• ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს განვითარებას, არაფორმალური განათლების აღიარების მექანიზმების შექმნას, კრედიტების დაგროვებისა და ტრანსფერის სისტემის განვითარებას;

[40] https://matsne.gov.ge/document/view/4334842?publication=2

• პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმების განვითარებას;

• შრომის ბაზარზე პირის კონკურენტუნარიანობის ხელშეწყობას მისი პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების გზით;

• პროფესიული განათლების სფეროში სოციალური პარტნიორობის ხელშეწყობას;

• ფორმალურ განათლებაში პროფესიული ორიენტაციის, კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის სისტემის განვითარებას;

• პროფესიული განათლების მასწავლებლის მომზადების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სისტემის ჩამოყალიბებას;

• პროფესიული სტუდენტისა და პროფესიული განათლების მასწავლებლის მობილობის ხელშეწყობას;

• საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებასა და დანერგვას.

საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვება პირი, რომელსაც აქვს სულ მცირე საბაზო ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი. პირი, რომელსაც აქვს:

• სულ მცირე საბაზო ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, დაიშვება იმ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები;

• სულ მცირე სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტი, დაიშვება საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.

უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვება პირი, რომელსაც აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტი.

„შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი[41]

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები ზოგადსაშუალო, საშუალო-სპეციალურ და უმაღლეს განათლებას იღებენ ზოგადსასწავლო დაწესებულებებში, საჭიროებისას – შესაბამის სპეციალურ სასწავლო დაწესებულებებში.

სასწავლო მეცადინეობის ორგანიზება ხდება აგრეთვე, იმ კატეგორიის ბავშვთათვის, რომლებიც მკურნალობენ სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების სტაციონარებში ან სარეაბილიტაციო დაწესებულებებში.

თუ შეუძლებელია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების ზოგად ან სპეციალურ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში აღზრდა და სწავლება, მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების სურვილის შესაბამისად, მათი აღზრდა და სწავლება ხდება ოჯახში. ამასთანავე, ერთ-ერთი მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ან მისი შემცვლელი პირის მატერიალური უზრუნველყოფა და შეღავათები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

შესაბამისი სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებები დახმარებას უწევენ მშობლებს ან მათ შემცვლელ პირებს ამ კატეგორიის ბავშვთა შინ სწავლებაში. ამ კატეგორიის ბავშვთა ყოველმხრივი და ჰარმონიული განვითარების, მათთვის საზოგადოებრივი აქტიურობის, შრომის ინტერესის ჩანერგვის, მეცნიერებასთან, ტექნიკასთან, ხელოვნებასთან, სპორტთან დაახლოების მიზნით განათლებისა და სხვა სახელმწიფო ორგანოები ვალდებული არიან უზრუნველყონ ამ კატეგორიის სკოლისგარეშე აღზრდის სათანადო ორგანიზაცია.

სოციალური სახელმწიფოსთვის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელია სამართლიანი გადანაწილების პრინციპი. აღნიშნული კვლევის მიზანიც სწორედ ისაა, რომ სამართლიანი გადანაწილების პრინციპზე იქნეს გამახვილებული ყურადღება. შესაბამისად, თანასწორი მოპყრობა არ ნიშნავს

[41] https://matsne.gov.ge/ka/document/view/30316?publication=9

იმას, რომ ყველამ თანაბრად უნდა ისარგებლოს მატერიალური სიკეთეებით, რომელსაც სახელმწიფო გასცემს. მატერიალური სარგებელის მიღება პირებისთვის ან პირთა ჯგუფებისთვის უნდა იყოს დიფერენცირებული, და სახელმწიფოს მიერ გონივრულად გათვლილი, მოქალაქეებმა მიიღონ იმდენი სარგებელი, რამდენსაც ისინი საჭიროებენ. ე.ი. პირებს, რომლებიც არიან არსებითად თანასწორი, სახელმწიფო უნდა მოექცეს თანასწორად, ხოლო პირებს, რომლებიც არათანაბარნი არიან (რომელიმე მოწყვლადობის ნიშნით), სახელმწიფო მიდგომა მათდამი ვერ იქნება თანაბარი. სახელმწიფოს ბიუჯეტი, რა თქმა უნდა, არაა განუსაზღვრელი, და თუკი შესაბამისი თანხები არამიზნობრივად იქნება მიმართული, დახმარებას ეკარგება აზრი, რადგან შესაბამისი მატერილური სიკეთე ვერ აღწევს ადრესატამდე. შესაბამისად, სახელწიფოს მიერ მის ხელთ არსებული სახსრების სწორი და მიზნობრივი გადანაწილება სოციალური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში არის უაღრესად მნიშვნელოვანი.

ასეთი გადანაწილების დროს აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული მოწყვლადობის სხვადასხვა კრიტერიუმი, ასაკი, ოჯახური მდგომარეობა და სხვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ამ შემთხვევაში პირის შემოსავალია. აღნიშნული კონტექსტიდან გამომდინარე, ცხადია, რომ სოციალური და ეკონომიკური უფლებების მიმართულებით უნდა გამოიკვეთოს 4 ძირითადი სფერო და შესაბამისად მათზე გაკეთდეს აქცენტი:

ა) ჯანმრთელობის თანაბარი ხელმისაწვდომობა *(განსაკუთრებით სახელმწიფო ჯანმრთელობის დაზღვევის კონტექსტით).*

მიუხედავად იმისა, რომ საყოველთაო ჯანდაცვა საქართველოში სახელმწიფოს მიერ განხორცილებული ერთ-ერთი საუკეთესო პროექტია, სასურველია, სახსრები კიდევ უფრო მეტად დიფერენცირებულად იქნეს გადანაწილებული. მაგალითად, მნიშვნელოვანია, რომ ჯანმრთელების დაზღვევა განსაზღვრული შემოსავლების მიხედვით იქნეს გადანაწილებული. შეფასების კრიტერიუმი შეიძლება იყოს ის, თუ რა შე-

მოსავალი აქვს კონკრეტულ ოჯახს ან პირს. შესაბამისად გარკვეულ ადამიანთა ჯგუფები განსხვავებული პაკეტით უნდა სარგებლობდნენ და არა ყველა თანაბარით. დღეს ამ სფეროში არსებული დიფერნეციაცია იმაზე უკეთესია, რაც საწყის ეტაპზე იყო, თუმცა მიუხედავად ამისა, არ არის საკმარისი. დღეისათვის შემოსავლების მიხედვით საყოველთაო ჯანდაცვით უფასოდ სარგებლობენ გარკვეული კატეგორიის პირები. როგორც ითქვა, 2017 წლის 1 მაისიდან საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა დიფერენცირებული პაკეტებით ამოქმედდა. დღეს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ჯგუფები და დაფინანსების პირობებია:

- სოციალურად დაუცველებს, პენსიონერებს, 0-6 წლამდე ასაკის ბავშვებს, პედაგოგებს, სტუდენტებს, იძულებით გადაადგილებულ პირებს, შშმ პირებს:

✓ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით გათვალისწინებული მიზნობრივი სპეციალური სერვისების მოცულობა უცვლელად შეუნარჩუნდათ;

✓ არ ეზღუდებათ დამატებით კერძო სადაზღვევო პაკეტით სარგებლობის უფლება.

- 70 000-დან 100 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე მოქალაქეებს და 6-დან 18 წლამდე ასაკის მოზარდებს:

✓ აქვთ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის საბაზისო პაკეტი;

✓ არ ეზღუდებათ დამატებით კერძო სადაზღვევო პაკეტით სარგებლობის უფლება.

- ყოველთვიურად 1000 ლარზე ნაკლები შემოსავლის მქონე მოქალაქეები, თვითდასაქმებული, არარეგულარული შემოსავლის მქონე მოქალაქეები:

✓ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის მცირედ შეზღუდული პაკეტით სარგებლობენ;

✓ კერძო დაზღვევის არსებობის შემთხვევაში უნარჩუნდებათ გადაუდებელი სერვისების დაფინანსება. უნარჩუნდებათ ონკოლოგიური დაავადებების (ქიმიო, ჰორმონო და სხივური თერაპია) მკურნალობა და მშობიარობა/საკეისრო კვეთის დაფინანსება.

- საშუალო შემოსავლის მქონე მოქალაქეებს, რომელთა ყოველთვიური შემოსავალი 1000 ლარზე მეტია, მაგრამ წლიური შემოსავალი არ აღემატება 40 000 ლარს:

✓ სარგებლობენ ან საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის შეზღუდული სერვისებით ან კერძო სადაზღვევო პაკეტით.

✓ უნარჩუნდებათ ონკოლოგიური (ქიმიო და ჰორმონოთერაპია) დაავადებების მკურნალობა, მშობიარობა/საკეისრო კვეთის დაფინანსება.

- მოქალაქეები, რომელთა შემოსავალი წელიწადში 40 000 ლარს აღემატება, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით აღარ სარგებლობენ.

პროგრამის ფარგლებში ყველა მოქალაქეს უნარჩუნდება მშობიარობა/საკეისრო კვეთის დაფინანსება.

ყველა მოქალაქეს შეუძლია ჯანდაცვის სამინისტროს სხვა სახელმწიფო პროგრამებით სრულფასოვნად სარგებლობა. საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის სერვისების მოცულობა განისაზღვრება ინდივიდუალური მონაცემების და არა ოჯახის შემოსავლის მიხედვით. სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ, 100 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე მოქალაქეებს, ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტები დაუფინანსდებათ.[42]

მნიშვნელოვანია, რომ კიდევ უკეთ გადაიხედოს ამ კრიტერიუმებისთვის, მოხდეს მათი უფრო მეტად დიფერენცირება.

ბ) განათლების ხელმისაწვდომობის თანაბარი შანსები

(ყველა საფეხურის განათლება, სკოლამდელი, ზოგადი და უმაღლესი)

დისბალანსი შეიმჩნევა სკოლამდელი და ასევე ზოგადი განათლების კონტექსტით. რადგან სახელმწიფო აწესებს ყველასთვის თანაბარ პირობებს. კერძოდ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად:

[42] https://www.moh.gov.ge/ka/529

1. საქართველოში უზრუნველყოფილია სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულებაში ბავშვთა უფასო აღზრდა და განათლება, აგრეთვე, მათი კვება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. სკოლამდელი აღზრდა და განათლება, მათ შორის, სასკოლო მზაობის პროგრამა, არის ნებაყოფლობითი, საყოველთაო და ხელმისაწვდომი შესაბამისი ასაკის ყველა ბავშვისთვის.

3. მუნიციპალიტეტი ვალდებულია დანერგოს და უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების, მათ შორის, სასკოლო მზაობის პროგრამის, ბავშვებისთვის მიწოდება საქართველოს კანონმდებლობის (მათ შორის, ამ კანონისა და საქართველოს მთავრობის ნორმატიული აქტების).

შესაბამისად, შესაძლოა მუნიციპალიტეტის ხარჯები არამიზნობრივად იქნეს გამოყენებული, რადაგან ოჯახისთვის, ვისაც სოციალური შემწეობა სჭირდება და ოჯახისათვის, რომელსაც შესაძლოა ძალიან მაღალი შემოსავალი ჰქონდეს, თანაბრად უფასო არის მომსახურება. თუ ამ მიმართულებით სამართლიანი დიფერენციაცია გაკეთდება, ძალიან გონივრული იქნება და მუნიციპალიტეტის მიერ დაზოგილი ხარჯები შეიძლება დაიხარჯოს სხვა სოციალურ პროგრამებში.

შესაბამისად გადასახედი და დასახვეწია აღნიშნულ რეგულაციაც.

ასევე, პრობლემურია უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოში არსებული საკანონმდებლო რეგულაციებიც, სადაც დამკვიდრებულია ვაუჩერული სისტემა და ყველა ბავშვს ეკუთვნის 1 თანაბარი ფინანსური ვაუჩერი საჯარო და კერძო სკოლაში. თუკი ოჯახი არის მაღალშემოსავლიანი და ბავშვი განათლებას იღებს ისეთ სკოლაში, სადაც მშობელი იხდის 5-დან 20 ათას ლარამდე, ასეთ შემთხვევაში მას არ უნდა ეძლეოდეს სახელმწიფოს მიერ ფინანსური ვაუჩერი.

ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის[43] მესამე თავი ეძღვნება „ზოგადი განათლების დაფინანსებას“,

[43] https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248?publication=83

ხოლო 22-ე მუხლი განსაზღვრავს სახელმწიფოს მიერ ზოგადი განათლების დაფინანსების წესს.

1. სახელმწიფო უზრუნველყოფს სრული ზოგადი განათლების მიღებას. მოსწავლის განათლების სახელმწიფო დაფინანსება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში გრძელდება 12 წლის განმავლობაში.

2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლებას ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივის შესაბამისი ვაუჩერით აფინანსებს სახელმწიფო. მოსწავლის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის შემთხვევაში ვაუჩერის გადატანა ხდება ვაუჩერის გაცემისა და გადატანის წესის შესაბამისად. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დაფინანსების უზრუნველყოფის გარდა, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო უფლებამოსილია დააფინანსოს კერძო სკოლა საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული წესისა და პირობების შესაბამისად, შესაბამისი მიზნობრივი პროგრამის/პროგრამების ფარგლებში.

3. სახელმწიფოს მიერ მოსწავლის განათლების დაფინანსება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხორციელდება ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივის შესაბამისი ვაუჩერით. სტანდარტული და გაზრდილი ვაუჩერების ოდენობები განისაზღვრება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიღწევის დონისათვის მაქსიმალური დატვირთვის მიხედვით, განსხვავებულ მდგომარეობაში მყოფ მოსწავლეთა ფინანსური შესაძლებლობების შესაბამისად, განათლების მიღების უფლების უზრუნველყოფაში თანასწორობის პრინციპის დაცვით. ვაუჩერით ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიმდინარე ხარჯების დაფარვის შემდეგ დარჩენილი თანხა შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს აღნიშნული დაწესებულების კაპიტალური ხარჯების დასაფარავად.

გარდა ამისა, მნიშვნელოვანია **უმაღლესი განათლების დაფინანსების** საკითხი. საქართველოში არსებული დაფინანანსების სისტემა მორგებულია მხოლოდ აბიტურიენტის მიღ-

წევებზე და არა სოციალურ ფონზე. მართალია ეროვნულ გამოცდებზე, აკადემიურ მიღწევებზე დაფუძნებული მიდგომა სამართლიანია, თუმცა კარგი იქნება ამ მიმართულებით სოციალური ფაქტორის გამოყენებაზე ფიქრი. თუ მაგალითად, მოსწავლე დაფინანსებას იღებს და მას რთული სოციალური ფონი აქვს, შესაძლოა მისთვის სოციალური დანამატი იყოს გამოყოფილი, რაც მას ხელს შეუწყობს სწავლის პროცესის უფრო შედეგიან წარმართვაში.

მართალია, განათლების სამინისტროს მიერ არაერთხელ გაჟღერდა განათლების დაფინანსების მოდელის არასამართლაინობის შესახებ და მის შეცვლაზე სამინისტრო მუშაობს, თუმცა ახალი კონკრეტული მოდელი არ ყოფილა შემოთავაზებული.

გარდა ამისა, საინტერესოა პროფესიული განათლების სფეროში არსებული მიდგომები. სახელმწიფო მთლიანად უზრნველყოფს სახელმწიფო დაწესებულებებში პროფესიულ განათლებას. შესაბამისად მასში მსმენელი არ იხდის ღირებულებას. იგი სახელმწიფო სასწავლებელში გადის პროფესულ განათლებას. ხოლო კერძო დაწესებულებაში სწავლის მსურველი სახელმწიფოსგან ვერ იღებს შესაბამის ვაუჩერს.

აღნიშნულს არეგულირებს 1. კანონი პროფესიული განათლების შესახებ[44] და საქართველოს მთავრობის 2013 წლის 19 სექტემბერის №244 დადგენილება „პროფესიული განათლების დაფინანსების წესისა და პირობების განსაზღვრისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის საფასურის მაქსიმალური ოდენობის დამტკიცების თაობაზე“.[45] აქაც მიდგომა არის იგივე, რაც სკოლამდელი განათლების შესახებ.

კანონდებლობის ანალიზი კი ცხადყოფს, რომ განათლების არც ერთ: სკოლამდელ, ზოგად, პროფესიულ და უმაღლეს საფეხურზე არ არის გათვალისიწინებული სოციალური, გადანაწილებითი მიდგომები.

---

[44] https://www.mes.gov.ge/uploads/files/kanoni-profesiuli-ganatlebis-shesaxeb-2018.pdf

[45] https://matsne.gov.ge/ka/document/view/2021412?publication=0

გ) დასაქმების სფეროში არსებული სოციალური უთანასწორობა

თანამედროვე, ევროპული სახელმწიფო, დასაქმების ხელშეწყობის კუთხით არის აქტიური, ქმედითი სახელმწიფო. ამგვარი სახელმწიფოს ხელისუფლება იღებს ვალდებულებას იზრუნოს მოქალაქეთა კეთილდღებაზე, რაც საბოლოო ანგარიშით, ქმნის ეკონომიკურად ძლიერ და პოლიტიკურად სტაბილურ საზოგადოებას.

საქართველოს, ისევე როგორც სხვა ევროპული ქვეყნების დიდი ნაწილის, მიერ დასაქმების პოლიტიკასა და მის შედეგებზე ზრუნვა განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ხელისუფლების მხრიდან დასაქმების ხელშემწყობი ღონისძიებების გატარება იწვევს სამუშაო ბაზრის ეფექტიან სტიმულირებას, რაც თავის მხრივ, დადებითად აისახება მოქალაქეების კეთილდღეობასა და ეკონომიკურ ზრდაზე.

დასაქმების სფერო საჭიროებს დეტალურ შესწავლას. განსაკუთრებით კი იმ კუთხით, თუ რა მიდგომებია ფაქტობრივად დასაქმების მსურველის / სამუშაოს მაძიებლის მიმართ. არის თუ არა განსხვავებული მოპყრობა სამუშაოს მაძიებელთა მიმართ. დღეს არსებული რეგულაციებით ენიჭება თუ არა დასაქმების კონტექსტით პრიორიტეტი სოციალურად დაუცველებს, ან მრავალშვილიანი ოჯახის მშობლებს.

საჭიროა, რომ სახელმწიფოს მიერ წარიმართოს დასაქმების ხელშეწყობის იმგვარი აქტიური პოლიტიკა, რომელიც, ერთი მხრივ, ერთმანეთთან დააკავშირებს სამუშაოს მაძიებელსა და ბიზნესს, მეორე მხრივ, ერთმანეთთან შესაბამისობაში მოიყვანს სამუშაოს მაძიებლების კვალიფიკაციასა და ქვეყანაში ბიზნესის მოთხოვნებს, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის დასაქმებული ადამიანების რაოდენობას და ხელს შეუწყობს ბიზნესს ხარისხის გაზრდაში, ისევე როგორც ახალი სამუშაო ადგილების შექმნაში.

დ) სოციალური უზრუნველყოფა, თანაბარი და სამართლიანი გადანაწილების კონტექსტით

აღნიშნული საკითხი, მართალია, რეგულირებულია საქართველოს კანონმდენლობით, თუმცა ხშირად საკამათოა მისი რეალური განხორციელება. შესაბამისად, მნიშვნელო-

ვანია გაირკვეს, პრაქტიკულად როგორ ხორციელდება სოციალური დახმარებების გაცემა, „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი, რამდენად სამართლიანია ე. წ. ქულების მინიჭების პრორიტეტები. ზოგადად ამ სისტემის ფუნქციონირების შესწავლის მიზნით ჩატარდა საქართველოში კვლევა[46], რომელმაც აღწერა სოციალური დახმარებების სისტემა და გამოკვეთა რეკომენდაციები 2014-2016 წლებში. 2017 წელს იგი გამოქვეყნდა და მთავრობამ გაიზიარა რიგი რეკომენდაციებისა, თუმცა ამ სისტემაში კვლავ დიდი გამოწვევები რჩება.

[46] https://www.unicef.org/georgia/media/1211

2. რეგულაციების აღსრულებისა და მისი ეფექტიანობის შეფასება

2.1. სოციალურ დახმარებაზე დამოკიდებულების ანალიზი და სამართლებრივი რეკომენდაციები

ქვეყნის დღევანდელი სოციალური და პოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მიერ წარიმართოს დასაქმების ხელშეწყობის იმგვარი აქტიური პოლიტიკა, რომელიც, ერთი მხრივ, ერთმანეთთან დააკავშირებს სამუშაოს მაძიებელსა და ბიზნესს, მეორე მხრივ, ერთმანეთთან შესაბამისობაში მოიყვანს სამუშაოს მაძიებლების კვალიფიკაციასა და ქვეყანაში ბიზნესის მოთხოვნებს, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის დასაქმებული ადამიანების რაოდენობას და ხელს შეუწყობს ბიზნესს ხარისხის გაზრდაში, ისევე, როგორც ახალი სამუშაო ადგილების შექმნაში.

მნიშვნელოვანია სოციალურად დაუცველი ადამიანების მოტივირება და მათთვის ისეთი სამუშაოს შეთავაზება, რომ შეძლონ ღირსეულად საკუთარი თავისა და ოჯახების რჩენა, საკუთარი პროფესიული უნარების განვითარება.

საქართველოში დასაქმების აქტიური პოლიტიკის დასახელებული სისტემური რეფორმა საჭიროებდა საკანონმდებლო ჩარჩოს იმისათვის, რათა კანონის დონეზე განესაზღვრა ის სისტემა, რომელმაც წარმატებით უნდა იფუნქციონიროს დასაქმების კუთხით. საქართველოს პარლამენტმა 2020 წლის ზაფხულში მიიღო „საქართველოს კანონი დასაქმების ხელშეწყობის შესახებ“. იგი ძალაში შევიდა 2021 წლის პირველ სექტემბერს, თუმცა კანონის 33-ე მუხლი 2023 წელს შევა ძალაში. აღნიშნული მუხლი ითვალისწინებს სოციალური დახმარების მიმღები სამუშაოს მაძიებლის დასაქმების რეგულაციას.

მუხლი 33. სოციალური დახმარების მიმღები სამუშაოს მაძიებელი

1. სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის მსურველი/რეგისტრირებული ოჯა-

ხის შრომისუნარიანი წევრი, რომელიც არ არის დასაქმებული და არის სოციალური დახმარების მიმღები, საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად, ვალდებულია დარეგისტრირდეს სააგენტოში სამუშაოს მაძიებლად.

2. სააგენტო ხელს უწყობს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირის დასაქმების მოტივაციის ამაღლებას. აღნიშული დებულება ადგენს, რომ სოციალური დახმარების მიმღები შრომისუნარიანი პირი ვალდებულია დარეგისტრირდეს სააგენტოში სამუშაოს მაძიებლად. ამავე კანონის მე-20 მუხლი ადგენს სამუშაოს მაძიებლის რეგისტრაციის შეწყვეტის პირობებს.

მუხლი 20. სამუშაოს მაძიებლის რეგისტრაციის შეწყვეტა

სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას სამუშაოს მაძიებლის რეგისტრაციის შეწყვეტის შესახებ, თუ:

ა) სამუშაოს მაძიებელი სააგენტოში ვიზიტისთვის დადგენილ დროს სამჯერ არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდა;

ბ) სამუშაოს მაძიებელმა კარიერული განვითარების ინდივიდუალური გეგმის შესრულებაზე უარი განაცხადა;

გ) სამუშაოს მაძიებელმა ორჯერ დაუსაბუთებლად უარი თქვა დასაქმებაზე ან მისი მიზეზით ორჯერ შეწყდა იმ დამსაქმებელთან დადებული შრომითი ხელშეკრულება, რომელთან დაკავშირებაც სააგენტოს შუამავლობით მოხდა;

დ) ეს სამუშაოს მაძიებელმა მოითხოვა;

ე) სამუშაოს მაძიებელი გარდაიცვალა;

ვ) სამუშაოს მაძიებელი სისტემატურად და უხეშად არღვევდა ამ კანონის 38-ე მუხლით განსაზღვრულ მოვალეობებს;

ზ) სამუშაოს მაძიებელი დასაქმდა და მას აღარ სურს სხვა სამუშაოს მოძიება.

შესაბამისად, კანონის თანახმად, თუ სოციალური დახმარების მიმღები არ იქნება რეგისტრირებული / ან შეუწყდება რეგისტრაცია, ჩამოთვლილი პირობების გამო იგი ვერ მიიღებს სოციალურ შემწეობას.

აღნიშნული ნორმა კამათის საფუძველი გახდა საპარლამენტო განხილვებისას.

საბოლოოდ, 2020 წლის საგაზაფხულო სესიაზე, საკომიტეტო და პლენარულ სხდომებზე იყო წინადადება, რომ ნორმა 2023 წელს უნდა შესულიყო ძალაში, ხოლო მანამდე გარკვეული რეფორმები უნდა გატარებულიყო. შესაბამისად, კანონის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მისი ამოქმედება ამგვარად შეთანხმდა:

მუხლი 59. კანონის ამოქმედება

1. ეს კანონი, გარდა ამ კანონის პირველი −57-ე მუხლებისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. ამ კანონის პირველი − 32-ე და 34-ე − 57-ე მუხლები ამოქმედდეს 2021 წლის 1 სექტემბრიდან.

3. ამ კანონის 33-ე მუხლი ამოქმედდეს 2023 წლის 1 სექტემბრიდან.

შესაძლოა სწორედ ამ მუხლის ეტაპობრივად ამუშავების გამოც, პრემიერ მინისტრმა 2021 წლის 18 დეკემბერს დააანონსა **„მასშტაბური დასაქმების“** მიმართულებით ახალი პროგრამა. მთავრობის მეთაურის თქმით[47], 2012 წელს, „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, სოციალური პოლიტიკის კუთხით გატარებული რეფორმებით ეკონომიკური პარამეტრები არსებითად გაუმჯობესდა და უთანასწორობის დონე მკვეთრად შემცირდა. მასშტაბური დასაქმების პროცესში, სოციალურად დაუცველ ადამიანებს შემწეობა არ მოეხსნებათ, არამედ მათ სანაცვლოდ მიეცემათ ხელფასი, კონკრეტული საზოგადოებრივი საქმისთვის, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის საქმიანობის 2021 წლის ანგარიშის წარდგენისას განაცხადა. მისივე თქმით, საერთაშორისო რეიტინგებში მოწინავე პოზიციების დაკავებისა თუ რეალური ცხოვრების გაუმჯობესების მიუხედავად, ეკონომიკას კვლავაც აქვს სტრუქტურული პრობლემები.

---

[47] https://1tv.ge/news/irakli-gharibashvili-masshtaburi-dasaqmebis-processhi-socialurad-daucvel-adamianebs-shemweoba-ar-moekhsnebat-aramed-mat-sanacvlod-miecemat-khelfasi-konkretuli-sazogadoebrivi-saqmistvis/ (უკანსკნელად გადამოწმდა 14.02.2022).

„ერთ-ერთი ასეთი პრობლემა სოციალური პოლიტიკაა, რომელიც დაახლოებით 600 000 სოციალურად დაუცველი მოქალაქიდან თითქმის 300 000-მდე შრომისუნარიან მოქალაქეს უმუშევრობისა და უმოქმედობისკენ უბიძგებს. ამიტომ, ჩვენ უნდა შევქმნათ საზოგადოებრივი სამუშაო ადგილები და ამ ადამიანებს ქვეყნის აღმშენებლობაში ჩავრთავთ, მივცემთ მოტივაციას, სოციალური დახმარების მიღებასთან ერთად, დაიწყებენ სამუშაოს, შეძლებენ აიმაღლონ კვალიფიკაცია ან ახალი პროფესია აითვისონ. მასშტაბური სამუშაო ძალის დასაქმება და მათი ჩართვა ეკონომიკაში საშუალებას მოგვცემს, ეტაპობრივად შევამციროთ სოციალური შემწეობის მიმღებთა რაოდენობა. შემწეობის ნაცვლად მათ უკეთესი ხელფასი უნდა მივცეთ, დავასაქმოთ, ჩავრთოთ ქვეყნის აღმშენებლობის პროცესში და შრომისუნარიანი ადამიანები კონკურენტულ, მოტივირებულ მოქალაქეებად ვაქციოთ, რომლებიც შრომის ბაზარზეც სრულფასოვნად ჩაერთვებიან. მინდა აღვნიშნო, რომ მასშტაბური დასაქმების პროცესში, სოციალურად დაუცველ ადამიანებს შემწეობა არ მოეხსნებათ, არამედ მათ სანაცვლოდ მიეცემათ ხელფასი, კონკრეტული საზოგადოებრივი საქმისთვის. ფაქტია, რომ მხოლოდ შემწეობის იმედზე ყოფნა, უმუშევრობა, მოტივაციის არარსებობა ადამიანებს უბიძგებს, ჩაერთონ აზარტულ თამაშებში, ჩაებან ნარკომანიის მანკიერ წრეში და როგორც საკუთარი თავები, ისე მათი ოჯახები გააუბედურონ“ (პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის ოფიციალური განცხადება).

გარდა ამისა, საქართველოს მთავრობის წევრის, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის, ლევან დავითაშვილის მიერ 2022 წლის 14 თებერვალს მთავრობის სხდომაზე გაჟღერდა[48], რომ სოციალურად დაუცველ მოქალაქეებს საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართვის შემთხვევაში 4 წლის განმავლობაში სოციალური დახმარება არ შეუ-

[48] https://www.interpressnews.ge/ka/article/695525-levan-davitashvilis-gancxadebit-socialurad-daucveli-mokalakeebis-dasakmebis-miznit-50-000-samushao-adgili-sheikmneba-xolo-saxelpaso-anazgaurebis-saxit-damatebit-300-lars-miigeben (უკანსკნელად გადამოწმდა 14.02.2022)

ჩერდებათ. მინისტრის განმარტებით, საზოგადოებრივი სამუშაოს შესრულებისას დასაქმებულის თვიური ანაზღაურება 300 ლარით განისაზღვრა. მისი თქმით, მიმდინარე წლის განმავლობაში შრომისუნარიანი სოციალურად დაუცველი ადამიანებისთვის 50 000 სამუშაო ადგილი შეიქმნება. „ათასობით სამუშაო ადგილი შეიქმნება მუნიციპალიტეტების დონეზე და სხვადასხვა სამინისტროში. ეს არის როგორც ფიზიკური შრომა, ასევე, გარკვეული საოფისე საქმიანობები. ეს, რა თქმა უნდა, დასაქმების სააგენტოს ძალიან დიდ ჩართულობას მოითხოვს“.

მინისტრის აზრით, „ყველაზე ხაზგასასმელია ის, რომ თითოეულ დასაქმებულს სოციალური კომპენსაციის პაკეტი არ უჩერდება, პირიქით, მათ უნარჩუნდებათ 4 წლის განმავლობაში სტაბილურად იმ შემთხვევაში, თუ ისინი დამატებით საზოგადოებრივ საქმიანობაში ერთვებიან. განსაზღვრულია აქაც ხელფასი – თვის განმავლობაში დამატებითი საზოგადოებრივი სამუშაო შესრულებისას განისაზღვრა 300 ლარით. ეს არის 300 დაუბეგრავი ლარი და სრულად აიღებენ დასაქმებულები ამ თანხას,“ (მინისტრის ლევან დავითაშვილის ოფიციალური განცხადება). მინისტრის განცხადებით, დასაქმების პროგრამა სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისთვის უკეთესი საცხოვრებელი პირობების შექმნას ისახავს მიზნად. მისივე თქმით, საქართველოში განვითარების ამ ეტაპზე ბევრი პრობლემაა, რომელსაც გადალახვა სჭირდება. ლევან დავითაშვილმა განაცხადა: *„ჩვენ გვინდა სოციალურად დაუცველებს ამ პროექტით შემოსავლის ზრდის დამატებითი შესაძლებლობები გავუჩინოთ, ანუ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის ყველაზე მოწყვლად სოციალურ ფენას ცხოვრების უკეთესი პირობები შევუქმნათ ზუსტად დასაქმების მხრივ. როგორც პრემიერმა აღნიშნა, 200 ათასზე მეტი მოქალაქე არის შრომისუნარიანი, რომელსაც ზრუნვის სხვა პრობლემები არ სჭირდება და მათ შეუძლიათ დასაქმებაში ჩართვა. ეს არის ძალიან დიდი სამუშაო რესურსი და ამავე დროს ჩვენ ვართ ქვეყანა, რომელსაც განვითარების ამ ეტაპზე ძალიან ბევრი პრობლემა აქვს გადასალახი. მათ შორის, ძალიან ბევრი ინფრასტრუქტურული და საჯარო საჭიროებები არის ამ*

ქვეყანაში მოსაგვარებელი. ტემპი, რომლითაც ქვეყანა ტრანსფორმაციას განიცდის, რა თქმა უნდა, დამაკმაყოფილებელი არავისთვის არ არის რადგან ქვეყანას აქვს ძალიან დიდი მემკვიდრეობა 90-იანი წლების სამოქალაქო ომიდან თუ ტერიტორიების დაკარგვიდან მოყოლებული. შესაბამისად, ჩვენ ძალიან ბევრი ინვესტიცია გვჭირდება, როგორც შიდა, ისე გარე, რომ ეკონომიკა იმგვარად დავაჩქაროთ, რომ შედეგები მივიღოთ.

ვფიქრობ, რომ ის სამუშაო რესურსი, რომელიც ქვეყანაში არის, შეგვიძლია ეფექტიანად გამოვიყენოთ და ჩვენ ვზრუნავთ, რომ ამ ადამიანების მდგომარეობა გაუმჯობესდეს. ასე რომ, ათობით ათასი სამუშაო ადგილი მიმდინარე წლის განმავლობაში იქნება მობილიზებული. უკვე არის ათობით ათასი სამუშაო ადგილი იდენტიფიცირებული. როგორც პრემიერმა განაცხადა, დაახლოებით 50 ათასი სამუშაო ადგილის მობილიზებას წლის განმავლობაში შევძლებთ. რატომ საზოგადოებრივი დასაქმება? რასაც კერძო სექტორი, ჩვენი ეკონომიკა ვერ აგენერირებს, ჩვენ უნდა შევავსოთ ჩვენი ინიციატივით, მაგრამ ეს უნდა იყოს გამიზნული სამუშაო ადგილები, რომელიც უნდა ემსახურებოდეს ჩვენი ქვეყნის ინტერესებს.“[49]

უნდა აღნიშნოს, რომ სოციალური უსაფრთხოების სისტემა საქართველოში ძირითადად სოციალური დახმარების (საარსებო შემწეობის) პროგრამაზე დგას. ეს უკანასკნელი 2006 წელს შეიქმნა და მას შემდეგ მრავალგზის შეიცვალა, თუმცა გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ ჩატარებული კვლევა[50] გვიჩვენებს, რომ იგი მაინც მნიშვნელოვანი ხარვეზებით ფუნქციონირებს – მაგალითად, პროგრამით მოცულია მოსახლეობის ყველაზე ღარიბი დეცილის მხოლოდ 54.3%. მოცემული ანალიზისთვის უფრო საგულისხმოა იმის აღნიშვნა, რომ არსებული სისტემა ორიენტირებულია საზოგადოების ყველაზე ღარიბ ფენაზე და მისი მიზანი არ არის უმუშევრობის პერი-

[49] https://www.interpressnews.ge/ka/article/695525-levan-davitashvilis-gancxadebit-socialurad-daucveli-mokalakeebis-dasakmebis-miznit-50-000-samushao-adgili-sheikmneba-xolo-saxelpaso-anazgaurebis-saxit-damatebit-300-lars-miigeben (უკანასკნელად გადამოწმდა 14.02.2022).

[50] გაეროს ბავშვთა ფონდის კვლევა https://www.unicef.org/georgia/ka

ოდში ადამიანების ფინანსური მხარდაჭერა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგადად, სოციალური დახმარების სისტემები, თავისი შინაარსით, სწორედ სიღარიბის შემცირებაზე ფოკუსირდებიან და ამდენად, მათი სამიზნე ყველაზე ღარიბი შინამეურნეობებია. შესაბამისად, არაფორმალურ სექტორში მომუშავეები, რომლებიც ზოგჯერ საშუალო ანაზღაურებაზე მეტს გამოიმუშავებენ, აღნიშნული სისტემის ფარგლებში ვერ ხვდებიან. საქართველოში ამ თემასთან დაკავშირებით ზუსტი მონაცემები არ არსებობს, თუმცა ჩატარებული კვლევები ადასტურებს, რომ საარსებო შემწეობის მიმღებთა ნაწილი არაფორმალურ ეკონომიკურ საქმიანობას ეწევა.[51] ცხადია, ეს არ ნიშნავს, რომ არსებული საარსებო შემწეობის სისტემა სრულად ფარავს არაფორმალურად და არასტანდარტულად დასაქმებულებს ქვეყანაში. შესაბამისად, ეს ადამიანები ყოველგვარი სოციალური დაცვის მექანიზმის გარეშე რჩებიან, რაც დროებითი ან ხანგრძლივი უმუშევრობის შემთხვევაში, მათ დიდი რისკის წინაშე აყენებს.

იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოში არ არსებობს უმუშევრობის პერიოდში შემოსავლების შენარჩუნების არცერთი სხვა ცნობილი მექანიზმი (არც უმუშევრობის დაზღვევის სისტემა და არც უმუშევრობის შემწეობა), შეიძლება ითქვას, რომ არც ფორმალურ სექტორში დასაქმებულების დაცულობის ხარისხია მაღალი. ამდენად, ნათელი ხდება, რომ არაფორმალურად დასაქმებულთა დიდი ნაწილი ვერც საარსებო შემწეობის სისტემიდან იღებს სარგებელს და ვერც იმ მცირე დაცულობით სარგებლობს, რასაც დაქირავებით დასაქმებულებს შრომითი კანონმდებლობა სთავაზობს. ეს კი ცხადად მიგვითითებს სოციალური უსაფრთხოების სისტემის რეფორმის აუცილებლობაზე.[52]

უმუშევრობის დაზღვევის ყველაზე გავრცელებული ალტერნატივა უმუშევრობის შემწეობაა. უმუშევრობის დაზღვევის ინსტიტუტის მსგავსად, მისი მთავარი მიზანია უმუშევრად

[51] სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა, 2016.

[52] უმუშევართა სოციალური უსაფრთხოება, როგორი უნდა იყოს დასაქმების პასიური პოლიტიკა საქართველოში (პოლიტიკის დოკუმენტი), EMC, თბ., 2020.

დარჩენილი ადამიანების ფინანსური მხარდაჭერა, თუმცა დაზღვევის სისტემისგან განსხვავებით, იგი ფინანსდება არა დასაქმებულთა და დამსაქმებელთა კონტრიბუციებით, არამედ ქვეყნის ბიუჯეტიდან. აღნიშნულ სისტემებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავება ასევე მდგომარეობს მათ ადმინისტრირებაში. თუ უმუშევრობის დაზღვევის სისტემა ბენეფიტის გაცემის წინაპირობად აყენებს პირის სამუშაო ისტორიას, შენატანების რაოდენობას და სამუშაოს დაკარგვის მიზეზს, უმუშევრობის შემწეობის სისტემა აღნიშნულ ფაქტორებს არა და ვერ ითვალისწინებს. მისთვის შემწეობის გაცემის წინაპირობაა ის, რომ პირის/ოჯახის შემოსავალი გარკვეულ (მინიმალურ) ნიშნულს მიღმა დაეცა. შესაბამისად, უმუშევრობის შემწეობის სისტემები თავისი არსით გულისხმობს პირის/ოჯახის შემოსავლების შეფასებას (ე. წ. means-test). აღნიშნულის გათვალისწინებით, უმუშევრობის შემწეობის სისტემების ადმინისტრირება, შესაძლოა, გაცილებით ძვირი დაჯდეს, ვიდრე უმუშევრობის დაზღვევის, რადგან საჭიროა არა მხოლოდ პირველადი შეფასება, არამედ დახმარების მიმღების შემოსავლების მუდმივი მონიტორინგი შემწეობის გაცემის პერიოდში. გარდა აღნიშნული ადმინისტრაციული ხარჯისა, თავად ბენეფიციარებზე გაცემული თანხაც, ცხადია, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს პროგრამის საერთო ხარჯებზე. მნიშვნელოვანია, ერთმანეთისგან გავმიჯნოთ უმუშევრობის შემწეობა და სოციალური დახმარება (საარსებო შემწეობა), იმდენად, რამდენადაც ხშირია მათი ერთმანეთში აღრევა. ამ სისტემებს ნამდვილად ბევრი საერთო აქვთ: ორივე მათგანი საერთო გადასახადებიდან ფინანსდება (და არა სადაზღვევო ფონდში შენატანებით) და ორივეს შემთხვევაში იმის დასადგენად, იმსახურებს თუ არა პირი დახმარებას, ფასდება მისი შემოსავლები. თუმცა ეს პროგრამები სხვადასხვა ფუნქციას ემსახურება – სოციალური დახმარების პროგრამის მთავარი ორიენტირი სიღარიბის შემცირებაა, ხოლო უმუშევრობის შემწეობის სისტემა უმუშევრობის პერიოდში მოქალაქის ფინანსურ უსაფრთხოებას უზრუნველყოფს.[53]

[53] უმუშევართა სოციალური უსაფრთხოება, როგორი უნდა იყოს დასაქმების პასიური პოლიტიკა საქართველოში (პოლიტიკის დოკუმენტი), EMC, თბ., 2020.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში საარსებო შემწეობა ხშირად იგივდება უმუშევრობის შემწეობასთან. ასეთი მიდგომა კი, ცხადია, არასწორია. ამის მიზეზი, პირველ რიგში, ის გახლავთ, რომ არსებული სოციალური დახმარება, თავისი არსით, ოჯახების სიღარიბისგან დაცვის საშუალებაა და მას ძალიან სუსტი კავშირი აქვს პირის დასაქმება/უმუშევრობის საკითხთან. სოციალური დახმარების მისაღებად განაცხადის მიღების შემდეგ სახელმწიფო აფასებს ოჯახს (და არა ინდივიდს) იმის დასადგენად, თუ რამდენად ღარიბია ეს ოჯახი. ამ შეფასებაში ფიგურირებს კითხვა ოჯახში არსებული შრომისუნარიანი პირების რაოდენობის შესახებ, თუმცა ეს კითხვა არ ნიშნავს, რომ შრომისუნარიანი პირის არსებობის შემთხვევაში, მოცემული ოჯახი ვერ მიიღებს სოციალურ დახმარებას. როგორც უკვე ითქვა, სისტემა აფასებს ოჯახის მოხმარებას, მის ხარჯებს და ითვალისწინებს მის მიკუთვნებულობას სოციალურად მოწყვლადი ჯგუფებისადმი. სწორედ ეს არის შემწეობის დანიშვნის საფუძველი და არა ოჯახის წევრების მიერ სამუშაოს ქონა/არქონა. აღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ქვეყანაში არსებობდეს ფინანსური დახმარების ისეთი პროგრამა (მაგალითად, უმუშევრობის შემწეობა), რომლის მთავარი სამიზნე ჯგუფი არა „ყველაზე ღარიბი“ მოსახლეობა, არამედ „დროებით უმუშევარი“ პირები იქნებიან. ეს, როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალურ სექტორში დასაქმებულებს (რომლებიც არ შედიან „ყველაზე ღარიბთა“ ჯგუფში) შესაძლებლობას მისცემდა, გარკვეული ფინანსური უსაფრთხოებით ესარგებლათ დროებითი უმუშევრობის პერიოდებში.[54] ამისთვის მნიშვნელოვანია ერთმანეთისგან გაიმიჯნოს შრომისუნარიანი და შრომისუუნარო საარსებო შემწეობის მიმღები პირები. ეს თავისთავად გულისხმობს შრომისუნარიანობის განსაზღვრების შემუშავებას და მის პრაქტიკაში გამოყენებას ახალი შემთხვევების შეფასებისას.

ზოგადად, იმ ქვეყნებში, სადაც დიდია არასტანდარტული და არაფორმალური მშრომელების რაოდენობა, ზოგადი რეკომენდაციაა, მოქალაქეების სოციალური უსაფრთხოება

[54] უმუშევართა სოციალური უსაფრთხოება, როგორი უნდა იყოს დასაქმების პასიური პოლიტიკა საქართველოში (პოლიტიკის დოკუმენტი), EMC, თბ., 2020.

მაქსიმალურად არ იყოს მიბმული მათი დასაქმების სტატუსსა და ფორმაზე.[55] ხოლო იმ შემთხვევაში, თუ სოციალურად დაუცველთა დასაქმების პოლიტიკა ირიბად კავშირში უნდა იყოს სოციალური შემწეობის მიღებასთან, მნიშვნელოვანია რომ წინმსწრებად სახელმწიფომ განახორციელოს რიგი რეფორმებისა. მაგალითად, შეიმუშაოს შესაბამისი მექანიზმი, რომლითაც შესაძლებელი უნდა იყოს საარსებო შემწეობის მიმღებთა შორის შრომისუნარიანი პირების გამოვლენა. ასევე მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული რეფორმა ჩატარდეს არა ერთიანად, არამედ ეტაპობრივად.

2.2. შრომის ბაზარი და დასაქმების გამოწვევები საქართველოში

სიღარიბე საქართველოსთვის ერთ-ერთი უდიდესი გამოწვევაა, რაც პირდაპირ კავშირშია დასაქმების საკითხთან. აღნიშნული, მათ შორის, დადასტურდა სოციოლოგიური კვლევით, რომელიც ჩატარდა ფრიდრიხ ებერტის ფონდის მხარდაჭერით.[56] კვლევის საფუძველზე მოქალაქეების აბსოლუტური უმეტესობა უმთავრეს პრობლემად სწორედ დასაქმებას ასახელებს. ასევე, კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, რომელშიც ბიზნესიც იყო ჩართული, შეიძლება ითქვას, რომ მიმდინარე პერიოდში, ქვეყნის უმთავრეს გამოწვევად რჩება დასაქმების მაძიებელთა მაღალი რაოდენობა, გამოუყენებელი სამუშაო რესურსი და დისბალანსი პროფესიების მოთხოვნა-მიწოდებას შორის.[57]

მნიშვნელოვანია სოციალურად დაუცველი ადამიანების მოტივირება და მათთვის ისეთი სამუშაოს შეთავაზება,

---

[55] უმუშევართა სოციალური უსაფრთხოება, როგორი უნდა იყოს დასაქმების პასიური პოლიტიკა საქართველოში (პოლიტიკის დოკუმენტი), EMC, თბ., 2020; OECD, 2018.

[56] Structure of unemployment and structural unemployment in Georgia; Friedrich Ebert Stiftung. 2016.
http://www.fes-caucasus.org/news-list/e/structure-of-unemployment-and-structural-unemployment-in-georgia/

[57] Tavartkiladze M. Employment Challenges in Georgia, Kyiv National University named after Vadim Hetman. V International Scientific and Practical Conference Proceedings: Strategic Imperatives of Modern Management, 2020, pp. 350-354, ISBN 978-966-926-325-1.

რომ შეძლონ ღირსეულად საკუთარი თავისა და ოჯახების რჩენა, საკუთარი პროფესიული უნარების განვითარება.

საქართველოს პარლამენტმა 2020 წლის ზაფხულში მიიღო „საქართველოს კანონი დასაქმების ხელშეწყობის შესახებ“. იგი ძალაში შევიდა 2021 წლის პირველ სექტემბერს.

საქართველოში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები ეფუძნებოდა კვლევას, რომელიც ჩატარდა გერმანული და ავსტრიული გამოცდილებისა და ქართული სპეციფიკის გათვალისწინებით.

წინასწარი შეფასებით საკანონმდბლო რეფორმის განხორციელება ხელს შეუწყობს, ერთი მხრივ, სამუშაოს მაძიებლების დასაქმებას და მეორე მხრივ, ბიზნესს, დასაქმებული ჰყავდეს კვალიფიციური კადრები. ის, ასევე, ხელს შეუწყობს ბიზნესისა და განათლების მოთხოვნა-მიწოდებას შორის ბალანსის უზრუნველყოფას. მისი მოსალოდნელი შედეგია არა მხოლოდ დასაქმებული მოქალაქეების რაოდენობის ზრდის უზრუნველყოფა, არამედ, საზოგადოებაში სოციალური ფონის გაუმჯობესება და ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა.

ჯერ კიდევ კანონპროექტზე მუშაობისას ჩატარებული სისტემური ანალიზის შედეგად ჩამოყალიბდა საკანონმდებლო რეგულაციების კონცეფტუალური სიახლეები:

- დასაქმების ხელშეწყობის აქტიური და სისტემური პოლიტიკის წარმოება;
- იმგვარი დასაქმების ხელშემწყობი სისტემის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს ბიზნესის მოთხოვნების შესაბამისი განათლების მქონე ადამიანურ რესურსს;
- უმუშევარ პირთა მოტივაციის ამაღლება, გახდეს დასაქმებული; მათი პროფესიული კვალიფიკაციის გაუმჯობესებასა და გააქტიურებაზე ზრუნვა.
- დასაქმების სახელმწიფო სერვისების მიღება ერთი ფანჯრის პრინციპით.
- სამუშაოს მაძიებლის კვალიფიკაციიდან და შესაძლებლობებიდან გამომდინარე დასაქმების შანსების შეფასება და მისთვის შესაბამისი ალტერნატივების შეთავაზება როგორიცაა:

✓ შესაბამისი სამუშაო ადგილი;

- ✓ პროფესიული სასწავლებელი და შემდეგ შესაბამისი სამუშაო ადგილი;
- ✓ ანაზღაურებადი სტაჟირება და ხელფასის სუბსიდირება;
- ✓ ბიზნესის წამოწყების ყველა არსებული სახელმწიფო პროგრამა;
- ✓ საზღვარგარეთ დასაქმება (შრომითი მიგრაცია).

კანონმა დაადგინა დასაქმების ხელშეწყობის ერთიანი პრინციპები, როგორიცაა: დასაქმების ხელშემწყობი საქმიანობის ინდივიდულიზაცია, საქმიანობის არჩევანის თავისუფლება, დისკრიმინაციის აკრძალვა, მიუკერძოებლობა, სამუშაოს მაძიებლის მოტივაცია, საჯარო-კერძო პარტნიორობა, დასაქმების ხელშეწყობის უფასო სახელმწიფო სერვისი, ერთი ფანჯრის პრინციპი.

დასაქმების ხელშეწყობის შესახებ კანონის მესამე თავით განისაზღვრა დასაქმების ხელშეწყობის შემდეგი ძირითად ფორმები: დამსაქმებლებისა და სამუშაოს მაძიებელთა ერთმანეთთან დაკავშირება, დასაქმება, შრომის ანაზღაურების სუბსიდირებით დასაქმება, სტაჟირება, საზღვარგარეთ დასაქმება (შრომითი მიგრაცია).

დასაქმების ხელშეწყობის რეფორმა ქმნის დასაქმების ხელშეწყობის ღონისძიებათა ისეთ ეფექტიან სისტემას, რომელიც ემსახურება სამუშაოს მაძიებლის ხელშეწყობას, გახდნენ დასაქმებულები. კანონით გათვალისიწნებული დასაქმების ხელშეწყობის პროცედურული ღონისძიებები გულისმობს სამუშაოს მაძიებლად რეგისტრაციას, რეგისტრირებულ პირთა მონაცემების დამუშავებას, სამუშაოს მაძიებელთა ინფორმირებას და კონსულტირებას, მათი დასაქმების შანსების შეფასებას და პროფილირებას, კარიერული განვითარების ინდივიდუალური გეგმის შედგენას, სამუშაოს მაძიებელთა გადამზადებას, სამუშაოს მაძიებლის დასაქმებას, დამსაქმებელთა საჭიროებების კვლევას, დამსაქმებელთა ხელშეწყობას და მოტივაციისა და ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდას. გარდა ამისა, იგი ითვალისწინებს დამსაქმებელთა ხელშეწყობასა და მათი მოტივაციის გაზრდას, დაასაქმოს მეტი მოქალაქე.

კანონი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მოწყვლადი ჯგუფების უფლებებს. მათ შორის, აღსანიშნავია შესაბამისი რეგულაციები სოციალური დახმარების მიმღები პირების მიმართ. ახალი კანონის თანახმად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები სარგებლობენ შრომის ბაზარზე უპირატესი დაცვის უფლებით, მათ აქვთ პროფესიული რეაბილიტაციის უფლება, რომელიც, თავის მხრივ, უზრუნველყოფილია დასაქმების სააგენტოს მიერ. სწორედ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის კანონი ითვალისწინებს დაცული სამუშაო ადგილების შექმნას. დაცული სამუშაო ადგილი წარმოადგენს დამსაქმებლის მიერ, დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოსთან შეთანხმებით, იმგვარი სამუშაო გარემოს შექმნას, რომელიც შშმ პირისათვის არის ადაპტირებული. დაცული სამუშაო გარემოს ადაპტირების ან შექმნისთვის სააგენტო უფლებამოსილია მოახდინოს დამსაქმებლის სუბსიდირება, იმ პირობით, რომ სამუშაო გარემო უნდა ფუნქციონირებდეს სულ მცირე 3 წლით.

რეფორმის ფარგლებში განსაზღვრულია სამუშაოს მაძიებლისა და დამსაქმებლის უფლებები და ვალდებულებები, რომლებიც უზრუნველყოფენ, ერთი მხრივ, დამსაქმებელთა საჭიროებების გამოვლენას და მათზე რეაგირებას, ხოლო, მეორე მხრივ, სამუშაოს მაძიებელთა მოტივაციას და მათ დასაქმებას.

კანონის მიხედვით საქართველოს პარლამენტი, როგორც ქვეყანაში საშინაო პოლიტიკის მთავარი განმსაზღვრელი, ადგენს აქტიური შრომის ბაზრის პოლიტიკის წარმოების, მისი დაგეგმვისა და ანალიზის ძირითად საკანონმდებლო საფუძვლებს. აქტიური შრომის ბაზრის პოლიტიკის ეფექტიანი განხორციელების მიზნით იგი ითვალისწინებს საქართველოს მთავრობის მიერ შესაბამისი ზომების მიღებას. მაგალითად, უწყებათაშორისი საკოორდინაციო მექანიზმის შექმნას. კანონის თანახმად, აღმასრულებელი ხელისუფლება უზრუნველყოფს აქტიური შრომის ბაზრის პოლიტიკის ერთიან ანალიზს, უწყებებს შორის ინფორმაციის გაცვლას და მის შემდგომ დაგეგმვას.

კანონით დადგენილია დასაქმების ხელშეწყობის საკითხებზე პასუხისმგებელი ინსტიტუტები და ამასთან ერთად, დასაქმების ხელშეწყობის განმახორციელებელ სისტემა, რომლის მიხედვით დასაქმების ხელშემწყობი ღონისძიებების შესრულება ხდება საჯარო და კერძო სექტორის პარტნიორობის საფუძველზე. კანონის მიზნების ეფექტიანად შესრულებისათვის, იგი უშვებს შესაძლებლობას, ხელშეკრულების საშუალებით დასაქმების ხელშეწყობის საქმიანობის განსაზღვრული ფუნქციის ან სამუშაოს შესრულება განსახორციელებლად გადაეცეს არამომგებიან (არასამეწარმეო) იურიდიულ პირს.

საკანონმდბლო რეფორმას ბიძგი მისცა საქართველოსა და ევროკავშირს ასოცირების შესახებ შეთანხმებამ, რომლის 227-ე, 229-ე მუხლების, 239-ე მუხლის h ქვეპუნქტის, 349-ე მუხლის b, c, d ქვეპუნქტების, 360-ე მუხლის a, b ქვეპუნქტების თანახმად, ხელისუფლებას აკისრია საკუთარი მოქალაქეების მიმართ პოზიტიური ნაბიჯების გადადგმის ვალდებულებები დასაქმების აქტიური პოლიტიკის წარმოებისას.

საქართველოს სახელმწიფოს მიერ გატარებული დასაქმების პოლიტიკისა და მისი შედეგებით დაინტერესება განაპირობა იმ გარემოებამ, რომ სახელმწიფოს მხრიდან დასაქმების ხელშემწყობი ღონისძიებების გატარება იწვევს სამუშაო ბაზრის ეფექტიან სტიმულირებას, რაც, თავის მხრივ, დადებითად აისახება მოქალაქეების კეთილდღეობაზე. [58]

აღსანიშნავია, რომ საქართველოში წარმოდგენილი საერთაშორისო ორგანიზაციებიდან რამდენიმე აქტიურად მუშაობს საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მიმართულებით არსებულ პრობლემატიკაზე. ასე მაგალითად, „ფრიდრიხ ებერტის ფონდის წარმომადგენლობა საქართველოში“. ფონდის საქმიანობის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას „სოციალური სამართლიანობა, ეკონომიკა და შრომითი უფლებები“ წარმოადგენს[59]. ფონდის ხელშეწყობით

[58] Tavartkiladze M. Georgia's employment policy in the context of efficiency and fairness, International Conference materials, Department of European Integration and Legal Studies, Collegium of World Economy. SGH Warsaw School of Economics, 2020.
[59] http://www.fes-caucasus.org/?L=2

განხორციელებულია არაერთი კვლევა, რომელიც საქართველოს მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას ასახავს და არსებული მდგომარეობიდან გამოსავლის შესაძლებლობებს იკვლევს[60]. (წინამდებარე ნაშრომის მომზადებისას გაწეული მხარდაჭერისთვის ფონდს ვუხდით გულითად მადლობას).

აღსანიშნავია, რომ საქართველოში სოციალური დახმარების მიმღები ნახევარი მილიონი პირია. ძალიან ხშირია შემთხვევა, როდესაც შრომისუნარიანი პირი, სახელმწიფოს მხრიდან სოციალური შემწეობის მიღების / შენარჩუნების მიზნით, უარს ამბობს სამუშაოს ძიებასა და დასაქმებაზე. ხანგრძლივი უმუშევრობის შედეგად შრომისუნარიანი მოსახლეობის დიდი ნაწილი დეკვალიფიცირებულია და რჩება სამუშაო ძალის მიღმა. გამოუყენებელი სამუშაო ძალა ხელს უშლის როგორც ბიზნესის, ასევე, ზოგადად ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას.

საქართველოში დასაქმების ბაზარზე არსებული ვითარების, გამოწვევების და სამომავლო შესაძლებლობების გამოსავლენად გავაანალიზეთ სანდო სტატისტიკურ მონაცემთა ბაზა. დასაქმების ბაზარზე ინტეგრაციის შანსების შეფასება მოვახდინეთ გამოკითხვის კონკრეტული პერიოდისთვის. კვლევაში წარმოდგენილი არიან მოქალაქეები ყველა ასაკობრივი ჯგუფიდან, მრავალფეროვანი კრიტერიუმებითა და ნიშან-თვისებებით.

დასაქმების შანსების შესწავლა მოხდა ისეთი სტატისტიკურ-ეკონომეტრიკული მეთოდების გამოყენებით, როგორიცაა: ექსპერტული შეფასება, ცვლადების აღწერით-სტატისტიკური ანალიზი, შანსების ფარდობის ლოგისტიკური მოდელები.

გამოკვლეულ იქნა ინდივიდუალური უნარ-ჩვევებისა და ნიშან-თვისებების მაჩვენებელი ცვლადები, როგორიცაა ინდივიდის ასაკი, სქესი, განათლება, საქმიანობის სახეობა და თანამდებობა და ყველა მსგავსი კატეგორიის ცვლადი, რომლებიც ექსპერტული შეფასებით მნიშვნელოვანი ცვლადებია.

[60] http://www.fes-caucasus.org/publications/?L=2

საანალიზოდ გამოყენებულია ლოგისტიკური რეგრესიის განტოლება, რომელიც შემდეგნაირად გამოიყურება:

$$z_i = \ln\left(\frac{P_i}{1 - P_i}\right) = \alpha + \beta_1 x_1 + \cdots + \beta_n x_n$$

სადაც, დამოკიდებული, ანუ მარცხენა მხარის ცვლადი გვიჩვენებს მოვლენის მოხდენის ალბათობის შეფარდებას მისი არმოხდენის ალბათობასთან, ჩვენს შემთხვევაში – დასაქმების ალბათობის ფარდობას უმუშევრობის ალბათობასთან. დამოკიდებული ცვლადები დასაქმების ცვლადზე ახდენენ დადებით ან უარყოფით ზემოქმედებას და შესაბამისად ამ ცვლადების ცვლილების გავლენით დასაქმების შანსები იზრდება ან მცირდება.

ანალიზი ჩატარდა სამ ბაზაზე – თბილისის მასშტაბით გამოკითხულთა დიდი ბაზა, რომელიც მოიცავს 6000 ოჯახის გამოკითხვას საქართველოს მასშტაბით, თბილისში გამოკითხულთა 502 შინამეურნეობიანი ბაზა და იგივე ბაზა შინამეურნეობების ოჯახის წევრების გათვალისწინებით. პირველი და მესამე ბაზა სტრუქტურულად მსგავსია, მათ შორის ტერიტორიული მასშტაბის მიხედვით არის განსხვავება, ამიტომ მათი ანალიზი წარიმართა შემდეგი მიმართულებით: მოდელირება ჩატარდა მსგავსი მეთოდებით და დაიტესტა მსგავსი ცვლადები, რათა გამოგვევლინა ლოკალური თავისებურებები, რომლებიც დასაქმების ბაზარზე ინტეგრაციისთვის მნიშვნელოვანია.

ამ შემთხვევაში ლოგისტიკური რეგრესიის ასაგებად შეირჩა ისეთი შემთხვევითი სიდიდეები, როგორიცაა ინდივიდის სქესი, ასაკი, განათლება და საქმიანობის სახე. სქესი არის ბინარული ცვლადი, ასაკი უწყვეტი რიცხვითი ცვლადია, განათლება და საქმიანობის სახის ცვლადები ორდინალურ კატეგორიას მიეკუთვნება, ანუ არის მრავალდონიანი თვისებრივი ცვლადები.

რაც შეეხება მეორე ბაზას, იგი არის შინამეურნეობების ბაზა. მასში ჩაწერილია გამოკითხვის შედეგები 502 შინამეურნეობის და კერძოდ, შინამეურნეობაში გამოკითხული პირის შესახებ. გამოსაკითხი პირების შერჩევა განხორციელდა

უმუშევრობის კრიტერიუმზე დაფუძნებით, კერძოდ, შინამეურ-ნეობის გამოკითხულ პირთაგან კვლევის ჩატარების მომენ-ტში ყველა უმუშევარია.

კვლევის მიზანია გამოვლინდეს სოციალურ-ეკონომი-კური და დემოგრაფიული ფაქტორები, რომლებსაც დიდი გავლენა აქვთ უმუშევრობაზე, რაც მოგვცემს საშუალებას, რელევანტური რეკომენდაციები და დასკვნები შევიმუშავოთ ამ ეკონომიკური მოვლენის სწორად და მიზნობრივად სამარ-თავად.

გამოსაკვლევი ჰიპოთეზა შემდეგნაირად ყალიბდება: მიზნობრივ ცვლადად აღებულია სამუშაოს შეთავაზების ცვლადი გამოკითხულ უმუშევარ პირებზე. შანსების ლოგის-ტიკური მოდელის ფარგლებში ვიკვლევთ ფაქტორებს, რომ-ლებიც ზრდის დამსაქმებლების მხრიდან სამუშაოს შეთავა-ზების შანსებს.

გამოკითხული 502 პირიდან 276 სამუშაოს შეთავაზება არ ჰქონია, ხოლო 213 ჰქონდა, მაგრამ გარკვეული მიზეზე-ბით უარი თქვა.

ლოგისტიკური ანალიზი

დასაქმების შანსების გამოსაკვლევად შემოწმდა მიზ-ნობრივი ცვლადის ვარიაციაზე ცალკეული ამხსნელი ცვლა-დის ვარიაციის ზეგავლენა და დაიტესტა თითოეული ამხსნე-ლი ცვლადის გავლენის ზომა და მიმართულება ასახსნელ ცვლადზე.

დასაქმების შეთავაზებაზე ზემოქმედების თვალსაზრი-სით გამოკვლეულ იქნა ისეთი მნიშვნელოვანი ამხსნელი ცვლადები, როგორიცაა: სქესი, ასაკი, განათლება, სამოქა-ლაქო სტატუსი, მართვის მოწმობის ქონა, ოჯახში დასაქმე-ბულთა და უმუშევართა რაოდენობა, სოციალურად დაუცვე-ლის სტატუსი, შინამეურნეობის ზომა, პროფესია, ენების ცოდნა: ქართული, ინგლისური, რუსული, გერმანული, თურქუ-ლი, საოფისე პროგრამების ცოდნა, საბუღალტრო პროგრა-მების ცოდნა, სხვადასხვა უნერ-ჩვევები, სამუშაო გამოცდი-ლება, პროფესიით სამუშაო გამოცდილება, უმუშევრობაში გატარებული წლების რაოდენობა, სამუშაოს ძებნის / პირვე-ლად ძებნის სტატუსი, ვის მიმართა უმუშევრმა პირმა დახმა-

რებისთვის სამუშაოს დასაწყებად, ჰქონია თუ არა სამუშაოს შეთავაზება, რა არის ინდივიდის სასურველი ხელფასი, სურს თუ არა სტაჟირების გავლა, ასევე, სახელმწიფო პროგრამებით გადამზადება, წარსულში ბიზნესის წამოწყების მცდელობა თუ ჰქონია და ახლა თუ აქვს ბიზნესის დაწყების სურვილი.

ქვემოთ ჩატარებული ანალიზები მხოლოდ იმ ცვლადებს მოიცავს, რომლებმაც დასაქმების შეთავაზების ცვლადზე სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ზეგავლენა აჩვენა.

ცვლადები, რომლებიც დასაქმების შეთავაზების შანსებზე ზემოქმედი სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ამხსნელები არ გამოდგა, ანალიზიდან ამოღებულ იქნა.

მნიშვნელოვანი ცვლადებისთვის ლოგისტიკური რეგრესიები ცალ-ცალკე ავაგეთ და მათი ვარიაციების კერძო გავლენები შევაფასეთ.

ასაკის ცვლადი სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ცვლადია. მოდელში 1 მოცემულია ლოგისტიკური მოდელი, რომელიც გვიჩვენებს დასაქმების შეთავაზების ცვლადის ვარიაციაზე ასაკის ცვლადის გავლენის მიმართულებასა და ზომას. როგორც მოდელი, ისე ასაკის ცვლადი სტატისტიკურად მნიშვნელოვანია. 1 წლით ასაკის მომატება დასაქმების შეთავაზების შანსებს ამცირებს 0.035 რიცხვითი მნიშვნელობით.

მოდელი 1. ასაკის ცვლადის კერძო გავლენა

```
Call:
glm(formula = Class ~ age, family = binomial(link = "logit"),
 data = dat, maxit = 100)
Deviance Residuals:
 Min 1Q Median 3Q Max
-1.3325 -1.0873 -0.7783 1.1625 1.7831
Coefficients:
 Estimate Std. Error z value Pr(>|z|)
(Intercept) 0.930351 0.262747 3.541 0.000399 ***
age -0.035811 0.007556 -4.739 2.14e-06 ***
---
Signif. codes: 0 ‘***’ 0.001 ‘**’ 0.01 ‘*’ 0.05 ‘.’ 0.1 ‘ ’ 1
(Dispersion parameter for binomial family taken to be 1)
 Null deviance: 664.66 on 484 degrees of freedom
Residual deviance: 640.72 on 483 degrees of freedom
 (17 observations deleted due to missingness)
AIC: 644.72
Number of Fisher Scoring iterations: 4
```

ასაკის ცვლადის ჰისტოგრამას თუ შევხედავთ (ნახ.1), გამოკითხულთა უმრავლესობა ახალგაზრდა ასაკობრივ კატეგორიებს მიეკუთვნება, ამიტომ ლოგიკურია ვიფიქროთ, რომ ასაკის მატება მათი დასაქმების შანსებზე უარყოფითად არ უნდა აისახებოდეს. მაგრამ როგორც ვხედავთ, ყველაზე მაღალი სიხშირე ფიქსირდება 16-22 ასაკობრივ ჯგუფებში, სადაც არიან მოსწავლეები, აბიტურიენტები და სტუდენტები, რომელთათვისაც დასაქმების შეთავაზების შანსები ლოგიკურია, მაღალი არ არის. ასევე, არცთუ მცირეა გამოკითხულთა განაწილება 45 და მეტ ასაკობრივ კატეგორიებში. აქედან გამომდინარე, ასაკის ცვლადის გავლენის ზომა და მიმართულება დასაქმების შეთავაზების შანსებზე ბუნებრივად გამოიყურება.



ნახ. 1. შერჩევის განაწილება ასაკის ცვლადის მიხედვით

აღსანიშნავია, რომ სამუშაოს შეთავაზების შანსებზე სამუშაო გამოცდილებამ მცირე უარყოფითი გავლენა გვიჩვენა.

მოდელი 2. სამუშაო გამოცდილების კერძო გავლენა

```
Call:
glm(formula = Class ~ experience, family = binomial(link = "logit"),
 data = dat, maxit = 100)
Deviance Residuals:
 Min 1Q Median 3Q Max
-1.1409 -1.1098 -0.9242 1.2260 1.6985
Coefficients:
 Estimate Std. Error z value Pr(>|z|)
(Intercept) -0.08650 0.11323 -0.764 0.4449
experience -0.02715 0.01089 -2.493 0.0127 *
---
Signif. codes: 0 ‘***’ 0.001 ‘**’ 0.01 ‘*’ 0.05 ‘.’ 0.1 ‘ ’ 1
(Dispersion parameter for binomial family taken to be 1)
 Null deviance: 663.00 on 483 degrees of freedom
Residual deviance: 656.38 on 482 degrees of freedom
 (18 observations deleted due to missingness)
AIC: 660.38
Number of Fisher Scoring iterations: 4
```

უმუშევრობის პერიოდში ვისაც მცდელობა ჰქონია საკუთარი ბიზნესის წამოწყების, მიმდინარე დასაქმების შეთავაზების შანსებზე ამ მოვლენას სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ზეგავლენა არ აქვს. 10%-იანი შეცდომის ალბათობით, ვისაც საკუთარი ბიზნესის წამოწყება არ უცდია, მათთვის სამსახურის შეთავაზების შანსები 0.3-ით მაღალია. რაც შეეხება ბიზნესის წამოწყების სურვილს მიმდინარე უმუშევრობის პერიოდში, ვისაც აქვს სურვილი, რომ საკუთარი ბიზნესი წამოიწყოს, მათთვის დასაქმების შეთავაზების შანსები 0.5-ით მაღალია. კოეფიციენტი სტატისტიკურად მნიშვნელოვანია.

მოდელი 3. საკუთარი ბიზნესის წამოწყების სურვილის გავლენა დასაქმების შეთავაზებაზე

```
Call:
glm(formula = Class ~ ownbusiness, family = binomial(link = "logit"),
 data = dat, maxit = 100)

Deviance Residuals:
 Min 1Q Median 3Q Max
-1.1855 -0.9751 -0.9751 1.1693 1.3942
Coefficients:
 Estimate Std. Error z value Pr(>|z|)
```

```
(Intercept) -0.4964 0.1281 -3.875 0.000107 ***
ownbusiness2 0.5155 0.1883 2.737 0.006195 **
---
Signif. codes: 0 '***' 0.001 '**' 0.01 '*' 0.05 '.' 0.1 ' ' 1
(Dispersion parameter for binomial family taken to be 1)
 Null deviance: 642.22 on 468 degrees of freedom
Residual deviance: 634.67 on 467 degrees of freedom
 (33 observations deleted due to missingness)
AIC: 638.67
Number of Fisher Scoring iterations: 4
```

შემდეგი სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ცვლადია უმუშევრობაში გატარებული წლების ხანგრძლივობა. ცვლადის სტატისტიკური შეჯამება შემდეგნაირად გამოიყურება:

```
  Min. 1st Qu.  Median    Mean 3rd Qu.    Max.    NA's
 0.000   0.500   2.000   3.231   4.000  32.000     116
```

გამოკითხულთა შორის საშუალო უმუშევრობის ხანგრძლივობაა 3 წელი, მედიანური 2 წელი. ყველაზე მაღალი უმუშევრობის ხანგრძლივობა დაფიქსირდა 32 წელი.

უმუშევრობის წლების მიხედვით გამოკითხულთა განაწილება ჰისტოგრამაზე შემდეგნაირად გამოიყურება:



ნახ. 2. გამოკითხულთა განაწილება უმუშევრობის წლების მიხედვით

ყველაზე მეტი გამოკითხული აღმოჩნდა ოთხწლიანი უმუშევ-
რობის კატეგორიაში, შემდეგ ნახევარწლიან უმუშევრობაში,
და შემდეგ მიმდევრობით მოყვება 1, 2 და 3 წლიანი უმუშევ-
რობის კატეგორიები.

უმუშევრობის ხანგრძლივობის შანსების კერძო მოდე-
ლის მიხედვით, უმუშევრობის ერთი წლით გაზრდა დასაქმე-
ბის შეთავაზების შანსს 0.1-ით ამცირებს. ეს ნიშნავს, რომ
შრომისუნარიანი სამუშაო ძალის დიდხანს უმუშევრობაში
დარჩენა პერსპექტივაში გაცილებით მეტი უარყოფითი
შედეგის მომტანი შეიძლება იყოს და რეკომენდებულია ხელი
შეეწყოს უმუშევრობიდან დროულად გამოსვლის ღონისძიე-
ბებს.

**მოდელი 4. უმუშევრობის ხანგრძლივობის კერძო გავლენა დასაქმე-
ბის შეთავაზებაზე**

```
Call:
glm(formula = Class ~ unempduration, family = binomial(link = "logit"),
 data = dat, maxit = 100)
Deviance Residuals:
 Min 1Q Median 3Q Max
-1.189 -1.066 -1.026 1.208 1.822
Coefficients:
 Estimate Std. Error z value Pr(>|z|)
(Intercept) 0.02733 0.14026 0.195 0.84549
unduretaion -0.09841 0.03463 -2.842 0.00448 **
---
Signif. codes: 0 ‘***’ 0.001 ‘**’ 0.01 ‘*’ 0.05 ‘.’ 0.1 ‘ ’ 1
(Dispersion parameter for binomial family taken to be 1)
 Null deviance: 526.95 on 384 degrees of freedom
Residual deviance: 515.73 on 383 degrees of freedom
 (117 observations deleted due to missingness)
AIC: 519.73
Number of Fisher Scoring iterations: 4
```

მოდელი 5. უნარების კერძო გავლენა დასაქმების შეთავაზებაზე

```
Call:
glm(formula = Class ~ skills, family = binomial(link = "logit"),
 data = dat, maxit = 100)
Deviance Residuals:
 Min 1Q Median 3Q Max
-1.4823 -1.0432 -0.9331 1.1688 1.8930
Coefficients:
```

```
 Estimate Std. Error z value Pr(>|z|)
(Intercept) 0.08192 0.15307 0.535 0.5925
skills2 -0.40616 0.24514 -1.657 0.0975 .
skills3 -0.48738 0.34062 -1.431 0.1525
skills4 -0.68805 0.33059 -2.081 0.0374 *
skills5 -0.51270 0.38776 -1.322 0.1861
skills6 -0.62091 0.36949 -1.680 0.0929 .
skills7 -0.08192 0.52291 -0.157 0.8755
skills8 -0.48738 0.92562 -0.527 0.5985
skills9 0.61123 1.23427 0.495 0.6204
skills10 -1.69136 0.78958 -2.142 0.0322 *
---
Signif. codes: 0 ‘***’ 0.001 ‘**’ 0.01 ‘*’ 0.05 ‘.’ 0.1 ‘ ’ 1
(Dispersion parameter for binomial family taken to be 1)
 Null deviance: 666.31 on 485 degrees of freedom
Residual deviance: 653.73 on 476 degrees of freedom
 (16 observations deleted due to missingness)
AIC: 673.73
Number of Fisher Scoring iterations: 4
```

როგორც კვლევამ გამოავლინა, საოფისე პროგრამების ცოდნა კვლევის არეალში ხელს უწყობს ინდივიდებს დასაქმების შანსების გაზრდაში. კერძოდ, როგორც მოდელი გვიჩვენებს, საოფისე პროგრამების ცოდნა 1-ლ, მე-2 და მე-3 დონეზე დასაქმების შანსებს მნიშვნელოვნად ზრდის და მათ შორის, ყველაზე მეტად მეორე დონეზე ცოდნა. პირველ დონეზე ცოდნა 0.85-ით ზრდის, მეორე დონეზე ცოდნა – 1.11-ით, ხოლო მესამე დონეზე ცოდნა – 0.63 -ით.

მოდელი 6. საოფისე პროგრამების ცოდნის გავლენა დასაქმების შეთავაზებაზე

```
Call:
glm(formula = Class ~ Office, family = binomial(link = "logit"),
 data = dat, maxit = 100)
Deviance Residuals:
 Min 1Q Median 3Q Max
-1.3332 -1.1243 -0.8756 1.2315 1.5128
Coefficients:
 Estimate Std. Error z value Pr(>|z|)
(Intercept) -0.7610 0.1604 -4.743 2.11e-06 ***
Office1 0.8563 0.3481 2.460 0.0139 *
Office2 1.1199 0.2537 4.415 1.01e-05 ***
Office3 0.6347 0.2488 2.551 0.0108 *
Office4 0.2714 0.3326 0.816 0.4145
```

```
---
Signif. codes: 0 ‘***’ 0.001 ‘**’ 0.01 ‘*’ 0.05 ‘.’ 0.1 ‘ ’ 1
(Dispersion parameter for binomial family taken to be 1)
 Null deviance: 669.76 on 488 degrees of freedom
Residual deviance: 646.91 on 484 degrees of freedom
 (13 observations deleted due to missingness)
AIC: 656.91
Number of Fisher Scoring iterations: 4
```

საინტერესოა, ენების ცოდნის გავლენა დასაქმების შანსებზე როგორია კვლევის არეალში. როგორც აღმოჩნდა, გერმანული, რუსული და თურქული ენები მნიშვნელოვანი ცვლადები არ არის. სტატისტიკურად მნიშვნელოვანი მხოლოდ ინგლისური ენაა. პირველ დონეზე ინგლისური ენის ცოდნა სამუშაოს შეთავაზების შანსს 1.08-ით ზდის, მეორე დონეზე ცოდნა – 1.06-ით, ხოლო მესამე დონეზე ცოდნა – 0.94-ით.

მოდელი 7. ინგლისური ენის გავლენა სამუშაოს შეთავაზებაზე

```
Call:
glm(formula = Class ~ English, family = binomial(link = "logit"),
 data = dat, maxit = 100)
Deviance Residuals:
 Min 1Q Median 3Q Max
-1.3153 -0.8742 -0.8742 1.1022 1.5146
Coefficients:
 Estimate Std. Error z value Pr(>|z|)
(Intercept) -0.7648 0.1407 -5.435 5.48e-08 ***
English1 1.0833 0.4855 2.231 0.025662 *
English2 1.0611 0.2827 3.753 0.000175 ***
English3 0.9444 0.2234 4.228 2.36e-05 ***
English4 0.5930 0.3673 1.614 0.106462
---
Signif. codes: 0 ‘***’ 0.001 ‘**’ 0.01 ‘*’ 0.05 ‘.’ 0.1 ‘ ’ 1
(Dispersion parameter for binomial family taken to be 1)
 Null deviance: 669.76 on 488 degrees of freedom
Residual deviance: 642.88 on 484 degrees of freedom
 (13 observations deleted due to missingness)
AIC: 652.88
Number of Fisher Scoring iterations: 4
```

ოჯახური მდგომარეობა საკმაოდ მნიშვნელოვანი ცვლადი აღმოჩნდა კვლევის მიზნებისთვის. მეორე კატეგორია თითქმის 100%-იანი სტატისტიკური სიზუსტით სამუშაოს შეთავაზების შანსებს 0.7-ით ზრდის. მე-3 და მე-4 კატეგორია 10%-იანი შეცდომის ალბათობით შესაბამისად 0.4-ით და 1.7-ით.

მოდელი 8. ოჯახური მდგომარეობის გავლენა სამუშაოს შეთავაზების შანსებზე

```
Call:
glm(formula = Class ~ civilstatus, family = binomial(link = "logit"),
 data = dat, maxit = 100)
Deviance Residuals:
 Min 1Q Median 3Q Max
-1.6651 -0.9272 -0.9272 1.1306 1.4502
Coefficients:
 Estimate Std. Error z value Pr(>|z|)
(Intercept) -0.6217 0.1329 -4.677 2.91e-06 ***
civilstatus2 0.7329 0.1904 3.850 0.000118 ***
civilstatus3 0.4210 0.4687 0.898 0.369052
civilstatus4 1.7203 1.1623 1.480 0.138859
---
Signif. codes: 0 '***' 0.001 '**' 0.01 '*' 0.05 '.' 0.1 ' ' 1
(Dispersion parameter for binomial family taken to be 1)
 Null deviance: 669.76 on 488 degrees of freedom
Residual deviance: 653.04 on 485 degrees of freedom
 (13 observations deleted due to missingness)
AIC: 661.04
Number of Fisher Scoring iterations: 4
```

დასაქმების შანსების კვლევა დაგრძელებულ ბაზაზე

შესავალში აღვნიშნეთ, რომ მეორე დაგრძელებული ბაზა და დიდი ბაზა სტრუქტურულად ერთმანეთის მსგავსია და მათზე ჩატარებული მოდელირებაც მსგავსია შედარებითი ანალიზის მიზნებისთვის.

ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით გამოკითხულთა განაწილება ბუნებრივია, რომ შინამეურნეობების ბაზის ასაკის ცვლადის მსგავსია.



ნახ. 3. ასაკის ცვლადის ჰისტოგრამა

```
 Min. 1st Qu.  Median    Mean 3rd Qu.    Max.    NA's
16.00   25.00   35.00   36.02   46.00   65.00      38
```

საკვლევ ბაზაში, საშუალო ასაკი ფიქსირდება 36 წელი, მედიანური ასაკია 35 წელი, ბაზაში ყველაზე მცირე ასაკი დაფიქსირდა 16 წელი, ხოლო ყველაზე დიდი 65 წელი.

1335 ინდივიდიდან 870 არის უმუშევარი, ხოლო 456 დასაქმებული. საქმიანობების სახეობები აგრეგირებულია 15 ჯგუფში.

ცხრილი 1

საქმიანობის სახეობების აგრეგირებული ჯგუფები

1	მოსწავლე, აბიტურიენტი, სტუდენტი
2	აგრონომი, კვების ტექნოლოგი, მერქნის ტექნოლოგი
3	ექიმი და მისთ.
4	ბიზნესი
5	უცხო ენები, ინგლისური, ევროპათმცოდნეობა
6	ბუღალტერი, ფინანსისტი
7	გეოლოგია, გეოდეზია
8	ეკონომისტი, საბანკო საქმე, დაზღვევა, ენერგეტიკა
9	პროფესორი, პედაგოგი, ფილოსოფოსი, ფსიქოლოგი, ჟურნალისტი
10	ძიძა, ხელოსანი, მზარეული და მისთ.
11	ინფორმაციული ტექნოლოგიები
12	ინჟინერი, მოდელიორი, არქიტექტორი
13	სამართალი, საჯარო მართვა, დიპლომატია
14	ტურიზმი
15	ხელოვანი, მოქანდაკე, მოცეკვავე, სპორტსმენი

გამოკითხულთა განაწილება პროფესიის მიხედვით შემდეგია:

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15
108	15	73	21	21	24	12	79	102	246	11	71	101	13	46

ინდივიდების განაწილება ჰისტოგრამაზე ამგვარად გამოიყურება:



ნახ. 4. ინდივიდების განაწილება საქმიანობის სახეობების მიხედვით

მიღწეული განათლების კატეგორიების მიხედვით ინდივიდების განაწილება შემდეგია:

1	2	3	4
207	75	145	71



ნახ. 5. ინდივიდების განაწილება განათლების დონის მიხედვით

გამოკითხული 502 ოჯახიდან სოციალურად დაუცველთა კატეგორიაში 89 ოჯახი მოხვდა.



ნახ. 6. ინდივიდების განაწილება სოციალურად დაუცველი ნიშნით (1 - დიახ, 0 - არა)

ლოგისტიკური რეგრესია

```
glm(formula = Class ~ sex1f.2.m + age + education1.4 + profesia +
 daucveli1d0a, family = binomial(link = "logit"), data = dat,
 maxit = 50)
Deviance Residuals:
 Min 1Q Median 3Q Max
-1.8911 -0.5373 -0.0001 0.8326 2.8745
Coefficients:
 Estimate Std. Error z value Pr(>|z|)
(Intercept) -8.500e+00 1.117e+00 -7.607 2.81e-14 ***
sex1f.2.m2 5.620e-01 1.614e-01 3.482 0.000498 ***
age 8.781e-03 6.779e-03 1.295 0.195224
education1.42 -1.379e+01 1.163e+03 -0.012 0.990541
education1.43 -1.309e+01 8.257e+02 -0.016 0.987356
education1.44 -1.328e+01 1.146e+03 -0.012 0.990755
education1.45 4.160e+00 1.506e+00 2.761 0.005758 **
profesia2 2.758e+00 9.485e-01 2.908 0.003637 **
profesia3 2.693e+00 5.585e-01 4.821 1.43e-06 ***
profesia4 2.560e+00 8.360e-01 3.062 0.002199 **
profesia5 2.317e+00 8.055e-01 2.876 0.004028 **
profesia6 3.140e+00 7.933e-01 3.958 7.56e-05 ***
profesia7 6.115e-01 1.254e+00 0.488 0.625710
profesia8 3.094e+00 5.635e-01 5.491 3.99e-08 ***
profesia9 2.938e+00 5.481e-01 5.360 8.31e-08 ***
profesia10 2.385e+00 4.771e-01 4.999 5.75e-07 ***
profesia11 1.298e+00 8.523e-01 1.522 0.127895
profesia12 2.923e+00 5.891e-01 4.962 6.96e-07 ***
profesia13 2.733e+00 5.262e-01 5.194 2.05e-07 ***
profesia14 1.077e+00 9.512e-01 1.133 0.257366
profesia15 2.587e+00 6.107e-01 4.236 2.27e-05 ***
profesia20 1.681e+00 4.629e-01 3.632 0.000281 ***
daucveli1d0a1 -1.360e+01 9.209e+02 -0.015 0.988219
daucveli1d0a2 1.744e+00 1.144e+00 1.524 0.127466
---
```

Signif. codes: 0 ‘***’ 0.001 ‘**’ 0.01 ‘*’ 0.05 ‘.’ 0.1 ‘ ’ 1

(Dispersion parameter for binomial family taken to be 1)

Null deviance: 1658.55 on 1294 degrees of freedom
Residual deviance: 996.05 on 1271 degrees of freedom
(40 observations deleted due to missingness)
AIC: 1044.1

Number of Fisher Scoring iterations: 18

ლოგისტიკური რეგრესიის შედეგებმა როგორც გვიჩვენა დაგრძელებულ ბაზაში, მრავალგანზომილებიან ლოგისტიკურ მოდელში სქესის ცვლადი სტატისტიკურად მნიშვნელოვანია და მამაკაცების ჯგუფისთვის დადებითი კოეფიციენტი აქვს, თუმცა კოეფიციენტის ზომა ძალიან მცირეა. ეს ნიშნავს, რომ მამაკაცებს დასაქმების სულ მცირედ მეტი შანსი აქვთ, ვიდრე ქალებს. ასაკის ცვლადი სტატისტიკურად მნიშვნელოვანი არ არის.

ბუნებრივია, რომ განათლების დონის ცვლადებს საბაზო ჯგუფთან შედარებით, რომელიც უმაღლესი განათლების დონეა, მინუს ნიშანი აქვთ. თუმცა ეს ცვლადები 10%-იანი მნიშვნელოვნების დონით არის და სტატისტიკურად მნიშვნელოვნად ვერ ჩავთვლით.

როგორც მოდელიდან ვხედავთ, დასაქმების შანსებზე ზემოქმედების თვალსაზრისით, ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლადია ინდივიდების პროფესია.

დასაქმების შანსების ზრდის კვლევა დიდ ბაზაზე

დასაქმების ბაზა შედგება 33445 დაკვირვების წერტილისგან და 15 ცვლადისგან. ბაზაში დასაქმებულები იყოფიან ორ ჯგუფად: დაქირავებულები და თვითდასაქმებულები. ანალიზის მიზანია გამოვავლინოთ დაქირავებით დასაქმების ცვლადზე რომელი ცვლადები ახდენს გავლენას და როგორია ამ ცვლადების მნიშვნელობა ზემოქმედების თვალსაზრისით. ანალიზი კეთდება ლოგისტიკური რეგრესიის გამოყენე-

ბით. ანალიზის ბინარული ცვლადია დაქირავების ცვლადი, რომელიც დადებითი პასუხის შემთხვევაში აღნიშნულია 1-ით, ხოლო უარყოფითი პასუხის შემთხვევაში – 0 -ით. ექსპერტული შეფასებით ბაზაში არსებული შემდეგი ცვლადები – ინდივიდის ასაკი, სქესი, განათლება, საქმიანობის სახეობა და თანამდებობა დასაქმების შანსებზე მოქმედი მნიშვნელოვანი ცვლადებია.

ლოგისტიკური რეგრესიის ასაგებად შეირჩა ისეთი შემთხვევითი სიდიდეები, როგორიცაა ინდივიდის სქესი, ასაკი, განათლება და საქმიანობის სახე. სქესი არის ბინარული ცვლადი, ასაკი უწყვეტი რიცხვითი ცვლადია, განათლება და საქმიანობის სახეობის ცვლადები ორდინალურ კატეგორიას მიეკუთვნება, ანუ მრავალდონიანი თვისებრივი ცვლადებია.

მოდელში ჩასართველი ცვლადების აღწერილობითი ანალიზი

დასაქმების შანსების კვლევის მიზნებისთვის დასაქმების სტატუსად აღებულია დაქირავებით დასაქმებული. ამ დაშვებით, შერჩევის ბაზაში დაქირავებით დასაქმებული არის 13 054 ადამიანი, უმუშევარია 20 391, მათგან 16 850 მამაკაცია, ხოლო – 16 595 ქალი.



ნახ. 7. ასაკის ცვლადის ჰისტოგრამა

ასაკის ცვლადის სტატისტიკური შეჯამება:

Min.	1st Qu.	Median	Mean	3rd Qu.	Max.
15.0	35.0	48.0	47.4	59.0	97.0

ბაზაში ჩართული ინდივიდების მინიმალური ასაკი 15 წელია, ხოლო მაქსიმალური 97 წელი. მედიანური და საშუალო მნიშვნელობები ახლოს არის ერთმანეთთან. ჰისტოგრამა გვიჩვენებს, რომ გამოკითხულთა შორის ყველაზე მეტია 50-დან 60 წლამდე ასაკის პირი, შემდეგ მოდის 40-დან 50 წლამდე პირები, მესამე ადგილზე არიან 35-40 და 60-65 ასაკის ინდივიდები. ლოგისტიკურ რეგრესიაში გამოვიკვლიეთ ასაკის ერთი წლით მატება როგორ ზემოქმედებას ახდენს დასაქმების შანსებზე. ამ კუთხით გამოკითხულთა ასაკის დესკრიპტული სურათის გააზრება მნიშვნელოვანია.

საქმიანობის სახის ოთხნიშნიანი მაჩვენებლი დაყვანილ იქნა ორნიშნა და ერთნიშნა დონეებზე.

ერთ ციფრზე აგრეგირებული საქმიანობის სახის ცვლადის განაწილება შემდეგნაირად გამოიყურება:

1	2	3	4	5	6	7	8	9
19159	574	129	1823	3270	1632	1896	3760	1200

განაწილების მიხედვით ყველაზე მეტი ადამიანი ჩართულია სასოფლო, სატყეო და თევზის მეურნეობებში. შემდეგ მოდის მე-8 ჯგუფი – განათლება; სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა; სავალდებულო სოციალური დაცვა და მე-5 ჯგუფი – განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები; ინფორმაცია და კომუნიკაცია. ყველაზე ნაკლები ადამიანი დასაქმებულია ელექტრონერეგიის, წყალმომარაგების, გაზმომარაგების და ნარჩენების მართვის სფეროში. ლოგისტიკურ რეგრესიაში შევაფასეთ, საქმიანობის ერთი ჯგუფიდან მომდევნო ჯგუფში გადასვლა დასაქმების შანსებს როგორ ცვლის საბაზო 1-ლ ჯგუფთან შედარებით.



ნახ. 8. ინდივიდების განაწილება 1 ციფრზე აგრეგირებული საქმიანობის სახეობების მიხედვით

ბაზაში ჩართული ინდივიდების საქმიანობა განაწილებულია შემდეგ ცხრა ჯგუფში (ცხრილი 2).

ცხრილი 2

ინდივიდების საქმიანობის განაწილება ჯგუფებში

1	სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა
2	მრეწველობა
3	ელექტრონერეგია, წყალმომარაგება, გაზმომარაგება, ნარჩენების მართვა
4	მშენებლობა, ტრანსპორტირება და დასაწყობება, საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი
5	განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები; ინფორმაცია და კომუნიკაცია
6	საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები; უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები
7	ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები
8	განათლება; სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა; სავალდებულო სოციალური დაცვა
9	ხელოვნება, გართობა და დასვენება; შინამეურნეობების, როგორც დამქირავებლის, საქმიანობები; არადიფერენცირებული საქონლის და მომსახურების წარმოება შინამეურნეობების მიერ საკუთარი მოხმარებისათვის; სხვა სახის მომსახურება

მოდელით გავაანალიზეთ ინდივიდების განაწილება ორ ციფრზე აგრეგირებული საქმიანობის სახის ცვლადის მიხედვით.



ნახ. 9. ინდივიდების განაწილება 2 ციფრზე აგრეგირებული საქმიანობის სახეობების მიხედვით

ყველაზე მეტი ადამიანი ჩართულია „13“ კოდით აღნიშნულ საქმიანობაში.

განათლების ცვლადში მოცემულია 13 დონე.

ცხრილი 3

განათლების ცვლადის დონეები

1	წერა-კითხვის უცოდინარი
2	არ აქვს განათლება, მაგრამ შეუძლია წერა-კითხვა
3	სკოლამდელი განათლება
4	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური
5	ზოგადი განათლების საბაზო საფეხური (არასრული საშუალო)
6	სრული ზოგადი განათლება (სრული საშუალო)
7	პროფესიული განათლება სრული ზოგადი განათლების ატესტატის გარეშე
8	პროფესიული განათლება საბაზო (არასრული საშუალო) განათლების ბაზაზე სრული ზოგადი განათლების ატესტატით
9	პროფესიული განათლება სრული ზოგადი განათლების ბაზაზე – გარდა უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა
10	(უმაღლესი) პროფესიული განათლების ან მასთან გათანაბრებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დიპლომი
11	ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დიპლომი
12	მაგისტრის/რეზიდენტურის კურსდამთავრებული ან მასთან გათანაბრებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დიპლომი
13	დოქტორი ან მასთან გათანაბრებული ხარისხი

კვლევაში ჩართული ინდივიდების განაწილება განათლების მიღწეული დონეების მიხედვით შემდეგია:

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13
81	62	6	463	2224	13150	517	1413	6674	18	2061	6673	103

ინდივიდებს შორის ყველაზე მეტს აქვს მხოლოდ სრული ზოგადი განათლება. შემდეგ მოდის ფაქტობრივად ერთნაირი რაოდენობებით პროფესიული განათლება სრული ზოგადი განათლების ბაზაზე და მაგისტრის/რეზიდენტურის ხარისხის მქონე ინდივიდები. დასაქმების შანსების მოდელში გვაინტერესებს განათლების საფეხურის ზრდა როგორ ზრდის დასაქმების შანსს საბაზო დონესთან – წერა-კითხვის უცოდინრობასთან შედარებით.

შანსების მოდელი

ცხრილში 3 მოცემულია ლოგისტიკური რეგრესიის შედეგები. მოდელში ჩართულია დემოგრაფიული ცვლადები – ასაკი და სქესი და ეკონომიკური ცვლადი – საქმიანობის დასახელება.

მოდელის მიხედვით სქესი დასაქმების შანსების განმსაზღვრელი სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ცვლადი არ არის. ასაკის ცვლადი მნიშვნელოვანია და მცირე უარყოფითი კოეფიციენტი აქვს. ეს ნიშნავს, რომ ასაკის მატებასთან ერთად დასაქმების შანსები მცირდება, თუმცა მცირედ 0.03-ით. ამას ბუნებრივი ახსნა აქვს, მით უმეტეს, რომ ასაკის ჰისტოგრამაში სიხშირის მიხედვით ჭარბობს ასაკოვანი ჯგუფები.

დასაქმების შანსებზე სტატისტიკურად მნიშვნელოვან და მოდულით მნიშვნელოვან ზეგავლენას, (უმაღლესი) პროფესიული განათლების ან მასთან გათანაბრებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დიპლომის დონე და მისი მომდევნო დონეები აღწევენ. დაქირავებით დასაქმების შანსებს ყველაზე მეტად ზრდის მე-11, მე-12 და მე-13 დონეები, 1.6-ით 1.4-ით და 1.7 -ით. საინტერესოა, რომ ბაკალავრის ხარისხის მქონე ინდივიდებისთვის დაქირავებით დასაქმების

შანსები მცირედ, მაგრამ მეტია მაგისტრის ხარისხის მქონე ინდივიდებთან შედარებით.

საქმიანობის სახე, როგორც ექსპერტული, ისე სტატისტიკური შეფასებით, მნიშვნელოვანი ცვლადია დაქირავებით დასაქმების შანსებზე ზემოქმედების თვალსაზრისით, რასაც ცხრილი 1.1-იც გვიდასტურებს. ამდენად, ყველაზე მაღალი კოეფიციენტები შანსების ასახსნელად საქმიანობის სახეობებს აქვს.

მოდელში ჩართული ცვლადების მნიშვნელოვნება

ცვლადი მნიშვნელოვნება
sex1 0.91337442
age 23.78830335
education2 0.01541513
education3 0.09152532
education4 0.63241613
education5 0.99882360
education6 1.49482615
education7 1.52999182
education8 1.67529952
education9 1.84040567
education10 1.39760140
education11 2.50085782
education12 2.28492592
education13 2.19260917
NACEe2 34.66940075
NACEe3 16.41622838
NACEe4 55.51984842
NACEe5 60.16039524
NACEe6 51.25977826
NACEe7 48.81977924
NACEe8 58.36455053
NACEe9 43.85676970

მოდელის მიხედვით დასაქმების შანსები ყველაზე მაღალია საქმიანობის შემდეგ სახეობებში: განათლება; სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა; სავალდებულო სოციალური დაცვის სფეროში მომუშავე პირებისთვის. ამასთან, ეს ცვლადი მნიშვნელოვანია მოდელში ჩასართავად.

დასაქმების შანსების მიხედვით მეორე ადგილზე დგას ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობების ჯგუფი და ხელოვნება, გართობა და დასვენება; შინამეურნეობების, როგორც დამქირავებლის, საქმიანობები; არადიფერენცირებული საქონლის და მომსახურების წარმოება შინამეურნეობების მიერ საკუთარი მოხმარებისათვის; სხვა სახის მომსახურების ჯგუფი.

დასაქმების შანსების მიხედვით მესამე ადგილზე დგას მრეწველობის სფერო.

დასაქმების ლოგისტიკური მოდელი

```
Call:
glm(formula = Class ~ sex + age + education + NACEe, family = bino-
mial(link = "logit"), data = dat, maxit = 50)

Deviance Residuals:
 Min 1Q Median 3Q Max
-3.0415 -0.3962 -0.2792 0.3441 2.9000

Coefficients:
 Estimate Std. Error z value Pr(>|z|)
(Intercept) -2.12174 0.63152 -3.360 0.00078 ***
sex1 0.03687 0.04036 0.913 0.36105
age -0.03283 0.00138 -23.788 < 2e-16 ***
education2 -0.01477 0.95808 -0.015 0.98770
education3 -7.22313 78.91950 -0.092 0.92708
education4 0.42253 0.66812 0.632 0.52711
education5 0.63242 0.63317 0.999 0.31788
education6 0.94063 0.62926 1.495 0.13496
education7 0.98621 0.64459 1.530 0.12602
education8 1.06318 0.63462 1.675 0.09388 .
education9 1.15939 0.62996 1.840 0.06571 .
education10 1.37864 0.98644 1.398 0.16223
education11 1.58381 0.63331 2.501 0.01239 *
education12 1.43986 0.63015 2.285 0.02232 *
education13 1.72915 0.78863 2.193 0.02834 *
NACEe2 3.90222 0.11256 34.669 < 2e-16 ***
NACEe3 3.23494 0.19706 16.416 < 2e-16 ***
NACEe4 3.68905 0.06645 55.520 < 2e-16 ***
NACEe5 2.87392 0.04777 60.160 < 2e-16 ***
NACEe6 3.45158 0.06734 51.260 < 2e-16 ***
NACEe7 4.90132 0.10040 48.820 < 2e-16 ***
NACEe8 5.80594 0.09948 58.365 < 2e-16 ***
NACEe9 4.91917 0.11216 43.857 < 2e-16 ***
```

```
---
Signif. codes: 0 ‘***’ 0.001 ‘**’ 0.01 ‘*’ 0.05 ‘.’ 0.1 ‘ ’ 1

(Dispersion parameter for binomial family taken to be 1)

 Null deviance: 44739 on 33442 degrees of freedom
Residual deviance: 20307 on 33420 degrees of freedom
 (2 observations deleted due to missingness)
AIC: 20353

Number of Fisher Scoring iterations: 10
```

როგორც ვხედავთ, დაგრძელებული ბაზიდან მიღებული და დიდი ბაზის შედეგები ერთმანეთთან თანხვედრაშია. ამ შემთხვევაშიც სქესის ცვლადს მცირე დადებითი მნიშვნელობა აქვს, რაც ნიშნავს, რომ მამაკაცებს სულ ოდნავ მეტი შანსი აქვთ დასაქმების, როგორც წინა შემთხვევაში, მაგრამ ვხედავთ, რომ გაზრდილ შერჩევის ზომაზე ცვლადმა სტატისტიკური მნიშვნელოვნება დაკარგა.

ასაკის ცვლადი პირიქით, სტატისტიკურად მნიშვნელოვანი გახდა და უარყოფითი ნიშანი შეიძინა, განსხვავებით წინა შემთხვევისგან, რაც ძალიან ბუნებრივია, რადგან დაგრძელებულ ბაზაში ასაკის ცვლადის განაწილებაში ახალგაზრდა კატეგორიები ჭარბობდნენ და მათთვის ასაკის მატება შანსების ზრდას იწვევს. ცხადია, ამ შემთხვევაში გამოკითხულებში ასაკოვანი ხალხი ჭარბობს და მათთვის ასაკის მატება დასაქმების შანსებს ამცირებს. აღსანიშნავია, რომ კოეფიციენტის ზომაც გონივრულად მცირეა.

წინა შემთხვევის მსგავსად, განათლების ცვლადები არც აქ არის სტატისტიკურად ძალიან მნიშვნელოვანი, თუმცა არსებული კვლევის შედეგები გვიჩვენებს, რომ დოქტურანტურის ხარისხი დასაქმების შანსებს 1.73-ით ზრდის, მაგისტრატურის ხარისხი – 1.44-ით, ხოლო ბაკალავრიატის ხარისხი – 1.58-ით, ანუ უფრო მეტად, ვიდრე მაგისტრატურის. ეს საინტერესო და ლოგიკური ფაქტია, რადგან სავარაუდოდ ბაკალავრიატდამთავრებულებს უფრო მეტი მოტივაცია აქვთ და უფრო მეტად ეძებენ სამსახურს, ვიდრე მაგისტრატურის კურსდამთავრებულები, რომლებშიც უფრო მეტია აკადემიური

მისწრაფებები და ნაკლებია სამუშაოს მოტივაცია ბაკალავრიატის კურსდამთავრებულებთან შედარებით.

დაბოლოს, როგორც დაგრძელებულ მოდელში, დასაქმების შანსებზე ყველაზე მეტი გავლენა აქვს საქმიანობის სახეობებს. კერძოდ, საბაზო სოფლის მეურნეობის სექტორთან შედარებით დასაქმების შანსები ყველაზე მაღალია საქმიანობის მე-8 კატეგორიაში *(განათლება; სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა; სავალდებულო სოციალური დაცვა),* კოეფიციენტის ზომით 5.8, შემდეგ მოდის მე-9 *(ხელოვნება, გართობა და დასვენება; შინამეურნეობების, როგორც დამქირავებლის, საქმიანობები; არადიფერენცირებული საქონლის და მომსახურების წარმოება შინამეურნეობების მიერ საკუთარი მოხმარებისათვის; სხვა სახის მომსახურება)* და მე-7 *(ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები)* კატეგორია კოეფიციენტის ზომით 4.9, შემდეგია მე-4 *(მშენებლობა, ტრანსპორტირება და დასაწყობება, საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი)* კატეგორია 3.6 კოეფიციენტის ზომით.

2.3. სოციალური და ეკონომიკური უფლებების თვისებრივი კვლევა

რეგულაციების აღსრულებისა და ეფექტიანობის ხარისხის შეფასებისთვის შესწავლილ და გაანალიზებულ იქნა საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ განხორციელებული ეფექტიანობის აუდიტის ანგარიშები. გარდა ამისა, პროექტის ფარგლებში ჩატარდა ჩაღრმავებული ინტერვიუები სახელმწიფო უწყებების შემდეგ წარმომადგენლებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან:

• საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;

• საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი;

• სახელმწიფო აუდიტის სამსახური;

• სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლები;

- საქართველოს სახალხო დამცველი;
- შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია ILO;
- ევროსაბჭოს წარმომადგენლობა საქართველოში;
- საქართველოს პროფესიული კავშირების ასოციაცია.

ზემოთ ჩამოთვლილი ორგანიზაციების შერჩევა მოხდა მათი საქმიანობის მიხედვით. აღნიშნული სახელმწიფო უწყებების და არასამთავრობო ორგანიზაციების მოღვაწეობის სფერო სრულიად მიმართულია ადამიანის სოციალური და ეკონომიკური უფლებების დაცვის და რეალიზებისკენ.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ერთ-ერთი ძირითადი პასუხისმგებელი რგოლია ქვეყანაში მოსახლეობის სოციალური და ეკონომიკური უფლებების დაცვის თვალსაზრისით. მისი საქმიანობის ძირითად სფეროა მოსახლეობის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება, განხორციელება და საქმიანობის კოორდინაცია; სამედიცინო საქმიანობის ხარისხის კონტროლი და უსაფრთხოების უზრუნველყოფა; ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების შემუშავება; ქვეყანაში სამედიცინო მომსახურების წესების, პირობებისა და ნორმატივების შემუშავება და მათი შესრულების კონტროლი და ა.შ.

ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ 2030 წლისთვის გაეროს მდგრადი განვითარების მესამე მიზნის – „ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის“ – განმახორციელებელ მთავარ უწყებას საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო წარმოადგენს.

თვისებრივი ანალიზის კრიტიკოსები ხშირად მიუთითებენ როგორც ამ მიდგომის გამოყენებისას მკლევარის მიკერძოებული მიდგომის შესაძლებლობებზე, დაადასტუროს ან უარყოს საკუთარი ჰიპოთეზა, ასევე, მიღებული დასკვნების განზოგადების სირთულეზე. ამიტომ, კვლევის ამ ეტაპზე, გადავწყვიტეთ, თვისებრივი ანალიზის შედეგები წარმოვადგინოთ მეტამატრიცის სახით, სადაც ასახული იქნება თავად

პრობლემა, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სხვადასხვა პოზიციაზე მომუშავე მოხელეების (ექსპერტების) მიერ დაფიქსირებული მოსაზრებები და შეფასებები. თვალსაჩინოებისთვის ექსპერტთა ყოველი შეფასება ცალკეულ პრობლემებთან დაკავშირებით დაჯგუფებულია პოზიტიურად (აღინიშნება „+“ ნიშნით) და ნეგატიურად (აღინიშნება „-“ ნიშნით).

კვლევის შედეგების მეტამატრიცა

N	კვლევითი კითხვა/ ჰიპოთეზა	ექსპერტის მოსაზრება	ექსპერტის შეფასება	+	-
1	**A1. სოციალური უზრუნველყოფის და სოციალური თანადგომის პროგრამების ეფექტიანობა** (სოციალური თანადგომა, საარსებო შემწეობის მიღების ზედა ზღვარი, ფულადი დანამატი ბავშვებზე, ასაკობრივი პენსია, შშმ ბავშვთა პენსია, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში და საერთაშორისო მისიებში დაღუპულთა ოჯახის წევრების კომპენსაცია, კრიზისული დახმარების პროგრამა, კვების ვაუჩერის პროგრამა, მცირე საოჯახო ტიპის სახლი, სათემო სახლი, ძალა-	ფულადი დახმარებების გარდა სოციალური დაცვის სისტემა ასევე მოიცავს არაფულად დახმარებებს, როგორიცაა შშმ ბავშვებისა და შშმ პირებისათვის განკუთვნილი ოჯახურ გარემოსთან მიახლოებული, ალტერნატიული სერვისები – სათემო ორგანიზაციები, დღის ცენტრები, ბავშვთა მცირე საოჯახო ტიპის სახლები, ხანდაზმულთა დამხმარე საშუალებებით (სავარძელ-ეტლებით,საპროთეზო-ორთოპედიული საშუალებებით, სმენის აპარატებით, ყავარჯნებით, ხელჯოხ-ყავარჯნებით, უსინათლოთა ხელჯოხებითა და გადასაადგილებელი ჩარჩოებით უზრუნველყოფა, კრიზისულ	უზრუნველყოფს მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას (+). სოციალური დახმარების სისტემის მეშვეობით სათანადო რესურსების მიზანმიმართული გადანაწილება ხდება მიზნობრივ ჯგუფებზე, სპეციალური მზრუნველობის საჭიროების მქონე პირებზე და ღატაკ ოჯახებზე (+). რეგულაციები დეკრეტულ შვებულებასთან დაკავშირებით საგრძნოლად გაუმჯობესდა შრომის კოდექსში 2020 წელს განხორციელებული ცვლილებებით (+). თითოეული ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება კონკრეტული სამიზნე ჯგუფის მხარდაჭე-		5

	დობის და ტრეფიკინ- გის მსხვერპლთა დაც- ვის თავშესაფარი, დე- მოგრაფიული მდგო- მარეობის გაუმჯობესე- ბის პროგრამა, დეკრე- ტული შვებულება და სხვა).	მდგომარეობაში მყოფი ოჯახების მხარდაჭერა და სხვა. პერიოდულად ხდება სო- ციალური პროგრამების გადახედვა, მუშაობის პე- რიოდში გამოვლენილი ხარვეზების დახვეწა, პროგრამების შესრულე- ბაზე ხორციელდება პერი- ოდული მონიტორინგი, რათა გაანალიზებულ იქ- ნეს პროგრამების ეფექ- ტიანობა. თითოეული პროგრამა განკუთვნილია კონკრე- ტული სამიზნე ჯგუფის- თვის, შესაბამისად პროგ- რამის მიზნები, ამოცანე- ბი და აღსრულების მექა- ნიზმების მიმართულია სწორედ ამ სამიზნე ჯგუ- ფების საჭიროებების დაკმაყოფილებისაკენ, მათი ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციისა და სო- ციალური მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ.	რა და მორგებულია მათ საჭიროებებზე (+). სრულად გადასახედია სოციალური შემწეობის სახელმწიფო პროგრამა და შესამუშავებელია სო- ციალურად დაუცველთა გააქტიურებისკენ მიმარ- თული პოლიტიკა (-). მხოლოდ ფულადი დახ- მარება ვერ უზრუნველ- ყოფს დემოგრაფიის მი- მართულებით არსებული პრობლემების აღმოფ- ხვრას/შემცირებას (-). ასაკობრივი პენსიის არ- სებული სქემა აუცილებ- ლად უნდა შეიცვალოს საპენსიო დაზღვევის სქე- მით (-). დემოგრაფიული მდგომა- რეობის გაუმჯობესების მიზნით საჭიროა შემუშავ- დეს სახელმწიფო პოლი- ტიკა და განხორციელდეს კომპლექსური შინაარსის პროგრამები (-). ზემოთჩამოთვლილი პროგრამის განხორციე-		

			ლება, მიუხედავად შესაბამისი ინსტანციების მრავალი მცდელობისა, სრულყოფილი ვერ იქნება, სანამ არ შეიქმნება სამუშაო ადგილები, რათა სოციალურად დაუცველებმა და ასაკობრივად პენსიონერებმა 70 წლამდე თავად შეძლონ საკუთარი თავის უზრუნველყოფა (-).		
2	**A2. სოციალური უზრუნველყოფის და სოციალური თანადგომის პროგრამების** (პროგრამები ჩამოთვლილია A1 პუნქტში) **ძლიერი მხარეები.**	პროგრამის ძლიერი მხარე ფასდება მისი ანალიზის შედეგად, რა დროსაც იკვეთება პროგრამის სუსტი და ძლიერი მხარეები, რაც უფრო მეტი მხარდამჭერი მოქმედება აქვს პროგრამას, მით უფრო დადებითად ფასდება..	მოსახლეობის სიღარიბითა და ხანდაზმულობით გამოწვეულ სოციალური რისკების შემცირება (+). სამიზნე ჯგუფის სოციალური ინტერგრაციის ხელშეწყობა (+). მოსახლეობის ფართო მასების მოცვა (+). საზოგადოების ყველაზე მოწყვლადი ჯგუფების გაძლიერება და მათი საჭიროების დაკმაყოფილება (+).	4	
3	**A3. სოციალური უზრუნველყოფის და სო-**	SWOT ანალიზის შედეგად დგინდება პროგრამის	მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამის	5	

	ციალური თანადგომის პროგრამების (პროგრამები ჩამოთვლილია A1 პუნქტში) **სუსტი მხარეები.**	ეფექტიანობა, რის შემდეგაც უნდა მოხდეს პროგრამის მოდიფიცირება, რომ მეტად პასუხობდეს ბენეფიციარის საჭიროებებს. პროგრამაში განხორციელებული ცვლილებით (2017 წლის ივნისიდან) შრომისუნარიან პირებს (ოჯახში ერთზე მეტი შრომისუნარიანი) აქვთ ვალდებულება ოჯახის დეკლარაციის შევსებიდან ერთი თვის განმავლობაში დარეგისტრირდნენ www.worknet.gov.ge-ზე.	ფარგლებში შრომისუნარიანი პირები ხდებიან საარსებო შემწეობაზე დამოკიდებულები და სურვილი არ უჩნდებათ სამუშაოს ძიების (-). დასახვეწია მონიტორინგის მექანიზმები (-). დასახვეწია პროგრამების განხორციელების ხარისხის კონტროლის მექანიზმები (-). დაფინანსების სიმწირე (-). კვალიფიცირებულ ადამიანური რესურსთან დაკავშირებული გამოწვევები და მათი არათანაბარი გეოგრაფიული გადანაწილება (-).		
4	**A4. "სოციალური თანადგომის" პროგრამის რეალიზაცია რა შესაძლებლობებს ქმნის და როგორია გამოწვევები?**	„სოციალური თანადგომა“, ასეთი ფორმულირებით, სახელმწიფოს არ აქვს რაიმე კონკრეტული პროგრამა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სახელმწიფო ახორციელებს მოწყვლადი ჯგუფებისთვის სხვადასხვა მხარდამ-	მოსახლეობა უზრუნველყოფილია ქვეყანაში არსებული შესაბამისი ფულადი დახმარებებით და სოციალური სერვისებით (+). სოციალური და ეკონომიკური განვითარებისთვის ხელშემშლელია, უმჯობე-	1	1

		ჭერ პროგრამებს. ასეთი ფორმულირებით პროგრამა უცნობია, თუმცა ქვეყანაში სოციალური დაცვის სფეროში არსებული პროგრამებისა და სერვისების მეშვეობით მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება და ოჯახების მხარდაჭერა ხორციელდება.	სია ბენეფიციარს სამუშაო ადგილი შევუქმნათ, რათა თვითონ გამოიმუშაოს (-).		
5	**A5. „ასაკობრივი პენსია“ პროგრამის რეალიზაცია რა შესაძლებლობებს ქმნის და როგორია გამოწვევები?**	ხანდაზმულთა ღირსეული სიბერისა და სოციალური უფლების რეალიზების მიზნით, ქვეყანაში მოქმედებს სახელმწიფო პენსიით უზრუნველყოფის პროგრამა, რომლის ფარგლებში საპენსიო ასაკს მიღწეული მოსახლეობა უზრუნველყოფილია უნივერსალური პენსიით, რომელიც ყოველწლიურად იზრდება დაწესებული ინდექსაციის შესაბამისად, რაც არანაკლებია ინფლაციის მაჩვე-	ხანდაზმული ადამიანებისთვის ერთგვარად პრევენციული ხასიათისაა (+). ასაკობრივი პენსია უზრუნველყოფს ხანდაზმული მოქალაქეების პირველად და აუცილებელი საჭიროებების დაკმაყოფილებას და მიმართულია ხანდაზმულების სოციალური მდგომარების გაუმჯობესებისკენ (+). ეტაპობრივად (ყოველწლიურად) ხორციელდება პენსიის ოდენობის ზრდა	3	2

		ნებლისა. სახელმწიფო პენსია არის ყოველთვიური ფულადი სარგებელი ხანდაზმული მოქალაქეებისთვის განკუთვნილი, რაც მათ სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობას აუმჯობესებს. ასაკით პენსიონერები მუდმივად უზრუნველყოფილნი არიან პენსიის მიღების სახელმწიფო გარანტით და დაცულია მათი უფლებები.	(+). საქართველოს დემოგრაფიული სტრუქტურიდან გამომდინარე ასაკობრივი პენსია თანდათან უფრო მძიმე ტვირთად აწვება სახელმწიფო ბიუჯეტს და საჭიროა ალტერნატიული სქემის მოფიქრება (-). მიუხედავად იმისა რომ ეტაპობრივად ხდება პენსიის გაზრდა მათ აქვთ მეტი საჭიროება ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე (-).		
6	**A6. "შშმ ბავშვთა პენსიის" პროგრამის რეალიზაცია რა შესაძლებლობებს ქმნის და როგორია გამოწვევები?**	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები/ბავშვები იღებენ დადგენილ ყოველთვიურ გასაცემელს, რომლის ფულადი კომპონენტი იზრდება არსებული საბიუჯეტო რესურსების ფარგლებში.	შშმ ბავშვები უზურნველყოფილნი არიან ყოველთვიური ფულადი გასაცემლით – სოციალური პაკეტით (+). ეტაპობრივად ხორციელდება ოდენობის ზრდა (+). შშმ ბავშვთა პენსია უზრუნველყოფს შშმ ბავშვების პირველად და აუცილებელი საჭიროებების დაკმაყოფილებას, ასევე, წარმოადგენს ოჯახის	3	2

			სტაბილურ მხარდაჭერას (+). აღნიშნული პენსიის ნაცვლად, უმჯობესია არსებობდეს ასეთი კონტიგენტისთვის უფასო რეაბილიტაციის და მათი შემდგომი სოციალიზაციის სრულყოფილი პროგრამები (-). მიუხედავად იმისა, რომ ეტაპობრივად ხდება პენსიის გაზრდა, შშმ ბავშვებს აქვთ მეტი საჭიროება ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე (-).		
7	**A7. „კრიზისული დახმარების“ პროგრამის რეალიზაცია რა შესაძლებლობებს ქმნის და როგორია გამოწვევები?**	კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების დახმარების ქვეპროგრამა, რომლის ამოცანაა სიღატაკეში ან/და კრიზისში მყოფი ბავშვიანი ოჯახების პირველადი საჭიროებების დაკმაყოფილება, ბავშვის მიტოვების რისკის შემცირება და ოჯახურ გარემოში ბავშვის აღზრდის ხელშეწყო-	პროგრამა მიმართულია კრიზისში მყოფი ბავშვიანი ოჯახების პირველადი და აუცილებელი საჭიროების დაკმაყოფილებისაკენ (+).	1	

		ბა. კრიზისში მყოფი ბავშვიანი ოჯახების პირველადი საჭიროებების დაკმაყოფილება ხდება ბავშვების ხელოვნური კვების, ასევე, მწვავე კრიზისში მყოფი ბავშვიანი ოჯახების კვების ვაუჩერის მეშვეობით.			
8	**A8. "კვების ვაუჩერის" პროგრამის რეალიზაცია რა შესაძლებლობებს ქმნის და როგორია გამოწვევები?**	პროგრამა წარმოადგენს კრიზისული პროგრამის კომპონენტს. პროგრამის ფარგლებში გაიცემა ხელოვნური კვების ვაუჩერი-1.5 წლის ასაკამდე. თუ ფიზიკური მდგომარეობა ამის საშუალებას იძლევა, უნდა მოხდეს ბენეფიციარის დასაქმებაც.	ხელს უწყობს ბავშვის მიტოვების პრევენციას (+).	1	
9	**A9."დემოგრაფიული გაუმჯობესების" პროგრამის რეალიზაცია რა შესაძლებლობებს ქმნის და როგორია გამოწვევები?**	პროგრამის მიზანია ოჯახებისთვის შობადობის მატერიალური წახალისება. პროგრამა ვრცელდება მე-3 და მომდევნო ბავშვზე საქართველოს იმ რეგიონებში, სადაც ბუნებრივი კლებაა. პროგ-	მატერიალური წახალისებით უზრუნველყოფს მოქალაქეთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას და შობადობის მხარდაჭერა/წახალისებას (+). ხდება ოჯახების გაძლიე-	2	1

		რამის ფარგლებში გაიცემა ყოველთვიური ფულადი დახმარება 200 ლარი ბავშვის 2 წლის ასაკის მიღწევამდე. ასევე გაიცემა ყოველთვიური ფულადი დახმარება ახალშობილებზე, რომელთა ერთ-ერთ მშობელს აქვს მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსი. დახმარების ოდენობა შეადგენს პირველ და მეორე ბავშვზე 100 ლარს 1 წლის განმავლობაში, ხოლო მე-3 და მომდევნო ბავშვზე – 200 ლარს 2 წლის განმავლობაში.	რება და დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესება (+). პროგრამა არ უნდა მოიცავდეს მხოლოდ ფულად შემწეობას, უნდა ითვალისწინებდეს ისეთ ღონისძიებებს რომლებიც მიმართული იქნება დემოგრაფიული პრობლემების კვლევისკენ, მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებისკენ და ა.შ.(-).		
10	**A10.“დეკრეტული შვებულების“ პროგრამის რეალიზაცია რა შესაძლებლობებს ქმნის და როგორია გამოწვევები?**	შვებულებების ანაზღაურება უზრუნველყოფს დასაქმებულთა ფინანსურ მხარდაჭერას ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო.	ხელს უწყობს ორივე მშობელს უკეთესეად იყოს ჩართული საკუთარი შვილის აღზრდისა და მოვლის პროცესში (+). წახალისებულია ქალთა ფინანსური მხარდაჭერა, შობადობის ხელშეწყობა და ქალებისთვის სამუშაო ადგილების შენარჩუნება	4	1

			(+). მნიშვნელოვანია დეკრეტული შვებულების დროს დამსაქმებლების მიერ ანაზღაურებული იქნეს დეკრეტში ყოფნის პერიოდი იგივე წესით როგორც ეს საჯარო სამსახურებშია (+). ხელს უწყობს შობადობის გაზრდას ქვეყანაში (+). დედებისთვის ქმნის რისკს მათი დეკვალიფიკაციის კუთხით, რადგან შვებულების სრული პერიოდი მოიცავს 24 თვეს და სახელმწიფო პროგრამები არ ითვალისწინებენ დეკრეტული შვებულების შემდგომ დედების ჩართვას კვალიფიკაციის ასამაღლებელ სასწავლო პროგრამებში (-).		
11	**A11. სათემო სახლის, ძალადობის და ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვის თავშესაფარი რამდენად უზრუნველყოფს ბენეფი-**	სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს დაქვემდებარებაში შედის ტრეფიკინგის/ძალადო-	თავშესაფარებში ჩარიცხული პირები უზრუნველყოფილი არიან მათთვის შესაბამისი მომსახურებებით (+). აღნიშნულ დაწესებულე-	2	1

	ციარის უფლებების დაცვას?	ბის მსხვერპლთა დაცვა და დახმარება და თავშესაფრები. აღნიშნულ მომსახურებებში ხორციელდება შესაბამისი ქვეპროგრამით განსაზღვრული ღონისძიებები, რომელიც მორგებულია თითოელ ბენეფიციარზე.	ბებში უზრუნველყოფილია ბენეფიციარების საჭიროებები და ხორციელდება ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია, სამედიცინო და იურიდიული მხარდაჭერა (+). ვერ უზრუნველყოფს, რადგან ვერ ფინანსდება ისე, რომ უზრუნველყოს ბენეფიციართა შემდგომი სოციალიზაცია (-).		
12	**A12. რა არის მოცემული პროგრამის ძლიერი მხარეები?** C ჰეპატიტის ელიმინაციის უფლება; ახალი კორონავირუსული დაავადების „COVID 19-ის მართვის“ სახელმწიფო პროგრამა; გადაუდებელი სტაციონალური მომსახურება; კარდიოქირურგია; მშობიარობა და საკეისრო კვეთა; ქიმიო, ჰორმონო და სხივური თერაპია; გადაუდებელი ამბულატორიული მომსა-	ჯანდაცვის პროგრამები მუშაობს გამართულად. განსაკუთრებით აღსანიშნავია რეფერალური, გადაუდებელი, სასწრაფო დახმარების, C-ჰეპატიტის ელიმინაციის, ონკოლოგიურ ავადმყოფთა დახმარების, კარდიოქირურგიული და ორსულობა-მშობიარობასთან დაკავშირებული პროგრამები.	სამიზნე ჯგუფის დროული დახმარება და მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება (+).	1	

	ხურება; რეფერალური მომსახურება; სააფთიაქო ნარკომანიასთან ბრძოლა; პირველადი ჯანდაცვა- ადრეული დიაგნოსტიკა, დაავადების პრევენცია; ახალი ინფრასტრუქტურული პროექტები; სასწრაფო სამედიცინო დახმარება- ახალი ავტომობილები; სოფლის ექიმის სახელმწიფო პროგრამა; დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის გაუმჯობესება; სოციალური თანადგომა.				
13	**A13. რამდენად არის დაცული საქართველოში შრომის უფლება?**	საქართველოში შრომის უფლებასთან დაკავშირებული საკითხები შრომის კოდექსისა და სამართლებრივი აქტების თანახმად რეგულირდება. გარდა ამისა, არსებობს დასაქმების ხელშეწყობის, სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზა-	ბოლო წლებში წინგადადგმული ნაბიჯები შეინიშნება: ახალი შრომის კოდექსის მიღება, დეკრეტული შვებულების ვადის და ფულადი დახმარების გაზრდა და სხვა (+). შრომის უფლება ყველას აქვს, სამუშაო ადგილების დეფიციტია (+).	2	3

		დების/გადამზადების, შრომის პირობების ინ-სპექტირების სახელწმი-ფო პროგრამები.	უნდა აღინიშნოს, რომ-მოქმედი კანონმდებლო-ბა სრულად ვერ ახდენს შრომის უფლების რეალი-ზებას საქართველოში (-). შრომის კოდექსი ნათ-ლად არ არეგულირებს ისეთ საკითხებს, როგო-რიცაა საათობირვი ანაზ-ღაურება, ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი და პირობები, საა-თობრივი ანაზღაურება და მინიმალური ხელფასი (-). გამოწვევებია კანონ-მდებლობით განსაზ-ღვრული უფლებების აღ-სრულების მხრივ, რაც, ერთი მხრივ, გამოწვეუ-ლია იმით, რომ სახელ-მწიფოში არ არსებობს უწყება შრომითი უფლებე-ბის მონიტორინგის კომ-პეტენციით და მეორე მხრივ იმით, რომ არ გვაქვს სპეციალიზიებული შრომითი სასამართლოს პრაქტიკა (-).		

14	**A14. რამდენად სამართლიანია და ხელსაყრელი შრომის პირობები საქართველოში?**	კანონმდებლობით რეგულირდება სამუშაო ადგილებზე შრომის უსაფრთხოების საკითხები, დამსაქმებელთა, დასაქმებულთა უფლებები, ვალდებულებები და პასუხისმგებლობები, რომლებიც დაკავშირებულია უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს შექმნასთან. რეგულირდება შესაბამისი კანონმდებლობით, სადაც გაწერილია უფლებები და მოვალეობები, რომ დაცული იყოს შრომის პირობები.	შრომის კანონმდებლობა სრულად ვერ პასუხობს არსებულ გამოწვევებს და მიმდინარეობს მუშაობა მის დახვეწაზე (-). ნაწილობრივ, როგორც მთელ მსოფლიოში (-).		2
15	**A15. რამდენად უზრუნველყოფს საქართველოში მოქმედი პროგრამები დედების დაცვას ორსულობისა და მშობიარობის შემდეგ პერიოდში?**	ნაწილობრივ.	-	-	-
16	**A16. რამდენად უზრუნველყოფს საქართველოში მოქმედი პროგრამები ბავშვთა და**	სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული ქვეპროგრამები, რომლებიც მორგებულია ბავშვთა და	მორგებულია ბავშვთა და მოზარდთა საჭიროებებზე, უზრუნველყოფს მათი სოციალური და ეკონომი-	1	

	მოზარდთა დაცვას სოციალური და ეკონომიკური ექსპლოატაციისგან	მოზარდთა საჭიროებებზე უზრუნველყოფის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას, ხოლო სხვადასხვა კანონით, მთავრობის დადგენილებითა და სამართლებრივი აქტებით დაცულია ბავშვთა უფლებები და შექმნილია რეაგირების მექანიზმები, რომლითაც დაცულია ბავშვთა უფლებები ნაწილობრივ.	კური მდგომარეობის გაუმჯობესებას (+).		
17	**A17. რამდენად უზრუნველყოფს საქართველოში მოქმედი პროგრამები ჯანმრთელობის უფლების დაცვას?**	საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მოსახლეობას ექმნება ფინანსური უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობისათვის.	სახელმწიფოში არსებული საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამა უზრუნველყოფს მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების ხელშეწყობას (+).	1	
18	**A18. საქართველოში მოქმედი პროგრამები ახერხებს მოქალაქეებისთვის ღირსეული საცხოვრებელი პირობებისა და ჰიგიენის უზრუნველყოფას?**	ზემოაღნიშნული პროგრამები არ არის მიმართული საცხოვრებელი პირობების ან/და ჰიგიენის სრულად უზრუნველყოფისაკენ, ინდივიდმა თავად უნდა შეუწყოს ხელი საკუთარ ჰიგიენას.	ქვეყანაში ჰიგიენის უზრუნველყოფას მხოლოდ სახელმწიფო პროგრამები ვერ უზრუნველყოფს, თუ მოსახლეობამ არ გაიზიარა თავისი პასუხისმგებლობა (-).		1

		ღირსეული საცხოვრებელი პირობები და ჰიგიენა ფართო ხასიათისაა, ყველამ თავისი წვლილი უნდა შეიტანოს.			
19	**A19. რამდენად უზრუნველყოფს საქართველოში მოქმედი პროგრამები შიმშილის პრობლემის აღმოფხვრას?**	სიღარიბის პრევენციის მიზნით ქვეყანაში სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული, სიღარიბის ზღვარს ქვევით მყოფი ოჯახები უზრუნველყოფილნი არიან მიზნობრივი სოციალური დახმარებით-საარსებო შემწეობით. რომელიც გაიცემა შეფასების სისტემით (PMT ფორმულით) იდენტიფიცირებული ოჯახებისთვის, რომელთა სარეიტინგო ქულა დაწესებულ ზღვარზე ნაკლებია. მსოფლიო ბანკისა და გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით შეიცვალა ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგია და ადმინის-	სოციალური დაცვის პროგრამები უზრუნველყოფს სიღატაკის ზღვარზე მყოფი ოჯახების მხარდაჭერას (+). არსებობს მიზნობრივი დახმარების პროგრამა, თუმცა პროგრამის მეტი ეფექტიანობის მიზნით აღნიშნულ საკითხზე მიმდინარეობს მუშაობა (-). მსოფლიო ვერ უზრუნველყოფს ამას (-).	1	2

		ტრირების სქემა. ახალი ფორმულა ობიექტურ კრიტერიუმებს დაეფუძნა, შემოღებულ იქნა საარსებო შემწოების დიფერენ-ცირებული სისტემა და ბავშვის ბენეფიტი. საარ-სებო შემწეობის ოდენობა 30 ლარიდან 60 ლარამ-დეა, ხოლო 2019 წლის იანვრიდან 100000-ზე ნაკ-ლები სარეიტინგიო ქუ-ლის მქონე ყოველ ბავ-შვზე დამატებით გაიცემა 50 ლარი. გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ 2017 წელს ჩატარე-ბულ „საქართველოში ბავ-შვებისა და მათი ოჯახე-ბის კეთილდღეობის კვლევაში“ აღნიშნულია, რომ „თუ მიზნობრივი სო-ციალური დახმარება ამოღებული იქნება შინა-მეურნეობების მოხმარე-ბიდან, უკიდურესი სიღა-რიბის დონე ბავშვებს შო-რის გაიზრდება 6.8%-დან 12.9%-მდე“, ხოლო „თუ კა-			

		ტეგორიებზე დაფუძნებული შემოსავალი ამოღებული იქნება მოხმარებიდან, უკიდურესი სიღარიბის მაჩვენებელი შინამეურნეობებს შორის გაიზრდება 4.3%-დან 6.1%-მდე, ფარდობითი სიღარიბე 22.5%-დან 25.0%-მდე და ზოგადი სიღარიბე 19.6% -დან 22.2%-მდე. კატეგორიებზე დამყარებული შეღავათები ამცირებს ეროვნული სიღარიბის მაჩვენებელს 3 პროცენტულ პუნქტზე ნაკლებით ყველა ჯგუფის მასშტაბით.			

საქართველოს კანონმდებლობისა და სახელმწიფო პროგრამების ეფექტიანობის შეფასების მიზნით გავეცანით **საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის** ანგარიშებს და ჩაღრმავებული ინტერვიუები ჩავატარეთ მათ წარმომადგენლებთან.

ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ადამიანის უფლებების დაცვის მიმართულებით მომუშავე სამთავრობო უწყებებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით კომიტეტი, კომპეტენციის ფარგლებში, განიხილავს და რეაგირებას აკეთებს ფიზიკური და იურიდიული პირების წერილებსა და განცხადებებზე. 2017 წლიდან აპრობირებულმა განცხადებების განხილვის ახალმა სისტემამ შედეგად მოიტანა მოქალაქეებისთვის დროული მხარდაჭერის აღმოჩენა, შესაძლებელი გახადა განცხადებების დამუშავებისა და უწყებებში გაგზავნილ განცხადებების შესრულებასა და რეაგირების პროცესებზე ეფექტიანი კონტროლი. კომიტეტის შიდა რეგულაციით არაუგვიანეს 3 დღის მანძილზე უნდა მოხდეს თითოეული პირის განცხადებაზე რეაგირება. ახალმა სისტემამ სრულყოფილი სტატისტიკის წარმოება შესაძლებელი გახადა. 2020-2021 წლებში კომიტეტში შევიდა და დამუშავდა მოქალაქეთა 2868 განცხადება. შინაარსობრივი ანალიზის საფუძველზე გამოკვეთილია შემდეგი ტენდენციები და მიმართულებები: შემოსული განცხადებების 13%-მდე ეხება სოციალურ საკითხებსა და ჯანმრთელობის დაცვას, 44% – გამოძიებისა და მართლმსაჯულების სფეროს, სასჯელაღსრულების საკითხებთან დაკავშირებით შემოსული განცხადებების წილი 4.2%-ს შეადგენს, სასჯელისგან განთავისუფლების თხოვნით შემოსული განცხადებების რაოდენობა 4.1%-ია, იურიდიული კონსულტაციის კუთხით დახმარების თხოვნას შეეხება შემოსული განცხადებების 3.8%, დევნილი და საქართველოს ტერიტორიაზე იძულებით გადაადგილებულ პირთა პრობლემატიკას – 1.7%, ხოლო 24% – ისეთი სხვადასხვა მიმართულების თემებს, როგორიცაა კრედიტების რესტრუქტურიზაცია, ქონებრივი დავები, შრომითი უფლებები და ა. შ. საანგარიშო პერიოდში კომიტეტის წარმომად-

გენლები და აპარატის თანამშრომლები შეხვდნენ და სამართლებრივი მხარდაჭერა გაუწიეს 1500-მდე მოქალაქეს, მათგან 400-მდე მოქალაქეს უშუალოდ შეხვდა კომიტეტის თავმჯდომარე. ხაზგასმით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ გრძელდება წარმატებული თანამშრომლობა კომიტეტსა და სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურს შორის, 2018 წლის 27 სექტემბერს გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე. სანგარიშო პერიოდში, იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ, კომიტეტის შუამდგომლობით, ადვოკატი დაენიშნა 2 ბრალდებულს, 1 მსჯავრდებულს და 1 მოქალაქეს, კონსულტაცია გაეწია და საჭიროების შემთხვევაში სამართლებრივი დოკუმენტი მოუმზადდა 39 მოქალაქეს და 14 ბრალდებულს / მსჯავრდებულს, ხოლო 5 საქმეზე დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება.

საბიუჯეტო ზედამხედველობის ფარგლებში, საანგარიშო პერიოდში, კომიტეტმა განიხილა 2020 წლის ბიუჯეტის კანონის პროექტი და განახორციელა მისი დეტალური ანალიზი ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით. ანალიზის საფუძველზე გაიცა რეკომენდაციები, რომლებიც ითვალისწინებდა 2020 წლისთვის სოციალური მუშაკების რაოდენობის ზრდას, „ბავშვის უფლებათა კოდექსის“ იმპლემენტაციისთვის საჭირო ისეთი ღონისძიებების დაფინანსებას, როგორიცაა ბავშვის მხარდამჭერი პროგრამები, ფსიქოლოგების, სოციალური მუშაკების, კოორდინატორებისა და ინსპექტორების დაფინანსება. კომიტეტის მიერ გაცემული რეკომენდაციები ასევე ითვალისწინებდა შშმ პირების რეაბილიტაცია-აბილიტაციის პროგრამების გაუმჯობესებას, შშმ ბავშვებისთვის ჯანმრთელობის სადაზღვევო პროგრამების გაუმჯობესებას და დღის ცენტრების დაფინანსებას. რეკომენდაციები იქნა გაცემული, ასევე, იურიდიული დახმარების სამსახურისთვის ადეკვატური ფინანსურის სახსრების მიწოდებაზე გაფართოებული მანდატით დაკისრებული ახალი ფუნქციების ჯეროვანი შესრულების მიზნით.

კომიტეტში შეიქმნა შემდეგი სამუშაო ჯგუფები, რომლებიც აქტიურად მუშაობენ საქართველოში უფლებების მიმარ-

თულებით არსებული რეგულაციების ეფექტიანად აღსრულებისა და კანონმდებლობის გაუმჯობესებისთვის:

სოციალური მუშაკის რეფორმა – კომიტეტი განაგრძობს „სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონის იმპლემენტაციის სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგს. სამოქმედო გეგმის შესრულების მიზნით შექმნილია უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი, რომლის წევრებიც არიან როგორც საქართველოს პარლამენტის, ისე აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი უწყებების წარმომადგენლები და იმპლემენტაციის მხარდამჭერი დონორი ორგანიზაციები, ასევე, არასამთავრობო სექტორი და სფეროს სპეციალისტები. სამოქმედო გეგმით, სხვა ღონისძიებებთან ერთად, გათვალისწინებულია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, განათლების, მეცნიერების, სპორტისა და ახალგაზრდობისა და იუსტიციის სამინისტროებში სოციალურ მუშაკთა რაოდენობისა და მათი ხელფასების ზრდა. რეფორმის მიზანია, ყველაზე მოწყვლადი, დისკრიმინირებული და დაჩაგრული ინდივიდებისთვის სოციალური მუშაკის ინსტიტუტის გაძლიერება, რომელიც არის სახელმწიფოს წარმომადგენელი და რომელიც ამ ადამიანებს დაეხმარება თვითრეალიზაციის გზით გაძლიერებაში.

რელიგიის თავისუფლება – საკვლევ პერიოდში ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტში გაიმართა 5 სამუშაო შეხვედრა რელიგიის თავისუფლებასთან დაკავშირებულ საკითხებზე მსჯელობის მიზნით. აღნიშნული სამუშაო ჯგუფი, კომიტეტის ინიციატივით, 2018 წლის ბოლოს შეიქმნა და 2019 წლის იანვრის თვიდან აქტიურ მუშაობას შეუდგა. სამუშაო ჯგუფის შექმნის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს ისეთი პოლიტიკის განსაზღვრა, რომელიც უზრუნველყოფს რელიგიის თავისუფლებას. სამუშაო პროცესებში აქტიურად არიან ჩართული საქართველოში მოქმედი რელიგიური კონფესიების, სახალხო დამცველის აპარატისა და სამოქალაქო სექტორის წარმომდგენლები.

შრომის უსაფრთხოების გამოწვევების აღმოფხვრის მიზნით, მიღებულ იქნა კანონი **„შრომის უსაფრთხოების შესა-**

ხებ“. საკანონმდებლო ინიციატივით განისაზღვრა შრომის ინსპექციის უფლებამოსილება, შრომით უფლებებთან დაკავშირებით სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელების თვალსაზრისით. შრომით დებულებებთან დაკავშირებულ საკითხებზე გათვალისწინებულია სხვადასხვა ადმინისტრაციული სახდელები. ინიციატივით შემოტანილი რეგულაციები ხელს უწყობს შრომითი უფლებების დაცვის სტანდარტების განვითარებას, დახვეწასა და გაუმჯობესებას, საქართველოს შრომის კანონმდებლობის დაახლოებას ევროპული კავშირის დირექტივით და ILO-ს კონვენციებით გათვალისწინებულ სტანდარტებთან. გარდა ამისა, კანონპროექტის მიღებით საქართველომ შეასრულა „ასოცირების შესახებ შეთანხმებით“ ნაკისრი ვალდებულებების მნიშვნელოვანი ნაწილი.

შშმ პირთა უფლებების მიმართულებით პარლამენტმა, მთავრობასთან ერთად მნიშვნელოვანი საქმიანობა განახორციელა. პარლამენტმა დაამტკიცა მთავრობის მიერ ინიციატივის წესით წარმოდგენილი კანონი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ (შემდგომში შშმ პირთა შესახებ კანონი), რომელიც უდავოდ მნიშვნელოვანი ნაბიჯია საქართველოში შშმ პირთა უფლებრივი მდგომარეობის სამართლებრივი მოწესრიგების თვალსაზრისით. კანონი ემსახურება ეროვნული კანონმდებლობის ჰარმონიზაციას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციასთან“. შშმ პირთა შესახებ კანონის თანახმად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვა დაფუძნებულია სოციალური მოდელის მიდგომაზე, რომელიც ამ კატეგორიის პირთა რეალური საჭიროებების განსაზღვრასა და შესაბამის რეაგირებაზეა ორიენტირებული. კანონი განმარტავს „უნივერსალური დიზაინის“ პრინციპსა და „გონივრული მისადაგების“ დებულებას, რომელიც უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის უფლებებისა და თავისუფლებების სხვებთან თანასწორ პირობებში რეალიზებასა და დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობას. გონივრულ მისადაგებაზე უარი არის დისკრიმინაციის ერთ-ერთ სახე. გარდა ამისა, კანონი ითვალისწინებს ჟესტური ენის განმარტებას და ხაზს

უსვამს ამ ენის სახელმწიფოს მიერ აღიარების ვალდებულებას. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის გაძლიერებისთვის კანონი ადგენს სპეციალური მოსარჩელის ინსტიტუტს, რის საფუძველზეც უშუალო და პირდაპირი ზიანის არსებობის გარეშეც, ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეებზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვას, კანონიერი წარმომადგენლობის უფლებამოსილების მიუნიჭებლად, შეძლებენ სპეციალური მოსარჩელის სტატუსის მქონე ორგანიზაციები. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვისთვის ხსენებული სამართლებრივი აქტით განისაზღვრება საჯარო და კერძო სამართლის სუბიექტების რიგი უფლება-მოვალეობები. სხვებს შორის, აღსანიშნავია მუნიციპალიტეტის ორგანოების/დაწესებულებების ვალდებულება, გასცენ პერსონალური ასისტენტის მომსახურების სერვისი. ამასთან, შშმ პირთა შესახებ კანონი ადგენს საფუძველს, შეიქმნას „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის“ იმპლემენტაციაზე პასუხისმგებელი უწყებათაშორისი საკოორდინაციო კომიტეტი. აღსანიშნავია, რომ კანონმა ცალკე მუხლით დაარეგულირა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების და გოგონების უფლებრივი მდგომარეობა.

საპარლამენტო ზედამხედველობის განხორციელებაში მნიშვნელოვანი როლი აქვს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტს, რამდენადაც, გარდა კანონშემოქმედებითი საქმიანობისა, მას აქვს საშუალება, განახორციელოს ეფექტიანი ზედამხედველობა ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში აღმასრულებელი ხელისუფლებისა და სხვა ანგარიშვალდებული ორგანოების საქმიანობაზე. ხაზგასასმელია ტენდენცია, რომლის მიხედვითაც კომიტეტის უფლებამოსილებები ადამიანის უფლებათა სხვადასხვა სფეროში ანგარიშების მოსმენის მიმართულებით ფართოვდება და იხვეწება. ზედამხედველობის პროცესში გამოვლენილ, ადამიანის უფლებათა დარღვევის თითოეულ ფაქტთან დაკავშირებით კომიტეტი გასცემს რეკომენდაციებს შესაბამისი სახელმწიფო უწყებებისთვის და ახდენს მონიტორინგს უწყებების მხრიდან დარღვევებზე რეაგი-

რების პროცესებზე. კომიტეტისათვის, ასევე, პრიორიტეტულია საპარლამენტო ზედამხედველობა საქართველოს მთავრობის მიერ საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების პროცესზე, მათ შორის – ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების / განჩინებებისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კომიტეტების მიერ საქართველოს წინააღმდეგ მიღებული გადაწყვეტილებების / განჩინებების აღსრულების მდგომარეობაზე.

კვლევის ფარგლებში შესწავლილ იქნა **სახელმწიფო აუდიტის სამსახურის** მიერ განხორციელებული ეფექტიანობის აუდიტის ანგარიშები, ასევე მივმართეთ წერილობით აუდიტის სამსახურს შრომის, სოციალური და ჯანმრთელობის უფლებების დაცვის თვალსაზრისით საქართველოში არსებული მდგომარეობის შესახებ მოსაზრებების და შეფასებების გაზიარების თაობაზე.

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სახელმწიფო აუდიტის სამსახური სახელმწიფო საფინანსო-ეკონომიკური კონტროლის უმაღლესი ორგანოა, რომელიც ახორციელებს აუდიტს. მისი უფლებამოსილება განსაზღვრულია საქართველოს კონსტიტუციით, „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით და ასევე, სხვა მარეგულირებელი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით. სამსახურის კომპეტენციაში შედის სხვადასხვა საბიუჯეტო დაწესებულების ფინანსური, შესაბამისობისა თუ ეფექტიანობის აუდიტების ჩატარება. აუდიტორული საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, სხვა სფეროებთან ერთად, ასევე, წარმოადგენს ჯანმრთელობის დაცვის, განათლებისა, კულტურის, სპორტის დასოციალური დაცვის საკითხებიც.

აუდიტის შედეგების შესახებ მზადდება ანგარიში, რომელიც აუდიტის ფარგლებში გამოვლენილ ხარვეზებსა და მათი აღმოფხვრის შესახებ რეკომენდაციებს შეიცავს. ანგარიში წარედგინება შემოწმებულ საჯარო დაწესებულებას. ის ასევე შეიძლება გაეგზავნოს შემოწმებული დაწესებულების ზემდგომ ორგანოს. სახელმწიფო აუდიტის სამსახური ელექტრონული სისტემის მეშვეობით ახორციელებს მონიტორინგს აუდიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულე-

ბაზე. სამსახურის რეკომენდაციების საფუძველზე პარლამენტი და აღმასრულებელი ხელისუფლება იღებს მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს სოციალურ, ჯანდაცვის, განათლების, მეცნიერების, ეკონომიკისა და სხვა სფეროებში. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციებით, სახელმწიფო ბიუჯეტში ყოველწლიურად ათეულობით მილიონი ლარი იზოგება. აუდიტის ფარგლებში, დანაშაულის ნიშნების გამოკვეთის შემთხვევაში, სახელმწიფო აუდიტის სამსახური სამართალდამცავ ორგანოებს მიმართავს და მათ შესაბამის მასალებს გადასცემს.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2021 წლის 29 იანვარს[61] ჩატარებული ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამის 2017-2018 წლების შესაბამისობის აუდიტის მიხედვით გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

პროგრამაზე ხელმისაწვდომობის ნაკლოვანებები:

კვლევებმა ცხადყო, რომ სამინისტროს არ ჰქონდა გავრცელებული აღნიშნული პროგრამის ამოქმედებასთან დაკავშრებული საკმარისი ინფორმაცია. ბენეფიციარებს, რომელთაც უნდა ესარგებლათ ამ პროგრამით, ნაკლებად ფლობდნენ ამ პროგრამის შესახებ ინფორმაციას, რის შედეგადაც ბენეფიციარების მხოლოდ 9%-მა ისარგებლა უფასო ქრონკული დაავადების სამკურნალო მედიკამენტებით.

აღმოჩნდა, რომ რეალურად შესყიდვა განხორციელდა დიდი რაოდენობის მედიკამენტებზე, რომლებიც პროგრამის ფარგლებში ვერ გაიხარჯა.

მედიკამენტების მიწოდების შეზღუდული ვადები:

პროგრამა ითვალისწინებდა მედიკამენტების შეზღუდულ ვადებში მიწოდების აუცილებლობას, რამაც უფრო მეტად შეუწყო ხელი აღნიშნულ პროგრამაში ნაკლები ბენეფიციარის ჩართვას.

მედიკამენტების ვარგისიანობის ვადა:

---

[61] ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამის აუდიტის ანგარიში, 29 იანვარი, 2021.

გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც ბენეფიციარების მიერ მიებულ მედიკამენტებს, მოხმარების პერიოდში გაუვიდა ვარგისიანობის ვადა.

2020 წლის 5 ივნისის[62] სახელმწიფო პენსიის ადმინისტრირების ინფორმაციული სისტემების ეფექტიანობის აუდიტის ანგარიშით შეფასდა მდგომარეობა პენსიის ადმინისტრირების პროცესის პროდუქტიულობასა და პერსონალური ინფორმაციის დამუშავების უსაფრთხოებასთან დაკავშირებით.

სახელმწიფო პენსიის ადმინისტრირების ინფორმაციული სისტემა („პენსია 2005“) იმდენად მოძველებულია, რომ ვერ უზრუნველყოფს სააგენტოს სხვა სისტემებთან ინტეგრაციას. არ არის უზრუნველყოფილი ინფორმაციული უსაფრთხოების საკანონმდებლო მოთხოვნების შესრულება.

ქვეყნის მასშტაბით მოქმედებს 69 რაიონული სამუშაო ოფისი, რომლის მინიმალური უსაფრთხოების დაცვა ვერ ხერხდება. ოფისებში სააგენტოს თანამშრომლებს წვდომა აქვთ იმაზე მეტ ინფორმაციასთან, ვიდრე ეს საჭიროა მათი ფუნქცია-მოვალეობების შესასრულებლად.

სააგენტოს არ გააჩნია კონტროლის მექანიზმები, რომლითაც საშუალება ექნებოდა გამოევლინა არასანქცირებული მოქმედებები.

2019 წლის 22 მარტის ოჯახში ძალადობისგან დაცვისა და პრევენციის მექანიზმების ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში[63] შეეხო ოჯახში ძალადობისგან დაცვისა და პრევენციის მექანიზმებს, როგორ რეაგირებს პოლიცია, როგორ ერთვება სოციალური მუშაკი და როგორ მიმდინარეობს მოქალაქეების ცნობიერების ამაღლება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

რისკის შეფასების მექანიზმი შინაგან საქმეთა სამინისტროში:

---

[62] სახელმწიფო აუდიტის ანგარიში - სახელმწიფო პენსიის ადმინისტრირების ინფორმაციული სისტემების ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში. 05 ივნისი, 2020.

[63] სახელმწიფო აუდიტის ანგარიში - ოჯახში ძალადობისგან დაცვისა და პრევენციის მექანიზმების ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში 22 მარტი, 2019.

შინაგან საქმეთა სამინისტროში ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე რისკის სისტემური შეფასების მექანიზმი 2018 წლამდე არ არსებობდა. პოლიციელის ინდივიდუალური გადაწყვეტილების საფუძველზე ხდებოდა შემაკავებელი ორდერის გაცემა, რაც ძირითადად ვერ უზრუნველყოფს დანაშაულის ფაქტზე სრულფასოვან რეაგირებას. აღნიშნული ხარვეზი გამოსწორდა და 2018 წლის 1 სექტემბრიდან ამოქმედდა რისკის შეფასების მექანიზმი და განისაზღვრა ორდერის გაცემის საფუძველი, თუმცა კვლავ გამოწვევაა პოლიციელების მიერ აღნიშნული რისკის შეფასების ოქმის ჯეროვანი შევსება.

ხარვეზს წარმოადგენდა ასევე ის პრაქტიკა, რომ ორდერის დარღვევის შესახებ ინფორმაცია მხოლოდ მაშინ ხდებოდა სამართალდამცველებისთვის ცნობილი, როდესაც ამის შესახებ თავად დაზარალებული განაცხადებდა. თუმცა რისკის შეფასების ინსტრუმენტის ამოქმედებასთან ერთად, ამოქმედდა შემაკავებელი ორდერის მონიტორინგის წესიც, რითაც პოლიციის როლი მეთვალყურეობის პროცესში მნიშვნელოვნად გაიზარდა.

ეკონომიკური ძალადობა მოხუცებზე:

არსებობს მოხუცებზე განხორციელებული ეკონომიკური ძალადობის მიმართ რეაგირების მექანიზმი, რომელიც გარკვეულ შემთხვევებში არაქმედითია და ვერ უზრუნველყოფს მათ სათანადოდ დაცვას.

არსებობს მოძალადის ქცევის კორექციის კანონით გათვალისწინებული კურსები, თუმცა ეს უკანასკნელი პრაქტიკაში არ არის დანერგილი და ასევე, არ არის განსაზღვრული მათ განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო.

სოციალური მუშაკი:

ქვეყანაში არსებობს სოციალური მუშაკების დიდი დეფიციტი, რაც ძალადობის შემთხვევებში მათ არასათანადო და არაშედეგიან ჩართულობას განაპირობებს.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა განახორციელა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და მის დაქვემდებარებაში მყოფი სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს „საარსებო შემწეობით

უზრუნველყოფის“ პროგრამის ეფექტიანობის აუდიტი[64], რომელიც გადმოცემულია 2016 წლის 8 ოქტომბრის ანგარიშში.

პროგრამის ეფექტიანობა:

აუდიტმა გამოავლინა, რომ ქვეყანაში არ არსებობს კონკრეტული სტრატეგიული დოკუმენტი, რომელიც შეამცირებდა ბენეფიციარების სოციალურ დახმარებებზე დამოკიდებულებას. 2016 წელს არსებული მდგომარეობით, ბენეფიციარები, რომლებიც დასაქმდებიან, ავტომატურად ვარდებიან პოგრამიდან და ხდება მათი დახმარების მკვეთრი შემცირება, ან გაუქმება, რაც იწვევს მათ მნიშვნელოვნად დაზარალებას. ბენეფიციარს არ აქვს გარანტია, რომ შრომით ბაზარზე გასვლით გაუმჯობესდება მისი ეკონომიკური მდგომარეობა და რომ ეს იქნება გრძელვადიანი დასაქმება, იმის ფონზე რომ კარგავს სახელმწიფოს მხრიდან სოციალური დახმარების პაკეტს და ეს იწვევს მის დემოტივაციას, რომ დასაქმდეს. შესაბამისად, სახელმწიფო არ არის მოწოდებული პროგრამის ფარგლებში ბენეფიციარების შრომითი წახალისების მიმართულებით.

საკითხის აქტუალურობიდან გამომდინარე, კვლევის პროცესში მივმართეთ **საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს,** რათა გაეზიარებინა ჩვენთვის შრომის და სოციალური უფლებების დაცვის თვალსაზრისით საქართველოში არსებული მდგომარეობა და მოეწოდებინა პროცენტული მაჩვენებლები, თუ რამდენად ხშირია სასამართლოების მიერ განხილული ადმინისტრაციული და სამოქალაქო საქმეებიდან / დავებიდან შრომითი სამართლებრივი დავები; პერსონალური მონაცემების დარღვევასთან დაკავშირებული დავები; სამართლებრივი დავებისას რამდენი პროცენტი / რა ნაწილი იყენებს უფასო იურიდიული დახმარების სამსახურის სერვისს; როგორია სტატისტიკური მაჩვენებელი, სოციალურად დაუცველი მოქალაქეების მიერ სოციალური დახმარების / შემწეობის მიღებასთან დაკავშირებულ დავებზე; როგორია სტატისტიკური მაჩვენებელი, ორსულობისა და მშობიარობის

[64] სახელწიფო აუდიტის ანგარიში - საარსებო შემწეობის მიმღები შრომისუნარიანი ბენეფიციარების სოციალურ დახმარებებზე დამოკიდებულების შემცირება, 28 ოქტომბერი, 2016.

შემდგომ პერიოდში დეკრეტული შვებულების თაობაზე; ქონების დაყადაღების მიმართულებით და სხვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სტატისტიკის სექტორის მონაცემებით, სამოქალაქო სამართალწარმოების გზით 2019 წელს საერთო სასამართლოებში შევიდა 1380 შრომითი სამართლებრივი დავა, 2018 წელს – 1273. ადმინისტრაციული სამართალწარმოების გზით 2019 წელს საერთო სასამართლოებში შევიდა შრომითი ურთიერთობებიდან გამომდინარე 379 საქმე, 2018 წელს – 503. პერსონალური მონაცემების დარღვევის, სოციალურად დაუცველი მოქალაქეების მიერ სოციალური დახმარების/შემწეობის მიღების და სოციალურად დაუცველი პირებისათვის ქონების დაყადაღებასთან დაკავშირებული საქმეების, სამართლებრივი დავების მონაწილეთა მიერ უფასო იურიდიული დახმარების გამოყენების თაობაზე ინფორმაციის აღრიცხვა საერთო სასამართლოების მიერ არ ხორციელდება. უნდა აღინიშნოს, რომ შრომითი დავების სიმრავლე მოქალაქეთა უფლებების დარღვევაზე მიუთითებს. სწორედ ამიტომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ მოწოდებული ინფორმაცია მკვლევართა ჯგუფისთვის ერთ-ერთი შემდგომი რაოდენობრივი კვლევის საფუძველი გახდა.

კვლევის პროცესში დეტალურად შევისწავლეთ და გავაანალიზეთ **საქართველოს სახალხო დაცველის** მიერ მომზადებული ანგარიშები[65] და მათგან მიღებული წერილები, რომლებიც შეეხო ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროებს, მათ შორის ადამიანის სოციალური და ეკონომიკური უფლებების დაცვას.

სამართლიანი სასამართლოს უფლება

სამოქალაქო კოდექსში შესული ცვლილების შესაბამისად ნებისმიერი ასაკის ბავშვისთვის შესაძლებელი გახდა, თავისუფლად მიმართოს სასამართლოს.

არ შეცვლილა მდგომარეობა სასამართლოში საქმეთა განხილვის გაჭიანურების მიმართულებით. საქმეთა მნიშვნელოვან ნაწილზე ირღვევა საპროცესო ვადები.

---

[65] https://ombudsman.ge/geo/spetsialuri-angarishebi საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, 2019.

დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლა

2019 წელს ყველაზე დაუცველ ჯგუფებად ქალები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და ლგბტ+ თემისა და რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები რჩებიან.

არ უმჯობესდება ლგბტ+ პირთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში. არაერთი ფაქტი არსებობს იმისა, რომ ლგბტ+ ადამიანები კვლავ განიცდიან ჩაგვრას, ძალადობას და დისკრიმინაციას. საზოგადოების დიდ ნაწილში კვლავ არსებობს ჰომოფობიური განწყობა, რომლის გამოც ლგბტ+ პირებს ძალიან უჭირთ შრომის, ჯანდაცვის, სოციალური დაცვის და განათლების უფლებებთ სარგებლობა.

სექსუალური შევიწროვება

კანონმდებელმა სექსუალური შევიწროება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად განსაზღვრა, კანონმდებლობაში გაჩნდა ახალი სამართლებრივი დაცვის მექანიზმი.

საქართველოში სექსუალური შევიწროების ფენომენთან დაკავშირებით აქტიურმა კამპანიამ, საზოგადოებაში აამაღლა ცნობიერება იმის შესახებ, თუ რა ქცევა შეიძლება დაკვალიფიცირდეს სექსუალურ შევიწროებად. აღნიშნულის შედეგადაც გაიზარდა როგორც სახალხო დამცველთან, ასევე, სამართალდამცველებთან მიმართვიანობა.

კვლევებით დგინდება, რომ სექსუალური შევიწროების ფაქტები ძირითადად სამუშაო ადგილზე ხდება.

შვებულება ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო

კერძო სექტორში დასაქმებულთათვის ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულებით სარგებლობა ფაქტობრივად შეუძლებელია.

საკანონმდებლო მოწესრიგების საჭიროებაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ორსულობის გამო შვებულების გაცემისგან თავის არიდების მიზნით, კერძო კომპანიები იწყებენ რეორგანიზაციას, რის შედეგადაც ათავისუფლებენ კადრს.

შეზღუდული შესაძლებლობა

კრიტიკული მდგომარეობაა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების თანასწორუფლებიანობასთან დაკავშირე-

ბით. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები (გარდა მკვეთრად და მხედველობის გამო მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისა), რომლებიც დასაქმებულები არიან საჯარო სამსახურში, ვერ სარგებლობენ იმ სოციალური პაკეტით, რომელიც შშმ პირებისთვის არის კანონით განსაზღვრული. მიუხედავად შშმ პირთა (ბავშვთა) საჭიროებებზე მიმართული პროგრამების დაფინანსების ზრდისა, კვლავ დიდია მომსახურების მომლოდინეთა რიგების არსებობა და დაბალია ცალკეული ქვეპროგრამებით გათვალისწინებული სერვისის ხარისხი. რაც შეეხება ზრდასრულ შშმ პირთა რეაბილიტაციას, სახელმწიფო ვერ ახერხებს შესთავაზოს ბენეფიციარებს მსგავსი უფასო პროგრამები. რთული მდგომარეობაა რეგიონებში, სადაც ნაკლები ხელმისაწვდომობაა შშმ პირთა საჭიროებებზე გათვლილი მიზნობრივი სერვისების დიდი ნაწილზე.

დისკრიმინაცია შრომით ურთიერთობებში

2019 წლის 19 თებერვლის საკანონმდებლო ცვლილებებით, შევიწროება განისაზღვრა დისკრიმინაციის ფორმად, რაც გულისხმობს ნებისმიერი ნიშნით პირის დევნას, იძულებას, ანდა პირის მიმართ არასასურველ ქცევას, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს პირის ღირსების შელახვას და მისთვის დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას.

გენდერული თანასწორობა

საქართველოში გენდერული თანასწორობის მიღწევა კვლავ გამოწვევად რჩება. ძალიან მცირეა ქალთა გაძლიერებისკენ მიმართული პროექტები და პროგრამები როგორც მთავრობის, ისე თვითმმართველი ერთეულების დონეზე. ქვეყანაში აქტიურად მიმდინარეობს კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისკენ მიმართული პროექტები და პროგრამები, თუმცა სავალალოდ დაბალია იმ პროგრამების რაოდენობა, რომლებიც გამოიყენება ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა სოციალური და ეკონომიკური გაძლიერებისთვის.

ქალთა სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის უფლებები ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია გენდერული თანასწორობის მიმართულებით არსებული მდგომარეობის შესაფასებლად.

ქვეყანაში არ არსებობს სისტემური ხედვა მშობიარობის შემდგომი სამედიცინო ზრუნვის შესახებ. საქართველოში არცერთი პროგრამით არ ხდება ორსულობის პერიოდში და მშობიარობის შემდეგ ფსიქოლოგიური დახმარების სერვისსის მიწოდება ბენეფიციარებისთვის. სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ქალებისთვის არ არსებობს არცერთი ფიზიოლოგიურ და ფსიქოლოგიურ საჭიროებებზე მრგებული პროგრამა.

მარტოხელა და მრავალშვილიანი დედები

ქალთა ეკონომიკური აქტივობისა და მათი შრომითი უფლებების რეალიზების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია მარტოხელა და მრავალშვილიანი მშობლების უფლებრივი მდგომარეობა. დახმარების პროგრამები, რომლებსაც მრავალშვილიანი და მარტოხელა მშობლები იღებენ, დამოკიდებულია მუნიციპალიტეტების კეთილ ნებასა და ეკონომიკურ მდგომარეობაზე. პროგრამაში ჩართვის მიუხედავად, პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური სარგებელი ვერ ფარავს მრავალშვილიანი ოჯახების საჭიროებებს.

ადრეულ ასაკში და ბავშვთა ქორწინება

სამწუხარო ფაქტია ის, რომ საქართველოში ადრეულ ასაკში ქორწინებისა და ნიშნობის პრაქტიკა კვლავ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა. პრობლემას წარმოადგენს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საგანმანათლებლო დაწესებულებასა და სოციალურ სამსახურს შორის კოორდინაციის არარსებობა. ადრეულ ასაკში ქორწინების შემთხვევების თავიდან ასარიდებლად მნიშვნელოვანია ცნობიერების ამაღლება და განათლების სისტემაში გენდერული საკითხებისა და სექსუალური განათლების ინტეგრირება.

შრომის უფლება

დადებითად მიმდინარეობს ქვეყანაში „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის რე-

ფორმა. 2019 წელს მოხდა კანონის გავრცელება ეკონომიკური საქმიანობის ყველა სფეროზე და აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ შრომის ინსპექტორებისთვის სამუშაო ადგილებზე დაშვების შეზღუდვა აღარ არსებობს. შრომის უსაფრთხოების კანონმდებლობის კუთხით პოზიტიური ცვლილების მიუხედავად, შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის რესურსები საკმარისი არ არის მათთვის დაკისრებული მნიშვნელოვანი ფუნქციების შესასრულებლად. შრომის ბაზარზე იკვეთება ისეთი მძიმე დარღვევები, როგორიცაა უქმე დღეებში მუშაობის და ზეგანაკვეთური სამუშაოს აუნაზღაურებლობა, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან არსებული მდგომარეობის შეუსაბამობა და სხვ. ასეთ შემთხვევებში შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტი უფლებამოსილია გასცეს მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათის მითითებები. იგი არ არის უფლებამოსილი, გასცეს შესასრულებლად სავალდებულო მითითებები ან დააკისროს ორგანიზაციას სანქციები.

აუცილებელია ისეთი სისტემის არსებობა, რომელიც დაიცავს ადამიანის უფლებებს, როგორც უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის მიმართულებით, ასევე, უზრუნველყოფს სხვა ისეთი უფლებების დაცვას, როგორიცაა სამუშაო საათები, ხელფასი, დასვენების დრო და სხვ.

ჯანმრთელობის დაცვის უფლება

ქვეყანაში ბოლო წლებია აქტიურად მიმდინარეობს სახელმწიფოში ჯანდაცვის სისტემის რეფორმები, თუმცა გამოწვევად კვლავ რჩება საყოველთაო, პირველადი და კიბოს წინააღმდეგ მიმართული ჯანდაცვის პროგრამების ეფექტიანი აღსრულება, რომელთა მიზანი უნდა იყოს ჯანდაცვის შესაბამის სერვისებზე ხელმისაწვდომობა და მოსახლეობისთვის ფინანსური ტვირთის შემცირება. კრიტიკული მდგომარობაა სოფლად პირველადი ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის მიმართულებით. პრობლემას წარმოადგენს ქვეყანაში მედიკამენტებზე წვდომის და ხარისხთან დაკავშირებული საკითხები.

აუცილებელია სახელმწიფომ მოახდინოს ამ სფეროს მარეგულირებელი სამართლებრივი ბაზის შექმნა და ევრო-

პული სტანდარტების ეტაპობრივი დანერგვა. მნიშვნელოვანია მედიკამენტების ფასის რეგულირებისთვის შესაბამისი ღონისძიებების გატარება.

სოციალური უზრუნველყოფის უფლება

ქვეყანაში მძიმე სოციალური და ეკონომიკური ფონიდან გამომდინარე არაერთი გამოწვევაა სხვადასხვა სოციალურ პროგრამებთან დაკავშირებით. ქვეყანაში არ არის სოციალური დაცვის გამართული სისტემა და არ არსებობს შესაბამისი სტრატეგია, რომელიც ქვეყნის მოსახლეობას სამართლიანი, მიზნობრივი და ეფექტიანი დახმარებით უზრუნველყოფდა და რომელიც მიმართული იქნება მოწყვლადი ჯგუფების გაძლიერებასა და სიღარიბის დაძლევაზე.

ქვეყანაში მოქმედებს „მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამა“, რომელიც ითვალისწინებს როგორც ფულად, ისე გარკვეულ არაფულად დახმარებებსაც, თუმცა ბევრი ღარიბი ოჯახი ვერ იღებს სოციალურ დახმარებას და სოციალურად დაუცველის სტატუსთან დაკავშირებულ სხვა სერვისებს, რაც ქვეყანაში არსებული სიღარიბის მაღალი მაჩვენებლებით არის გამოწვეული.

ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა საარსებო შემწეობის დანიშვნის ვადები და ბიუროკრატია. ქვეყნის მასშტაბით კვლავ პრობლემად რჩება შეჭირვებული მოსახლეობისთვის სათანადო კვების უფლებაზე ხელმისაწვდომობა.

განათლების უფლება

ქვეყანაში გამოწვევად რჩება ინკლუზიური განათლების რეალიზება როგორც სკოლამდელი და სასკოლო, ისე პროფესიული და უმაღლესი განათლების მიმართულებით.

დიდი გამოწვევაა ზოგადი და უმაღლესი განათლების საფეხურებზე ადამიანის უფლებების შესახებ განათლების არარსებობა. გამოწვევად რჩება ბავშვებთან მომუშავე პროფესიონალების, განსაკუთრებით ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში დასაქმებულ პირთა კვალიფიკაციის საკითხი. სახელმწიფოს განათლების სისტემას არ აქვს ბულინგის დაძლევის სამოქმედო გეგმა.

ხანდაზმულთა უფლებები

სახალხო დამცველის აპარატმა[66], ხანდაზმულთა სპეციალიზებულ დაწესებულებებში ჩატარებული მონიტორინგის შედეგად, ხანდაზმულ პირთა უფლებრივი მდგომარეობის თვალსაზრისით, არაერთი პრობლემა გამოავლინა, კერძოდ, ხანდაზმულთა ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური აქტიურობის ხელშეწყობის და მომსახურებისას ინდივიდუალური მიდგომის მიმართულებებით. პრობლემაა ხანდაზმულ პირთა მიმართ ჩადენილი ძალადობის ფაქტების გამოვლენა და შესაბამისი სტატისტიკის არარსებობა, ასევე, ხანდაზმულთა სოციალურ კეთილდღეობაზე ზრუნვა ადგილობრივ თვითმმართველობებში.

ამავე პერიოდში სახალხო დამცველმა შეაფასა საბანკო დაწესებულებების მიერ ხანდაზმულ პირთა თვიური პენსიის 50%-ზე მეტის დაკავების შემთხვევების კანონიერება, რაც პენსიონერთა სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას კიდევ უფრო მეტად ამძიმებს. დადგინდა, რომ ამ მხრივ არ მოქმედებს პენსიის დაკავების რაიმე რეგულაცია / შეზღუდვა.

თვისებრივი კვლევის პროცესში აქტიურად ვთანამშრომლობდით **შრომის საერთაშორისო ორგანიზაციასთან.** ორგანიზაციის წარმომადგენლებმა დადებითად შეაფასეს შრომის ინსპექციის შესახებ ახალი კანონი. შედეგად, შრომის კანონმდებლობა ახლა გაცილებით მეტ დაცვას უზრუნველყოფს მუშაკებისთვის, თუმცა, მათი შეფასებით, გარკვეული გამოწვევები მაინც შეინიშნება. მაგალითად, შრომის კოდექსი არ იძლევა თანაბარი ანაზღაურების გარანტიებს დასაქმებული მამაკაცებისა და ქალებისთვის. შეიძლება დაისვას გარკვეული კითხვები, თუ როგორ არეგულირებს შრომის კოდექსი სტაჟირების კონტრაქტებს (მაგ., ანაზღაურებადი სტაჟირება); შრომის კოდექსის სექსუალური შევიწროების შესახებ დებულებები სათანადოდ ვერ განსაზღვრავს სექსუალური შევიწროების აკრძალვას და მტრულ სამუშაო გარემოს; ზეგანაკვეთური სამუშაოს შემთხვევაში გაზრდილი საათობრივი ანაზღაურების მინიმალური განაკვეთის შესახებ კანონით დადგენილი არ არის გათვალისწინებული; მინიმალუ-

[66] https://ombudsman.ge/geo/spetsialuri-angarishebi საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, 2019

რი ხელფასის შესახებ საკანონმდებლო გარანტიები არ არის განსაზღვრული; იდენტიფიცირებულია გარკვეული გამოწვევები დეკრეტული შვებულების პერიოდთან ურთიერთობაში (მაგ., დეკრეტული შვებულების 126 კალენდარული დღე არ შეესაბამება ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის – UNICEF-ის მიერ რეკომენდებული ექსკლუზიური ძუძუთი კვების 6 თვიან პერიოდს); მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული პროგრესი მიღწეულია მშობლის ანაზღაურებადი შვებულების შესახებ მამის უფლებასთან დაკავშირებით, შრომის კოდექსი ვერ არეგულირებს მამობის შვებულების უფლებას. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ შრომის ინსპექციის მანდატის გახანგრძლივების გათვალისწინებით, ახლა ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევაა, თუ როგორ ხდება გაუმჯობესებული შრომითი უფლებების სრულად და სათანადოდ განხორციელება პრაქტიკაში.

„შრომის ინსპექციის სამსახურის შესახებ“ კანონის თანახმად, შრომის ინსპექციის სამსახურის მთავარი ფუნქციაა შრომის კანონმდებლობის ეფექტიანი გამოყენების უზრუნველყოფა. ეს არის სტრატეგიული შესაბამისობის კონცეფცია, რომელიც ფოკუსირებულია არა მხოლოდ აღსრულებაზე და სანქციებზე, არამედ შრომის კანონმდებლობის დარღვევის პრევენციაზე, რაც გულისხმობს დამსაქმებლების, თანამშრომლებისა და ინსპექტირების სამსახურს შორის ერთობლივ კოორდინაციას, რათა უზრუნველყოს სამუშაო ადგილის შესაბამისობა შრომის კანონმდებლობასთან. იგი მოიცავს შესაბამისობის სისტემის პროაქტიულ, მიზანმიმართულ და მორგებულ მიდგომას შრომის უფლებებისა და სტანდარტების ეფექტიანი გამოყენებისთვის ყველა დაინტერესებული მხარის ჩარევით: შრომის ინსპექცია და სხვა სახელმწიფო უწყებები, მუშაკები, დამსაქმებლები, არასამთავრობო ორგანიზაციები, მედია. შრომის ინსპექტირების სამსახურის კანონის თანახმად, შრომის ინსპექციის სამსახური შრომის კანონმდებლობის ეფექტიანი გამოყენების მიზნით, მათ შორის გამოიყენებს შემდეგ მექანიზმებს: კონსულტაციის ან/და ინფორმაციის მიწოდება შრომის კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ; საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდე-

ბა შრომის კანონმდებლობის დაცვისა და საზოგადოების ინ-ფორმირებულობის ამაღლების ხელშეწყობა საინფორმაციო კამპანიებისა და სხვა ეფექტიანი ქმედებებით; შრომის კა-ნონმდებლობის შესაძლო დარღვევასთან დაკავშირებული საჩივრების განხილვა; შემოწმების ჩატარება; საქართველოს შრომის კანონმდებლობის გაუმჯობესების მიზნით წინადადე-ბების შემუშავება და მისი უკეთ გამოყენების უზრუნველყოფა. აქვე უნდა დავამატოთ, რომ შრომის კოდექსი და კანონი შრომის ინსპექტირების სამსახურის შესახებ განსაზღვრავს არა მხოლოდ ჯარიმას, არამედ გაფრთხილებას, როგორც ადმინისტრაციულ სახდელს, რომ შრომის ინსპექციის სამსა-ხურმა შეიძლება გამოიყენოს. „შრომის ინსპექციის სამსახუ-რის შესახებ“ კანონი ასევე აცხადებს, რომ შრომის ინსპექცი-ის სამსახური სარგებლობს დისკრეციული უფლებამოსილე-ბით, გადაწყვიტოს, როდის და რომელი ადმინისტრაციული სახდელი უნდა იქნეს გამოყენებული და ჯარიმის შემთხვევა-ში დაკისრებული – ჯარიმის ოდენობა.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენ-ლებმა შრომის კანონმდებლობის რეფორმა შეაფასეს რო-გორც მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი ILO-სა და ევ-როკავშირის შრომის საერთაშორისო სტანდარტებთან შესა-ბამისობის მიმართებით, თუმცა ზოგიერთი საკითხი გადაუჭ-რელი რჩება. მაგალითად, შეშფოთება შეიძლება წარმოიშ-ვას სექსუალური შევიწროების განმარტებასთან და თანაბა-რი მოცულობის სამუშაოსთვის თანაბარი ანაზღაურების პრინციპთან მიმართებაში, ევროპის 2006/54/EC დირექტივას-თან შესაბამისობის კონტექსტით. განსაკუთრებით უნდა აღი-ნიშნოს ILO-ს თანაბარი ანაზღაურების კონვენცია (No. 100), რომელიც რატიფიცირებულია საქართველოს მიერ. მოცემუ-ლი კონვენციის 2.1 მუხლი აცხადებს, რომ „თითოეული წევ-რი, ანაზღაურების განაკვეთების განსაზღვრის მოქმედი მე-თოდების შესაბამისი საშუალებებით, ხელს შეუწყობს და რამ-დენადაც შეესაბამება ამ მეთოდებს, უზრუნველყოფს ყველა მუშაკისთვის აღნიშნული ანაზღაურების პრინციპის გამოყე-ნებას.

თვისებრივი კვლევის ნაწილში მივმართეთ **ევროსაბჭოს წარმომადგენლობას საქართველოში**. მათი ექსპერტების პირადი შეფასებით, ადამიანის უფლებათა დაცვის მიმართულებით მთავარ გამოწვევას ადამიანთა ნაკლები ინფორმირებულობა წარმოადგენს. განათლების უფლების უზრუნველყოფის ნაწილში ერთ-ერთ ხელშემშლელ ფაქტორად განათლების სფეროში გრძელვადიანი სტრატეგიის არარსებობა დასახელდა. ანტიდისკრიმინაციულ კანონმდებლობასთან მიმართებით აღინიშნა, რომ იგი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ადამიანის სოციალური და ეკონომიკური უფლებების დაცვაზე, რადგანაც განაპირობებს საზოგადოების მოწყვლადი ჯგუფების ჩართულობას ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში. ამასთან, კანონმდებლობის პრაქტიკაში გამოყენება არ არის სათანადოდ უზრუნველყოფილი.

საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების წარმომადგენელთა შეფასებით, შრომით უფლებებთან დაკავშირებით არსებობს არაერთი გამოწვევა, რომელიც განპირობებულია საკანონმდებლო რეგულაციების და მისი აღსრულების სისუსტით. ხშირია პრობლემები, რომელიც უკავშირდება წერილობითი ხელშეკრულებების არარსებობას, მოკლევადიან ხელშეკრულებებს, ანაზღაურებადი შვებულებით, საავადმყოფო ფურცლით სარგებლობას, უკანონო და დაუსაბუთებელ გათავისუფლებებს, სხვადასხვა ნიშნით დისკრიმინაციულ მოპყრობას როგორც წინასახელშეკრულებო, ასევე, სახელშეკრულებო ეტაპზე. იკვეთება სახელფასო დავალიანებები და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ხარვეზები. მიუხედავად ბოლო დროს გატარებული საკანონმდებლო რეფორმისა, კვლავ მიაჩნიათ საჭიროდ მთელი რიგი ცვლილებების აუცილებლობა და სოციალური დიალოგის მხარდაჭერა ყველა დონეზე.

დავინტერესდით პროფესიული კავშირების შექმნის და ფუნქციონირების მიმართულებით არსებული პრობლემებითაც. პროფესიული კავშირების შეფასებით, სირთულეები უკავშირდება დასაქმებულთა შიშს, შექმნან და გაწევრიანდნენ ასეთ ორგანიზაციებში, რამდენედაც წლების პრაქტიკა მოწმობს, რომ ხშირია პროფკავშირული ნიშნით დისკრიმი-

ნაციის შემთხვევები. დამსაქმებლები ასეთ ორგანიზაციებს მტრად აღიქვამენ და ხელს უშლიან მათ ფუნქციონირებას. ხშირია ე.წ „ყვითელი პროფკავშირების“ შექმნის ფაქტებიც, დამოუკიდებელი პროფკავშირული ორგანიზაციების მიზანმიმართული დასუსტების მიზნით. ამასთან, გაერთიანების თავისუფლების განუყოფელი ნაწილია გაფიცვის უფლება, რომელიც კვლავ უკიდურესად შეზღუდულია საქართველოს კანონმდებლობით. აღნიშნული კი ასევე განაპირობებს გაერთიანების თავისუფლების შეზღუდვებს პრაქტიკაში. გაფიცვის უფლების რეალიზების სირთულე უკავშირდება დასაქმებულთა ფართო ჯგუფების გაფიცვის უფლების შეზღუდვას, რომელიც განსაზღვრულია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის 2013 წლის 6 დეკემბრის მინისტრის ბრძანებით №01-43/ნ. ამასთან, გაჭიანურებული და პროცედურულად გართულებული პროცედურები ხელს უშლის გაფიცვის უფლების რეალიზებას. პრობლემას წარმოადგენს სოლიდარობის გაფიცვის არარსებობა ქვეყანაში.

შრომის ბაზარზე აღინიშნა გენდერული უთანასწორობის გამოწვევებიც, რაც ცხადად ჩანს დასაქმების სტატისტიკაში, ქალისა და კაცის სახელფასო ანაზღაურებებს შორის მკვეთრ (საშუალო 37%) სხვაობაში, ისევე, როგორც ქალების დაბალ წარმომადგენლობითობაში გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე, როგორც საჯარო, ასევე, კერძო სექტორში. მათი ინფორმაციით, ხშირია შემთხვევები, როდესაც დასაქმებისას უპირატესობას ანიჭებენ კაცებს, ქალების თანაბარი ან უკეთესი კვალიფიკაციის პირობებშიც კი. არსებობს პრობლემები, რომელიც უკავშირდება ფეხმძიმე, ოჯახური ვალდებულებები მქონე ქალების, ე.წ. დეკრეტულ შვებულებაში მყოფი ქალების, სამსახურიდან გათავისუფლებას.

თვისებრივი კვლევის პროცესში გამოკვეთილი პრობლემების გაანალიზება მოვახდინეთ ჩაღრმავებული ინტერვიუების მეთოდის გამოყენებით. მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით კი შევიმუშავეთ რაოდენობრივი კვლევისთვის საჭირო კითხვარები. იდენტიფიცირებული სამიზნე ჯგუფებისთვის შემუშავებული კითხვების ფორმულირება შეესაბამება

ეკონომიკური და სოციალური უფლებების სფეროში შემავალ თემებს. სოციალური კვლევის სტრუქტურა აიგო შემდეგნაირად: კანონმდებლობით განსაზღვრული ეკონომიკური და სოციალური უფლებები, აღნიშნული უფლებების დაცვის მიზნით შექმნილი სახელმწიფო უწყებები და შეთავაზებული სახელმწიფო სერვისები, მიწოდებული სერვისების შედეგები (ეფექტიანობა) და შედეგების შეფასება ბენეფიციარების მიერ შეფასების კრიტერიუმის ჩათვლით.

3. სოციალური და ეკონომიკური უფლებების სოციოლოგიური და სტატისტიკური კვლევა

3.1. ერთგანზომილებიანი ცხრილებით და დიაგრამებით ანალიზი

ადამიანის სოციალური და ეკონომიკური უფლებების თვისებრივი კვლევის შედეგების გადასამოწმებლად შევადგინეთ საკვლევი საკითხის შესახებ ვრცელი კითხვარი და ჩავატარეთ რაოდენობრივი კვლევა. გამოიკვეთა შემდეგი სამიზნე ჯგუფები: სოციალურად დაუცველი პირები, უმუშევრები, მრავალშვილიანი ოჯახები, პენსიონერები, დასაქმებულები. რაოდენობრივი კვლევა ჩატარდა საქართველოს მასშტაბით 2021 წლის თებერვლისა და მარტის თვეებში.

მოცემულ თავში სტატისტიკური ცხრილებისა და დიაგრამების გამოყენებით წარმოდგენილია კვლევაში მონაწილე ინდივიდების ანალიზი.

გამოკითხულთა 77.6% მდედრობითი სქესის წარმომადგენელია, ხოლო 22.4% კი მამაკაცი.

ცხრილი 4

გამოკითხულთა განაწილება სქესის მიხედვით

		რაოდენობა	**%**
სქესი (1- მდედრ. 2 მამრ)	1	471	77.6%
	2	136	22.4%

გამოკითხვა ჩატარებულია 18-დან 90 წლამდე ინდივიდებს შორის. რაოდენობრივი განაწილება ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით იხილეთ ნახაზზე 10.



ნახ. 10. რესპონდენტების განაწილება ასაკის მიხედვით

საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, კვლევაში ჩართული 10 რეგიონიდან, ყველაზე მეტი გამოკითხული – 53% მოდის ქვემო ქართლზე, იმერეთსა და შიდა ქართლზე.

ცხრილი 5

განაწილება რეგიონების მიხედვით

რეგიონები	**ნუმერაცია**	**რაოდენობა**	**%**
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	1	14	5.5%
სამეგრელო-ზემო სვანეთი	2	24	9.4%
სამცხე-ჯავახეთი	3	7	2.8%
ქვემო ქართლი	4	50	19.7%
შიდა ქართლი	5	39	15.4%
აფხაზეთი	6	13	5.1%
იმერეთი	7	45	17.7%
კახეთი	8	18	7.1%
გურია	9	12	4.7%
აჭარა	10	32	12.6%

თბილისში გამოკითხული ინდივიდებიდან ყველაზე მეტი, 33.4%, ფაქტობრივად მესამედი, გლდანის რაიონის მაცხოვრებლები არიან.

ცხრილი 6

ინდივიდების განაწილება თბილისის რაიონების მიხედვით

თბილისი	**ნუმერაცია**	**რაოდენობა**	**%**
გლდანი	1	116	33.4%
დიდუბე	2	35	10.1%
ვაკე	3	10	2.9%
ისანი	4	12	3.5%
კრწანისი	5	2	0.6%
მთაწმინდა	6	5	1.4%
ნაძალადევი	7	64	18.4%
საბურთალო	8	70	20.2%
სამგორი	9	17	4.9%
ჩუღურეთი	10	16	4.6%

კვლევის მონაწილეთა ნახევარი, 50.5%, წარმოდგენილია უმაღლესი განათლებით.

ცხრილი 7

ინდივიდთა განაწილება განათლების მიხედვით

განათლების დონე	**რაოდენობა**	**%**
1 – უმაღლესი	306	50.5%
2 – პროფესიული	85	14.0%
3 – საშუალო	185	30.5%
4 – სტუდენტი	30	5.0%

გამოკითხულთა შორის, 96.4% შრომისუნარიანია.

ცხრილი 8

შრომისუნარიანობის მაჩვენებლები

შრომისუნარიანობა	**რაოდენობა**	**%**
1 – შრომისუნარიანი	582	96.4%
2 – შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი	22	3.6%

სოციალურად დაუცველის კატეგორიაში წარმოდგენილია ინდივიდთა 28.7%.

ცხრილი 9

ინდივიდთა განაწილება სოციალურად დაუცველის სტატუსის მიხედვით

სოციალურად დაუცველი	**რაოდენობა**	**%**
1 – დიახ	174	28.7%
2 – არა	432	71.3%

გამოკითხულთა 49.7% თავს უმუშევრად აცხადებს.

ცხრილი 10

რესპონდენტების განაწილება სტატუსების მიხედვით

სტატუსი	**რაოდენობა**	**%**
1 – უმუშევარი	302	49.7%
2 – დასაქმებული	238	39.1%
3 – პენსიონერი	101	16.6%
4 – სტუდენტი	28	4.6%
5 – მრავალშვილიანი ოჯახის წევრი	94	15.5%

ცხრილი 11

რესპონდენტის სტატუსები სოციალურად დაუცველთა კატეგორიის მიხედვით[67]

რესპონდენტის სტატუსი	**სოციალურად დაუცველი**			
	1 - დიახ		2 - არა	
	რაოდე-ნობა	%	რაოდე-ნობა	%
1 – უმუშევარი	125	41.5%	176	58.5%
2 – დასაქმებული	22	9.3%	215	90.7%
3 – პენსიონერი	32	31.7%	69	68.3%
4 – სტუდენტი	1	3.6%	27	96.4%
5 – მრავალშვი-ლიანი ოჯახის წევრი	45	48.4%	48	51.6%

ცხრილი12

რესპონდენტის სტატუსები სოციალურად დაუცველთა კატეგორიის მიხედვით[68]

რესპონდენტის სტატუსი	**სოციალურად დაუცველი**			
	1 - დიახ		2 - არა	
	რაოდენობა	%	რაოდენობა	%
1 – უმუშევარი	125	71.8%	176	40.7%
2 – დასაქმებული	22	12.6%	215	49.8%
3 – პენსიონერი	32	18.4%	69	16.0%
4 – სტუდენტი	1	0.6%	27	6.2%
5 – მრავალშვილია-ნი ოჯახის წევრი	45	25.9%	48	11.1%

[67] პროცენტული განაწილება ჩაშლილია რესპონდენტის სტატუსის დონეების მიხედვით.

[68] პროცენტული განაწილება ჩაშლილია რესპონდენტის სოციალურად დაუცველთაკატეგორიის მიხედვით. ამასთანავე, რესპონდენტის სტატუსში ინდივიდს რამდენიმე პასუხის მონიშვნის შესაძლებლობა აქვს.

ცხრილში 11 მოცემული უმუშევრის სტატუსი ე. წ. სოციალურად დაცულ კატეგორიაში უფრო მეტია და შეადგენს 58.5%-ს, ვიდრე სოციალურად დაუცველში, რაც შესაბამისად 41.5%-ია. ცხრილი 12-ის მიხედვით კი, თვითონ სოციალურად დაუცველის კატეგორიაში 71.8% უმუშევარია, მაშინ როცა სოციალურად დაცულში 40.7%-ია. სხვაობა კიდევ უფრო მკვეთრია დასაქმებულის სტატუსის სტატისტიკით. 90.7% დასაქმებულის სტატუსით გვხვდება სოცილურად დაცულებში, ხოლო სოციალურად დაუცველებში დასაქმებულები მხოლოდ 9.3%-ია. ცხრილი 12-ის მიხედვით, შიდა განაწილებაში სოციალურად დაუცველებში 12.6%-ია დასაქმებული, მაშინ როცა სოციალურად დაცულებში 49.8%-ია ეს მაჩვენებელი.

რაოდენობრივ კითხვარში (დანართი 2), A1 კითხვის მიხედვით, გამოკითხულთა 90.1%-ს აქვს სამუშაო გამოცდილება.

ცხრილი 13

გამოკითხულთა სამუშაო გამოცდილება

სამუშაო გამოცდილება		რაოდენობა	განაწილება
	1 - დიახ	546	90.1%
	2 - არა	60	9.9%

სამუშაო სტაჟის მიხედვით მონაცემთა დამუშავებისას, აღმოჩნდა, რომ გამოკითხულთა 48.7%-ს აქვს 10 წელზე მეტი სამუშაო გამოცდილება.

ცხრილი 14

რესპონდენტების განაწილება სამუშაო გამოცდილების მიხედვით

სამუშაო სტაჟი	**განაწილება**	**რაოდენობა**
1 წლამდე (1)	9.5%	52
1-3 წელი (2)	13.1%	72
3-5 წელი (3)	12.9%	71
5-10 წელი (4)	15.8%	87
10 წელზე მეტი (5)	48.7%	268

გამოკითხულთა 47% დასაქმებულია ან დასაქმებული იყო კერძო სექტორში.

ცხრილი 15

რესპონდენტების განაწილება დასაქმების სექტორის მიხედვით

სექტორი	რაოდენობა	განაწილება
კერძო სექტორი (1)	257	47.0%
საჯარო სექტორი (2)	158	28.9%
კერძო და საჯარო სექტორები (3)	118	21.6%
სხვა (99)	14	2.6%

რაოდენობრივი კითხვარის A4 კითხვაზე (გიმუშავიათ თუ არა უქმე დღეებში ან არასამუშაო დროს და მიგიღიათ თუ არა ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულებისთვის ანაზღაურება?) შეგროვებული პასუხების მიხედვით, გამოკითხულთა 25.8%-მა შეასრულა ზეგანაკვეთური სამუშაო ანაზღაურების გარეშე.

ცხრილი 16

რესპონდენტთა გადანაწლება უქმეებში მუშაობის ან ზეგანაკვეთური სამუშაოს მიხედვით

დიახ, მიმუშავია და მიმიღია ზეგანაკ-ვეთური ანაზღაურება	1	133	24.9%
დიახ, მიმუშავია და არ მიმიღია ზეგა-ნაკვეთური ანაზღაურება	2	138	25.8%
არ მიმუშავია	3	262	49.0%

A5 კითხვაზე (შეგზღუდვიათ თუ არა დამსაქმებლის მი-თითებით ოთხკვირიანი ყოველწლიური ანაზღაურებადი შვე-ბულებით სარგებლობის უფლება) მიღებული პასუხების ანა-ლიზის მიხედით, 83% აცხადებს, რომ არ შეზღუდვია ყოველ-წლიური ანაზღაურებადი შვებულებით სარგებლობის უფლე-ბა.

ცხრილი 17

გამოკითხულთა განაწილება შვებულებით სარგებლობის უფლების შეზღუდვის მიხედვით

დიახ	1	89	16.8%
არა	2	439	83.0%

კვლევის თანახმად, ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულებით სარგებლობის უფლება შეეზღუდათ ყველაზე მე-ტად კერძო სექტორში – 46.6%. გასათვალისწინებელია ის

ფაქტი, რომ ეს უფლება დაირღვა კერძო სექტორში დასაქმებულების 16.1%-ში.

ცხრილი 18

გამოკითხულთა შვებულებით სარგებლობის უფლების შეზღუდვა სექტორების მიხედვით

A5კითხვა[69]		დასაქმების სექტორი							
		კერძო სექტორი (1)		საჯარო სექტორი (2)		კერძო და საჯარო სექ-ტორები (3)		სხვა (99)	
		რა-ბა	%	რა-ბა	%	რა-ბა	%	რა-ბა	%
	1-დიახ	41	46.6%	23	26.1%	21	23.9%	3	3.4%
	2-არა	213	48.7%	119	27.2%	94	21.5%	11	2.5%

ცხრილი 19

დასაქმებულ რესპონდენტთა შვებულებით სარგებლობის უფლების შეზღუდვა სექტორების მიხედვით

A5 კითხვა		დასაქმების სექტორი							
		კერძო სექტორი (1)		საჯარო სექტორი (2)		კერძო და საჯარო სექ-ტორები (3)		სხვა (99)	
		რა-ბა	%	რა-ბა	%	რა-ბა	%	რა-ბა	%
	1-დიახ	41	16.1%	23	16.2%	21	18.3%	3	21.4%
	2-არა	213	83.9%	119	83.8%	94	81.7%	11	78.6%

A6 კითხვაზე (გიმუშავიათ თუ არა სახიფათო და არაჯანმრთელ სამუშაოებზე და იყო თუ არა დაცული უსაფრთხოების ზომები) მიღებული პასუხების თანახმად, 86.8% აცხადებს, რომ არ უმუშავია სახიფათო და არაჯანმრთელ სამუშაოზე.

[69]კითხვის ფორმულირება: შეგზღუდვიათ თუ არა დამსაქმებლის მითითებით ოთხკვირიანი ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულებით სარგებლობის უფლება? (მიუთითეთ ბოლო 5 წლის გამოცდილება)

ცხრილი 20

რესპონდენტთა განაწილება სამუშაოზე უსაფრთხოების ზომების დაცვასთან დაკავშირებით

დიახ, მიმუშავია და იყო უსაფრთხოების ზომები დაცული	1	41	7.7%
დიახ, მიმუშავია და არ იყო უსაფრთხოების ზომები დაცული	2	28	5.3%
არ მიმუშავია სახიფათო და არაჯანმრთელ სამუშაოზე	3	462	86.8%

A7 კითხვაზე (სარგებლობთ / სარგებლობდით თუ არა ყოველკვირეული დასვენების პერიოდით? (მაგ., შაბათი, კვირა ან ოფიციალური უქმე დღეები?)) დაფიქსირებული პასუხების მიხედვით, 29.8%-მა განაცხადა, რომ არ სარგებლობს ყოველკვირეული დასვენების პერიოდით.

ცხრილი 21

რესპონდენტთა განაწილება ყოველკვირეული დასვენების პერიოდით სარგებლობის მიხედვით

დიახ	1	354	69.8%
არა	2	151	29.8%

A8 კითხვის (ღამის ცვლაში გისარგებლიათ თუ არა შესაბამისი შეღავთებით, რომელიც ითვალისწინებს სამუშაოს სპეციფიკურ ხასიათს) ანალიზის საფუძველზე გამოვლინდა, რომ 77.4%-ს არ უმუშავია ღამის ცვლაში. გამოკითხულთა 10.9%-ს არ უსარგებლია შეღავათებით.

ცხრილი 22

რესპონდენტთა განაწილება ღამის ცვლაში შეღავათებით სარგებლობის მიხედვით

დიახ, მისარგებლია შესაბამისი შეღავათებით	1	62	11.7%
არ მისარგებლია შესაბამისი შეღავათებით	2	58	10.9%
არ მიმუშავია ღამის ცვლაში	3	412	77.4%

A9 კითხვაზე (სამუშაოს მიღების, კარიერული წინსვლის, შრომის კომპენსაციის მიღების დროს ხომ არ აღმოჩენილხართ არათანაბარ მდგომარეობაში გენდერული ნიშნით) გაცემული პასუხების მიხედვით გამოვლინდა, რომ

98.9% გენდერული ნიშნით არათანაბარ მდგომარეობაში არ აღმოჩენილა.

ცხრილი 23

რესპონდენტთა რაოდენობრივი განაწილება გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის მიხედვით

დიახ	1	6	1.1%
არა	2	521	98.9%

სქესის მიხედვით დისკრიმინაცის შესაბამისი განაწილება მოცემულია ცხრილში 23.

ცხრილი 24

რესპონდენტთა განაწილება გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის მიხედვით

A9. გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია	სქესი			
	1-მდედრ.		2-მამრ.	
	რ-ბა	%	რ-ბა	%
1-დიახ	4	66.7%	2	33.3%
2-არა	400	76.9%	120	23.1%

A10 კითხვაზე (დაგიკარგავთ თუ არა სამსახური უსაფუძვლოდ და მიგიმართავთ თუ არა დახმარებისთვის) მიღებული შედეგების მიხედვით, 88.9% აცხადებს, რომ არ დაუკარგავს სამსახური უსაფუძვლოდ.

ცხრილი 25

რესპონდენტთა განაწილება სამსახურის დაკარგვის მიზეზების მიხედვით

დიახ, დამიკარგავს სამსახური უსაფუძვლოდ და მიმიმართავს დახმარებისთვის	1	14	2.6%
დიახ, დამიკარგავს სამსახური უსაფუძვლოდ და არ მიმიმართავს დახმარებისთვის	2	45	8.5%
არ დამიკარგავს სამსახური უსაფუძვლოდ	3	472	88.9%

კვლევაში მონაწილე რესპონდენტებს, ვინც სამსახური უსაფუძვლოდ დაკარგა, დამატებით ვკითხეთ თუ რა ზომები მიიღეს სამსახურის უსაფუძვლოდ დაკარგვის შემთხვევაში. გამოკითხულთა 81.8%-მა, ვინც უსაფუძვლოდ დაკარგა სამსახური, არ მიმართა არანაირ ზომას.

ცხრილი 26

რესპონდენტთა განაწილება სამსახურის უსაფუძვლოდ დაკარგვის შემდეგ მიღებული ზომების მიხედვით

კატეგორია	**№**	**რა-ბა**	**%**
მივმართე სასამართლოს	1	2	4.5%
მივმართე პროფესიული გაერთიანების კავ-შირს	2		
მივმართე სახალხო დამცველის აპარატს	3	2	4.5%
მივმართე უფლებადამცველ არასამთავრო-ბო ორგანიზაციას	4		
მივმართე პრესას და ტელევიზიას	5		
მივმართე საპროტესტო აქციებს	6		
არ მიმიღია ზომები	7	36	81.8%
სხვა (მივმართე ორგანიზაციის ადმინისტრა-ციას, მივმართე მერიას, მივმართე გაათლე-ბის მინისტრს)	99	4	9.1%

A12 კითხვაზე (ხომ არ გაუარესებულა თქვენი ჯანმრთე-ლობის მდგომარეობა სამსახურეობრივი მოვალეობის შეს-რულების დროს) დაფიქსირებული პასუხების მიხედვით, რეს-პონდენტთა 91.5%-ისთვის არ გაუარესებულა ჯანმრთელობის მდგომარეობა.

ცხრილი 27

რესპონდენტთა განაწილება მუშაობისას ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების მიხედვით

დიახ	1	45	8.5%
არა	2	483	91.5%

იმ ინდივიდებიდან, ვინც განაცხადა, რომ გაუარესდა მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა სამსახურეობრივი მოვა-ლეობის შესრულების დროს, 53.3% დასაქმებულია, ხოლო 40% უმუშევარია.

ცხრილი 28

რესპონდენტთა განაწილება მუშაობისას ჯანმრთელობის მდგომა-რეობის გაუარესებისა და რესპონდენტის სტატუსების მიხედვით

რესპონდენ-ტის სტატუსი	**A12 კითხვა რესპონდენტის სტატუსის დონეების მიხედვით**			
	1 - დიახ		2 - არა	
	რ-ბა	%	რ-ბა	%
1 – უმუშევარი	18	7.5%	222	92.5%
2 – დასაქმებუ-ლი	24	10.1%	213	89.9%

3 – პენსიონერი	8	9.3%	78	90.7%
4 – სტუდენტი	0	0.0%	22	100.0%
5 – მრავალშვილიანი ოჯახის წევრი	6	8.6%	64	91.4%

ცხრილი 29

რესპონდენტთა განაწილება მუშაობისას ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებისა და სოციალურად დაუცველთა სტატუსის მიხედვით

რესპონდენტის სტატუსი	**A12 კითხვა სოციალურად დაუცველის დონეების მიხედვით**			
	1 - დიახ		2 - არა	
	რ-ბა	%	რ-ბა	%
1 – უმუშევარი	18	40.0%	222	46.0%
2 – დასაქმებული	24	53.3%	213	44.1%
3 – პენსიონერი	8	17.8%	78	16.1%
4 – სტუდენტი	0	0.0%	22	4.6%
5 – მრავალშვილიანი ოჯახის წევრი	6	13.3%	64	13.3%

A13 კითხვაზე (გთხოვთ, მიუთითოთ, რა სახის დახმარება გაგიწიათ დამსაქმებელმა. *შეავსეთ A11 კითხვაზე 1 პასუხის მონიშვნის შემთხვევაში. შესაძლებელია რამდენიმე პასუხი)* შეგროვებული მონაცემების მიხედვით, გამოკითხულთა 52.9% -ისთვის დამსაქმებელს არ გაუწევია დახმარება.

ცხრილი 30

რესპონდენტთა განაწილება დამსაქმებლის მიერ გაწეული დახმარების მიხედვით

კატეგორია	**№**	**რ-ბა**	**%**
არ გაუწევია დახმარება	1	18	52.9%
დააფინანსა სამედიცინო მომსახურების ხარჯები	2	4	11.8%
დააფინანსა საზღვარგარეთ მკურნალობის ხარჯები	3	0	0%
გაიცა ფულადი კომპენსაცია	4	1	2.9%
გაუმჯობესდა სამუშაო პირობები	5	2	5.9%
სხვა (იმკურნალა საკუთარი ხარჯებით, თავად არის დამსაქმებელი, დაეხმარნენ მხოლოდ მედიკამენტებით)	99	9	26.5%

A14 კითხვაზე (ხომ არ შეგეზღუდათ დეკრეტული შვებულებით სარგებლობის უფლება ან ხომ არ მოგიწიათ ვადაზე ადრე სამსახურში დაბრუნება) დადებითი პასუხი განაცხადა 3.2% -მა.

ცხრილი № 31

რესპონდენტთა განაწილება დეკრეტული შვებულების შეზღუდვის მიხედვით

დიახ	1	17	3.2%
არა	2	234	43.9%
არ მეხება	99	280	52.5%

A15 კითხვაზე (ხომ არ აქვს ან ჰქონია სახლფასო დავალიანება დამსაქმებელს თქვენ წინაშე) მიღებული პასუხების მიხედვით, 8.7% -ის შემთხვევაში დამსაქმებელს ჰქონია დავალიანება.

ცხრილი 32

რესპონდენტთა განაწილება დამსაქმებლის დავალიანების მიხედვით

დიახ	1	45	8.7%
არა	2	474	91.3%

რესპონდენტებს ვკითხეთ, ამჟამად ეძებდნენ თუ არა სამუშაოს. შედეგების მიხედვით აღმოჩნდა, რომ სამუშაოს არ ეძებს 61.9%. მათგან 38.2%-ია ისეთი, ვინც უმუშევარია და არ ეძებს სამსახურს. დანარჩენები: 46% არ ეძებს, რადგან უკვე დასაქმებულია. 23.7% არ ეძებს, რადგან პენსიონერია, 4% სტუდენტია და 15.9% მრავალშვილიანი ოჯახის წევრია.

ცხრილი 33

რესპონდენტთა განაწილება სამუშაოს ძიების მიხედვით

კატეგორია	**№**	**რ-ბა**	**%**
დიახ	1	181	30.1%
არა	2	372	61.9%
ვარ დასაქმებული	3	43	7.2%
სხვა (მრავალშვილიანი დედა, სურვილი აქვს, მაგრამ ჯერ არ ეძებს, თვითდასაქმებული)	99	5	0.8%

ცხრილი 34

რესპონდენტთა განაწილება ამჟამად სამუშაოს ძიების მიხედვით

რესპონდენ-ტის სტატუსი	**ამჟამად ეძებთ თუ არა სამუშაოს?**							
	1 - დიახ		2 - არა		3-ვარ დასაქ-მებული		99-სხვა	
	რ-ბა	%	რ-ბა	%	რ-ბა	%	რ-ბა	%
1 – უმუშევარი	151	83.4%	142	38.2%	0	0.0%	5	100.0%
2 – დასაქმე-ბული	23	12.7%	171	46.0%	42	97.7%	0	0.0%
3 – პენსიონე-რი	10	5.5%	88	23.7%	1	2.3%	1	20.0%
4 – სტუდენტი	9	5.0%	15	4.0%	4	9.3%	0	0.0%
5 – მრავალ-შვილიანი ოჯახის წევრი	26	14.4%	59	15.9%	8	18.6%	1	20.0%

A17 კითხვაზე (თქვენი აზრით, რა მიზეზით ვერ მუშაობთ ან ეძებთ ახალ სამსახურს) დაფიქსირებული პასუხების მიხედვით აღმოჩნდა, რომ რესპონდენტთა 21.8%-სთვის ხელფასი მეტისმეტად დაბალია. 21.4% კი აცხადებს, რომ ვერავითარ სამუშაოს ვერ პოულობს.

ცხრილი 35

რესპონდენტთა განაწილება უმუშევრობის მიზეზების მიხედვით

კატეგორია	**№**	**რ-ბა**	**%**
ვერ ვპოულობ ჩემი პროფესიისა და კვალიფიკაციის შესაფერის სამსა-ხურს	1	27	13.1%
ვერავითარ სამუშაოს ვერ ვპოულობ	2	44	21.4%
ხელფასია მეტისმეტად დაბალი	3	45	21.8%
უცხო ენის უცოდინრობის გამო ვერ ვშოულობ სამუშაოს	4	5	2.4%
ასაკის გამო უარს მეუბნებიან	5	26	12.6%
არასაკმარისი შრომითი სტაჟი/გა-მოცდილება	6	7	3.4%
ჩემი ჯანმრთელობის გამო არ მიღე-ბენ	7	6	2.9%
სხვა სქესს ანიჭენენ უპირატესობას	8		
სხვა (ნეპოტიზმი, ოჯახის წევრის მეთ-ვალყურეობა, პანდემია და სხვ.)	99	46	22.3%

გამოკითხულთა 54.9% ნაცნობ-მეგობრებს მიმართავს დახმარებისთვის, რათა მოიძიოს შესაფერისი სამსახური.

ცხრილი 36

რესპონდენტთა განაწილება სამუშაოს ძიების წყაროების მიხედვით

კატეგორია	**№**	**რ-ბა**	**%**
მივმართე ნაცნობ-მეგობრებს	1	118	54.9%
მივმართე ნათესავებ	2	13	6.0%
უშუალოდ დამსაქმებლებს	3	26	12.1%
დასაქმების კერძო სააგენტოებს	4	11	5.1%
გავიარე სხვადასხვა შესარჩევი კონ-კურსი	5	5	2.3%
მივმართე პროფესიულ ნაცნობობას	6	5	2.3%
მივმართე პროფკავშირებს	7	1	0.5%
ვეძებ ანონსებს პრესასა და ინტერნეტ-ში	8	22	10.2%
მივმართე დასაქმების სახელმწიფო პროგრამების დეპარტამენტს და დავ-რეგისტრირდი worknet.gov.ge -ზე	9	1	0.5%
სხვა (jobs.ge; მიმართეს მერიასა და გამგეობებს, გაეცნო ქუჩებში გამოკ-რულ განცხადებებს, არავისთვის არ მიუმართავს)	99	13	6.0%

გამოკითხულთა 50.1%-სთვის ოჯახის ყოველთვიური შე-მოსავალი 800 ლარზე ნაკლებია.

ცხრილი 37

რესპონდენტთა განაწილება ოჯახის ყოველთვიური შემოსავლების მიხედვით

0-100 ლარი	1	9	1.5%
101-200	2	30	5.0%
201-400	3	113	18.8%
401-800	4	149	24.8%
801-1500	5	121	20.1%
1501-3000	6	68	11.3%
3001 ლარი და მეტი	7	41	6.8%
არ ვიცი	8	24	4.0%
უარი პასუხზე	9	47	7.8%

ცხრილი 38

ოჯახის ყოველთვიური შემოსავლები სოციალურად დაუცველთა სტატუსების მიხედვით

ოჯახის საშუალოთვიური შემოსავალი, ლარი	სოციალურად დაუცველის სტატუსი			
	1 - დიახ		2 - არა	
	რ-ბა	%	რ-ბა	%
0-100	1	0.6%	8	1.9%
101-200	24	14.0%	6	1.4%
201-400	70	40.9%	43	10.0%
401-800	49	28.7%	99	23.1%
801-1500	13	7.6%	107	24.9%
1501-3000	3	1.8%	65	15.2%
3001 ლარი და მეტი	0	0.0%	41	9.6%
არ ვიცი	4	2.3%	20	4.7%
უარი პასუხზე	7	4.1%	40	9.3%

შევისწავლეთ პანდემიის გავლენა დასაქმებაზე. გამოკითხულთა 22.6% მუშაობს დისტანციურად და შეინარჩუნა სამსახური, ხოლო 40.2% არ მუშაობს და კოვიდ-პანდემიამ მათი მუშაობის შანსები შეამცირა.

ცხრილი 39

კოვიდ-პანდემიის გავლენა დასაქმებაზე

კატეგორია	№	რ-ბა	%
დისტანციურად მუშაობით სრულად შეინარჩუნე სამუშაო ადგილი და ხელფასი	1	135	22.6%
დისტანციურად მუშაობით შემიმცირდა ხელფასი	2	20	3.4%
დროებით შემიჩერდა შრომითი ხელშეკრულება	3	29	4.9%
გავხდი სარეზერვო თანამშრომელი	4	1	0.2%
გამათავისუფლეს სამსახურიდან	5	7	1.2%
კომპანია დაიხურა / შეწყვიტა ფუნქციონირება	6	18	3.0%
არ ვმუშაობ და პანდემიამ კიდევ უფრო შეამცირა დასაქმების შანსები	7	240	40.2%

სხვა (არ ვეძებ სამსახურს და პანდემიამ არ იმოქმედა, ჩვეულ რეჟიმში გავაგრძელე მუშაობა, ასაკიდან გამომდინარე ვერ ვმუშაობ, თვითდასაქმებული ვარ)	99	147	24.6%

გამოკითხულთა 34%-მა აღნიშნა, რომ პროფესიულ კავშირში გაწევრიანება ამცირებს შრომის უფლების დარღვევის რისკებს, ხოლოდ 43.4%-ს არ აქვს ინფორმაცია პროფესიულ კავშირში გაწევრიანების უპირატესობების შესახებ. გამოკითხულთა 2.2%-ს შეეზღუდა პროფესიულ კავშირში გაწევრიანების უფლება დამსაქმებლის მიერ, ხოლო 52.7%-ს არ ქონია სურვილი გამხდარიყო პროფესიული კავშირის წევრი.

ცხრილი 40

პროფესიულ კავშირში გაწევრიანება შრომის უფლების დარღვევასთან მიმართებით

კატეგორია	**№**	**რ-ბა**	**%**
დიახ	1	210	34.9%
არა	2	130	21.6%
არ ვარ ინფორმირებული	3	261	43.4%

ცხრილი 41

პროფესიულ კავშირში გაწევრიანების შეზღუდვა დამსაქმებლის მხრიდან

კატეგორია	**№**	**რ-ბა**	**%**
დიახ	1	13	2.2%
არა	2	263	45.1%
არ მქონია სურვილი	3	307	52.7%

გამოკითხულთა მხოლოდ 1 % უსარგებლია გაფიცვის უფლებით, 39.2%-ს კი არ ქონია გაფიცვის სურვილი. გამოკითხულთა 0.5% აცხადებს, რომ შეეზღუდა გაფიცვის უფლება.

ცხრილი 42

რესპონდენტები გაფიცვის უფლებით სარგებლობის მიხედვით

კატეგორია	**№**	**რ-ბა**	**%**
დიახ	1	6	1.0%
არა	2	353	58.6%
არ მქონია სურვილი	3	236	39.2%
აზრს ვერ ვხედავ	4	7	1.2%

ცხრილი 43

რესპონდენტები გაფიცვის უფლებით შეზღუდვის მიხედვით

კატეგორია	№	რ-ბა	%
დიახ	1	3	0.5%
არა	2	587	98.2%
ვერ მოხერხდა გაფიცვის ორგანიზება	3	8	1.3%

რესპონდენტების ნახევარზე მეტს არ აქვს ინფორმაცია სოციალური უზრუნველყოფის და სოციალური თანადგომის პროექტების შესახებ ან ვერ სარგებლობს. აღნიშნული პროგრამებია:

• საარსებო შემწეობის მიღების ზედა ზღვარი 100001;
• ფულადი დანამატი ბავშვებზე;
• ასაკობრივი პენსია;
• შშმ ბავშვთა სოციალური პაკეტი;
• ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში და საერთაშორისო მისიებში დაღუპულთა ოჯახის წევრების კომპენსაცია;
• კრიზისული დახმარების პროგრამა;
• კვების ვაუჩერის პროგრამა;
• 45 მცირე საოჯახო ტიპის სახლი;
• 31 სათემო სახლი;
• ძალადობის 3 და ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვის 2 თავშესაფარი;
• დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების პროგრამა;
• დეკრეტული შვებულება.

ცხრილი 44

რესპონდენტების განაწილება სოციალური პროგრამებით სარგებლობის მიხედვით

კატეგორია	№	რ-ბა	%
დიახ, მაქვს ინფორმაცია და ვსარგებლობ	1	228	37.6%
არ მაქვს ინფორმაცია	2	82	13.5%
მაქვს ინფორმაცია და ჩემზე არ ვრცელდება აღნიშნული პროგრამები	3	267	44.1%
მაქვს ინფორმაცია და ვერ ვსარგებლობ/ადრე ვსარგებლობდი	4	29	4.8%

გამოკითხულთა 4.9%-მა თავი შეიკავა დასაქმებისგან სოციალური დახმარების დაკარგვის საშიშროების გამო, ხოლო 27.3%-ს არ მიუღია შეთავაზება.

ცხრილი 45

დასაქმების საკითხები და სოციალური დახმარება

კატეგორია	**№**	**რ-ბა**	**%**
არ მიმიღია დასაქმების თაობაზე შეთავაზება	1	161	27.3%
დიახ, სოციალური დახმარება ბევრად მნიშვნელოვანია, ვიდრე შემოთავაზებული ხელფასი	2	29	4.9%
თავი არ შემიკავებია სამუშაოს მიღებაზე, დავსაქმდი	3	33	5.6%
სხვა (შემოთავასებული ხელფასი უფრო დაბალია, ვიდრე სოციალური დახმარება, დავსაქმდი ხელშეკრულების გარეშე, რათა არ მომეხსნას დახმარება, ჯანმრთელობის პრობლმების გამო ვერ ვმუშაობ, არ ვრცელდება ჩემზე სოციალური დახმარება)	4	366	62.1%

გამოკითხულთა 72.4%-ს არ აქვს ინფორმაცია, რომ სოციალურად დაუცველ პირებს, დასაქმების შემთხვევაში, 12 თვის მანძილზე უნარჩუნდებათ სოციალურად დაუცველის სტატუსი, ხოლო მომდევნო 12 თვის მანძილზე – არსებული ბენეფიტები. 3.3% არ ენდობა მიღებულ ინფორმაციას, რადგან სოციალურად დაუცველის სტატუსის მოპოვება არის რთული ბიუროკრატიული პროცესი.

ცხრილი 46

სოციალური დახმარებების ახალი ინიციატივა

კატეგორია	**№**	**რ-ბა**	**%**
დიახ, მსმენია	1	142	24.3%
არ მაქვს აღნიშნული ცვლილების შესახებ ინფორმაცია	2	423	72.4%
არ ვენდობი მიღებულ ინფორმაციას, რადგან სოციალურად დაუცველი სტატუსის მოპოვება არის რთული ბიუროკრატიული პროცესი	3	19	3.3%

რესპონდენტების 44.5% მიიჩნევს, რომ საქართველოში მოქმედი პროგრამები მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფს დედე-

ბის დაცვას ორსულობისა და მშობიარობის შემდეგ პერიოდ-ში.

ცხრილი 47

დედების დაცვას ორსულობისა და მშობიარობის შემდეგ პერიოდში

კატეგორია	**№**	**რ-ბა**	**%**
სრულად უზრუნველ-ყოფს	1	61	10.1%
მეტ-ნაკლებად უზრუნ-ველყოფს	2	269	44.5%
ვერ უზრუნველყოფს	3	92	15.2%
არ მაქვს ინფორმაცია	4	183	30.2%

რესპონდენტების 45.3% მიიჩნევს, რომ საქართველოში მოქმედი პროგრამები მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფს ბავ-შვთა და მოზარდთა დაცვას სოციალური და ეკონომიკური ექსპლუატაციისგან.

ცხრილი 48

ბავშვთა და მოზარდთა დაცვის პროგრამები

კატეგორია	**№**	**რ-ბა**	**%**
სრულად უზრუნველყოფს	1	44	7.3%
მეტ-ნაკლებად უზრუნ-ველყოფს	2	274	45.3%
ვერ უზრუნველყოფს	3	147	24.3%
არ მაქვს ინფორმაცია	4	140	23.1%

გამოკითხულთა 21.1% მიიჩნევს, რომ საქართველოში მოქმედი პროგრამები ვერ უზრუნველყოფს ჯანმრთელობის უფლების დაცვას.

ცხრილი 49

ჯანმრთელობის უფლების დაცვის პროგრამები საქართველოში

კატეგორია	**№**	**რ-ბა**	**%**
სრულად უზრუნველ-ყოფს	1	82	13.5%
მეტ-ნაკლებად უზრუნ-ველყოფს	2	354	58.4%
ვერ უზრუნველყოფს	3	128	21.1%
არ მაქვს ინფორმაცია	4	42	6.9%

რესპონდენტების 54.7% მიიჩნევს, რომ სარეიტინგო ქულებსა და შემოსავლების გრადაციაზე დაფუძნებული საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა საჭიროებს გაუმჯობესებას, ხოლო 16.7% მიიჩნევს, რომ უსამართლოა.

ცხრილი 50

სარეიტინგო ქულებსა და შემოსავლების გრადაციაზე დაფუძნებული საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა

კატეგორია	№	რ-ბა	%
სამართლიანია	1	173	28.6%
საჭიროებს გაუმჯობესებას	2	331	54.7%
უსამართლოა	3	101	16.7%

კვლევაში მონაწილე ინდივიდები მიიჩნევენ, რომ კოვიდ-პანდემიის პერიოდში არანებაყოფლობითი იზოლაციის მექანიზმი უმეტესად არის მისაღები. მხოლოდ 24% ეწინააღმდეგება შეზღუდვებს.

ცხრილი 51

კოვიდ-პანდემიის პერიოდში არანებაყოფლობითი იზოლაციის მექანიზმი

კატეგორია	№	რ-ბა	%
მისაღებია, რადგან შესაბამისობაშია საერთაშორისო სტანდარტებთან	1	248	41.0%
არ არის მისაღები	2	145	24.0%
ნაწილობრივ მისაღებია	3	212	35.0%

გამოკითხულთა 21.9%-ს არ აქვს ინფორმაცია ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამის შესახებ, 60.9%-ს სმენია და არ უსარგებლია, რადგან მათზე არ ვრცელდება აღნიშნული პროგრამა.

ცხრილი 52

ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამები

კატეგორია	№	რ-ბა	%
მსმენია და მისარგებლია	1	71	11.7%
მსმენია და არ მისარგებლია/ჩემზე არ ვრცელდება	2	369	60.9%
მსმენია და ვერ ვისარგებლე	3	33	5.4%
არ მაქვს ინფორმაცია	4	133	21.9%

კვლევაში ჩართული ინდივიდების 44.4% მიიჩნევს, რომ საქართველოში მოქმედი პროგრამები მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფს ღირსეული საცხოვრებელი პირობებისა და ჰიგიენის უზრუნველყოფას მოქალაქეთათვის, ხოლო 33% მიიჩნევს, რომ ვერ უზრუნველყოფს.

ცხრილი 53

ღირსეული საცხოვრებელი პირობებისა და ჰიგიენის უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამები

კატეგორია	**№**	**რ-ბა**	**%**
სრულად უზრუნველყოფს	1	39	6.4%
მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფს	2	269	44.4%
ვერ უზრუნველყოფს	3	200	33.0%
არ მაქვს ინფორმაცია	4	98	16.2%

გამოკითხულთა 54% მიიჩნევს, რომ საქართველოში მოქმედი პროგრამები შიმშილის პრობლემის აღმოფხვრას ვერ უზრუნველყოფს.

ცხრილი 54

სახელმწიფო პროგრამები და შიმშილის პრობლემა

კატეგორია	**№**	**რ-ბა**	**%**
სრულად უზრუნველყოფს	1	18	3.0%
მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფს	2	213	35.2%
ვერ უზრუნველყოფს	3	327	54.0%
არ მაქვს ინფორმაცია	4	47	7.8%

რესპონდენტების 51% მიიჩნევს, რომ აბიტურიენტების უმაღლესი განათლების დაფინანსებების პროგრამა ეროვნული გამოცდის შედეგების და არა მისი სოციალური მდგომარეობის შესაბამისად საჭიროებს გაუმჯობესებას, ხოლო 14.2 % მიიჩნევს, რომ უსამართლოა.

ცხრილი 55

უმაღლესი განათლების დაფინანსებების პროგრამა

კატეგორია	**№**	**რ-ბა**	**%**
სამართლიანია	1	210	34.8%
საჭიროებს გაუმჯობესებას	2	308	51.0%
უსამართლოა	3	86	14.2%

გამოკითხულთა 58.5%-ს არ აქვს ინფორმაცია სტაჟირებისა და სუბსიდირების პროგრამების შესახებ. აღნიშნული პროგრამებით მხოლოდ 9,3% -მა ისარგებლა.

ცხრილი 56

სტაჟირების/სუბსიდირების პროგრამები

კატეგორია	**№**	**რ-ბა**	**%**
დიახ, მაქვს ინფორმაცია	1	194	32.2%
დიახ, მაქვს ინფორმაცია და მისარგებლია	2	56	9.3%
არ მაქვს ინფორმაცია	3	353	58.5%

ცხრილი 57

სტაჟირების/სუბსიდირების პროგრამები რესპონდენტის სტატუსების მიხედვით

რესპონდენტის სტატუსი	**გაქვთ თუ არა ინფორმაცია ან ხომ არ გისარგებლიათ სტაჟირების/სუბსიდირების პროგრამებით?**					
	1 - დიახ მაქვს ინფორმაცია		2 - დიახ მაქვს ინფორმაცია და მისარგებლია		3-არ მაქვს ინფორმაცია	
	რ-ბა	%	რ-ბა	%	რ-ბა	%
1 – უმუშევარი	87	44.8%	21	37.5%	191	54.1%
2 – დასაქმებული	97	50.0%	31	55.4%	109	30.9%
3 – პენსიონერი	23	11.9%	3	5.4%	74	21.0%
4 – სტუდენტი	13	6.7%	5	8.9%	10	2.8%
5 – მრავალშვილიანი ოჯახის წევრი	39	20.1%	6	10.7%	49	13.9%

გამოკითხულთა 39.6 % არ აქვს ინფორმაცია პროფესიული მომზადება-გადამზადების სახელმწიფო პროგრამის შესახებ.

ცხრილი 58

სტაჟირების/სუბსიდირების პროგრამები რესპონდენტის სტატუსების მიხედვით

კატეგორია	**№**	**რ-ბა**	**%**
დიახ, მაქვს ინფორმაცია	1	288	47.8%
დიახ, მაქვს ინფორმაცია და მისარგებლია	2	76	12.6%
არ მაქვს ინფორმაცია	3	239	39.6%

რესპონდენტების 80%-მდე მიიჩნევს, რომ პანდემიურ პერიოდში დისტანციურ სწავლებაზე გადასვლით სრულად ან ნაწილობრივ იზღუდება განათლების უფლება.

ცხრილი 59

განათლების უფლება პანდემიის პერიოდში

კატეგორია	**№**	**რ-ბა**	**%**
არ იზღუდება, პირიქით უფრო მეტად მოსახერხებელია	1	53	8.9%
იზღუდება ინტერნეტის ან სხვა პრობლემის გამო	2	175	29.3%
ნაწილობრივ იზღუდება განათლების უფლება (ვერ უზრუნველყოფს არსებული დისტანციური სწავლის მოდელები სათანადო ხარისხს და ა. შ.)	3	338	56.6%
სხვა	99	31	5.2%

3.2. მრავალგანზომილებიანი ცხრილებით ანალიზი

კვლევის პროცესში შევადგინეთ სხვადასხვა მრავალ-განზომილებიანი ცხრილი. მათ შორის გამოვიკვლიეთ პროფკავშირში გაწევრიანების შედეგად მცირდება თუ არა ადამიანის უფლებების დარღვევის რისკები. შედეგების მიხედვით კერძო სექტორში დასაქმებულთა 47.2% მიიჩნევს, რომ პროფესიულ კავშირში გაწევრიანება ამცირებს შრომის უფლების დარღვევის რისკებს.

ცხრილი 60

პროფესიულ კავშირში გაწევრიანების მრავალგანზომილებიანი ცხრილი

B1. თქვენი შეხედულებით პროფესიულ კავშირში გაწევრიანება ამცირებს თუ არა შრომის უფლების დარღვევის რისკებს ქვეყანაში?	A3. რომელ სექტრორში ხართ ან იყავით დასაქმებული?							
	კერძო სექტორი		საჯარო სექტორი		კერძო და საჯარო სექ-ტორები		სხვა	
	რ-ბა	%	რ-ბა	%	რ-ბა	%	რ-ბა	%
დიახ	91	47.2%	57	29.5%	41	21.2%	4	2.1%
არა	54	43.2%	40	32.0%	30	24.0%	1	0.8%
არ ვარ ინ-ფორმირე-ბული	111	49.8%	59	26.5%	45	20.2%	8	3.6%

ცხრილი 61

პროფესიულ კავშირში გაწევრიანებების უფლების შეზღუდვის მრავალგანზომილებიანი ცხრილი

ხომ არ შეგეზღუდათ გაფიცვის უფლება?	ხომ არ შეგეზღუდათ პროფესიულ კავშირში გაწევრიანების ან პროფესიული კავშირის შექმნის უფლება დამსაქმებლის მხრიდან?					
	დიახ		არა		არ მქონია სურვილი	
	რ-ბა	%	რ-ბა	%	რ-ბა	%
დიახ	0	0.0%	1	50.0%	1	50.0%
არა	12	2.1%	259	45.4%	300	52.5%
ვერ მოხერხდა გაფიცვის ორგანიზება	0	0.0%	1	14.3%	6	85.7%

კვლევით დადგინდა, რომ უმუშევარი რესპონდენტების 45.1%-ს არ აქვს ინფორმაცია სოციალური უზრუნველყოფის და სოციალური თანადგომის პროექტების შესახებ.

ცხრილი 62

სოციალური პროგრამები მრავალგანზომილებიანი ცხრილი

D1. გაქვთ თუ არა ინფორმაცია სოციალური უზრუნველყოფის და სოციალური თანადგომის პროექტების შესახებ ან ხომ არ სარგებლობთ აღნიშნული მხარდაჭერის სერვისებით?	**რესპონდენტის სტატუსი**									
	უმუშევარი		დასაქმებული		პენსიონერი		სტუდენტი		მრავალშვილიანი ოჯახის წევრი	
	რ-ბა	%	რ-ბა	%	რ-ბა	%	რ-ბა	%	რ-ბა	%
დიახ, მაქვს ინფორმაცია და ვსარგებლობ	131	57.5%	45	19.7%	73	32.0%	2	0.9%	53	23.2%
არ მაქვს ინფორმაცია	37	45.1%	42	51.2%	10	12.2%	6	7.3%	7	8.5%
მაქვს ინფორმაცია და ჩემზე არ ვრცელდება აღნიშნული პროგრამები	119	44.6%	136	50.9%	15	5.6%	20	7.5%	24	9.0%
მაქვს ინფორმაცია და ვერ ვსარგებლობ / ადრე ვსარგებლობდი	13	44.8%	15	51.7%	3	10.3%	0	0.0%	10	34.5%

გამოკითხულ უმუშევართა 65.5% ამბობს, რომ სოციალური დახმარება ბევრად მნიშვნელოვანია, ვიდრე შემოთავაზებული ხელფასი, ამიტომ უარს ამბობენ დახმარებაზე. ასევე, გამოვლინდა, უმუშევართა 49.6%-ს არ აქვს ინფორმაცია იმის თობაზე, რომ სოციალურად დაუც-

ველ პირებს, დასაქმების შემთხვევაში, 12 თვის მანძილზე უნარჩუნდებათ სოციალური სტატუსი, ხოლო მომდევნო 12 თვის მანძილზე – არსებული ბენეფიტები.

თვისებრივმა და რაოდენობრივმა კვლევებმა დაადასტურა სოციალურად დაუცველთა სახელმწიფო რეგულირების პროგრამების ხარვეზები, რაც დაკავშირებულია დასაქმების დემოტივაციის საკითხებთან.

ცხრილი 63

სოციალური დახმარების და რესპონდენტის სტატუსთა მრავალგანზომილებიანი ცხრილი

D2. თავი ხომ არ შეგიკავებიათ დასაქმებაზე სოციალური დახმარების და შესაბამისი ბენეფიტების შენარჩუნების მიზეზის გამო?	**რესპონდენტის სტატუსი**									
	უმუშევარი		დასაქმებული		პენსიონერი		სტუდენტი		მრავალშვილიანი ოჯახის წევრი	
	რ-ბა	%	რ-ბა	%	რ-ბა	%	რ-ბა	%	რ-ბა	%
არ მიმიღია დასაქმების თაობაზე შეთავაზება	102	63.4%	31	19.3%	33	20.5%	0	0.0%	33	20.5%
დიახ, სოციალური დახმარება ბევრად მნიშვნელოვანია, ვიდრე შემოთავაზებული ხელფასი	19	65.5%	2	6.9%	10	34.5%	0	0.0%	6	20.7%
თავი არ შემიკავებია სამუშაოს მიღებაზე, დავსაქმდი	9	27.3%	21	63.6%	4	12.1%	2	6.1%	7	21.2%
სხვა	163	44.5%	175	47.8%	51	13.9%	25	6.8%	47	12.9%

ცხრილი 64

სოციალური დახმარების განახლებული პროგრამისა და რესპონდენტის სტატუსთა მრავალგანზომილებიანი ცხრილი

D3. გსმენიათ თუ არა, რომ სოციალურად დაუცველ პირებს, დასაქმების შემთხვევაში, 12 თვის მანძილზე უნარჩუნდებათ სოციალური სტატუსი, ხოლო მომდევნო 12 თვის მანძილზე არსებული ბენეფიტები?	**რესპონდენტის სტატუსი**									
	უმუშევარი		დასაქმებული		პენსიონერი		სტუდენტი		მრავალშვილიანი ოჯახის წევრი	
	რ-ბა	%	რ-ბა	%	რ-ბა	%	რ-ბა	%	რ-ბა	%
დიახ, მსმენია	72	50.7%	62	43.7%	19	13.4%	5	3.5%	30	21.1%
არ მაქვს აღნიშნული ცვლილების შესახებ ინფორმაცია	210	49.6%	161	38.1%	73	17.3%	19	4.5%	61	14.4%
არ ვენდობი მიღებულ ინფორმაციას, რადგან სოციალურად დაუცველის სტატუსის მოპოვება არის რთული ბიუროკრატიული პროცესი	9	47.4%	5	26.3%	5	26.3%	4	21.1%	2	10.5%

კვლევამ აჩვენა, რომ მხოლოდ საშუალო განათლების მქონე რესპონდენტების 69.4%-ს არ აქვს ინფორმაცია პროფესიული მომზადება-გადამზადების სახელმწიფო პროგრამის შესახებ. აღნიშნული გარემოება მოწმობს პროგრამების ნაკლებ ცნობადობასა და შესაბამისად დასაქმებაში მათ დაბალი კონტრიბუციაზე.

ცხრილი 65

განათლებისა და პროფესიული გადამზადების მრავალგანზომილებიანი ცხრილი

განათლება/პროფესიული გადამზადება		**განათლება**							
		უმაღლესი		პროფესიული		საშუალო		სტუდენტი	
		რ-ბა	%	რ-ბა	%	რ-ბა	%	რ-ბა	%
K1. რამდენად სამართლინია აბიტურიენტი იღებდეს უმაღლესი განათლების დაფინანსებას ეროვნული გამოცდის შედეგების და არა მისი სოციალური მდგომარეობის შესაბამისად?	სამართლიანია	112	36.7%	33	39.3%	51	27.7%	14	48.3%
	საჭიროებს გაუმჯობესებას	148	48.5%	41	48.8%	104	56.5%	14	48.3%
	უსამართლოა	45	14.8%	10	11.9%	29	15.8%	1	3.4%
K2. გაქვთ თუ არა ინფორმაცია ან ხომ არ გისარგებლიათ სტაჟირების/სუბსიდირების პროგრამებით?	დიახ, მაქვს ინფორმაცია	116	38.0%	19	22.9%	40	21.9%	19	63.3%
	დიახ, მაქვს ინფორმაცია და მისარგებლია	29	9.5%	8	9.6%	16	8.7%	3	10.0%
	არ მაქვს ინფორმაცია	160	52.5%	56	67.5%	127	69.4%	8	26.7%

K3. გაქვთ თუ არა ინფორმაცია ან ხომ არ გისარგებლიათ პროფესიული მომზადება-გადამზადების სახელმწიფო პროგრამით?	დიახ, მაქვს ინფორმაცია	168	55.6%	36	42.9%	65	35.1%	18	60.0%
	დიახ, მაქვს ინფორმაცია და მისარგებლია	41	13.6%	14	16.7%	17	9.2%	4	13.3%
	არ მაქვს ინფორმაცია	93	30.8%	34	40.5%	103	55.7%	8	26.7%
K4. თქვენი აზრით, პანდემიურ პერიოდში, დისტანციურ სწავლებაზე გადასვლით იზღუდება თუ არა განათლების უფლება?	არ იზღუდება, პირიქით უფრო მეტად მოსახერხებელია	30	10.0%	7	8.5%	11	6.0%	5	16.7%
	იზღუდება ინტერნეტის ან სხვა პრობლემის გამო	77	25.6%	26	31.7%	69	37.9%	3	10.0%
	ნაწილობრივ იზღუდება განათლების უფლება (ვერ უზრუნველყოფს არსებული დისტანციური სწავლის მოდელები სათანადო ხარისხს აშ)	176	58.5%	44	53.7%	95	52.2%	21	70.0%
	სხვა	18	6.0%	5	6.1%	7	3.8%	1	3.3%

გამოკითხულ სოციალურად დაუცველთა 15.1% აცხადებს, რომ თავი შეიკავა დასაქმებაზე, რადგან სოციალური დახმარება ბევრად მნიშვნელოვანია, ვიდრე შემოთავაზებული ხელფასი.

ცხრილი 66

სოციალურ შემწეობაზე დამოკიდებულების ფენომენი

D2. თავი ხომ არ შეგიკავებიათ დასაქმებაზე სოციალური დახმარების და შესაბამისი ბენეფიტების შენერების მიზეზის გამო?	**სოციალურად დაუცველი**			
	დიახ		არა	
	რ-ბა	%	რ-ბა	%
არ მიმიღია დასაქმების თაობაზე შეთავაზება	96	55.8%	63	15.2%
დიახ, სოციალური დახმარება ბევრად მნიშვნელოვანია, ვიდე შემოთავაზებული ხელფასი	26	15.1%	3	0.7%
თავი არ შემიკავებია სამუშაოს მიღებაზე, დავსაქმდი	15	8.7%	18	4.3%
სხვა	35	20.3%	331	79.8%

ახალგაზრდა რესპონდენტების უმეტესობა აცხადებს, რომ საქართველოში მოქმედი პროგრამები ჯანმრთელობის უფლების დაცვას ვერ უზრუნველყოფს საქართველოში. შედარებით პოზიტიური პროგნოზებია საპენსიო ასაკის მქონე პირებში, რაც პენსიონერთა ჯანდაცვის პროგრამების ეფექტიანობაზე მიუთითებს. ახალგაზრდა რესპონდენტები ნაკლებად სამართლიანად მიიჩნევენ ასევე სარეიტინგო ქულებსა და შემოსავლების გრადაციაზე დაფუძნებული საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამას.

ცხრილი 67

საქართველოში მოქმედი პროგრამები და ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფა

ასაკობრივი ჯგუფები	G.1. რამდენად უზრუნველყოფს საქართველოში მოქმედი პროგრამები ჯანმრთელობის უფლების დაცვას?							
	სრულად უზრუნველყოფს		მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფს		ვერ უზრუნველყოფს		არ მაქვს ინფორმაცია	
	რ-ბა	%	რ-ბა	%	რ-ბა	%	რ-ბა	%
18-30	9	11.0%	73	20.6%	30	23.4%	13	31.0%
30-40	15	18.3%	73	20.6%	24	18.8%	9	21.4%
40-50	24	29.3%	83	23.4%	32	25.0%	8	19.0%
50-60	12	14.6%	54	15.3%	21	16.4%	6	14.3%
60-70	10	12.2%	47	13.3%	11	8.6%	3	7.1%
70-80	9	11.0%	19	5.4%	7	5.5%	3	7.1%
80-90	3	3.7%	5	1.4%	1	0.8%	0	0.0%
NA	0	0.0%	0	0.0%	2	1.6%	0	0.0%

ცხრილი 68

სარეიტინგო ქულებსა და შემოსავლების გრადაციაზე დაფუძნებული საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა

ასაკობრივი ჯგუფები	G2. რამდენად სამართლიანია სარეიტინგო ქულებსა და შემოსავლების გრადაციაზე დაფუძნებული საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა?					
	სამართლიანია		საჭიროებს გაუმჯობესებას		უსამართლოა	
	რ-ბა	%	რ-ბა	%	რ-ბა	%
18-30	20	11.6%	80	24.2%	25	24.8%
30-40	31	17.9%	67	20.2%	23	22.8%
40-50	44	25.4%	83	25.1%	18	17.8%
50-60	29	16.8%	46	13.9%	18	17.8%
60-70	27	15.6%	36	10.9%	9	8.9%
70-80	18	10.4%	15	4.5%	5	5.0%
80-90	4	2.3%	4	1.2%	1	1.0%
NA	0	0.0%	0	0.0%	2	2.0%

3.3. კორელაციური ანალიზი

საანალიზო მონაცემთა ბაზაში კორელაციურ ანალიზს ვატარებთ თვისებრივ ცვლადებს შორის, რისთვისაც დაგვჭირდება ნომინალურ ცვლადებს შორის კორელაციური კავშირის შემაფასებლი მაჩვენებელი, ე. წ. კრამერის V მაჩვენებელი. სტანდარტული კორელაციის კოეფიციენტისგან განსხვავებით, რომელიც [-1,1] ინტერვალში იღებს მნიშვნელობებს, იგი მოთვსებულია 0-სა და 1-ს შორის. როდესაც V∈ [0.1,0.3] ინტერვალს, საკვლევ ცვლადებს შორის სუსტი კორელაციური კავშირია; როდესაც V∈[0.4,0.5] – საშუალო სიმძლავრის კავშირი; ხოლო როდესაც V>0.5 – ცვლადებს შორის კავშირი ძლიერია. კორელაციური კავშირების მაჩვენებელი პირველი დიაგრამა აგებულია A ცვლადებს შორის:

A2. სამუშაო სტაჟი: 1) 1 წლამდე; 2) 1-დან 3 წლამდე; 3) 3-დან 5 წლამდე 4) 5-დან 10 წლამდე; 5) 10 წელი და მეტი.

A3. რომელ სექტრორში ხართ ან იყავით დასაქმებული? 1 – კერძო სექტორი, 2 – საჯარო სექტორი, 3 – კერძო და საჯარო სექტორები.

A4. გიმუშავიათ თუ არა უქმე დღეებში ან არასამუშაო დროს და მიგიღიათ თუ არა ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულებისთვის ანაზღაურება? (მიუთითეთ ბოლო 5 წლის გამოცდილება) 1 – დიახ, მიმუშავია და მიმიღია ზეგანაკვეთური ანაზღაურება; 2 – დიახ, მიმუშავია და არ მიმიღია ზეგანაკვეთური ანაზღაურება; 3 – არ მიმუშავია.

A5. შეგზღუდვიათ თუ არა დამსაქმებლის მითითებით ოთხკვირიანი ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულებით სარგებლობის უფლება? (მიუთითეთ ბოლო 5 წლის გამოცდილება) 1 – დიახ, 2 – არა.

A6. გიმუშავიათ თუ არა სახიფათო და არაჯანმრთელ სამუშაოებზე და იყო თუ არა დაცული უსაფრთხოების ზომები? (მიუთითეთ ბოლო 5 წლის გამოცდილება) 1 – დიახ, მიმუშავია და იყო უსაფრთხოების ზომები დაცული; 2 – დიახ, მიმუშავია და არ იყო უსაფრთხოების ზომები დაცული; 3 – არ მიმუშავია სახიფათო და არაჯანმრთელ სამუშაოზე.

A7. სარგებლობთ / სარგებლობდით თუ არა ყოველკვირეული დასვენების პერიოდით? (მაგ., შაბათი, კვირა ან ოფიციალური უქმე დღეები?) (მიუთითეთ ბოლო 5 წლის გამოცდილება) 1 – დიახ, 2 – არა.

A8. ღამის ცვლაში გისარგებლიათ თუ არა შესაბამისი შეღავთებით, რომლებიც ითვალისწინებენ სამუშაოს სპეციფიკურ ხასიათს. (მიუთითეთ ბოლო 5 წლის გამოცდილება) 1– დიახ, მისარგებლია შესაბამისი შეღავათებით; 2 – არ მისარგებლია შესაბამისი შეღავათებით; 3 – არ მიმუშავია ღამის ცვლაში.

A9. სამუშაოს მიღების, კარიერული წინსვლის, შრომის კომპენსაციის მიღების დროს ხომ არ აღმოჩენილხართ არათანაბარ მდგომარეობაში გენდერული ნიშნით? (მიუთითეთ ბოლო 5 წლის გამოცდილება) 1 – დიახ, 2 – არა.

A10. დაგიკარგავთ თუ არა სამსახური უსაფუძვლოდ და მიგიმართავთ თუ არა დახმარებისთვის? (მიუთითეთ ბოლო 5 წლის გამოცდილება) 1 – დიახ, დამიკარგავს სამსახური უსაფუძვლოდ და მიმიმართავს დახმარებისთვის; 2 – დიახ, დამიკარგავს სამსახური უსაფუძვლოდ და არ მიმიმართავს დახმარებისთვის; 3 – არ დამიკარგავს სამსახური უსაფუძვლოდ.

A12. ხომ არ გაუარესებულა თქვენი ჯანმრთელობის მდგომარეობა სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს? (მიუთითეთ ბოლო 5 წლის გამოცდილება) 1 – დიახ, 2 – არა.

A14. ხომ არ შეგეზღუდათ დეკრეტული შვებულებით სარგებლობის უფლება ან ხომ არ მოგიწიათ ვადაზე ადრე სამსახურში დაბრუნება? (მიუთითეთ ბოლო 5 წლის გამოცდილება) 1 – დიახ, 2 – არა, 99 – არ მეხება.

A15. ხომ არ აქვს ან ჰქონია სახელფასო დავალიანება დამაქმებელს თქვენ წინაშე? (მიუთითეთ ბოლო 5 წლის გამოცდილება) 1 – დიახ, 2 – არა.

A16. ამჟამად ეძებთ თუ არა სამუშაოს? 1 – დიახ, 2 – არა, 3 – ვარ დასაქმებული, 99 – სხვა.

A19. გთხოვთ, მიუთითოთ, რამდენი ლარია თქვენი ოჯახის საშუალო თვიური შემოსავალი? 1) 0–100; 2) 101–200; 3)

201–400; 4) 401–800; 5) 801–1500; 6) 1501–3000; 7) 3001 ლარი და მეტი; 8) არ ვიცი; 9) უარი პასუხზე.

A20. როგორ ფიქრობთ, რა გავლენა მოახდინა კოვიდ პანდემიამ დასაქმებაზე? 1 – დისტანციურად მუშაობით სრულად შევინარჩუნე სამუშაო ადგილი და ხელფასი; 2 – დისტანციურად მუშაობით შემიმცირდა ხელფასი; 3 – დროებით შემიჩერდა შრომითი ხელშეკრულება; 4 – გავხდი სარეზერვო თანამშრომელი; 5 – გამათავისუფლეს სამსახურიდან; 6 – კომპანია დაიხურა / შეწყვიტა ფუნქციონირება; 7 – არ ვმუშაობ და პანდემიამ კიდევ უფრო შეამცირა დასაქმების შანსები.



ნახ. 11. კორელაციური რუკა A-ტიპის ცვლადებს შორის

ცხრილი 69

კორელაციური კავშირები A-ტიპის ცვლადებს შორის

	A215	A3199	A413	A512	A613	A712	A813	A912	A1013	A1212	A1419	A1512	A1619	A1919	A2019
A215	1	0.223208	0.100774	0.129472	0.0632	0.078462	0.07989	0.09426	0.107515	0.08248	0.10693	0.143916	0.102283	0.123148	0.139381
A3199	0.223208	1	0.144523	0.031051	0.083245	0.070349	0.111992	0.070251	0.094902	0.091755	0.070651	0.111683	0.102357	0.166973	0.168918
A413	0.100774	0.144523	1	0.190403	0.173044	NA	0.260478	0.106605	0.078818	0.153032	0.080534	0.101564	0.134564	0.117939	0.152327
A512	0.129472	0.031051	0.190403	1	0.081635	0.074088	0.043603	0.048141	0.104844	0.042245	0.135597	0.098654	0.146943	0.097339	0.15295
A613	0.0632	0.083245	0.173044	0.081635	1	0.047776	0.228846	0.145044	0.151009	0.348927	0.049538	0.180472	0.124047	0.095981	0.127943
A712	0.078462	0.070349	NA	0.074088	0.047776	1	0.035212	0.048806	0.029565	0.094377	0.102015	0.047326	0.110227	0.165072	0.185543
A813	0.07989	0.111992	0.260478	0.043603	0.228846	0.035212	1	0.078329	0.146267	0.206721	0.075116	0.231339	0.10104	0.177427	0.179274
A912	0.09426	0.070251	0.106605	0.048141	0.145044	0.048806	0.078329	1	0.161782	0.161257	0.033503	0.031365	0.033215	0.095452	0.201853
A1013	0.107515	0.094902	0.078818	0.104844	0.151009	0.029565	0.146267	0.161782	1	0.202878	0.064337	0.148078	0.145599	0.166581	0.158597
A1212	0.08248	0.091755	0.153032	0.042245	0.348927	0.094377	0.206721	0.161257	0.202878	1	0.045543	0.123241	0.12526	0.145074	0.097261
A14199	0.10693	0.070651	0.080534	0.135597	0.049538	0.102015	0.075116	0.033503	0.064337	0.045543	1	0.062827	0.108602	0.108124	0.148003
A1512	0.143916	0.111683	0.101564	0.098654	0.180472	0.047326	0.231339	0.031365	0.148078	0.123241	0.062827	1	0.182266	0.112554	0.217597
A16199	0.102283	0.102357	0.134564	0.146943	0.124047	0.110227	0.10104	0.033215	0.145599	0.12526	0.108602	0.182266	1	0.18755	0.308177
A1919	0.123148	0.166973	0.117939	0.097339	0.095981	0.165072	0.177427	0.095452	0.166581	0.145074	0.108124	0.112554	0.18755	1	0.195151
A20199	0.139381	0.168918	0.152327	0.15295	0.127943	0.185543	0.179274	0.201853	0.158597	0.097261	0.148003	0.217597	0.308177	0.195151	1

ცხრილში ყვითელი ფერით მონიშნულია ზედა ზღვრისკენ ახლოს მდებარე სუსტი კორელაციური კავშირები. ცისფერი ფერით მონიშნულია საშუალო სიძლიერის კორელაციური კავშირები.

შემდგომ შევამოწმეთ კორელაციური კავშირები D-ტიპის ცვლადებს შორის.

D1. გაქვთ თუ არა ინფორმაცია სოციალური უზრუნველყოფის და სოციალური თანადგომის პროექტების შესახებ ან ხომ არ სარგებლობთ აღნიშნული მხარდაჭერის სერვისებით?

D2. თავი ხომ არ შეგიკავებიათ დასაქმებაზე სოციალური დახმარების და შესაბამისი ბენეფიტების შეჩერების მიზეზის გამო?

D3. გსმენიათ თუ არა, რომ სოციალურად დაუცველ პირებს, დასაქმების შემთხვევაში, 12 თვის მანძილზე უნარჩუნდებათ სოციალური სტატუსი, ხოლო მომდევნო 12 თვის მანძილზე არსებული ბენეფიტები?

ცხრილი 70

კორელაციური კავშირები D-ტიპის ცვლადებს შორის

	D214	D313	D114
D214	1	0.145232	0.257331
D313	0.145232	1	0.083418
D114	0.257331	0.083418	1



ნახ. 12. კორელაციური რუკა D-ტიპის ცვლადებს შორის

ცხრილი 71

კორელაციური კავშირები E, F, G, H, I ტიპის ცვლადებს შორის

	E114	F114	G114	G213	G313	G414	H114	I114
E114	1	0.374272	0.262329	0.069604	0.114267	0.07695	0.182551	0.148211
F114	0.374272	1	0.295579	0.151782	0.157704	0.15573	0.258462	0.205139
G114	0.262329	0.295579	1	0.287764	0.203144	0.114668	0.261482	0.254591
G213	0.069604	0.151782	0.287764	1	0.152324	0.142654	0.182389	0.208699
G313	0.114267	0.157704	0.203144	0.152324	1	0.137146	0.182996	0.152512
G414	0.07695	0.15573	0.114668	0.142654	0.137146	1	0.098944	0.124957
H114	0.182551	0.258462	0.261482	0.182389	0.182996	0.098944	1	0.274076
I114	0.148211	0.205139	0.254591	0.208699	0.152512	0.124957	0.274076	1



ნახ. 13. კორელაციური რუკა E, F, G, H, I ტიპის ცვლადებს შორის



ნახ. 14. კორელაციური რუკა K -ტიპის ცვლადებს შორის

ცხრილი 72

კორელაციური კავშირები K-ტიპის ცვლადებს შორის

	K113	K213	K313	K4199
K113	1	0.040035	0.0775	0.108105
K213	0.040035	1	0.368459	0.103237
K313	0.0775	0.368459	1	0.06032
K4199	0.108105	0.103237	0.06032	1

K ჯგუფის ცვლადებში საშუალო სიძლიერის კორელაციური კავშირი გვაქვს K2-სა და K3 ცვლადებს შორის.

3.4. ლოგისტიკური და მულტინომიალური მოდელებით ანალიზი

მონაცემთა ბაზაში ჩვენთვის საინტერესო ცვლადები თვისებრივი / კატეგორიული ნიშნისაა. შესაბამისად, ანალიზისთვის ვიყენებთ ლოგისტიკურ და მულტინომიალურ მოდელებს. როდესაც დამოკიდებელი ცვლადი ბინარულია – ორი შესაძლო შედეგით, ვაგებთ ლოგისტიკურ რეგრესიას, ხოლო როდესაც დამოკიდებულ ცვლადს აქვს რამდენიმე შესაძლო შედეგი, ამ შედეგებს შორის ნებისმიერი ურთიერთმიმართების გარეშე, მაშინ, ვაგებთ მულტინომიალურ რეგრესიას. ქვემოთ განხილულ მოდელებში დამოკიდებული და დამოუკიდებელი ცვლადები შევარჩიეთ წინა თავში ჩატარებული კორელაციური ანალიზის შედეგად.

3.4.1. სოციალურად დაუცველის კატეგორიაში ინდივიდის მოხვედრის შანსების მოდელი

მოცემული მოდელით ვიკვლევთ სოციალურად დაუცველის კატეგორიაში ინდივიდის მოხვედრის შანსებს. კერძოდ,

ვაფასებთ, როგორი ზეგავლენა აქვს ასაკის, სქესისა და განათლების პარამეტრებს ინდივიდის სოციალურად დაუცველ კატეგორიაში მოხვედრის შანსებზე. ნახაზზე, მოდელი 1.1-ის შედეგებში ვხედავთ, რომ მოდელის შეფასებული კოეფიციენტები სტატისტიკურად მნიშვნელოვანია. z-value ამოწმებს ნულოვან ჰიპოთეზას, რომ კოეფიციენტი ნულის ტოლია. სტანდარტულად, 5%-იანი მნიშვნელოვნების დონისთვის, იგი უნდა მოთავსდეს ±1.96 საზღვრებს გარეთ. მოდელში მნიშვნელოვნება 5%-ზე ბევრად უფრო მაღალია. ამას ადასტურებს Pr(>|z|) ალბათობაც, რომელიც ყველა პარამეტრისთვის 0.05-ზე ბევრად დაბალია.

შეფასებული მოდელი 1.1-დან ვხედავთ, რომ ასაკის მატებასთან ერთად იზრდება ინდივიდის სოციალურად დაუცველ კატეგორიაში მოხვედრის ალბათობა. საინტერესოა, რომ მამაკაცებში სოციალურად დაუცველ კატეგორიაში მოხვედრის შანსები უფრო ნაკლებია, ვიდრე ქალებში. რაც შეეხება განათლებას, სოციალურად დაუცველ კატეგორიაში მოხვედრის რისკი იზრდება განათლების დაბალი საფეხურების მქონე ინდივიდებისთვის.

ნახაზზე, შესაბამისი მოდელის ქვემოთ, მოცემულია შეფასებული კოეფიციენტების ექსპონენტები. მათ ვიყენებთ რისკების ზუსტი ზომის განსაზღვრისთვის. საბოლოოდ, მივიღეთ, რომ ასაკის მატებასთან ერთად 1.02-ჯერ იზრდება ინდივიდის სოციალურად დაუცველ კატეგორიაში მოხვედრის რისკი. მამაკაცებში სოციალურად დაუცველ კატეგორიაში მოხვედრის შანსები 0.4-ჯერ ნაკლებია, ვიდრე ქალებში და, განათლების დაბალი საფეხურების მქონე ინდივიდებისთვის 2.06-ჯერ იზრდება რისკები.

3.4.1.1. ინდივიდების სოციალურად დაუცველ კატეგორიაში მოხვედრის რისკები

```
Deviance Residuals:
    Min       1Q   Median       3Q      Max
-1.4630  -0.7831  -0.6044   1.1488   2.2753

Coefficients:
                Estimate Std. Error z value Pr(>|z|)
(Intercept)    -2.007719   0.486601  -4.126 3.69e-05 ***
age             0.019413   0.006186   3.138   0.0017 **
gender1fe2male -1.039027   0.263062  -3.950 7.82e-05 ***
Education       0.721091   0.100477   7.177 7.14e-13 ***
---
Signif. codes:  0 '***' 0.001 '**' 0.01 '*' 0.05 '.' 0.1 ' ' 1

(Dispersion parameter for binomial family taken to be 1)

    Null deviance: 719.64  on 600  degrees of freedom
Residual deviance: 649.32  on 597  degrees of freedom
  (7 observations deleted due to missingness)
AIC: 657.32

Number of Fisher Scoring iterations: 4
```

	Estimate	OR
(Intercept)	-2.0077	0.1343
age	0.0194	1.0196
gender1fe2male	-1.0390	0.3538
Education	0.7211	2.0567

3.4.1.2 მოდელით ვიკვლევთ, ასევე, სოციალურად დაუცველ კატეგორიაში ინდივიდის მოხვედრის შანსებს ამხსნელი ცვლადების განსხვავებული კომბინაციისთვის. კერძოდ, მოდელში ვრთავთ D1 (გაქვთ თუ არა ინფორმაცია სოციალური უზრუნველყოფის და სოციალური თანადგომის პროექტების შესახებ ან ხომ არ სარგებლობთ აღნიშნული მხარდაჭერის სერვისებით?) და D2 (თავი ხომ არ შეგიკავებიათ დასაქმებაზე სოციალური დახმარების და შესაბამისი ბენეფიტების შეჩერების მიზეზის გამო?) კითხვების შესაბამის ცვლადებს. მოდელი 1.2-ის შედეგებში ვხედავთ, რომ გაიზარდა მოდელის ამხსნელობითი უნარი – აკაიკის კოეფიციენტის მნიშვნელობა გახდა 395.73, მაშინ როდესაც მოდელ 1.1.-ში იგი 657.32-ის ტოლია. უნდა შევნიშნოთ, რომ ცვლადების ამ კომბინაციაში ამხსნელობითი უნარი დაკარგა ასაკის ცვლადმა.

ინდივიდები, რომლებიც აცხადებენ, რომ სოციალური უზრუნველყოფის და სოციალური თანადგომის პროექტების შესახებ არ აქვთ ინფორმაცია ან მათზე არ ვრცელდება აღნიშნული პროგრამები, ასევე, მათ ვისაც აქვს მათზე ინფორმაცია, მაგრამ ვერ სარგებლობენ ან ადრე სარგებლობდნენ, 0.2-ჯერ ნაკლებად ხვდება სოციალურად დაუცველის კატეგორიაში.

D2-ის შემთხვევაში, იმ ინდივიდების ჯგუფისგან განსხვავებით, რომლებსაც არ მიუღიათ დასაქმების თაობაზე შეთავაზება, ინდივიდები, რომლებიც აცხადებენ, რომ სოციალური დახმარება ბევრად მნიშვნელოვანია, ვიდრე შემოთავაზებული ხელფასი, 0.4-ჯერ ნაკლებად ხვდებიან სოციალურად დაუცველ კატეგორიაში, ასევეა, ინდივიდების ის ჯგუფიც, რომლებიც აცხადებენ, რომ თავი არ შეუკავებიათ სამუშაოს მიღებაზე და დასაქმდნენ.

მოდელში, სქესის და განათლების ცვლადების კოეფიციენტები უმნიშვნელოდ შეიცვალა წინა მოდელისგან განსხვავებით, თუმცა მათი გავლენის მიმართულება უცვლელი დარჩა.

3.4.1.2. სოციალურად დაუცველ კატეგორიაში ინდივიდების მოხვედრის რისკების მოდელი

```
Deviance Residuals:
    Min       1Q   Median       3Q      Max
-2.2752  -0.4560  -0.1872   0.3953   3.5537

Coefficients:
               Estimate Std. Error z value Pr(>|z|)
(Intercept)     3.78633    0.58885   6.430 1.28e-10 ***
D114           -1.42971    0.15149  -9.437  < 2e-16 ***
D214           -0.82338    0.09536  -8.635  < 2e-16 ***
gender1fe2male -0.84736    0.33168  -2.555   0.0106 *
Education       0.60812    0.13167   4.619 3.86e-06 ***
---
Signif. codes:  0 '***' 0.001 '**' 0.01 '*' 0.05 '.' 0.1 ' ' 1

(Dispersion parameter for binomial family taken to be 1)

    Null deviance: 704.46  on 583  degrees of freedom
Residual deviance: 385.75  on 579  degrees of freedom
  (24 observations deleted due to missingness)
AIC: 395.75

Number of Fisher Scoring iterations: 6
```

```
                 Estimate      OR
(Intercept)        3.7863 44.0945
D114              -1.4297  0.2394
D214              -0.8234  0.4389
gender1fe2male    -0.8474  0.4285
Education          0.6081  1.8370
```

მოდელში ჩავრთეთ კიდევ ერთი ცვლადი – შრომისუნარიანობა (იხ. მოდელი 3.4.1.3). ამ ცვლადის დამატება მოდელის ამხსნელობით უნარს კიდევ უფრო ზრდის და ასაკის ცვლადს სტატისტიკურ მნიშვნელოვნებას უბრუნებს. შედეგების მიხედვით შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ინდივიდებში სოციალურად დაუცველ კატეგორიაში მოხვედრის რისკი 3.2-ჯერ მეტია, ვიდრე შრომისუნარიან ინდივიდებში. შევნიშავთ, რომ ასაკის ცვლადს ნიშანი შეეცვალა. ამ შემთხვევაში, მოდელი გვეუბნება, რომ ასაკის მატებასთან ერთად სოციალურად დაუცველის კატეგორიაში მოხვედრის შანსი 0.9-ჯერ ნაკლებია. ამგვარ შედეგს შესაძლოა ლოგიკური ახსნა მოვუძებნოთ: ზემოთ ვნახეთ, რომ გამოკითხულთა განაწილებაში ჭარბობს 18-დან 50-წლამდე მოსახლეობა, ანუ იმ ასაკის მოსახლეობა, რომლებიც დასაქმებისა და შესაძლელობების მხრივ უფრო აქტიურები არიან, ამიტომ სოციალურად დაუცველის კატეგორიაში მათი მოხვედრის შანსები შესაძლოა უფრო დაბალი იყოს.

3.4.1.3. ინდივიდების სოციალურად დაუცველ კატეგორიაში მოხვედრის რისკების მოდელი

```
Deviance Residuals:
    Min       1Q   Median       3Q      Max
-2.3840  -0.4495  -0.1889   0.3857   3.6287

Coefficients:
                    Estimate Std. Error z value Pr(>|z|)
(Intercept)          3.78134    0.93891   4.027 5.64e-05 ***
age                 -0.01697    0.00850  -1.996 0.045928 *
Shromisunarianoba12  1.15237    0.57699   1.997 0.045802 *
D114                -1.54803    0.16490  -9.388  < 2e-16 ***
D214                -0.86480    0.09940  -8.700  < 2e-16 ***
gender1fe2male      -0.82497    0.34041  -2.423 0.015372 *
Education            0.53160    0.13842   3.840 0.000123 ***
---
Signif. codes:  0 '***' 0.001 '**' 0.01 '*' 0.05 '.' 0.1 ' ' 1

(Dispersion parameter for binomial family taken to be 1)

    Null deviance: 700.61  on 580  degrees of freedom
Residual deviance: 369.72  on 574  degrees of freedom
  (27 observations deleted due to missingness)
AIC: 383.72

Number of Fisher Scoring iterations: 6
```

	Estimate	OR
(Intercept)	3.7813	43.8746
age	-0.0170	0.9832
Shromisunarianoba12	1.1524	3.1657
D114	-1.5480	0.2127
D214	-0.8648	0.4211
gender1fe2male	-0.8250	0.4382
Education	0.5316	1.7017

3.4.2. ყოველკვირეული დასვენებით სარგებლობის უფლების მოდელი

მოდელი 3.4.2.-ით ვაფასებთ ყოველკვირეული დასვენებით სარგებლობის უფლების დარღვევის შემთხვევაში, ინდივიდის რა პარამეტრებია მნიშვნელოვანი. აღმოჩნდა, რომ სქესი და ასაკი განმსაზღვრელ როლს არ თამაშობს, თუმცა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა შრომისუნარიანობის, განათლების, B1 (თქვენი შეხედულებით პროფესიულ კავშირში გაწევრიანება ამცირებს თუ არა შრომის უფლების დარღვევის რისკებს ქვეყანაში?), B2 (ხომ არ შეგეზღუდათ პროფესიულ კავშირში გაწევრიანების ან პროფესიული კავშირის შექმნის უფლება დამსაქმებლის მხრიდან?) და A19 (ოჯახის საშუალო შემოსავლის მაჩვეებელი) ცვლადები.

მივიღეთ, რომ შრომისუუნარო ინდივიდებში 4.7-ჯერ მაღალია შანსი, რომ დაირღვეს ყოველკვირეული დასვენებით სარგებლობის უფლება და რაც უფრო დაბლა ჩამოვდივართ განათლების საფეხურებზე: უმაღლესი, პროფესიული, საშუალო, სტუდენტი, ყოველ საფეხურზე 1.3-ჯერ იზრდება რისკი. შემოსავლების მაღალ ჯგუფში გადანაცვლებასთან ერთად კი ეს რისკი 0.01-ჯერ იკლებს. იმ ადამიანებში, რომელთა შეხედულებითაც პროფესიულ კავშირში გაწევრიანება არ ამცირებს შრომის უფლების დარღვევის რისკებს ქვეყანაში ან საერთოდ არ არიან ინფორმირებულნი ამ საკითხზე, ყოველკვირეული დასვენებით სარგებლობის უფლების დარღვევის რისკი 1.3-ჯერ მაღალია. ხოლო მათთან, ვინც აცხადებს, რომ არ შეეზღუდათ პროფესიულ კავშირში გაწევრიანების ან პროფესიული კავშირის შექმნის უფლება დამსაქმებლის მხრიდან, ან უბრალოდ არ ჰქონიათ ამის სურვილი, ყოველკვირეული დასვენებით სარგებლობის უფლების დარღვევის ალბათობა 0.7-ჯერ ნაკლებია.

```
Deviance Residuals:
    Min       1Q   Median       3Q      Max
-1.6201  -0.8532  -0.7013   1.2548   2.0615

Coefficients:
                      Estimate Std. Error z value Pr(>|z|)
(Intercept)          -1.78933    0.91045  -1.965  0.04938 *
Shromisunarianoba12   1.52661    0.63624   2.399  0.01642 *
A1919                -0.14855    0.05669  -2.620  0.00879 **
B113                  0.29371    0.12489   2.352  0.01868 *
B213                 -0.42346    0.19291  -2.195  0.02815 *
Education             0.28487    0.10546   2.701  0.00691 **
---
Signif. codes:  0 '***' 0.001 '**' 0.01 '*' 0.05 '.' 0.1 ' ' 1

(Dispersion parameter for binomial family taken to be 1)

    Null deviance: 584.02  on 478  degrees of freedom
Residual deviance: 550.94  on 473  degrees of freedom
  (129 observations deleted due to missingness)
AIC: 562.94

Number of Fisher Scoring iterations: 4


                         Estimate      OR
(Intercept)               -1.7893 0.1671
Shromisunarianoba12        1.5266 4.6025
A1919                     -0.1485 0.8620
B113                       0.2937 1.3414
B213                      -0.4235 0.6548
Education                  0.2849 1.3296
```

3.4.3. სახიფათო და არაჯანმრთელ სამუშაოებზე უსაფრთხოების ზომების დაცვის მოდელი

მოდელი 3.4.3-ით გამოვიკვლიეთ სახიფათო და არაჯანმრთელ სამუშაოებზე მუშაობის გამოცდილება და იყო თუ არა დაცული უსაფრთხოების ზომები. როგორც ზემოთ, ცხრილებით ანალიზისას, ვნახეთ, გამოკითხულთა 7.7%-ს უმუშავია სახიფათო და არაჯანმრთელ სამუშაოებზე, მაგრამ უსაფრთხოების ზომები იყო დაცული. 5.3%-ს უმუშავია სახიფათო და არაჯანმრთელ სამუშაოებზე, მაგრამ არ იყო უსაფრთხოების ზომები დაცული და 86.8%-ს საერთოდ არ უმუშავია სახიფათო და არაჯანმრთელ სამუშაოებზე.

კორელაციური ანალიზისას ვნახეთ, რომ A6 (A6. გიმუშავიათ თუ არა სახიფათო და არაჯანმრთელ სამუშაოებზე და იყო თუ არა დაცული უსაფრთხოების ზომები? (მიუთითეთ ბოლო 5 წლის გამოცდილება) 1 – დიახ, მიმუშავია და იყო უსაფრთხოების ზომები დაცული; 2 – დიახ, მიმუშავია და არ იყო

უსაფრთხოების ზომები დაცული; 3 – არ მიმუშავია სახიფათო და არაჯანმრთელ სამუშაოზე) ცვლადი, კორელაციურ კავშირს აჩვენებს A8 (A8. ღამის ცვლაში გისარგებლიათ თუ არა შესაბამისი შეღავთებით, რომლებიც ითვალისწინებენ სამუშაოს სპეციფიკურ ხასიათს. (მიუთითეთ ბოლო 5 წლის გამოცდილება) 1 – დიახ, მისარგებლია შესაბამისი შეღავათებით, 2-არ მისარგებლია შესაბამისი შეღავათებით, 3-არ მიმუშავია ღამის ცვლაში) და A12 (A12. ხომ არ გაუარესებულა თქვენი ჯანმრთელობის მდგომარეობა სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს? (მიუთითეთ ბოლო 5 წლის გამოცდილება) 1 – დიახ, 2 – არა) კითხვებთან. A8 ასევე, კავშირშია A4 (A4. გიმუშავიათ თუ არა უქმე დღეებში ან არასამუშაო დროს და მიგიღიათ თუ არა ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულებისთვის ანაზღაურება? (მიუთითეთ ბოლო 5 წლის გამოცდილება) 1 – დიახ, მიმუშავია და მიმიღია ზეგანაკვეთური ანაზღაურება, 2 – დიახ, მიმუშავია და არ მიმიღია ზეგანაკვეთური ანაზღაურება, 3 – არ მიმუშავია) კითხვასთან და ვინაიდან მოდელში A4 კითხვა მოდელის ამხსნელობით უნარს აუმჯობესებს A8-სთან შედარებით, ვტოვებთ A4 კითხვას (იხ. მოდელი 3.4.3).

მულტინომიალური ლოგისტიკური მოდელით შევაფასეთ ამხსნელი ფაქტორები. მიღებულ შედეგებში ვხედავთ, რომ მამაკაცებში ქალებთან შედარებით სახიფათო და არაჯანმრთელ სამუშაოებზე მუშაობის რისკი გაცილებით მაღალია. კერძოდ, მათთვის მესამე ჯგუფში (3 – არ მიმუშავია) მოხვედრის შანსი 0.2-ჯერ ნაკლებია. ვინც ამბობს, რომ უქმე დღეებში ან არასამუშაო დროს არ უმუშავია, 1.7-ჯერ მეტი ალბათობით ხვდება იმ ჯგუფში, ვისაც სახიფათო და არაჯანმრთელ სამუშაოებზე არ უმუშავია. ასევე, ის ინდივიდები, ვინც ამბობენ, რომ მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა არ გაუარესებულა სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს, 4.2-ჯერ მეტი ალბათობით ხვდებიან იმ ჯგუფში, ვისაც სახიფათო და არაჯანმრთელ სამუშაოებზე არ უმუშავიათ. ეს უკანასკნელნი ბევრად დაბალი, 0.2-ჯერ ნაკლები, შანსით ხვდებიან იმ ინდივიდებს შორის, ვისაც უმუშავიათ სახიფათო

და არაჯანმრთელ სამუშაოებზე და არ იყო უსაფრთხოების ზომები დაცული.

სახიფათო და არაჯანმრთელ სამუშაოებზე მუშაობის გამოცდილება და უსაფრთხოების ზომები

	Dependent variable:	
	2	3
	(1)	(2)
age	0.978	1.009
	(0.017)	(0.011)
gender1fe2male	1.910	0.214***
	(0.525)	(0.345)
A413	1.023	1.704***
	(0.319)	(0.206)
A1212	0.286**	4.205***
	(0.556)	(0.471)
Constant	4.602	1.270
	(1.548)	(1.149)
Akaike Inf. Crit.	423.972	423.972
Note:	*p<0.1; **p<0.05; ***p<0.01	

3.4.4. მიმდინარე პერიოდში სამუშაოს ძებნის მოდელი

A16 კითხვისთვის, რომელიც უკავშირდება მიმდინარე პერიოდში სამუშაოს ძებნას, ავაგეთ **მოდელი 3.4.4**. ზემოთ ვნახეთ, რომ გამოკითხულთა 30.1% ეძებს სამუშაოს, 61.9% არ ეძებს სამუშაოს, ხოლო 7.2% უკვე დასაქმებულია. ამ-ხსნელ ცვლადებად მოდელში ჩართულია სქესის, A2 (A2. სა-მუშაო სტაჟი: 1) 1 წლამდე; 2) 1-დან 3 წლამდე; 3) 3-დან 5 წლამდე; 4) 5-დან10 წლამდე; 5) 10 წელზე მეტი) და A15 (A15. ხომ არ აქვს ან ჰქონია სახელფასო დავალიანება დამაქმე-ბელს თქვენ წინაშე? (მიუთითეთ ბოლო 5 წლის გამოცდილე-ბა) 1 – დიახ, 2 – არა.) ცვლადები (იხ. მოდელი 3.4.4).

მოდელში საბაზო ანუ შესადარი ჯგუფია ის ადამიანები, რომლებიც ეძებენ სამუშაოს. მოდელის შედეგებიდან ვხე-დავთ, რომ ქალებთან შედარებით მამაკაცებში 0.5-ჯერ ნაკ-ლებია ალბათობა, რომ არ ეძებდეს სამუშაოს. რაც უფრო იზ-რდება სამუშაო სტაჟი, მით უფრო მეტია ალბათობა იმისა, რომ ინდივიდი იყოს დასაქმებული, კერძოდ,1.3-ჯერ, ვიდრე

იმისა, რომ ინდივიდი არ ეძებდეს სამუშაოს, კერძოდ, 1.1-ჯერ, იმ ინდივიდების კატეგორიასთან შედარებით, ვინც ეძებს სამუშაოს. გამოკითხულებში, რომლებიც ამბობენ, რომ არ ჰქონიათ სახელფასო დავალიანება, დასაქმებულთა კატეგორიაში მოხვედრის შანსი 3.7-ჯერ მაღალია, ვიდრე სამუშაოს მძებნელის კატეგორიაში. თუმცა მათთვის, ასევე, 2.9-ჯერ მეტია ალათობა იმისა, რომ არ ეძებდეს სამუშაოს, ვიდრე ეძებდეს.

სამუშაოს ძებნის განმსაზღვრელი ფაქტორები

	Dependent variable:	
	2	3
	(1)	(2)
gender1fe2male	0.548**	0.969
	(0.236)	(0.393)
A215	1.154**	1.314**
	(0.071)	(0.137)
A1512	2.887***	3.665*
	(0.342)	(0.766)
Constant	0.341	0.008***
	(0.796)	(1.701)
Akaike Inf. Crit.	871.312	871.312
Note:	*p<0.1; **p<0.05; ***p<0.01	

3.4.5. სამსახურის უსაფუძვლოდ დაკარგვის მიზეზები და შესაბამისი ზომების მოდელი

მოდელი 3.4.5 შეეხება A10 კითხვას: დაგიკარგავთ თუ არა სამსახური უსაფუძვლოდ და მიგიმართავთ თუ არა დახმარებისთვის, ბოლო 5 წლის გამოცდილების მიხედვით. ზემოთ ვნახეთ, რომ გამოკითხულთა 2.6%-ს დაუკარგავს სამსახური უსაფუძვლოდ და მიუმართავს დახმარებისთვის. გამოკითხულთა 8.5%-ს დაუკარგავს სამსახური უსაფუძვლოდ და არ მიუმართავს დახმარებისთვის. 88.9%-ს არ დაუკარგავს სამსახური უსაფუძვლოდ. ჩვენი მიზნობრივი ჯგუფი, სადაც დაირღვა უფლებები არის მე-2 ჯგუფი: დაუკარგავს სამსახუ-

რი უსაფუძვლოდ და არ მიუმართავს დახმარებისთვის. შევა-ფასეთ მულტინომიალური მოდელი იმისათვის, რომ გვენახა ამ ჯგუფში მოხვედრის შანსები სხვადასხვა ინდივიდების სხვადასხვა მახასიათებლების გათვალისწინებით. აღმოჩ-ნდა, რომ სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ამხსნელი არის მხოლოდ სამუშაო სტაჟი, რომელიც გვეუბნება, რომ რაც უფ-რო იზრდება ნამუშევარი წლების რაოდენობა, ინდივიდის-თვის უფრო მაღალია პირველ ჯგუფში მოხვედრის შანსი, რომ დაკარგოს სამსახური და მიმართოს დახმარებას, ვიდრე მესამე ჯგუფში, რომ არ დაკარგოს სამსახური.

უსაფუძვლოდ სამსახურის დაკარგვა

	Dependent variable:	
	2	3
	(1)	(2)
Education	0.719	1.223
	(0.378)	(0.326)
age	0.991	1.031
	(0.029)	(0.024)
A215	0.732	0.460**
	(0.410)	(0.373)
A912	0.00002***	0.0002***
	(0.989)	(0.985)
A613	0.774	0.950
	(0.523)	(0.485)
A813	0.688	1.345
	(0.416)	(0.383)
Constant	494,383,717,392.000***	2,195,872,668.000***
	(1.141)	(1.079)
Akaike Inf. Crit.	404.115	404.115
Note:		*p<0.1; **p<0.05; ***p<0.01

3.4.6. სახიფათო და არაჯანმრთელი სამუშაოების მოდელი

მოდელი 3.4.6 შეეხება A6 კითხვას: გიმუშავიათ თუ არა სახიფათო და არაჯანმრთელ სამუშაოებზე და იყო თუ არა დაცული უსაფრთხოების ზომები? (მიუთითეთ ბოლო 5 წლის გამოცდილება). ამ კითხვაზე 7.7%-მა უპასუხა, რომ უმუშავია და იყო უსაფრთხოების ზომები დაცული, 5.3%-მა უპასუხა, რომ უმუშავია და არ იყო უსაფრთხოების ზომები დაცული,

ხოლო უმრავლესობამ, 86.8%-მა, უპასუხა, რომ საერთოდ არ უმუშავია სახიფათო და არაჯანმრთელ სამუშაოზე.

სახიფათო და არაჯანმრთელი სამუშაოები

	Dependent variable:	
	2	3
	(1)	(2)
Education	1.385	1.278
	(0.269)	(0.198)
age	0.987	1.028*
	(0.026)	(0.016)
gender1fe2male	2.188	0.212***
	(0.551)	(0.356)
A215	0.714	0.703*
	(0.278)	(0.197)
A1919	0.930	1.058
	(0.148)	(0.098)
A912	0.246	3.491
	(1.309)	(1.202)
A413	1.074	1.733***
	(0.326)	(0.212)
Constant	11.779	1.428
	(3.089)	(2.632)
Akaike Inf. Crit.	431.095	431.095
Note:	*p<0.1; **p<0.05; ***p<0.01	

ამხნელი ცვლადებიდან მოდელში მნიშვნელოვანია ასაკის, სქესის, A2 (A2. სამუშაო სტაჟი: 1) 1 წლამდე; 2) 1-დან 3 წლამდე; 3) 3-დან 5 წლამდე; 4) 5-დან10 წლამდე; 5) 10 წელზე მეტი) და A4 (A4. გიმუშავიათ თუ არა უქმე დღეებში ან არასამუშაო დროს და მიგიღიათ თუ არა ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულებისთვის ანაზღაურება? (მიუთითეთ ბოლო 5 წლის გამოცდილება) 1 – დიახ, მიმუშავია და მიმიღია ზეგანაკვეთური ანაზღაურება; 2 – დიახ, მიმუშავია და არ მიმიღია ზეგანაკვეთური ანაზღაურება; 3 – არ მიმუშავია) ცვლადები.

მოდელში საბაზო ანუ შესადარი ჯგუფია ინდივიდები, რომლებსაც უმუშავიათ სახიფათო სამუშაოებზე მაგრამ იყო უსაფრთხოების ზომები დაცული. მოდელის ცხრილიდან ვხედავთ, რომ მამაკაცებისთვის, ქალებთან შედარებით, უფრო დაბალია შანსი, კერძოდ, 0.2-ჯერ, მოხვდნენ ჯგუფში, სადაც

ინდივიდებს საერთოდ არ უმუშავიათ სახიფათო და არაჯანმრთელ სამუშაოებზე. ინდივიდებს, ვისაც არ უმუშავიათ ზეგანაკვეთურად, 1.7-ჯერ მეტი შანსი აქვთ, მოხვდნენ ჯგუფში, სადაც სახიფათო და არაჯანმრთელ სამუშაოებზე არ უმუშავიათ და ბოლოს, სამუშაო სტაჟის მატებასთან ერთად 0.7-ჯერ იკლებს შანსები, რომ საერთოდ არ უმუშავია სახიფათო და არაჯანმრთელ სამუშაოებზე, ვიდრე უმუშავია სახიფათო სამუშაოებზე მაგრამ იყო უსაფრთხოების ზომები დაცული.

3.4.7. ჯანმრთელობის პროგრამების მოდელი

მოდელი 3.4.7 შეეხება G1 კითხვას, თუ რამდენად უზრუნველყოფს საქართველოში მოქმედი პროგრამები ჯანმრთელობის უფლების დაცვას (1 – სრულად უზრუნვლყოფს, 2 – მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფს, 3 – ვერ უზრუნველყოფს, 4 – არ მაქვს ინფორმაცია). მოდელის ცხრილიდან ვხედავთ, რომ შერჩეული ამსხნელი ცვლადებიდან თითქმის ყველა სტატისტიკურად ძალიან მნიშვნელოვანია. პირველი ამხსნელი ცვლადია E1. (რამდენად უზრუნველყოფს საქართველოში მოქმედი პროგრამები დედების დაცვას ორსულობისა და მშობიარობის შემდეგ პერიოდში?) E1-ის პასუხებში ერთით ზემოთ გადანაცვლება (ნაკლებად უზრუნველყოფს, ვერ უზრუნველყოფს და ინფორმაციას არ ფლობს) ამხსნელი ცვლადისთვის ნიშნავს, რომ ჯანმრთელობის პროგრამების მიერ ჯანმრთელობის უფლების სრულად დაცვასთან შედარებით 1.3-ჯერ მეტია ალბათობა, რომ აღნიშნული უფლება მეტ-ნაკლებად იყოს დაცული და 1.4-ჯერ მეტია ალბათობა, რომ იგი საერთოდ არ იყოს დაცული. დაბოლოს, თითქმის 3.7-ჯერ მეტია ალბათობა იმისა, რომ ინდივიდი საერთოდ არ ფლობდეს ინფორმაციას.

G2 კითხვაზე, რამდენად სამართლიანია სარეიტინგო ქულებსა და შემოსავლების გრადაციაზე დაფუძნებული საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა, პასუხებში, რომ სამართლიანია (1), საჭიროებს გაუმჯობესებას (2) და უსამართლოა (3), ერთი ქულით ზემოთ გადანაცვლება, ასახსნელი ცვლადის საბაზო ჯგუფთან (1 – ჯანმრთელობის უფლების სრულად

დაცვა) შედარებით, ინდივიდის მე-2 ჯგუფში (ჯანმრთელობის უფლების მეტ-ნაკლებად დაცვა) მოხვედრის შანსი 3.6-ით მეტია. ბევრად მეტია, თითქმის 5.5-ჯერ, მე-3 ჯგუფში (ვერ უზრუნველყოფს ჯანმრთელობის უფლების დაცვას) მოხვედრის შანსი და 3.7-ჯერ მეტია შანსი, რომ ინდივიდი საერთოდ არ ფლობდეს ინფორმაციას.

საქართველოში მოქმედი ჯანმრთელობის პროგრამები

	Dependent variable:		
	2	3	4
	(1)	(2)	(3)
age	0.988	0.984	0.971**
	(0.009)	(0.010)	(0.014)
E114	1.318**	1.393**	3.653***
	(0.141)	(0.167)	(0.254)
G213	3.578***	5.473***	3.720***
	(0.247)	(0.283)	(0.373)
G313	1.407**	1.628**	2.118***
	(0.170)	(0.198)	(0.265)
H114	1.053	1.299	1.707**
	(0.159)	(0.196)	(0.260)
I114	2.134***	4.182***	2.780***
	(0.213)	(0.264)	(0.339)
Constant	0.038***	0.0004***	0.00002***
	(0.841)	(1.094)	(1.611)
Akaike Inf. Crit.	1,169.063	1,169.063	1,169.063
Note:		*p<0.1; **p<0.05; ***p<0.01	

G3-ის (რამდენად მისაღებია ქვეყანაში კოვიდ პანდემიის პერიოდში არანებაყოფლობითი იზოლაციის მექანიზმი? 1 – მისაღებია, რადგან შესაბამისობაშია საერთაშორისო სტანდარტებთან, 2 – არ არის მისაღები, 3 – ნაწილობრივ მისაღებია) პასუხებში ერთი პუნქტით ზემოთ გადანაცვლება ასახნელი ცვლადისთვის ნიშნავს 1.4-ჯერ მეტ შანსს, რომ ჯანმრთელობის უფლება მეტ-ნაკლებად იყოს დაცული სრულად დაცვასთან შედარებით, 1.6-ჯერ მეტ შანსს, რომ არ იყოს ჯანმრთელობის უფლების დაცვა უზრუნველყოფილი სრულად დაცვასთან შედარებით და 2.1-ჯერ მეტ შანსს, რომ ინდივიდი საერთოდ არ ფლობდეს ინფორმაციას, ვიდრე გამოთქვას

მოსაზრება, რომ ჯანმრთელობის უფლებები სრულად არის დაცული.

H1-ის შემთხვევაში (რამდენად უზრუნველყოფს საქართველოში მოქმედი პროგრამები ღირსეული საცხოვრებელი პირობებისა და ჰიგიენის უზრუნველყოფას მოქალაქეთათვის? 1 – სრულად უზრუნველყოფს; 2 – მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფს, 3 – ვერ უზრუნველყოფს, 4 – არ მაქვს ინფორმაცია), ერთი პუნქტით ზემოთ გადანაცვლება პასუხებში, ასახნელი ცვლადისთვის ნიშნავს 1.1-ჯერ მეტ შანსს, რომ ჯანმრთელობის უფლება მეტ-ნაკლებად იყოს დაცული სრულად დაცვასთან შედარებით. 1.3-ჯერ მეტ შანსს, რომ არ იყოს ჯანმრთელობის უფლების დაცვა უზრუნველყოფილი სრულად დაცვასთან შედარებით და 1.7-ჯერ მეტ შანსს, რომ ინდივიდი საერთოდ არ ფლობდეს ინფორმაციას, ვიდრე გამოთქვას მოსაზრება, რომ ჯანმრთელობის უფლებები სრულად არის დაცული.

დაბოლოს, I1 (რამდენად უზრუნველყოფს საქართველოში მოქმედი პროგრამები შიმშილის პრობლემის აღმოფხვრას? 1 – სრულად უზრუნველყოფს; 2 – მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფს; 3 – ვერ უზრუნველყოფს; 4 – არ მაქვს ინფორმაცია) ცვლადის შემთხვევაში, შანსების განაწილების შეფასებისას ყველაზე მაღალია ასახსნელი ცვლადის მე-3 ჯგუფში მოხვედრის ალბათობა (არ იყოს ჯანმრთელობის უფლება დაცული) პირველთან (სრულად დაცვასთან) შედარებით, შემდეგ მოდის მე-4 ჯგუფში მოხვედრის ალბათობა (არ ფლობს ინდივიდი ინფორმაციას) პირველთან (სრულად დაცვასთან) შედარებით, დაბოლოს, მე-2 ჯგუფში მოხვედრის ალბათობა (მეტ-ნაკლებად იყოს უფლებები დაცული).

3.4.8. ბავშვთა და მოზარდთა დაცვის მოდელი

მოდელი 3.4.8-ით მოდელის 3.4.7-ისთვის შევამოწმეთ F1 (რამდენად უზრუნველყოფს საქართველოში მოქმედი პროგრამები ბავშვთა და მოზარდთა დაცვას სოციალური და ეკონომიკური ექსპლოატაციისგან? 1 – სრულად უზრუნველყოფს; 2 – მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფს; 3 – ვერ უზრუნველ-

ყოფს; 4 – არ მაქვს ინფორმაცია) ცვლადის ამხსნელობითი უნარი ჯანმრთელობის პროგრამებისთვის.

საქართველოში მოქმედი ჯანმრთელობის პროგრამები ბავშვთა და მოზარდთა დაცვის გათვალისწინებით

	Dependent variable:		
	2	3	4
	(1)	(2)	(3)
age	0.989	0.985	0.971**
	(0.009)	(0.010)	(0.014)
F114	1.072	1.730***	2.675***
	(0.155)	(0.187)	(0.257)
G213	3.509***	5.692***	3.830***
	(0.245)	(0.284)	(0.366)
G313	1.398**	1.551**	1.919**
	(0.171)	(0.200)	(0.265)
H114	1.103	1.233	1.726**
	(0.162)	(0.199)	(0.262)
I114	2.131***	3.824***	2.724***
	(0.212)	(0.264)	(0.346)
Constant	0.054***	0.0003***	0.0001***
	(0.819)	(1.095)	(1.563)
Akaike Inf. Crit.	1,175.755	1,175.755	1,175.755
Note:	*p<0.1;	**p<0.05;	***p<0.01

დანარჩენი ასახსნელი ცვლადები წინა მოდელის შედეგების მიმართ თანხვედრილ დინამიკაშია. ინდივიდები, თითქოს მსგავს ამხსნელობით შეფასებას აძლევენ საქართველოში ორსულობისა და მშობიარობის შემდგომ პერიოდში დედების დაცვის პროგრამებსა და ბავშვთა და მოზარდთა სოციალური და ეკონომიკური ექსპლუატაციისგან დაცვის პროგრამებს – რამდენადაც წარმატებულად ან წარუმატებლად უზრუნველყოფენ ერთს, იმგვარადვე უზრუნველყოფენ მეორეს. ამ უკანასკნელში განაწილება 1.1, 1.7 და 2.7-ია, მაშინ როცა პირველ შემთხვევაში გვქონდა 1.3, 1.4 და 3.6. საბოლოოდ, სტატისტიკური მნიშვნელოვნებიდან გამომდინარე, უპირატესობას ორსულობისა და მშობიარობის შემდეგ პერიოდში დედების დაცვის პროგრამებს ანიჭებენ.

დასკვნა

თანამედროვე მსოფლიოში სოლიდარობისა და სოციალური სამართლიანობის ღირებულებათა დამკვიდრება მრავალ წინააღმდეგობას აწყდება, მათ შორის, არსებული უკიდურესობების გამო. საქართველოს დღევანდელ კანონშემოქმედებით საქმიანობაში ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას სამართლებრივ აქტებში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა პრინციპების ეფექტიანად ასახვა წარმოადგენს. აღნიშნულ პრობლემას შედეგად მოაქვს მოსახლეობის არასახარბიელო მდგომარეობა უფლებების კუთხით, რაც პირდაპირ კავშირშია მოსახლეობის / საზოგადოების სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ ყოფასთან. ნაშრომი სწორედ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სოციალური და ეკონომიკური უფლებების, მისი დაცვის მექანიზმების, კანონმდებლობის აღსრულებისა და ეფექტიანობის მეცნიერულ შესწავლასა და ანალიზს ეძღვნება.

ნაშრომში შესწავლილი და გაანალიზებულია ქართულ სამართლებრივ სივრცეში არსებული მარეგულირებელი აქტების აღსრულებისა და ეფექტიანობის ხარისხი, მისი პირდაპირი შედეგები საქართველოს მოსახლეობისთვის და ამ შედეგების ზეგავლენა მათ სოციალურ და ეკონომიკურ ყოფაზე.

საქართველოში ადამიანის უფლებრივი მდგომარეობის სამართლებრივი და პრაქტიკული გაუმჯობესების შესაძლებლობების ძიების მიზნით გაანალიზებულია სოციალური უფლებები უნივერსალურ, ევროპულ, საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და ქართულ კანონმდებლობაში. კერძოდ, გაანალიზებულია შემდეგი უფლებები:

- ✓ შრომის უფლება;
- ✓ შრომის სამართლიანი და ხელსაყრელი პირობები;
- ✓ პროფესიული კავშირების შექმნის შესაძლებლობა;
- ✓ გაფიცვის უფლება;
- ✓ სოციალური უზრუნველყოფა და სოციალური დაზღვევა;
- ✓ თანხმობაზე დაფუძნებული ქორწინების უფლება და არასრულწლოვანთა ქორწინება;

- ✓ ოჯახის დაცვის სახელმწიფო გარანტიები;
- ✓ დედების დაცვა ორსულობისა და მშობიარობის შემდგომ პერიოდში;
- ✓ ბავშვთა და მოზარდთა დაცვა სოციალური და ეკონომიკური ექსპლუატაციისგან;
- ✓ ღირსეული საცხოვრებელი პირობები და ჰიგიენა;
- ✓ ბრძოლა შიმშილის აღმოფხვრისთვის;
- ✓ ჯანმრთელობის უფლება;
- ✓ განათლების უფლება.

ნაშრომში გამოკვლეულია ქართული სამართლებრივი დოკუმენტები: საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებული „ადამიანის უფლებათა დაცვის 2014-2020 წლების ეროვნული სტრატეგია“ და შესაბამისი სამოქმედო გეგმები, სახელმწიფო სამთავრობო სამოქმედო გეგმები 2019-2020 წლების პერიოდისთვის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, შრომის კოდექსი, კანონი შრომის უსაფრთხოების შესახებ, კანონი პროფესიული კავშირების შესახებ, კანონი ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ, კანონი ზოგადი განათლების შესახებ, კანონი უმაღლესი განათლების შესახებ, კანონი პროფესიული განათლების შესახებ, კანონი ჯანმრთელობის შესახებ, კანონი პაციენტის უფლებების შესახებ, კანონი სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შესახებ, კანონი სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური კომპენსაციის შესახებ, კანონი სახელმწიფო პენსიის შესახებ, კანონი მაღალმთიანი რეგიონის განვითარების შესახებ, კანონი ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ, კანონი სოციალური დახმარების შესახებ, კანონი ფსიქოსოციალური საჭიროებიდან გამომდინარე ექსპერტიზის ჩატარების შესახებ, კანონი შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ, კანონი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ.

პროექტის ფარგლებში ჩატარებულია სოციალური და ეკონომიკური უფლებების შედარებითი ანალიზი საერთაშორისო ხელშეკრულებებთან მიმართებით, როგორიცაა: ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ

საერთაშორისო პაქტი და ევროპის სოციალური ქარტია, რომელთა მონაწილე საქართველოცაა.

რეგულაციების აღსრულებისა და ეფექტიანობის ხარისხის შეფასებისთვის გაანალიზებულია საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ განხორციელებული ეფექტიანობის აუდიტის ანგარიშები. გარდა ამისა, ჩატარებულია ჩაღრმავებული ინტერვიუები შემდეგი სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან:

- ✓ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;
- ✓ საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი;
- ✓ სახელმწიფო აუდიტის სამსახური;
- ✓ სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლები;
- ✓ საქართველოს სახალხო დამცველი;
- ✓ შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია ILO;
- ✓ ევროსაბჭოს წარმომადგენლობა საქართველოში;
- ✓ საქართველოს პროფესიული კავშირების ასოციაცია.

ზემოთ ჩამოთვლილი ორგანიზაციების შერჩევა მოხდა მათი საქმიანობის მიხედვით. აღნიშნული სახელმწიფო უწყებების და არასამთავრობო ორგანიზაციების მოღვაწეობის სფერო სრულად მიმართულია ადამიანის სოციალური და ეკონომიკური უფლებების დაცვისა და რეალიზებისკენ.

საქართველოში შრომის უფლებისა და დასაქმების ბაზარზე არსებული ვითარების, გამოწვევების და სამომავლო შესაძლებლობების გამოსავლენად ჩვენ გავაანალიზეთ სანდო სტატისტიკურ მონაცემთა ბაზა. დასაქმების შანსების შესწავლა მოხდა ისეთ სტატისტიკურ-ეკონომეტრიკული მეთოდების გამოყენებით, როგორიცაა: ექსპერტული შეფასება, ცვლადების აღწერით-სტატისტიკური ანალიზი, შანსების ფარდობის ლოგისტიკური მოდელები.

ნაშრომში გამოკვლეულ იქნა ინდივიდუალური უნარ-ჩვევებისა და ნიშან-თვისებების მაჩვენებელი შემდეგი ცვლა-

დები: ინდივიდის ასაკი, სქესი, განათლება, საქმიანობის სახეობა და თანამდებობა და ყველა მსგავსი კატეგორიის ცვლადი, რომლებიც ექსპერტული შეფასებით მნიშვნელოვანი ცვლადებია.[70]

კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ:

○ ასაკის ცვლადი სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ცვლადია. 1 წლით ასაკის მომატება დასაქმების შეთავაზების შანსებს ამცირებს 0.035 რიცხვითი მნიშვნელობით.

○ უმუშევრობის ხანგრძლივობის შანსების კერძო მოდელის მიხედვით, უმუშევრობის ერთი წლით გაზრდა დასაქმების შეთავაზების შანსს 0.1-ით ამცირებს. ეს ნიშნავს, რომ შრომისუნარიანი სამუშაო ძალის დიდხანს უმუშევრობაში დარჩენა, ცხადია, გამოწვევაა და ხელი უნდა შეეწყოს უმუშევრობიდან დროულად გამოსვლის ღონისძიებებს.

○ დასაქმების შანსებზე ენების ცოდნის გავლენის თვალსაზრისით, გერმანული, რუსული და თურქული ენები მნიშვნელოვანი ცვლადები არ არის. სტატისტიკურად მნიშვნელოვანია მხოლოდ ინგლისური ენა. პირველ დონეზე ინგლისური ენის ცოდნა სამუშაოს შეთავაზების შანსს 1.08-ით ზდის, მეორე დონეზე ცოდნა – 1.06-ით, ხოლო მესამე დონეზე ცოდნა – 0.94-ით.

○ ოჯახური მდგომარეობა საკმაოდ მნიშვნელოვანი ცვლადია კვლევის მიზნებისთვის. მეორე კატეგორია (დასაოჯახებელი) თითქმის 100%-იანი სტატისტიკური სიზუსტით სამუშაოს შეთავაზების შანსებს 0.7-ით ზრდის. მე-3 (განქორწინებული) და მე-4 (ქვრივი) კატეგორია, 10%-იანი შეცდომის ალბათობით, შესაბამისად 0.4 -ით და 1.7-ით.

○ სქესის ცვლადს მცირე დადებითი მნიშვნელობა აქვს, რაც ნიშნავს, რომ მამაკაცებს შედარებით მეტი დასაქმების შანსი აქვთ.

○ დოქტორის ხარისხი დასაქმების შანსებს 1.73-ით ზრდის, მაგისტრის ხარისხი – 1.44-ით, ხოლო ბაკალავრის ხარისხი 1.58-ით, ანუ უფრო მეტად, ვიდრე მაგისტრის ხარისხი. ეს სავარაუდოდ შეიძლება იმით აიხსნას, რომ ბაკალავრიატ-

[70] Tavartkiladze M., Phirtskhalashvili A. Employment Challenges and prospects for Labor Market Integration (Case of Georgia), Lazarski University Press, Poland. 2022

დამთავრებულებს უფრო მეტი მოტივაცია აქვთ და უფრო მეტად ეძებენ სამსახურს, ვიდრე მაგისტრატურის კურსდამთავრებულები, რომლებშიც უფრო მეტია აკადემიური მისწრაფებები და ნაკლებია სამუშაოს მოტივაცია, აღნიშნული წინა საფეხურის კურსდამთავრებულებთან შედარებით.

ადამიანის სოციალური და ეკონომიკური უფლებების თვისებრივი კვლევის შედეგების გადასამოწმებლად შედგა საკვლევი საკითხის შესახებ ვრცელი კითხვარი და ჩატარდა რაოდენობრივი კვლევა მოცემული პროექტის ფარგლებში. გამოიკვეთა შემდეგი სამიზნე ჯგუფები: სოციალურად დაუცველი პირები, უმუშევრები, მრავალშვილიანი ოჯახები, პენსიონერები, დასაქმებულები.

კვლევის თანახმად გამოიკვეთა, რომ რესპონდენტთა 25.8%-მა შეასრულა ზეგანაკვეთური სამუშაო ანაზღაურების გარეშე, ხოლო 16,8%-ს შეეზღუდა ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულებით სარგებლობის უფლება. ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულებით სარგებლობის უფლება ყველაზე მეტად კერძო სექტორში შეეზღუდათ, რამაც გამოკითხულთა 46.6% შეადგინა. გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ეს უფლება დაირღვა კერძო სექტორში დასაქმებულების 16.1%-ში.

რესპონდენტების 22,6%-ს უმუშავია ღამის ცვლაში, ხოლო 10.9%-ს არ უსარგებლია შესაბამისი შეღავათებით.

კვლევამ აჩვენა, რომ ნაკლებად ხდება მოქალაქეთა გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია. გამოკითხულთა მხოლოდ 1.1% მიუთითებს დისკრიმინაციის ფაქტებზე.

გამოკითხულთა 11.1%-მა დაკარგა სამსახური უსაფუძვლოდ, თუმცა მათ 81.8%-ს არანაირი ზომა არ მიუღია. აღნიშნული ფაქტი შესაბამისი სტრუქტურების დაბალ ნდობასა და ამგვარი პირების ფინანსური თუ საკონსულტაციო დახმარების საჭიროებაზე მიუთითებს.

რესპონდენტების 8.5%-სთვის გაუარესდა მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს. შეგროვებული მონაცემების მიხედვით, გამოკითხულთა 52.9%-სთვის დამსაქმებელს არ გაუწევია

დახმარება, როცა მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესდა.

კვლევამ აჩვენა დასაქმების წყაროების ნაკლები ცნობადობაც და ეფექტიანობაც. სამუშაოს მაძიებელთა 54.9% ნაცნობ-მეგობრებს მიმართავს დასაქმებისთვის. მხოლოდ 0,5%-მა მიმართა დასაქმების სახელმწიფო პროგრამების დეპარტამენტს და დარეგისტრირდა worknet.gov.ge-ზე.

აღმოჩნდა, რომ კოვიდ-პანდემიის გამო, 22.6% მუშაობს დისტანციურად და შეინარჩუნა სამსახური, ხოლო 40.2% არ მუშაობს და კოვიდ-პანდემიამ მათი მუშაობის შანსები კიდევ უფრო შეამცირა.

კვლევამ გამოავლინა პროფესიული კავშირების საქმიანობის დაბალი ცნობადობა და ზოგადად მათი როლის ნაკლები მნიშვნელობა. შედეგების მიხედვით 43.4%-ს არ აქვს ინფორმაცია პროფესიულ კავშირში გაწევრიანების უპირატესობების შესახებ.

რესპონდენტების ნახევარზე მეტს არ აქვს ინფორმაცია სოციალური უზრუნველყოფის და სოციალური თანადგომის პროექტების შესახებ ან ვერ სარგებლობს. აღნიშნული პროგრამებია: საარსებო შემწეობის მიღების ზედა ზღვარი 100001; ფულადი დანამატი ბავშვებზე; ასაკობრივი პენსია; შშმ ბავშვთა სოციალური პაკეტი; ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში და საერთაშორისო მისიებში დაღუპულთა ოჯახის წევრების კომპენსაცია; კრიზისული დახმარების პროგრამა; კვების ვაუჩერის პროგრამა; 45 მცირე საოჯახო ტიპის სახლი; 31 სათემო სახლი; ძალადობის 3 და ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვის 2 თავშესაფარი; დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების პროგრამა; დეკრეტული შვებულება.

გამოკითხულთა 72.4%-ს არ აქვს ინფორმაცია, რომ სოციალურად დაუცველ პირებს, დასაქმების შემთხვევაში, 12 თვის მანძილზე უნარჩუნდებათ სოციალური სტატუსი, ხოლო მომდევნო 12 თვის მანძილზე არსებული ბენეფიტები. ხოლო 3.3% არ ენდობა მიღებულ ინფორმაციას, რადგან სოციალურად დაუცველის სტატუსის მოპოვება არის რთული ბიუროკრატიული პროცესი.

რესპონდენტების 51% მიიჩნევს, რომ აბიტურიენტების უმაღლესი განათლების დაფინანსებების პროგრამა ეროვნული გამოცდის შედეგების და არა მისი სოციალური მდგომარეობის შესაბამისად საჭიროებს გაუმჯობესებას, ხოლო 14.2% მიიჩნევს, რომ უსამართლოა. გამოკითხულთა 58.5%-ს არ აქვს ინფორმაცია სტაჟირებისა და სუბსიდირების პროგრამების შესახებ. აღნიშნული პროგრამებით მხოლოდ 9.3% - მა ისარგებლა. საშუალო განათლების მქონე რესპონდენტების 69.4%-ს არ აქვს ინფორმაცია პროფესიული მომზადება-გადამზადების სახელმწიფო პროგრამების შესახებ. აღნიშნული გარემოება მოწმობს პროგრამების ნაკლებ ცნობადობასა და შესაბამისად დასაქმებაში მათ დაბალი კონტრიბუციაზე.

შეგროვებული ინფორმაციის ანალიზისთვის გამოვიყენეთ ლოგისტიკური და მულტინომიალური მოდელები. ბინარული დამოკიდებელი ცვლადებისთვის ავაგეთ ლოგისტიკური რეგრესია, ხოლო რამდენიმე შესაძლო შედეგის მქონე ცვლადების გასაანალიზებლად ავაგეთ მულტინომიალური რეგრესია.

სოციალურად დაუცველის კატეგორიაში ინდივიდის მოხვედრის შანსების მოდელის თანახმად, ასაკის მატებასთან ერთად იზრდება ინდივიდის სოციალურად დაუცველ კატეგორიაში მოხვედრის ალბათობა. აღსანიშნავია, რომ მამაკაცებში სოციალურად დაუცველ კატეგორიაში მოხვედრის შანსები უფრო ნაკლებია, ვიდრე ქალებში. რაც შეეხება განათლებას, სოციალურად დაუცველ კატეგორიაში მოხვედრის რისკი იზრდება განათლების დაბალი საფეხურების მქონე ინდივიდებისთვის. ინდივიდები, რომლებიც აცხადებენ, რომ სოციალური უზრუნველყოფის და სოციალური თანადგომის პროექტების შესახებ არ აქვთ ინფორმაცია ან მათზე არ ვრცელდება აღნიშნული პროგრამები, ასევე, მათ ვისაც აქვს მათზე ინფორმაცია, მაგრამ ვერ სარგებლობს ან ადრე სარგებლობდა, 0.2-ჯერ ნაკლებად ხვდება სოციალურად დაუცველის კატეგორიაში. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ინდივიდებში სოციალურად დაუცველ კატეგორიაში მოხვედრის რისკი 3.2-ჯერ მეტია, ვიდრე შრომისუნარიან ინდივიდებში.

ყოველკვირეული დასვენებით სარგებლობის უფლების მოდელის თანახმად, შრომისუუნარო ინდივიდებში 4.7-ჯერ მაღალია შანსი, რომ დაირღვეს ყოველკვირეული დასვენებით სარგებლობის უფლება. ასევე, რაც უფრო დაბალია განათლების საფეხური (უმაღლესი, პროფესიული, საშუალო, სტუდენტი), ყოველ ქვედა საფეხურზე 1.3-ჯერ იზრდება უფლებების დარღვევის რისკი. შემოსავლების მაღალ ჯგუფში გადანაცვლებასთან ერთად კი, ეს რისკი 0.01-ჯერ იკლებს.

სახიფათო და არაჯანმრთელ სამუშაოებზე უსაფრთხოების ზომების დაცვის მოდელის თანახმად, მამაკაცებში ქალებთან შედარებით სახიფათო და არაჯანმრთელ სამუშაოებზე მუშაობის რისკი გაცილებით მაღალია. ასევე, ის ინდივიდები, ვინც ამბობენ, რომ მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა არ გაუარესებულა სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს, 4.2-ჯერ მეტი ალბათობით ხვდებიან იმ ჯგუფში, ვისაც სახიფათო და არაჯანმრთელ სამუშაოებზე არ უმუშავიათ.

მიმდინარე პერიოდში სამუშაოს ძებნის მოდელის თანახმად, ქალებთან შედარებით მამაკაცებში 0.5-ჯერ ნაკლებია ალბათობა, რომ არ ეძებდეს სამუშაოს. რაც უფრო იზრდება სამუშაო სტაჟი, მით უფრო მეტია ალბათობა იმისა, რომ ინდივიდი იყოს დასაქმებული.

